4) ვახტანგ გორგასლის ძის დამის დროს (499—514) ჭელიძის ზრინიკა მოიხსენიებს მირიამ წმიდის ეკლესიის აღშენებას. ეს მირიამ წმიდის ეკლესიას სიონის ტაძარი არ უნდა იყოს, რადგანაც ამ უკანასკნელ ტაძრის საძირკველი ჩაიყარა გვრამ დიდი კურატ-მატაის დროს (575—600), როგორც ამას მოწმობენ ქართლის მოქცევის ვარიანტები ¹⁾ და ქართლის ცხოვრებაც ²⁾.

5) ათგამეტ ასურელ მამათა მოსლვა საქართველოში ჩვენს ვარიანტში მოხსენებულა ამ საირად: „მამინ მოვიდა იოანე (იე) ზუღაზადგნული შუა მდინარით იგი და თორმეტნი ნაწაფენი. მისნი ქართლის მოქცევით მეორასესა წელსა“ (ფ. 6). შატბერდის ვარიანტში სიტყვები: „ქართლის მოქცევით მეორასესა წელსა“ გამოტოვებულია ³⁾. ქართლის ცხოვრებით ამ წმ. მამების მოსლვამდის „მირიანიოვან გარდახდა წელნი ორასნი და მეფენი იბ⁴⁾“. თუ ქართლის მოქცევის დროთ მივიღებთ 332—333 წ., როგორც ნინოს ცხოვრება მოიხსენიებს ⁵⁾, ასურელ მამათა მოსლვა საქართველოში ჩვენის ვარიანტით მოხდებოდა 532 ანუ 533 წ. მირიანის შემდეგ მეთორმეტე მეფე იქნება ფარსმან V ⁶⁾, რომელიც შეფობ-

¹⁾ იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 6 და სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 34.

²⁾ ქართლ. ცხოვრება 1, 161.

³⁾ სამი ისტ. ქრონიკ., გვ. 32.

⁴⁾ ქარ. ცხოვრ., გვ. 151, სბოლოო 6.

⁵⁾ ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XXV.

⁶⁾ აქ ფარსმან V ჩათვლილი არ უნდა იყოს, თუმცა, თუ ამ ანგარიშს მივიღებთ, ასურელ მამათა მოსლვა მოხდებოდა ფარსმან V მეფობის მეოთხე ან მეხუთე წელს.



და 528 და 542 წლებ შუა ¹⁾ და მაშისდაშე ეს ცნობა ეთანხმება ქართლის მოქცევის წყნი ვარიანტის ცნობას. აქიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართლის ცხოვრება ირას წელიწადს ანგარიშობს მირიახის მეფობის იმ წლიდან, რომელშიაც მოხდა ქართველთაგან ქრისტიანობის მიღება. შესაძლებელია, რომ შატბერდის ქართლის მოქცევის ვარიანტში გადაწყვირისაგან შედგომით იუოს გამოტოვებულ ი წემო დასახელებული წყნი ვარიანტის სიტყვები. ქართველთა ურისაგან ქრისტიანობის მიღება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში და ამისთვის სთვალრებულია, რომ ქართველთა მოქცევის შემატანე ამ ფაქტს უფრო მიაქცევდა ყურადღებას, ვინემ მირიან მეფის სიკვდილს. რომ ეს მისალება, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ კათალიკოზობის დაწესების დროს აღნიშნვა თრივე ქართლის მოქცევის ვარიანტით ნანგარიშევი ქართლის მოქცევითგან და არა მირიახითგან ²⁾.

ქართლის ცხოვრებით კი თუ ირას წელიწადს ვიანგარიშებთ შეფე მირიანის სიკვდილითგან (342 ³⁾), ასურელ მამთა საქართველოში მოსლვა იქნებოდა — 542 წელს. როგორც ქართლის ცხოვრება ⁴⁾, გერეთვე ვახუშტის ისტორიაც ⁵⁾ ამ წმ. მამთა მოსლვას მიაწერენ ფარსმან VI დროს და ეს ეთანხმება კიდევე ამ უკანასკნელ ანგარიშს, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ აქ კვების შემოტანა არ შეიძლებოდა. გადაწყვეტით კი მიღებულ ქრონოლოგიას წინააღმდეგ რამეს თქმა არ შეიძლება მთა უმეტეს, რომ თვით ქართლის მოქცევის ვარიანტებიც წმ. ასურელ მამთა მოსლვას დასლებენ „ფარსმან სხუამს“ ან ფარსმან VI დროს, როდესაც კათა-

¹⁾ ვახუშტის ისტორია: ბაქრაძის გამოც., გვ. 103 და 314.

²⁾ საში ისტ. ქოონ., გვ. 29 და წყნი ვარიანტი, ფ. 6. თუ მივიღებთ, რომ ირასი წელი ნანგარიშევი ქართლის მოქცევითგან, მაშინ იმაშიაც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქარ. ცხოვრებაში მოხსენებულ თორმეტ გარდაცვალებულ მეფეებში უნდა უსათუოდ იგულისხმებოდეს მირიანიც.

³⁾ იხ. ვახუშტის ისტორია, გამ. ბაქრაძისა, გვ. 312; ქართლის მოქცევით კი მირიან შეფე მიიცვალა 343 ანუ 344 წ. (ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრ. XXV).

⁴⁾ ქართ. ცხ. გვ. 151.

⁵⁾ ვახუშტ. ისტორია, გვ. 104 და 314.



ლიკოსობდა ევლადე. მართლდა, ქართლის ცხოვრების მეორე შინა-შენა გვეუხება, რომ „მეუფობითგან შინაიან მეფისათა, ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდახდეს წელნი ორასნი და მეფენი გარდაცვალდეს თოთხმეტნი“¹⁾, მაგრამ აქ ფარსმან VI გამეფების წლის აღნიშნავა შემატანესაგან და ასურელ წმ. შამთა მოსელის დროს არ შეეხება.

6) ჭელიშის ვარიანტიში სწერია, რომ თრდატ მეფის დროს „მთავარეზისკობისი იყო ნურსე“²⁾, მაგრამ ცხადია აქ გადაშწერისაგან შეცდომით გამოტოვებულია სიტყვები: „სომეხთა კათალიკოსის დიაკონი იობ“, რასაც აზრი შეუცვლია³⁾. ამის გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ვარიანტში არ არიან მოხსენიებული შემდეგნი კათალიკოსნი: სუმონ ფარსმან მეფის დროს⁴⁾, ბაკურის დროს — სიმოფელ⁵⁾, ფარსმან V დროს — თაფუანკ და ჩიშაკა⁶⁾, ბაკურ III დროს — სიმოფელ და სიმინ-ბეტრ⁷⁾ და ფარსმან VI დროს — ვეთათ⁸⁾ ანუ ევლადე⁹⁾.

7) ადარნასე ერისთავს შატბერდის ვარიანტით ჭეუვდა შეიღები: სტეფანოზ, აშოტ კურატზაღატი და გურამ¹⁰⁾. ჭელიშის ვარიანტში-კი სტეფანოზ არ არის მოხსენიებული და გურამის მაგიერ დასახელებულია გურგენ, ეს ცნობა გურგენზე სავსებით ეთანხმება სუმბატის ისტორიის და ქართლის ცხოვრების ცნობას¹¹⁾. გურამ, ძე ადარნასესი, არც ჩვენს ვარიანტით და არც ამ უკანასკნელი წყაროებით არ არის ცნობილი.

ამით ვათავებთ ქართლის მოქცევის ბირველ ნაწილზე საუბარს

¹⁾ ქართ. ცხ., გვ. 159).

²⁾ შვედ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 5 და სამი ისტ. ქრონ. გვ. 23.

³⁾ ჩვენი ვარ. ფ. 6. და სამი ისტ. ქრ., გვ. 26.

⁴⁾ ჩვენი ვარ. ფ. 6. და სამი. ისტ. ქრ., 31.

⁵⁾ იქვე.

⁶⁾ იქვე.

⁷⁾ იქვე. ფურ., 6. და სამი ისტ. ქრ., გვ. 32.

⁸⁾ სამი ისტ. ქრონ. გვ. 31 და 32.

⁹⁾ ქართ. ცხ. 1, 186. Источники грузинских летописей ექ. თაყაიშვილისა, გვ. 47, სბოლიო 5 და ქრონ. 1, 71 თ. უორდანიახი.



და არ შევუდგებით სხვა განსხვავებათა ჩვენებას. არ შევარყებთ სტრუქტურულ სპოკადობას არც ჩვენის ვარიანტის მეორე ნაწილის განსხვავებებზე საუბარით. მოვიხსენებთ მხოლოდ ორიოდეს.

ეს მეორე ნაწილი ქართლის მოქცევის ჩვენის ვარიანტის თა-
ვებათ არის დაუყოფილი, მაგრამ ცოტა განსხვავებით შატბერდის ვა-
რიანტისაგან. წმ. ნინოს ცხოვრებას მიუძღვის შესავალი, რომელიც
ორ თავად არის გაყოფილი და რომელიც შინაარსით განსხვავებუ-
ლია და მასთან კანდილებით ვრცელდის ¹⁾). განსაკუთრებით ეს უნდა
ითქვას მეორე თავზე, რომელიც არ მოიხილება შატბერდის ვარიან-
ტში ²⁾). მოვიუყვანთ ამ ადგილიდან იმ ნაწილს, რომელიც, ჩვენის
აზრით, უფრო შინაშეველიანია.

„... აღიძრა ³⁾ შურითა საღმრთოთა (სღთთა) და სურვი-
ლითა წმიდისა სიონისა, კათალიკე ეკლესიისათა, რომელი იგი წმ.
ნინოს მიერ მოინიჭა სოფელსა ცნობად ნათელი ჭკეშმარიტი. მაშინ
დედოფალი იგი სუფი წარმოემართა ხილვად და თავგანისცემად წმი-
დისა სიონისა და წმიდისა მახრებელისა, მოციქულთა სწორისა ნი-
ნოსი, და სლევას მას მისსა შინა იტყუოდა მოწყლედ, ვითარმედ მა-
მათა ჩუწნთა (წნთა) ვერ გულის ხმა უგეს გზაჲსუჲ ჭკეშმარიტი, რომ-
ელი იგი გვითხრობან ვაჭართა ჰრომთა და ბერძენთა, ვი-
თარმედ ჩვენნი მეფენი ესრეთ შეფობენ და ესრეთ არიან ეკლესიანი
და ჭვარსა (ჭა) ქრისტესსა (ქსსს) თავგანისცემენ, და ვითარცა მე-
სმის, მარადის (მდს) შევისყვარი ცრემლითა ცხელითა, ვითარცა სი-
სხლითა, ხოლო აწ თუაღითა (თღითა) ჩემითა ვიხილუ ნათელი

¹⁾ შეადარე ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა. გვ. 1 და 2. და ჩვენი ვარიანტი, ფ. 8—12.

²⁾ თუმცა ზოგიერთი რამ ამ ადგილიდან მოთავსებულია წმ. ნინოს ცხოვრების ვარიანტებში; იოანე ნათლის მცემლის და შიო-მღვიმისაში (ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 1, სხ. 2) და აგრეთვე საბინი-
ნის და საეკკლესიო მუზეუმისაგან გამოცემულ წმ. ნინოს ცხოვრებაში (საქ. სამოთხე, გვ. 149—150, ცხ. წმ. ნინოსი, არსენ კათალიკოსის მიერ შედგენილი, გამ. მუზეუმისა 1903 წ., გვ. 36 და Источники груз. летописей, გვ. 51, სხ. 1), მაგრამ ისიც არა სრულად და დიდის გან-
სხვავებით ჩვენს ვარიანტთან.

³⁾ იგულისხმება დედოფალი სუჯი.



კამობრწინებდა წარმართთა ზედა. ხოლო აწ რამჟე შევსწირის შენდა, სიონ წმიდაო, გარსა თუ ესე: შირველად (მ^დ) შევსწირთა თავი ჩუმი შვილათურთ და ხათესავით სარწმუნოებით ჩუმი; და შოკრედ: ქადაქნი კინი ბარათიანი ¹⁾ და დაბაჟ დიდი ბოდისი შენდა შევსწირნე, და არდარა აღხდა ეტლსა ზედა, არამედ ფერხნი მისნი მიშუღლნი მიწასა და ქვათა ზედა მოვიდოდეს და შოიწი მდინარესა არაგოსა²⁾...“

ამის შემდეგ მოთხრობილია დედ სუჯის არაგვზე გასვლა და დიდის ხატით მადება მისი შუფე და შთავარებისკომოზისაკან. აგრეთვე მოყვანილია შინაარსი იმ წერილისა, რომელიც მისწერა წმ. ნინოშ შუფე შირაანს. ეველა ამ განსხვავებების დასახელებას აქ ჩვენ არ შეუდგებით. მოვიყვანთ მხოლოდ ამ წერილის შემდეგ მოთხრობილს, — აბათარ მღვდლისაკან ნაამბობს.

... მოწოდდა აბათარს ასტირონ შთავარმან გუასხარაგნელმან ფარულად და ჰრქვა: „შუწეე სავარულთ, შენ არა ჰურათა მღვდელი იუავ, წილით ხუჭდრებულა, შუეიდრი, რამეთუ არიან წელნი ვინათგან მამანი ჩვენნი აქა მოვიდეს — ფგ, და ბაკინისნი იუვენით. არა სადა ვისა სმია მათგანსა ქებაჟ ქრისტაინუთა, ხოლო აწ ესერა შენ გხუდავ და ასულსა შენსა, რამეთუ უოყელივე დატიკვებიეს, და უოყელი ერი შენი (მ^ა) სიტყვთა შენითა განციხევა, და ზე იტი შუწნი დატიკვია და ბაკინი დატიკვიბი და უფროს უოყელთასა ხარ შენ მოსწრაფე ქრისტეს მსახურებისა ქადაგ, აწუწე და ასწავებ და მნებაეს სმენად ძალი სიტყვათა შენთა“. აბათარმა ვრცელად მოუთხრა ისტორია თვისის მოქცევისა და შემდეგ დაუმატა: „დღეისითგან

¹⁾ საც. მუზეუმისაკან წმ. ნინოს ცხოვრებიდან შედგენილ საკითხავებში და საბინინისაკან გამოცემულ წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენებულთა: „ქალაქი ბართიანი“ (მუზეუმის გამოცემა—გვ. 44 და საქართველოს საბოთხე გვ. 150), ხოლო, ხატ. ექვ. თაყაიშვილის თქმით, წმ. ნინოს ცხოვრების სხვა ვარიანტებში (იოანე ნათლისმცემლისა გვ. 586 — 587 და შიომღვიმისა — 358 — 359) — ქალაქი ბართიანი (Истор. груз. литературы — გვ. 51, სხ. 1).

²⁾ სიტყვებში: „შურითა“, „სურვილითა“, „სუჯი“, „თე“ და „არაგოსა“ „უ“ — ნის მაგიერ „ო“ — ნია ხმარებული. (ფ. 8).



ქრისტესამდე არიან წელნი სამის ოც და ათოთხმეტა¹⁾ ამ ხნის განმავლობაში ღმერთის არ მახუდინა შქადგებელი, იგიდრე დღესამდე, ოდეს (უღეს) მოხუდნა ღმერთის ქვეუნანსა ახს ქართლისასა, მოუფლანა დედაკაცი ერთი უბიწოჲ, შეუდროჲ მოშიშებთანა, ღმერთ-შემოსილი წმ. ნინო, რომელისკან მიიღო ქრისტიანობა თვით ახათარ-მან და ხათესაგმან მისმან²⁾).

ამ შესავლის შემდეგ იწეება თვით წმ. ნინოს ცხოვრების აღწერა, მაგრამ ჩვენს ვარიანტში მას არა აქვს სათაური და განუყოფელად მისდევს შესავალს³⁾. შატბერდის ვარიანტში კი სათაურად აქვს შემდეგი სიტყვები: „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“⁴⁾. ამ თავს ჩვენს ვარიანტში არა აქვს ბოლო, რადგან ერთი ფურცელი დაკარგულია. დაკარგულ ფურცელზე უნდა იწეებოდეს ის, რაც შატბერდის ვარიანტში შეითხე თავთ არის აღნიშნული ამ სათაურით: „თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“⁵⁾, მხოლოდ არ ვიცით, ჩვენს ვარიანტში ეს ცალკე თავთ არის გამოყოფილი, თუ არა. შეეძლება თავი: „მოწევნაჲ წმ. ნინოსი შტებთანად, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“⁶⁾ ჩვენს ვარიანტში, როგორც სხვა ვარიანტებშიც⁷⁾, ცალკე თავთ არ არის შეტანილი⁸⁾. ამხარის და სხვა განსხვავებებიც ბევრია ჩვენს ვარიანტში, მაგრამ ამ ხანად ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

შატბერდის ვარიანტში შეუე კონსტანტინე და დედა მისი ელენეს მოქცევა დადებულია დასაბამითგან წელთა 5444-ს, ქრისტეს ამდღებთანგან კი – 311 წელს, ნიკეას მსოფლიო კრება კონსტანტინე შეფის მოქცევიდან შემდეგ წელს მომხდარა და შერვე წელს რიფსიმი, გაიანე, ნინო და სხვანი გამოქცეულან სპერძეთიდან

¹⁾ იხილეთ ფურც. 11 და 12.

²⁾ იხ. ფურც. 12.

³⁾ ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 4.

⁴⁾ იქვე, გვ. 10.

⁵⁾ იქვე, გვ. 20.

⁶⁾ იქვე - სხ. 1 და Источники груз. лѣтописей. Три хроники, გვ. 66, სხ. 3.

⁷⁾ ჩვენი ვარიანტი ფ. 18, გვ. 1.



და მოსულან „არეთა სომხითისათა“¹⁾. ჩვენს ვარიანტში წყაროა შეიძლება: „მაშინ მოხედნა დემეტრის საბერძნეთს, და რწმუნა მეუფეს კოსტანტინეს და ელენეს, დედასა მისსა, და ქრისტე დემეტრთა სისარულთა ადარეს უფველმან ერმან და ზღაღტ-ბანაკმან მათმან დასაბამითკანთა წელთა ხუთი ათას რვაას ორმოც და ერთსა, და ქრისტეს ამაღლებითკან სამას ათვრამეტსა წელსა, და წარემართა უფველი საბერძნეთი ქრისტეანობასა ზედა. მეშუიდე-სა წელსა კრება იყო ნიკიას, და მერვესა წელსა იყო სივლტოღ-ვა ჩვენი საბერძნეთით“²⁾.

დასაბამითკან ქრისტეს შობადმდე გასულა: ქართულის ანგარი-შით—5604 წ., ბერძნულით—5508 და აღექმინდრიულით—5560³⁾. თუ შატბურდის ვარიანტის ანგარიშს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დასაბამითკან ქრისტეს დაბადებამდის გამოვა 5100 (5444—(311+33) წელი⁴⁾.

ჩვენი ვარიანტით დასაბამითკან ქრისტეს შობამდის ნანგარი-შეგია—5523 (5841—318) წ. და თუ მივიღებთ იმსაც მხედვე-ლობაში, რომ შესაძლებელია 318 წ. იუოს ნანგარიშეგვი ქრისტეს ამაღლებითკან, მაშინ გამოვა—5490 (5523—33) წ. კოსტანტინე მეუფის მოქცევა კი დადებულია—318 წ.⁵⁾ და, თუ დასჯერებულია ორივე ვარიანტის რწმუნება, რომ ამ მეუფის მოქცევის მეშვიდე წელს იყო ზირველი მსოფლიო კრება, მაშინ ჩვენი ვარიანტის ანგარიში უფრო მისაღებია, რადგანაც ნიკეის მსოფლიო კრება მოხდა

1) ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. 13 და 14.

2) იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 16.

3) ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხ. XXII, სხ. 3.

4) იქვე XXIV, სხოლიო 2.

5) ქართ. მოქცევით კოსტანტინე მეფისაგან ქრისტიანობის მიღების შეათე წელს მომხდარა დედ. ელენესაგან პატ. ჯვარის აღმოჩენა, თუ მივიღებთ კოსტანტინე მეფის მოქცევის წლათ 310 ან 311 წ., მაშინ ჯვარის აღმოჩენა მოხდებოდა 320 ან 321 წ. ჩვენი ვარიანტით კი ეს მოხდებოდა 328 წ., რაც უფრო უაბლოვდება ლებოს, ფლერის (Источники груз. лѣтописей, გვ. 17, სხ. 2) და სხვათა გამოანგარიშებას (Исторія христіанской церкви, Робертсона, изд. 1890 г. т. 1, 175).



325 წელს. ამ ანგარიშით წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა მომხდარა 326 (318+7+1) წ.

მეორე ადგილს ჩვენს ვარიანტსაც შემოაქვს სხვა ქრონოლოგია: დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდე—5500 წელი ¹⁾, ამაღლებითგან კონსტანტინე მეფის მოქცევამდე—311 წ. და 14 წლის შემდეგ წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში ²⁾. ეს წინააღმდეგობა შეიძლება აის-სნებოდეს შეგდომით, ჩვენის აზრით, ქართლის მოქცევა ანგა-რიშობს ალექსანდრიული წელთა აღრიცხვით, რომელიც, ბ. ექვ-თაუაშვილის თქმით, ჯერ ბერძნულს და შერშე ქართული წელთა აღრიცხვის შემოდებამდის იხმარებოდა საქართველოში ³⁾. ეს სხვათა შორის მტკიცდება იმითაც, რომ ჩვენი ვარიანტი წმ. ნინოს მიცვალებას დასდებს დასაბამიდან—5838 წ. და ქრისტეს ამაღლებიდან (უნდა იკულისხმებოდეს ქრისტეს შობა)—338 წ. ე. ი. ქრისტეს შობამდის დასაბამითგან ანგარიშობს—5500 (5838—338 (წელს ⁴⁾). ამისთვის საფიქრებელია, რომ რიცხვი 5841 შეგ-დომით იუოს დასმული 5851 ან 5818 მაკიერ, ე. ი. „ორმოცდა ათერთმეტის“ ან „ათვრამეტის“ მაკიერ გადაწერის დაქსვას „ორმოც და ერთი“. მაშინ კი, რასკვირგელია, არ იქნებოდა წინააღმდეგობა, ვინაითგან 5851—(318+33) და 5818—318 იქნება 5500 წ.

რაც შეეხება კონსტანტინე მეფის მოქცევის წლის აღნიშვნას, მაში შესაძლებელია სხვა და სხვაობა, რადგან ისტორიკოსებს მისი ნამდვილად სარწმუნოების გამოცდვა 312 წლიდან 320 წლამდის გამორკვეულად არ მიაჩნიათ. მის ქრისტაინობისადმი სიმშატის და ამის მიხედვით ასეთ თუ ისეთ საქციელს მიაწერენ ზოლიტაეურ მო-საზრებებს ⁵⁾. ამისთვის შესაძლებელია ამ ფაქტის აღნიშვნა სხვა და სხვა პირთაგან სხვა და სხვა დროს და ეს დამოკიდებულია თი-

¹⁾ ეს სათვალავი სხვა ხელთაწერებშიაც არის მიღებული (ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხ. გვ. XXIV, სხ. 2).

²⁾ იბ. ფ. 22.

³⁾ Источники груз. летописей... გვ. 74, სხ. 2.

⁴⁾ იბ. ფურც. 4.

⁵⁾ История христ. Церкви Дж. С. Робертсона, т. 1, გვ.



თოკულის ზირად შეხედულობაზე. მხოლოდ ეს კია, რომ 311 წლით არ შეიძლება მისი მოქცევა ადინიშნის, რადგან ეს მოხდა 312 წლის მაქსენტისთან ომის შემდეგ ¹⁾. უოგელ შემთხვევაში ამ უკანასკნელ ანტიონითან, ჩვენის აზრით, ნინოს საქართველოში მოსვლის დროთ უნდა შევიდოთ 326 (311 + 14 + 1) წელი ²⁾. აქ ჩვენ 14 წელს ვუმატებთ კიდევ ერთს, რადგან ვარიანტში ნათქვამია, რომ ნინო მოვიდა 14 წლის შემდეგაო.

აბათარი ამბობს, რომ «დღეისითგან», ე. ი. იმ დროდან, როდესაც დედ. სკჟიმ და ასპირონ კუსხარაკანელმა ნათელ-იღეს და მოვიდნენ მცხეთაში მოსალოცად, ქრისტესამდე არიან წყლნი 334-ით. ამ დროდან ასპირონის თქმით 503 წლის წინეთ მომხდარა ებრაელების დასახლება მცხეთაში. ეს 503 წ. უდრის 169 წელს ქრისტეს შობამდე. ამ ხანებში აღმოსავლეთს ფლობდა ანტიოქია კვიზიანე (170—164 ³⁾), რომელმაც 170 წ. გალაშქრა ეგვიპტის წინააღმდეგ. მის იქ უოფნაში მოხდა ებრაელების აჯანყება, რამაც საშინლათ გაარისხა ანტიოქია და მანაც სსტიკად დასჯა მკამბოხენი. შემდეგ წლებშია არ შეწყვეტილა დევნულობა ებრაელების და მათი სარწმუნოების წინააღმდეგ. მათ უკრძალავდნენ ღვთის-მსახურებას და უწავდოდ სტანჯავდნენ ვეფას, ვინც არ დასტოვებდა მამა-მამათა სარწმუნოებას და არ მიიღებდა წარმართობას. მკამბოხთაგან ატეხილ ამბოხის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა საქმე. ანტიოქია გამოსცა ბრძანება ამოეწვირათ ებრაელები და დატარიელებული ადგილები დაესახლებათ სხვა ტომის ხალხით ⁴⁾. უეჭველია, ამ დროს ბუკრი ებრაელთაგანი ნებით თუ უნებლეთ მიამურებდა სხვა ქვეყნებს და, როგორც მოწმობს ჩვენი ჭართლის მოქცევის ვარიანტიც, მცხეთაშიაღ მამინ გადმოსულან. ჩვენის აზრით, ეს არ ეწინააღმდეგება ჭართლის ცხოვრების თქმულებას ებრაელების ნაბუქოდაინოსორის დროს

¹⁾ იქვე.

²⁾ ჩვენი ვარიანტის ერთი ადგილი გვიჩვენებს, რომ ნინოს და სხვათა სივლტოლეა საბერძნეთით მოხდა „მე იე—ნა წელსა“ (იხ ჩვენი ვარიანტის პირველი ფურცელი).

³⁾ Библийская история. В. Завѣтъ. Лопухина, т. II, 1042.

⁴⁾ იქვე, გვ. 910—917.



კადმოსსხლებზე საქართველოში ¹⁾, რადგან, შეწვევლია, ჩვენ ვარიანტი მოკვითხრობის მხოლოდ იმ კბრალებზე, რომელნიც შემდეგში კადმოსსხლებულან და მამატებით უწინდელ დროებში შემოხინულ კბრალებს.

მატბერდის ვარიანტის ამ ნაწილს ჭელებია სსმი ფურცელი ²⁾. პირველი დაკარგული ფურცლის შინაარსი ჩვენს ვარიანტში დაცულია და მასში მოთხრობილია წმ. ნინოს მოგზაურობა საქართველოსკენ. როდესაც ნინო მოვიდა „ფარავნის“ ტასთან, — ამბობს დაბეჭდილ ნინოს ცხოვრებაში შეტანილი ადგილი, — ნახა მწეუმსები, მათ ვითომ სომხურ ენაზე ესუბრა, კამოჭკითხა მათი ვინაობა და სთხოვა ენგენებით მცხეთისკენ მიმავალი გზა. ეს ადგილი ქართლის მოქცევის კამოშეძეულს ნურთავს შიო მღვიმის და ითანე ნათლის მღემლის ვარიანტებიდან ³⁾. ჩვენს ვარიანტში არ არის მოხსენებული, ვითომ წმ. ნინოს ესუბროს მწეუმსებთან სომხურათ ⁴⁾. შესაძლებელია, რომ არც მატბერდის ვარიანტის დაკარგულ ფურცელში ვოფილიყოს ამნაირი ცნობა ⁵⁾. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვები ჩამატებულია შემდეგში იმათგან ან იმათ კაგდენით, ვისთვასაც ამნაირი ჩამატება ინტერესს არ იქნებოდა მოკლებული. რომ ეს სიტყვები შემდეგში

¹⁾ ქართ. ცხოვრება 1, 25.

²⁾ ახალი. ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. II, სხოლიო; 15—18; 24; 40—42.

³⁾ იჭვე. გვ. 15—17.

⁴⁾ იხ. ფურც. 16, გვ. 2.

⁵⁾ ამას რამდენათმე გვაფიქრებინებს შემდეგი: არსენი ქათალიკონისაგან ეკლესიაში საკითხავად შედგენილ ნინოს ცხოვრებაშიაც არ არის ნათქვამი ნინოს მწეუმსებთან სომხურად საუბარზე (მუზეუმის გამ. გვ. 15 და 16). არსენი კი ამ საკითხავის შედგენის დროს სარგებლობდა ქართლის მოქცევის ვარიანტებით, ან უკეთ ვსთქვათ ამ ქართლის მოქცევიდან ამოიღო პირდაპირ ის, რაც მისის მიზნისათვის საჭირო იყო, თუ არსენმა საჭიროთ ნახა ამოელა ქარ. მოქცევიდან ცნობა ნინოს საუბარზე მწეუმსებთან, უეჭველია მოიხსენებდა იმასაც, რომელ ენაზე საუბრობდა, რომ ამნაირი ცნობა ყოფილიყოს დედანში. მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ ამბობს, მას იმისთვის, რაც დედანში იყო, არა დაუელია რა (იხ. ზემოთ, გვ. 19, სბ. 5). ამისთვის საფიქრებელია, ქართლის მოქცევის უჭველეს ვარიანტებში არ ყოფილა ეს ცნობა და შემდეგ დროების ვარიანტებში შეუტანიათ.

ჩამატებულია, ჩვენის აზრით, ამის ამტკიცებს მოთხრობის მიმდინარეობა.

წმ. ნინო შენიშნავს, რომ შწუქისნი „ხადადეს ღმერთთა მათთა, დაწვეულთა არმაზს და ზადენს, და უთქომდეშ შესწირავთა, რაჟამს მოვიდეთო, დიდასა ადრე მიგუდ და გკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომელისა სოფლისანი ხართ თქვენ, ხოლო მან მომიგო მე: ზოგნი დაბათ, ზოგნი საფორცლით, და ზოგნი ქინჯარდენი და რაბატელნი დიდისა ქადაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“¹⁾. აქედან ნათლად სჩანს, რომ შწუქისები უოფიდან ქართველნი მცხეთიდან, რომელთაც საეკლესიო სტრუქტურით სომხური ენა.

ჩვენის აზრით, წმ. ნინოს ქართული ენა უნდა სტრუქტურადა, რადგან თვითონ, როგორც ზემოთაღნიშნული მოვლენიანი, ქართველი ხალხის მონათესავე უნდა უოფილიყო. შესაძლებელია, ამ ენის ცოდნამ და მონათესავე ერის მოქცევის სურვილმა მისცა სუსტ დედაკაცს გაბედულობა ეტვირთა ამნარი მძიმე საქმე. ალბათ ესევე იყო მიზეზი, რომ მისმა მოციქულებრივმა მოღვაწეობამ ისეთი დიდი ნაყოფი გამოიღო, როგორც არის მოქცევა და გაქრისტიანება მთელის ერისა.

მეორე დაკარგული ფურცლის შინაარსი დაბეჭდილ ქართლის მოქცევის მეორე ნაწილში ჩამატებულია წმ. ნინოს ცხოვრების ზემოხსენებულ ვარიანტებიდანვე²⁾. ზატყვემული გამოცემული სხოლითში შენიშნავს, რომ ეს ჩამატებული ადგილი არ ეწეობა დედნის გაგრძელებას და შინაარსითაც მოკლეა, ვინაიტან დაკარგულ ფურცელზე ორჯერ მეტიც დაეტეოდა, ვინამ ეს ჩამატებული ადგილია³⁾. ჩვენის ვარიანტით ამ ადგილში არაფერი არ აკლია და ჩამატებას არ სსტიროებს და კიდევაც ითანე ნათლის-მცემლის და მოაზღვრების ვარიანტებიდან ჩამატებული მოთხრობა მართლაც მეტი გამოდის, რადგან აზრის მიმდინარეობას უშლის⁴⁾.

შესაძლებელია დაკარგულ ფურცლის შინაარსი ჩვენს ვარიანტში დაგუ-

1) იხ. ჩვენი ვარიანტი, ფ. 16 და 17.

2) ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხ. გვ. 24.

3) იქვე, სხოლით.

4) შედარე: იქვე—24, ჩვენი ხელნაწერის მეოცე ფურცლის მეორე გვერდი და Источники груз. летописей, стр. 69, სხოლით.

და და შიომღვიმის და იახუნათლის მგებლის ვარიანტიდან ნამატებულ ადგილს საზოგადო შინაარსით უთანხუბა, თუმცა განსხვავებად წერილშენებში ბევრია ¹⁾.

საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისათვის არ უნდა იყოს უმნიშვნელო ჩვენის ვარიანტის ის ადგილიც, სადაც დედ. სუფი მოკვითხრობს, რომ წმ. ნინოზე დიდათ ადრე ბერძენ-რომაელებს ჭქონათ ქართველებთან ვაჭრული კავშირი და რომ ეს ვაჭრები მისიონერობასაცაი ეწოდებენ ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, როგორც სუფი დასძენს, «მამათა ჩვენთა ვერ გულისხმა ვეცა ცხად ესე ჭქმშირიტი». მაშასადამე წმ. ნინოს შიოსდვის წინა დროებში არა მარტო უბრაულთა საშეალებით შემოდოდენ საქართველოში ქრისტიანობაზე ცნობები და ნინოს დროს ქართველები რამდენათმე უოფილან მომზადებულხი ქრისტეს მოძღვრების მოსასმენათ და მისადებათ.

ვათავებთ ჩვენს მოხსენებას იმითვე, რითაც დავიწყეთ: ჩვენ, როგორც არა სპეციალისტს ისტორიულ კითხვებში, არ შეგვეძლო უფრო საბუთიანათ შეგვედგინა ეს ჩვენი მოხსენება და ამისთვის შეიძლება ვერ დაგვაშეუოფილეთ მარტ. საზოგადოების ცნობის მოყვარება. მაგრამ, თუნდაც ამ მოხსენებამ ვერ დაგვაშეუოფილდოს ისტორიის მცოდნენი, თუნდაც ჩვენი ვარიანტიდან მოუფანილი ადგილები და მათზე ჩვენი მოსაზრებანი არ გამოდგენენ უფრადლების დირსად, მაინც, ჩვენის აზრით, ისიც საკმაოდ უნდა ჩიათვალდოს, რომ ამის შემდეგ გვეტოდინება არსებობა კიდევ ერთის ქართლის მოქცევის ვარიანტისა, რომელსაც სახელ ედება — «ჭელიშის ვარიანტი». მარტო ამ უკანასკნელი მოსაზრებითაც უნდა გვეშატიოს კადნიერება.

შენიშნა. 23 გვერდზე მოხსენებული ვითომ დაკარგული ფურცელი აღმოჩნდა ტელიში ჩემგან ცალკე ნაპოვნ და შენახულ ფურცლებში. ამ ახლად ნაპოვნ ფურცელზე მართლაც იწყება ის, რაც შატბერდის ვარიანტში მეოთხე თავად არის აღნიშნული ამ სათაურით: «თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისა», მაგრამ ტელიშის ვარიანტში ეს ცალკე თავად არ ყოფილა შეტანილი.

არხიმანდრიტი ამბროსი.

1907. დეკ. 23.

¹⁾ შეადარე: ახალი ვარ. წმ. ნინოს ცხოვ., გვ. 40—42 და ჩვენი ხელნაწერი, ფურ. 25 და 26.

დავით კუროპალატის გენეალოგია.

(წაკითხული იყო საზოგადო კრებაზე 20 ნოემბერს 1907 წელს).

ვახტანგის რედაქციის „ქართლის-ცხოვრებაში“ დავით კუროპალატის გენეალოგიის შესახებ შემდეგი ცნობები მოიპოვება:

1. „გარდაიცვალა სუმბატ მეფე კურატპალატი, ძე ადარნასე მეფისა და ძმა დავით მეფისა, ქორონიკონს **რომ** (ე. ი. 958 წ.) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ (ანუ დავით) რეგენი, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მეფე იქმნა, და ადარნასე კურატპალატი. გარდაიცვალა ესე ადარნასე კურატპალატი ქორონიკონს სგ (ე. ი. 983 წ.). გარდაიცვალა ძე ამის ადარნასესი დავით დიდი, კურატპალატი, აღსავსე სიკეთითა, რომლისა ამბავი ქვემოთ სიტყვიან ცხად ჰყოს, ქორონიკონს სკა (1001 წ.)“ (იხ. ქ. გ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 291).

2. „ხოლო ესე დავით კურატპალატი იგი არის, რომლისა სიკვდილი ზემორე აღგვიწერია სკა ქორონიკონსა ზე, რომელი იყო ძე ადარნასე კურატპალატისა, ძისა სუმბატ მეფე-კურატპალატისა.“ (იხ. ქ. გ. ჭიჭინაძის, გვ. 296).

3. „ხოლო ამას დავით კურატპალატსა არა ესეა შვილი და ესე ბაგრატ, ძე გურგენ მეფეთ-მეფისა, რომელი ეყოდა მამის ძმის-წულის წულად, გაეზარდა შვილად თვისად, და განდიდნა ესე დავით კურატპალატი უმეტეს ყოველთა მეფეთა ტაოსათა.“ (იხ. იქვე, გვ. 298).

ამ ამონაწერებთან ჩანს, რომ ვახტანგ მეფის რედაქციის „ქართლის ცხოვრება“ დავით კუროპალატს სთვლის შვილად ადარნასე კუროპალატისა და შვილის-შვილად სუმბატ მეფე-კუროპალატისა. ამიტომ შეფე ბაგრატ რეკვენი გამოდის მის ბიძად.

ვახუშტი ბატონიშვილიც თავის ისტორიაში ამასვე იმეორებს და

სწერს: „...და მივიდა წინაშე დავით კუროპალატისა. ხოლო ესე დავით მეფე იყო ძე აღარნასესი და აღარნასე იყო ძე სუმბატ მეფისა კუროპალატისა.“ (იხ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემული საქართველოს ისტორია ვახუშტისა, გვ. 132).

ბრასეცა და ბაქრაძეც „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის მიხედვით დავით კუროპალატს სთვლიან სუმბატ კუროპალატის შვილად აღარნასე კუროპალატის შვილად. ბრასე თავის საქართველოს იტორიაში ამბობს: „თველორემ ძლივს მოასწრო ქართლში გაქცევა და იქიდან დავით დიდთან კუროპალატთან, მეფე ბაგრატ რეგვენის ძმის წულთან“ (იხ. ბრასეს საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 126). ხოლო «ქართლის ცხოვრებისა დაშტებასა და კანზარტებაში (Additions et Éclaircissements à l'histoire de la Géorgie) სწერს: Le fait est que ce David, qui fut à la fin du X-e siècle l' arbitre de la Géorgie était petit-fils de Soumbat“ (იხ. გვ. 176).

დ. ბაქრაძე თავის საქართველოს ისტორიაში სწერს: „დავითმა თავის შვილობილის ბაგრატ მესამისათვის—თვითონ იყო უშვილო—შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და თვით იმის სიცოცხლეშივე ბაგრატი (ეს ბაგრატ იყო დავითის ბიძაშვილის შვილი, ძე გურგენისა) დაჯდა მეფედ აფხაზეთში და შემდეგ ქართლში“ (იხ. გვ. 240).

დანარჩენი ქართველი ისტორიკოსები არაფერს ამბობენ დავით კუროპალატის გენეალოგიაზე და თავის სიწმინდით თითქმის უთანხმოებან ბრასესა და ბაქრაძეს. ესეთი თანხმობა ვუვლას ისტორიკოსებისა და ბრძაღ დაჯერება ვახტანგის ქართლის ცხოვრების ცნობებისა იმიტომ არის გასაკვირველი, რომ იმავე ბრასეს გამოცემულს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია თვითმურაზის ვინაიანტი თაგან მომატება—ჩამომავლობა ბაგრატიონთა, სადაც დავით კუროპალატის გენეალოგიის შესახებ სულ სხანაინს ცნობას ვხედავთ.

იქ ერთს ადგილს სწერია: „გარდაიცვალა ძე ბაგრატ შავის-ტროსისა (იგულისხმება აღარნასე კუროპალატი) ქორონიკონსა რპა (ე. ი. 961 წ.), რომელი ესე ძეთა შვიბყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკვდა უნებლიეთ ფიჩვითა მოსილი და დაუტყვენა“



ძენი ბაგრატი და დავით ერისთავთ-ერისთავი. ესე ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატიისა, გარდაიცვალა ქრონიკონს რძვ (იხ 966 წ.), ხოლო ძმა მისი დავით კურატპალატი იქმნა დიდად* (იხ. ქარ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 289—290).

მეორე ადგილს სწერა: .გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურატპალატიისა, ძმა ბაგრატი რეგვენისა, ქორონიკონს ხზ ე. ი. 983 წ.) და ძე მცირე დავით დაუტყვა* (იქვე, გვ. 290).

ამ ამონაწერთაგან ჩანს, რომ უფთელა ორი ადარნასე კურომაღალი, ერთი შვილი ბაგრატი მაგისტროსისა, მეორეა შვილი სუმბატ კურომაღალისა. ზიარველსც უაუდა შვილი დავითი, მეორესც, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ზიარველი დავითი წოდებულა დავით კურომაღალად დიდად, ხოლო მეორე დავითი მოხსენებულა მცირედ, ე. ი. ჯერ ზეტრად, მაშის სიკვდილის დროს, 983 წ. ამ ორთ დავითთაგან ცხადია ჩვენა დავით კურომაღალი არის ზიარველი დავითი, შვილის-შვილი ბაგრატი მაგისტროსისა და არა სუმბატ კურომაღალისა, რადგან ამ უკანასკნელის შვილის-შვილი არც კურომაღალად არის მოხსენებულა და არც სრულწლოვანად არის ცნობილი 983 წ.

ამაინად ბრძესე გამოცემულს „ქართლის ცხოვრებაშივე“ იყო მოთავსებული ისეთი წყარო, რომელიც დავით კურომაღალის განკუთვნილ შესახებ სრულებით სხვა ცნობებს იძლეოდა, ვიდრე თვით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ამისთანა განსხვავებულის ცნობების მიუხედავად არც ბრძესემ და არც ბაქრაძემ საჭიროდ არ დაინახეს კრიტიკულად გაეჩინათ ეს ცნობები და ან ერთი უარ-ეუთ ან მეორე. ისინი ორნივე იმეორებდენ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ცნობას და „დამატების“ ცნობას არავითარს ანკარიშს არ უწევდნენ. ეს იმიტომ არის უფრო გასაკვირველი, რომ ქართლის ცხოვრების ცნობები დავით კურომაღალის შესახებ იწვევდნენ ბევრს გაუკებრობას. დ. ბაქრაძე იძულებული იყო გადაჭრით ეთქვა, რომ ქართლის ცხოვრების ცნობა, ვითომ დავით კურომაღალი გამოეხებულეფეს ტომში 983 წ. მის მაშის ადარნასე კურომაღალის შემდეგ, ტყუილი უნდა იყოს, რადგან დავით კურომაღალი უფრო ადრე ჩანს მფლობელად



და შევედაო. ბაქრაძეს რომ მეტი ურადლება მიეძღვა „დამატება“ ცნობისთვის, ის იწოდება არა მარტო თავის ეჭვის დამატკიცებულს და გამამართლებულს საბუთს, არამედ ბევრს სხვა გაუგებრობასაც მოს-
მობდა და სრულებით უარს ჭეოფდა მისგან სარწმუნოდ მიღებულს გენეალოგიას.

ბროსემ თუ არ მიაქცია ურადლება „დამატებას“ და ბრმად დაუ-
ჯერა ვახტანგის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, ეს იმის ბრალაა, რომ მან ჯერ კიდევ არ იცოდა დირსება-ნაკლულეკვანებანი ვახტანგის რეაქციის „ქართლის ცხოვრებისა“ და არ იცნობდა უძველესს ვარიანტს „ქართლის ცხოვრებისას“, რომელსაც ეწოდება მარიამ დედოფლის ვარიანტი. ხოლო ბაქრაძის შესახებ ეს არ შეიძლება ითქვას, რად-
გან იმას ხელთა ჰქონდა მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრება“, რომლის საფუძველით იმას შეეძლო გადაეწეოდა, თუ რომელი ცნო-
ბა უფრო მართალი იყო. საქმე ის არის, რომ მარიამ დედოფლის ვარიანტში, რომელიც არის უძველესი, არც ერთს ადგილს არ არის ხათქვაში, რომ დავით კუროპალატი უთვლიდა უფრო სუმატის შვილის-
შვილი. ჩვენგან ზევით ამოწერილი ბროსეს კამოცემითგან ზირველი ციტატა მაში სრულებით არ არის, აგრეთვე არ მოიპოვება მთლად შეორე ციტატა, ხოლო მესამე ციტატიდან არ მოიპოვება სიტყვა-
ბი—რომელიც ეყოდა მიმის ძმის წულისწულად. ცხადია, ვკვლავ ეს ადგილება, რომლებშიაც მოხსენებულია დავით კუროპალატის გენეალოგია, შეტანილია ვახტანგის რეაქციისგან შეთვრამეტე სუკუნეში.

შეორე მხრით თეიმურაზის ვარიანტიდან ბროსეს გამოცემაში ჩართული დამატება, როგორც ახლა აღმოჩნდა, ადებულია სიტყვა-
სიტყვით სუმატის ქრონიკითგან, რომელიც მთლად მოთავსებულია იმავე მარიამ დედოფლის ვარიანტში.

ამხარად ჩვენ გვაქვს დავით კუროპალატის გენეალოგიაზე ორ-
ნარი ცნობა. ერთს იძლევა „ქართლის ცხოვრების“ შეთვრამეტე სუ-
კუნის შემავსებელი, შეორეს შეთვრამეტე სუკუნის შექრონიკე სუმატი. ამ ორის წუროთგან, თქმა არ უნდა, უპირატესობა ეკუთ-
ნის სუმატის ქრონიკას და ჩვენც დღეიდან უნდა უარყოთ ვახტან-
გის რეაქციის „ქართლის ცხოვრებაზე“ დაფუძნებული და ჩვენის ის-



ტორიკოსებისაგან სარწმუნოდ მიღებული განკაღვრება და შეიღობა როგორც ნამდვილი სუმიბატის ქრონიკაზე დაფუძნებული განკაღვრება.

ახლა გამოდის, რომ დავით კუროპალატი უოფილა შეიღობა ადარნასე კუროპალატისა და შეიღობა-შეიღობა ბაგრატ მაგისტროსისა. იმას ჰყოლია ძმა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი. ამ ორს ძმას თავიანთ მამა შეუპურათ და მონაზონად გაუხდიათ, ხოლო მისი სამეფოებლო დაუჭერია უფროსს ძმას ბაგრატს ერისთავთ-ერისთავის წოდებით, რადგან უნდა მომხდარიყო 961 წელზე ადრე, რადგან ამ წელს მომკვდარა ადარნასე. უფროსი ძმა ბაგრატ მომკვდარა 966 წ. და მის ადგილი დაუჭერია უმცროსს ძმას დავითს, მასაც ერისთავთ-ერისთავის წოდებით. შემდეგ მას მიუღია კუროპალატობა, არა უგვიანეს 978 წლისა, როდესაც მან ამოწმინა შემწყობა ბიზანტიას.

რადგან შეეხება სუმიბატ კუროპალატის შეიღობა-შეიღობა დავითს, იგი, სუმიბატის ქრონიკის ცნობით, მამის ადარნასე კუროპალატის სიკვდილის შემდეგ 983 წ. დარჩენილა მცირე, ე. ი. პატარა და, როგორც ჩანს, არაფრით არ გამოწმინდა შემდეგში თავი, რადგან სუმიბატი მას აღარ იხსენიებს.

ცხადია, ის სუმიბატის ქრონიკა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ შეთურამეტე საუკუნის რედაქტორს ხელთა ჰქონია და რომლით-ცანაც შეუტანია მატრიანეში ცნობები ბაგრატიონთა შესახებ, გარყვნილი და ნაკლებფაინი უოფილა, რის გამოც აურევია ერთმანერთში დავით ადარნასეს შეიღობა, ბაგრატის შეიღობა-შეიღობა, და დავით ადარნასეს შეიღობა, სუმიბატის შეიღობა-შეიღობა.

რომ ვახტანგის რედაქციისაგან ცნობილი სუმიბატის ქრონიკა ნაკლებფაინი უოფილა სწორედ იმ ადგილს, სადაც დავით კუროპალატია მოხსენებულია, მას ცხადთ დავინახავთ, თუ მოვძებნით ვახტანგის „ქართლის ცხოვრებაში“ სუმიბატის ქრონიკის იმ ადგილს, სადაც მოხსენებულია დავით დიდი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: გარდაიკვალა ძე ამის ბაგრატიისა ადარნასე კურატპალატი ქორონიკონს რბა. გარდაიკვალა ბაგრატ, ძე ამის ადარნასე კურატპალატისა, ქორონიკონს რბთ. გარდაიკვალა დავით მაგისტრი, ერისთავთ-ერისთავი, ძმა ამის ბაგრატიისა, ქორონიკონს რბე“ (იხ. ქართ. ცხ., გამოც. ზ. ჭიჭინაძისა,



285—286 გვ.). ეს ადგილი უდრის სუმბატის ქრონიკის იმ ადგილს, სადაც ვკითხულობთ: „გარდაიცვალა ძე ბაგრატ მაგისტროსისა ქორონიკონსა რპა... და დაუტყენა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთ ერისთავი. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორონიკონსა რპე, ხოლო ძმა მისი დავით კურატპალატი იქმნა დიდათ“ (იხ. სამი ისტორ. ხრონიკა, გვ. 63). ამ ორის ადგილის შედარება გვინგუნებს, რომ ვახტანგის რედაქციის ხელთ შეოფეს სუმბატის ქრონიკაში, რაღაც შეცდომით, უგჭველია, კადაშქრის უგულისხურებით, დავითი მოხსენებულია მაგისტროსად და კარდაცვალებულად 966 წ., იმ წელს, რომელშიაც მიიგვალა მისი ძმა ბაგრატი, ხოლო ბაგრატის მიცვალების წლად მოხსენებულია 969 წ. რაკი ასეთი შეცდომა შეეპარა „ქართლის ცხოვრების“ რედაქციას და ნამდვილი დავით დიდი კუროშაძე კარდაცვალებულად მოიხსენია 966 წ., მან დავით კუროშაძედ აღიარა დავით შვირე სუმბატის შეადისშვილი, რადგან მისი მამაც ადარნასე იყო.

დ. კარიჭაშვილი.





...ეს წი მივიღებ მატარებელში მათვე თავდაცვ...
 ...სიგან ტარებან ეს აუღეკიდურად...
 ტარებან იმგნ ანეტრად...
 ტარებან ესე აუღეკიდურად...
 ...ობის მატარებელზე...
 ...ობის მატარებელზე...

ვინ უნდა იყვეს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი?

(წაკითხული იყო საზოგადო კრებაზე 20 ნოემბერს 1907 წელს).

დღეს სუმბატის ქრონიკად წოდებულს მატანეს აქვს შემდეგი გრძელი სათაურა: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქვეყანასა იგინი, ანუ რომლით ეამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“. ამათად თვით ქრონიკა გვაუწყებს, რომ მის დაშწერს რქმეფია სუმბატი, ხოლო მის მამას დავითი. სხვა ცნობას მის შესახებ ქრონიკაში ვერაფერს ვხედავთ.

დ. ბაქრაძე სწერს: „სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით ის უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთ ისტორია ქართლის ცხოვრებაში ეკუთვნის სუმბატსა. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის ცხოვრება უჩვენებს 988 წ. და თუმცა სუმბატის ხრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო“. (იხ. საქ. ისტ. 55 გვ.).

თ. ჟორდანიას სწერს: „რადგან სუმბატის ისტორია მოულოდნელად შეწყვეტილია სწორედ იქ, სადაც მოთხრობილია ბაგრატის დედის მარიამის საბერძნეთს გამგზავრება მშვიდობიანობის დამყარებისათვის, ამით საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ამ ამბების დაშწერი საბერძნეთში სცხოვრობს. ათონის აღაპებში მოხსენებული (პ.წ. 56, 96, 121)



სუმბატ კუროპალატი (იხ. ზემო გ. 135), სუმბატ ერისთავი (იხ. ზემო გვ. 121) და მისი შვილი გურგენ, როგორც ვიცით, საუკუნოდ დარჩენილა საბერძნეთში, დედ-მამანი გურგენისა ბერად შესულან (ათონის აღაპა № 121), იქვე მომკვდარან და დამარხულან ივერთ მონასტერში (ibid. № 121) და მისი ცოლიც, ბერძნის ქალი, იქ დარჩენილა (ibid. № 56).

ეს ცნობები საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სუმბატის ისტორიის დამწერნი უნდა იყვნენ ათონის აღაპებში და „კლემაქსში“ მოხსენებულნი სუმბატ კუროპალატი და ძე მისი გურგენ, რომელთაც საბერძნეთში გაატარეს უკანასკნელი დრო თვისის ცხოვრებისა. რადგან სუმბატი მოკვდა 992 წელს, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ მისგან შედგენილი ისტორია მოყვანილი ყოფილა მხოლოდ ამ დრომდე (იხ. ქ. ცხ. გვ. 200), ხოლო ამის შემდეგ გაუგრძელებია მის შვილს გურგენს, რომელიც მომკვდარა 1032 წლის ახლო ხანს, რადგან სწორედ ამ წელზე მოულოდნელად შეუწყვეტია თვისი მოთხრობა* (იხ. ქრონიკები, ტ. 1, 149 გვ.).

ქქ. თაფაშვიდი სწერს: „ჩვენის აზრით ავტორი ბაგრატიონების ისტორიისა მართლა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე. მაგრამ შეუძლებელია ის იმ სუმბატ არტანუჯელად აღვიაროთ, რომელიც 988 წელს გარდაიცვალა“ (იხ. სამი ისტ. ქრ. CVIII გვ.). ბოლოს თაფაშვიდი დასკვნის: „ამიტომაც უნდა აღვიაროთ, რომ სუმბატს, ჩვენის ქრონიკის ავტორს, ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ, მაგრამ საქეშმარიტოდ მიგვაჩნია, რომ ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან იყო და მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრებდა“ (იქვე, CIX გვ.).

როგორც ვხედავთ, სამივე შეკვლევაში თანხმანი არიან ერთში — რომ სუმბატ დავითის ძე უნდა იყოს ბაგრატიონთაგანი. საფუძველი ასეთის მოსაზრებისა არის ის, რომ სუმბატს, როგორც სამეფო გვარის წევრს, შეეძლო ჰქონოდა ის საკვარეულო წყაროები, რომლებზედაც დაფუძნებულია მის ქრონიკის ცნობები. მართალია, შეიძლება, რომ რომელიმე ბაგრატიონთა გვარის წევრის თხოვნით



ან შეკვეთით შეედგინა კარგზე ზირსაც ასეთი ქრონიკა, მაგრამ ეს შეკვეთით დაწერილი ქრონიკა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა. სუმატის ქრონიკას არ ემხნევა სურვილი ვისიმე სიამოვნებისა. ის არის მხოლოდ კრებული უბრალო ცნობებისა, რომლებიც ახუსხულია ჟურნეტად მშრალად და მოკლედ, შემდეგ ცოტა უფრო დაწვრილებით, მაგრამ მაინც ისევე მშრალად. ასეთი ცნობები უნდა იყოს დაწერილი არა წინაჲ მადლებულის რაჲ აზრით და განძრახვით, არამედ თანდათანობით და თითქმის შემთხვევით. ამისთანა შრომის სრულებით არა აქვს ხასიათი სხვის მინდობილობით შედგენილის ქრონიკისა. ამ საფუძვლით ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ ქრონიკა უნდა იყოს შედგენილი ბეგრატონთა კვარის წევრისგან, რომელსაც უნდა ხელთ ჰქონოდა საგვარეულო წყაროები, მოშეკრებულად წიგნების წარწერანი.

რადგა შეესება სახელდობრ თვით ვინაობას სუმატისას, სხვა და სხვა აზრისანი არიან ბაქრატე და ჟორდანიას. თავიანთი კი ზირდა-ზირ უარს ამბობს მის გამოცნობაზე. ბაქრატის აზრით, სუმატ დავითის ძე, ავტორი ქრონიკისა, უნდა იყოს ის სუმატ არტანუჯელი, ძე დავით მამულისა, რომელიც იმავე ქრონიკის ცნობით გადაიცვალა 988 წ. ამ მოსაზრების წინამდებე ექ. თავიანთი საფუძვლიანად შენიშნავს: „თუ სუმატის ცნობას მარტო 988 წლამდის ვიცნობთ და დანარჩენს მერმე მიმატებულად ჩავთვლით, გამოვა, რომ თითქმის ნახევარი მისი, რაც ეხლა სუმატის ისტორიას შეადგენს, სუმატს არ ჰკუთვნებია. ამას გარდა რიგი და წესი ხრონიკისა თავიანთი დაწყებული ბოლომდის ერთგვარია, და არა ეგონებ, რომ ორი სხვა და სხვა ავტორის შრომის სრულებით ერთგვარი ხასიათი ჰქონდეს. სუმატის ისტორია არა თუ გაგრძელებული არ არის, არამედ პირიქით ისე მოულოდნელად არის შეწყვეტილი ბეგრატ IV დედის მარიაჲ დედოფლის გამგზავრებაზე საბერძნეთში, რომ თითქო რაღაც აკლიაო, თითქო ჩვენამდის სრულიათ არ მოღწეულა. ექვი არ არის რომ სუმატი თავის დრომდის მოიყვანდა ბეგრატონების ისტორიას და რეთიც უფრო თავის დროს დაუახლოვდებოდა, მით მეტი ცნობები ექნებოდა ხელში, როგორც თანამედროვეს. მართლაც და სუმატი უფრო და-



წერილებით მოგვითხრობს თავის ისტორიის ბოლოში გიორგიმეფის და ბასილი მეფის ომებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ავტორი თანამედროვე იყო ამ ფაქტებისა“ (იხ. სამი ისტ. ქრონიკა, CVIII გვ.).

ქმ, თავიანთი კრიტიკის ჩვენ დაუშვებოთ შემდეგს. ქრონიკის შემდგენელი რომ უთვლიდა სუმბატ არტანუჯელი, ეს შეიძლება იქნებოდეს, რომ თავის დროის ამბებს იგი უფრო მეტს და უფრო დაწვრილებით მოხსენიებდა, ვიდრე უფრო დაშორებულის დროისას. რადგან სუმბატი მოკვდა 988 წ., უკანასკნელის ორმოცდათხუთმეტის წლის ამბები, ე. ი. 948—958 წლებითგან 988 წლამდე უფრო დაწვრილებით იქნებოდა დაწვრილები. ხამდელად კი აგრე არ არის. ამ ხნის გამაგლებათა, როგორც წინ და შემდეგაც მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე, სულ ერთნაირი ცნობებისა აღნიშნული ბაკრატონთა წევრების—მეფეების და ერისთავების გამეფების თუ გაერისთავების, სიკვდილის და შეიღობის რაოდენობის შესახებ. სხვა გვარი არავითარი ცნობა არ არის მოხსენიებული ამ ხნის გამაგლებათა.

სამაგიეროდ ქრონიკაში მეთერთმეტე საუკუნის დამდეგითგან მწერალი უფრო მეტს ამბებს ასწერს და მით უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს, რაც უფრო უახლოვდება 1032 წ., როდესაც თავდება ქრონიკა. ეს უკვლავური იმით აიხსნება, რომ ქრონიკა დაწერილია ერთი კაცისგან, რომელსაც უცხოვრია მეთერთმეტე საუკუნის ზარეკელს შესაძლებელი.

თ. კორძაიას ქრონიკის დამწერებად სოფლის ორს ზირს—სუმბატ კუროპალატს, კარდაცვალებულს 992 წ. და მის შვილს გურგენს. იმის გარდა რაც ითქვა ბაქრაძის აზრის წინაშედა ორის დამწერის შესახებ, კორძაიას აზრი არის უსაფუძვლო იმით, რომ სუმბატ კუროპალატი, ძე დავითისა და მამა გურგენისა, კარდაცვალებული 992 წ. თვით ქრონიკაში არ არის ცნობილი. ქრონიკაში არის მოხსენიებული სუმბატ, კარდაცვალებული 992 წ., მაგრამ ის არც კუროპალატი ყოფილა და არც დავითის შვილი, არამედ ბაკრატ რეგენისა. ამის გარდა მის შესახებ ქრონიკა ზარეკელს ამბობს: „არა ესა შეიღობი,“ მაშასადამე არც გურგენი ეყოლებოდა შეიღობი. ამანად უოველსავე საფუძველს მოკლებულია მოსაზრებანი



როგორც ბაქრძისა, ისე ჟორდანიასი სუშბატის ქრთნიკის ვინაობის შესახებ.

ახლა ჩვენის მხრით გვინდა ამავე საკითხის შესახებ გავუზიაროთ საზოგადოებას ერთი მისაზრება, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო ჭკავს სიძარტულს და, როგორც ჭიბთთუზა, უფრო გაუძლებს კრიტიკას ვიდრე ზემოდ მოყვანილი მისაზრებანა. ცხადია, რომ ქრთნიკის დამწერა სუშბატ დავითის ძე, როგორც იგი წოდებულია სათაურში, იყო თანამედროვე პირი ბაგრატ შესამისა, გიორგი შირველისა და ბაგრატ მეოთხისა, რომ იმის შეუწყვეტა წერა მოულოდნელად, შემთხვევით, რადაც კარეშე მიზეზის გამო, ჩვენის აზრით, სიკვდილის გამო. ეს პირი უნდა უოფილიუო ძალიან ახლო გაცნობილი ბაგრატიონთა საგვარეულო დოკუმენტებთან, სათვანაც უნდა ამოკერიფოს ცნობები იმ მოვლენათა და შემთხვევათა შესახებ, რომელნიც თავის თვალთ არ უხვავს და არ გაუგონია. ამისთანა პირი უნდა უოფილიუო ბაგრატიონთაგანი. ახლა საკითხავია — რომელი ბაგრატიონი უნდა უოფილიუო? ცნობილია, რომ ბაგრატ მეფემ კლარჯეთის ბაგრატიონთა წევრნი ზოგნა საპურობიდეში ჩამწვევლია, ზოგნი განდევნა სოღვარს იქით, ასე რომ მათგანი საქართველოში გიორგი მეოთხის დროს აღარავინ უნდა უოფილიუო. ტაოს ბაგრატიონების ჩამომავლობაც აღარავინ იყო, რადგან დავით კუროპალატი სრულებით უმეშვიდრო დარჩა და მის სძულეობელა დავითანა ბაგრატ შესამემ. თუ რომელიმე ბაგრატიონი გადარჩებოდა დევნას და საქართველოში დარჩებოდა მეფეებთან დაახლოვებულა, ეს უნდა უოფილიუო თვით მეფის მახლობელი ნათესავი, რომელიც მის შიშს და ეჭვს არ ასძრავდა. რომ სუშბატ დავითის ძე, ქრთნიკის ავტორი, უნდა უოფილიუო მახლობელი და შინური კაცი სამეფო სახლისა, ეს იქიდგან ჩანს, რომ მას ხელთ ჭქონია ბაგრატიონთა საგვარეულო დოკუმენტები. ეს დოკუმენტები კი მხოლოდ სამეფო სახლმც იქნებოდა მოგროვლია, რადგან ბაგრატ მეფემ მიითვისა როგორც ტაოს ბაგრატიონთა, ისე კლარჯეთის ბაგრატიონთა უოველივე ქონება. ტაოს ბაგრატიონებისა მას დარჩა მეშვიდროობით დავით კუროპალატიისგან, ხოლო კლარჯეთის ბაგრატიონებისა უნდა მას ძალით ჩუგდო ხელთ, რომელსაც შეიპურო მათი უკანასკნელი წარმომადგენელნი



და დამწველია. ამ რიგად ბაგრატ მესამეს უნდა თავი მოეყუროთ და ბაგრატიონების ნაწინის ძველის დოკუმენტებისა და წიგნებისათვის, რომელთა განიხილვა ადვილათ შეეძლო სუმატ დავითის ძეს.

ნათქვამითგან გამოდის, რომ სუმატ დავითის ძე უნდა ეოფილიყო ბაგრატ მესამის მახლობელი ნათესავი და მის კართან თავი სუფაღის მისვლა-მოსვლის მქონებული. ვინ უნდა ეოფილიყო მამიკონი? ისტორიაში არსად არის მოხსენიებული ბაგრატის მახლობელი ნათესავი სუმატი, გარდა მის ბიძისა, რომელიც კარდაიგვალა 992 წ. და რომელიც ზევით მოყვანილს საფუძველით შეუძლებელია ცნობილ იქმნას ქრონიკის ავტორად. მაგრამ თუ სუმატს არ ვიცნობთ ბაგრატის თანამედროვეს, ჩვენ ვიცნობთ დავითს, მის მახლობელს ნათესავს, რომელსაც შეეძლო ჰყოლოდა შვილი სუმატი. ეს შვილი დავითისა იქნებოდა თანამედროვე როგორც ბაგრატისა, ისე მის შვილის გიორგისა და მის შვილისშვილის ბაგრატ მეოთხისა. ეს დავითი არის ბაგრატ მესამის შვილი (ბაგრატ რეგვენის) ძმის (ადარნასე კურომზაღატის) შვილი დავითი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა უსაფუძვლოდ დავით კურომზაღატად აღნიშნა. თვით სუმატის ქრონიკაში ეს დავითი წოდებულია დავით მცირედ, ცხადია, იმიტომ, რომ მამის ადარნასე კურომზაღატის სიკვდილის შემდეგ (983 წ.) ის დარჩენილა ბატარა. დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ დავით მცირე 1—10 წლისა მამის გადაცვალების წელს, იგი ქრონიკის ავტორის სუმატის სიკვდილის წელს (1032 წ.) შეიძლება ეოფილიყო 50—60 წლისა და კიდევ ეყოლებოდა 30—40 წლის შვილი.

ამხიარად ჩვენი ჭიზითყუა არის შემდეგი: სუმატი უნდა ეოფილიყო შვილი დავითისა, რომელიც იყო ძე ადარნასე კურომზაღატისა, ბაგრატ მესამის შვილი ძმისა. სუმატი თავის ქრონიკაში სწერს: „კარდაიგვალა ადარნასე, ძე სუმატ კურომზაღატისა, ძმა ბაგრატ რეგვენისა, ქორონიკონსა სტ, და დაუტყუა ძე—დავით მცირე“ (63—64 გვ.). შესამჩნევი არის, რომ სუმატი, რომელიც უჩვენებს ვეღა ბაგრატიონის სიკვდილის წელს, არ იხსენიებს ამ დავით მცირის სიკვდილის წელს. ამას ჩვენ იმითი ვხსნივთ, რომ დავითი სუმატის სიცოცხლეში არ გადაცვლილა და 1032 წ. ის კიდევ ცხადი ეოფილია. აქედან ჩანს, რომ სუმატი გადაცვლილა მამის



ადრე, ჭიელიბაში, როგორც ჩვენ წინდაც ვიანგარიშეთ, 30—40 წლისა. დაეით ადარხასე კუროზლატის შვილი, მამის სიკვდილის შემდეგ 983 წ. დარჩენილი ზატარად, უპსკველია, უნდა გაზდილიყო ბაკრატ შესამის ან მის მამის გურგენის ოჯახში და დახლოებული უნდა ეოფილიყო სამეფო ოჯახთან, რადგან ის იყო უმხლობეღესი ნათესავი ბაკრატისა. აგრეთვე მანლობელი უნდა ეოფილიყო ბაკრატთან და მის შიმუთლ შეფუებთან დავითის შვილი სუმბატის.

დ. კარიჭაშვილი.



წერილები საქართველოს ისტორიიდან.

ნაწილი მეორე.

I.

მეფე ადერკი და, ეგრეთ წოდებული, ორ-მეფობა
ძველ ივერიაში.

(წაკითხულია საზოგადო კრებაზე 8 ნოემბერს 1907 წ.)

ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც „მოამბეში“ ჩვენი „წერილების“ პირველი ნაწილი გამოქვეყნეთ¹⁾. მაზანი, რომელადაც აღნიშნულ წერილებში დავისახეთ, იყო შემდეგი: მასლების კრიტიკულ-შეადრებითი შესწავლათ გვსურდა გვეჩვენებია ის გზა, რომლითაც შესაძლო ხდება ქართლის-ცხოვრებისა და ქართლის-მოქცევის თქმულებათა შეთანხმება ერთმანეთთან, უცხოეთის შწერალთა ცნობებთან ჩვენს შესახებ და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან, — რადგან ვუკლავდით უმად ჩვენს ისტორიოგრაფიას სწორეთ ამგვარი შეთანხმება სჭირდება: სადაც ამგვარი შეთანხმება არ ხერხდება, იქ ჩვენი პირველ-წაროების ცნობანი ფრიად საეჭვო მასადად უნდა ჩაითვალოს და, როგორც ასეთი, კრიტიკულის შეთადლით დაწერილი ისტორიიდან ჯერ-ჯერობით მაინც უსათუოთ უნდა გამოირიხონ. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამგვარი შეთანხმება ვუკლავსათვის ცხადი შეიქნება, ჩვენ შეძლება მოგვეცემა — ჩვენი წაროების ერთმანეთთან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან შეთანხმებულ თქმუ-

¹⁾ იხილეთ „მოამბე“ 1905 წლისა №№ IX, X, XI—XII: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, თავები I, II, III და IV, შეიცავს საქართველოს ისტორიის 330 წლიდან 1-ელ წლამდე ქრისტეს წინ. ეს პირველი ნაწილი შემდეგ რამდენსამე ცალად ცალკე წიგნადაც გამოვიდა.



ლებათა ნამდვილ ისტორიულ ღირსებაზე ვიქონიით მსჯელობა და მათში აღნუსხული ამბები დაახლოებით მაინც ისტორიულ ფაქტუბად აღვიაროთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს საისტორიო ზირველ-წყაროებში, გასაკუთრებით მათს უძველეს ნაწილში, მრავალ ნამდვილ ისტორიულ მარკალიტთან ერთად, არა მცირედი შიშინებარული და ზეპირსიტყვაობითი, ანაქრონიზმებით აღსავსე, ნაკვიანვეთ მინაღვეკი, შლამ-ტალახი მიაშობება. საჭიროა ისტორიკოსს დასტაქრულმა ხელმა ამ მარკალიტებს დროთა-მსუელელობით ზედმიურლი შლამ-ტალახი მოაშორას, თვით მარკალიტები კი გარეცხოს, გასუფთავოს და უგელას დასანახავად მზის შუქზე გამოიტანოს²⁾.

უმთაყრესი დასკვნანი, რომელთაც ჩვენი „წერილების“ ზირველ ნაწილში შივადწით, არიან შემდეგნი:

ა) შერთე სუკუნის დამლეკს ქრ. წინ მცხეთის მხარეში დაარსდა საკმაოთ ძლიერი სამონარქიო ცენტრი „ქართუ-ელი“ მამასხლისის ძის აზოს თაოსნობით³⁾. ამ ცენტრმა შეკერთა მანამდე გა-

²⁾ შეადარეთ „მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 59 და 29.

³⁾ ჩვენი „წერილების“ ზირველ ნაწილში სრულიად საქართველოს სამეფოს დაარსების წლად და ზირველი მეფის აზოს გამეფების თარიღად 312 წელი დავსდეთ. მაშინ ამ ფაქტს სელევიკიდების გაძლიერებას ვუკავე-შირებდით (იხ. „მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 46—49). მაგრამ, როგორც ახლა ვაკვირდებით, სელევიკიდებს ამ საქმეში არავითარი წილი არ უნდა სდებოდეთ. მაშინაც ვსცნობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ 330 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის მონარქია დაამხო, ქართველი თემები, რომელნიც მანამდე სპარსეთს ემორჩილებოდნენ, ფაქტურათ თავისუფალნი შეიქნენ. აი ამ მომენტით უნდა ესარგებლნა „ქართუ“-ს თემის მამასახლისის ძეს აზოს⁴⁾ და, მომავალში გარეშე მტერთა ბატონობის ასაკილებლად, განკალავევებულ თემთა შეერთებით

⁴⁾ როგორც ჩვენი „წერილების“ ზირველ ნაწილშიაც გვაქვს აღნიშნული („მოამბე“ 1905 წ. № IX, გვ. 47 და 48), აზოს ზირვანდელი სამამასახლისო „ქართუ-ნი“, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სალაშქრო გზის მახლობლათ მდებარეობდა (ვანის ტბისა და ტიგროსის შუა), უკვე

ფანტუღი ქართველი თემები შავი ზღვიდან კასპის ზღვიმდე ღმკუწუკასიონის კუდიდან მდინარე არეზამდე. მაგრამ ეს ერთობა დიდხანს

უნდა დაეარსებია ძლიერი სახელმწიფო. აქ სრულიად საჭირო არ იყო არც ალექსანდრე მაკედონელის პირდაპირი შემოსევა საქართველოში და არც მისი მხედართ-მთავრების ჩამორევა. ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრების პირობები იმ დროს ისე მოეწყო, რომ ქართველი ტომის უმთავრეს თემთა ერთ სახელმწიფოდ შეკავშირება უსათუოთ უნდა მონხდარიყო და კიდევაც მოხდა. ეს ფაქტი მთელი ჩვენი ხალხის მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ლოლიკურ დასკვნას წარმოადგენს. და ამ შეერთებისათვის საუკეთესო ისტორიულ მომენტს შეადგენდა არა სელევკიდების გაძლიერების ხანა, როგორც ამას წინათ ვფიქროდით, არამედ ის პერიოდი, რომელიც მათს გაძლიერებას წინაუბრდა. ჩვენის აზრით, სამეფოს დაარსება მცხეთის მხარეში უნდა მომხდარიყო 330 წლის მახლობლათ და არა 312 წელს, როგორც წინათ გვეგონა.—ამ შესწორების შემდეგ, კირიტეს დაბადებამდე ქართველ მეფეთა სია შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

აზო	330 წლიდან	272	წლამდე.
ფარნაეზ I	272	"	206 " .
საურმაგ I.	206	"	162 " .
მირვან I.	162	"	120 " .
ფარნაჯომ	120	"	88 "**).
არსოკ (არშაკ I)	88	"	66 " .
არტაგ.	66	"	64 " .
ბრატმან (ფარნაეზ II)	64	"	32 " .
მირვან II.	32	"	22 " .
არიკ (არშაკ II).	22	"	1 " .

330 წელს მაკედონელთა მფლობელობაში უნდა გადასულიყო. ალბათ ამ გარემოებას უნდა იძულებულყოფო აზო თავისი სამფლობელო თემის თვრამეტი „სახლით“ მცხეთის პროვინციაში ეძებნა თავშესაფარი, რასაც ძარტლინ-მოდცემა გამოგვეცემს.—

***) ფარნაჯომის დროიდან (120—88 წ.) საქართველოს სამეფოს უკვე ორი უმთავრესი ნაწილი ჩამოშორებული ჰქონდა: კოლხიდა და ალენია; ფარნაჯომის მომდევნო მეფეები საკუთრივ იმპერიის მეფეები არიან.



არ გაგრძელებულა: აზის მიერ დაარსებული სრულიად საქართველოს სამეფო შემდეგში სამ სამეფოდ გაიყო: კოლხიდად, ივერიად და ალფანად, რომელთაც პირველ საუკუნეში ქრ. წინ უკვე თაუ-თავიანთი საკუთარი მეფე-მმართველები ჰქუდათ, სხელდობრ: ივერია და ალფანია დამოუკიდებელ სამეფოებს წარმოადგენდნენ, ხოლო კოლხიდას ჭერ ჰონტის მეფის მიტრიდატის მიერ დანიშნული მოხელე, შემდეგ რომის სენატის წარმომადგენელი და ბილდოს, რომორც სტრატონი მოწმობს, ბოსფორის დედოფალი ზითადორიდა განაკუდა.

ბ) სოციალური წყობილების მხრით მაშინდელი ქართველობა წარმოადგენდა მფლობელობისა და წარმოების საერთო-ეკაროვნულ წესზე დაშარებულს საზოგადოებას. წარმოების უმთარესი დარგი ივერიაში იყო მიწის მუშაობა, ალფანიაში—მეჭოგობა და კოლხიდაში, მიწის მუშაობასთან ერთათ, მრეწველობა და ალუ-მიტრობა. ეკაროვნულ წესზე იყო დაშარებული სამეფო ტახტის შემკვიდრობაც: მეფის საგარეულო წარმოადგენდა უპირველეს წოდებრივ ჭკუფს, რომლიდანაც მეფეები ირჩეოდენ; ჩვეულებრივ, კარდგვალბული მეფის შემდეგ ტახტს იჭერდა მისი საგარეულოს რუზუგისი წევრია მეფის რუახლოეს ნათესავთაცან». მორე წოდებას წარმოადგენდა სამღდელოება; მესამეს—თავისუფალი გვარები, რომელნიც მშვიდობიანობის დროს ჩვეულებრივს მუშაობას ეწეოდენ, ხოლო ომიანობის დროს იარადს ისხამდენ და ბრძოლის ველზე გადიოდენ; და მეოთხეს—«მეფის მოხეები» ანუ «რუბრადო ხალხია», რომელიც მეფის საგარეულოს ემსახურებოდა.

გ) კულტურულათ კოლხიდასა და ივერიას პირველი ადგილი ეჭირა; ალფანია კი ძლიერ ჩამორჩენილი იყო. პირველებში უკვე ზორთასტრის სარწმუნოებას ჰქონდა ფეხი მოკიდებული; ხოლო ალფანულებში კაცის მსხვერპლად შეწირვასაც არ ურიდებოდენ. უკანასკნელები რომ ან ზემოთ თელას ვერ ახერხებდენ, იმავე დროს ივერია-კოლხიდაში სავაოთ განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება სდუღდა. ამას გარდა, გვაჭვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ ხანაში ივერია-კოლხიდას მოწინავე თემებს უკვე მწერლობაც უნდა ჰქონებოდათ; სამწერლო სისტემა ანბანური უნდა ვოფიდიოთ, სხელდობრ



„ასო-მთავრული“, რომელიც ქართველებს მეფობის დაარსებამდე და კადმოელთი არამეული ანბანიდან.

ამეგრის პოლიტიკურსა და სოციალ-კულტურულ მდგომარეობაში უსწრო ქართველ ტომს საქრისტიანო წელთ-აღრიცხვის ზიკველმა წლებმა.

სწორეთ იმ წელს, როდესაც ურიასტანში მახოვარი დაიბადა, ივერიის ტახტი დაიჭირა ადერკიმ, რომელსაც შატბერდისეული ქრონიკა ეძახის როკ-ს ⁴⁾, ხოლო კერეთ წოდებული „სომხური ქრონიკა“ — ინდრიკ-ს ⁵⁾. მატანის თქმით, ეს მოხდა იმ წელს, როდესაც «იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურისტანისასა» ⁶⁾. მაშასადამე ადერკის მეფობის დასწყისი უნდა ეკუთვნოდეს ქრისტეს დაბადების წინა წელს, ე. ი. პირველ წელს ქრ. დაბადებამდე და არა მე-2 წელს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ფიქრობდა ⁷⁾.

ამ მეფის ჩამომავლობის შესახებ ჩვენი მატანე მეტათ ატყულებულ ცნობას იძლევა. სახელდობრ, მარიამ დედოფლის ვარიანტი ადერკის სოფლის „ფარნავაზიანად“, გერისის ერისთავის ქუჩის შვილიშვილის — ქართამის ძედ ⁸⁾; ხოლო ვახტანგ-მეფის კომისიის მიერ შესწორებული და ბროსე-ჟიკინაძისგან გამოცემული რედაქცია, თუმცა ტექსტში ამავე ცნობას იმეორებს, მაგრამ იმ თავის სათაურში, სადაც ზარდაზირ ადერკიზეა ღაზარაკი, ამ მეფეს „არამაკუნინად“ უწოდებს ⁹⁾. მარიამის ვარიანტს ეთანხმება კერეთ წოდებული „სომხური ქრონიკა“ ¹⁰⁾; შატბერდისეული ქრონიკა კი ამ საგნის შესახებ არაფერს ამბობს და მით საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ,

⁴⁾ იხ. ექვ. თაყაიშვილი — სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 8.

⁵⁾ Brosset—Additions et éclairciss... p. 12—13.

⁶⁾ იხ. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 1906 წ. გვ. 29—30.

⁷⁾ ვახუშტი — საქ. ისტორია. ბაქრაძის რედაქციით. გვ. 44.

⁸⁾ მარიამის ვარიანტი „ქ.—ცხ.“, გვ. 27.

⁹⁾ „ქ.—ცხოვრ.“ ჟიკინაძის გამოცემა, გვ. 49, ბოლ. სტრიქ. 7.

¹⁰⁾ Brosset—Add. et. éclairciss... p. 12.



რომ უოფელივე, რასაც ჩვენი მატანე ადერკის ჩამომავლებს შორის გვიტხოვრობს, ნაკვიანევი ნაწარმოებია და სრული სინამდვილის გამოხატვლად ვერ ჩაითვლება. მართლაც, ქართლის-ცხოვრების სურს დაგვარწმუნოს, ვითომც სომხის არშაკუნიანთა ერთი შტო ჩვენში ქრისტეს დაბადებამდე გამოფეხულიყოს ¹¹⁾, რასაც, როგორც სჩანს, შეცდომაში შეუყვანია ვახტანგ-მეფის კომისია. მაგრამ დღეს, კლასიკურ მწერალთა მოწმობის თანახმად ¹²⁾, თვით სომხის მეცნიერთა შორის შტოცდეთ დადგენილია ის აზრი, რომ არშაკუნიანთა დინასტია სსომხეთში გამოფეხა არა უადრეს 34 წლის ქრისტეს შემდეგ ¹³⁾. ცხადია, მაშასადამე, ამ წელზე ადრე იგი ვერც ჩვენში გამოფეხობდა. ამგვართ, ცხადზედ უცხადესია, რომ ადერკი მეფე ჩამომავლობით არშაკუნიანი არ უოფილა. პირიქით ფრად სარწმუნოა ის ცნობა, რომ ეს მეფე ჩამომავლობით უნდა უოფილიყო „ქართლისიანი“, იმავე სამეფო საგვარეულოდან, რომელსაც აზო და ფარხავაზი ეჭუთენოდენ, და იგურიის ტახტიც იმავე წესით უნდა ჰქონებოდა დაჰქერიდა, რომელიც მაშინ, სტრაბონის მოწმობით (სტრაბონი ადერკის თანამედროვე იყო), ჩვენს ქვეყანაში უოფილა მიღებული, და არა თავის წინამოადგიელსთან ბრძოლით, როგორც ამას მატანე გადმოცვრემს ¹⁴⁾.

აჭრელებზედ ცნობებს იძლევა ქართლის-ცხოვრების სხვა და სხვა ვარიანტები ადერკის მეფობის ხანგრძლივობის შესახებაც. მარიამის ვარიანტი და ვახტანგის რედაქცია ამ საგანს ასე განმარტებს:

¹¹⁾ იხ. მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 25, სადაც პირველ არშაკუნიანად საქართველოს ტახტზე წოდებულია სომხეთის მეფის „ძე“ „არშაკ“ (==არშაკ I).

¹²⁾ *Страбонъ*—Географія, перев. Мищенко. Москва, 1879 г., стр. 539 и 542 (кн. XI, гл. 14, § § 5 и 15).—*Дионъ Кассій*, см. у Латышева—Извѣстія древн. писателей греч. и римск. о Скифii и Кавказѣ. Сиб. 1893—1899 г., т. I, стр. 621.

¹³⁾ Г. Халатьянцъ—Армянскіе аршакиды... Москва, 1903 г., стр. 5.

¹⁴⁾ იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 28—29.



„ოდესათის წლისა მეფე იქმნა (ადერკი) და ორმეოც და ჩემდამდე წელს მეფობდაო“¹⁵⁾; ხოლო იმავე მატანის უძველესი ვარიანტი („სომხური ქრონიკა“) ადერკის მეფობის ხანგრძლივობას 45 წლით აღნიშნავს¹⁶⁾. მთავრად ცნობას უკრიტიკოთ დამყარება ვახუშტი ბატონიშვილი და ადერკის კარდაცვალების წლად დაუდგია 55 წელი ქრ. შემდეგ¹⁷⁾. ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც სწინს, ხელთ ჰქონია მეორე ცნობის მსგავსი საქართველოში მასლად და იმავე მეფის კარდაცვალების თარიღად აღუნიშნავს 43 წელი ქრ. დაბადებიდან¹⁸⁾. მატურდისეული ქრონიკა კი („ქართლის მოქცევა“) ამ საგნის შესახებ სდუმს, რაც, უაფელსავე ზემოთქმულთან ერთად საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადერკის მეფობის ხანგრძლივობი, შესახებ საქართველოში ცნობა ჩვენი მატანისა ნაკვანევ და ნახევრათ მაინც საეჭვო მასლად უნდა ჩათვალოს და სხვა, უფრო სარწმუნო, ცნობას უნდა დაუთმოს ადგილი.

როგორც ჭკვემთ უფრო ვრცლათ დავინახეთ, ტატიცისა და დიონ კასიუსის მოწმობით, 35 წელს ქრ. შემდეგ, რომის იმპერატორის ტიბერიუსის დროს (14—37 წ.), ივერიის ტახტზე მჯდარა მიტრიდატი, რომელსაც ამ წელს სამეფო ტახტი დაუტოვებია თავისი შვილის ფარასმინისათვის*) ანუ ჩვენი წყაროების ფარსმან-ქალისათვის. ამ უკანასკნელის მშობელს ჩვენი წყაროები ქართაშს უკახის¹⁹⁾, რაც ალბათ ადგილობრივი სახელი უნდა უოფილიყო ზემო აღნიშნული მიტრიდატისა. ეს ქართაში (ანუ მიტრიდატი), ჩვენი წყაროებით, იყო შვილი და შემევიდრე ადერკი მეფისა. ცხადია, მამასდამე, რომ ადერკი მეფე 35 წელს ივერიის მეფედ ვა-

¹⁵⁾ „ქ.—ცხოვრება.“ მარიაშის ვარიანტი, გვ. 29. კიკნაძის გამოცემა, გვ. 50.

¹⁶⁾ Brosset—Addit. et éclairciss... p. 13.

¹⁷⁾ ვახუშტი—საქ. ისტორია, გვ. 45.

¹⁸⁾ „ისტორია დაწყებითიდან ივერიისა“... პეტერბ. 1848 წ. გვ. 148.

¹⁹⁾ იხ. ჭკვემთ შენიშვნები მე—33 და 38.

²⁰⁾ „ქ.—ცხ.“ მარი შ ის ვარიანტი, გვ. 31.—სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 9.



ღარ იქნებოდა, რადგან თითქმის თანამედროვე უცხოეთის მკვლევარებმა ამ წლიდან ივერიის მეფედ აღიარებენ მის შვილი-შვილს ფარსმანს, ხოლო ამავე წლის წინ— უკანასკნელის მამას მიტრიდატს, ე. ი. ადერკის შვილს ქართამს. ამგვარათ 35 წლის წინ ივერიის ტახტზე მისდარან: ჯერ ადერკი და შემდეგ მისი შვილი ქართამი ანუ მიტრიდატი, რომელიც კლასიკურ მწერალთა მოწმობით რომის იმპერატორის ტიბერიუსის თანამედროვე უოფილა. ტიბერიუსი კეისრობდა 14 წლიდან 37 წლამდე ქრ. შემდეგ, ე. ი. თითქმის სრულს 24 წელს. უკეთუ ამ პერიოდის ქართამ-მიტრიდატს ტიბერიუსის მეფობის უკანასკნელ შესამედს მაინც დავეთვოთ (24 : 3 = 8 წ.), იძლევა უაღრესად ადერკის მეფობის დასასრული ვიანგარიშით არა უგვიანეს 30 წლისა ქრ. შემდეგ.

ამგვარათ ადერკის მეფობას ჩვენ დაესჯებთ დაახლოებით 1—30 წელს ქრ. შემდეგ და არა 2 ქრ. წინ და 55 წელს ქრ. შემდეგ, როგორც ეს დღემდე ეყო მიღებული.

ადერკის შესახებ მარიამ დედოფლის ქართლის-ცხოვრება გადმოგვცემს: „და მან ადერკი დაიპყრა უოველი ქართლი და ეგრი-სიო“²⁰), ე. ი. კლასიკურ მწერალთა ივერია და კოლხილიც. მაგრამ უკანასკნელის შესახებ ადერკის თანამედროვე გეოგრაფი სტრაბონი გადაჭრით ამბობს, რომ მის დროს (= „до сихъ поръ“) კოლხიდა და შავი ზღვის შირის ზოგიერთი ქვეყნები ბოსფორის დედოფლის შინადარიდის ხელში უოფილა²¹). სტრაბონის სიკვდილს ანგარიშობენ 23—24 წელს ქრ. შემდეგ, ხოლო მისი „გეოგრაფიის“ დაწერას არა უგვიანეს 18 წლისა ქრ. შემდეგ²²). მაშასადამე ამ უკანასკნელ წელზე ადრე მაინც ძნელი დასაჯერებელია კოლხიდა ადერკის ხელში გადასოხულიო; თუმცა, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება ქართლის-ცხოვრების აღნიშნული თქმულება გერმანის შესახებ ნაკვიანვედ ჩავთვალოთ, მით უმეტეს რომ იმავე მართანის

²⁰) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 29.—კიკინაძის გამოც., გვ. 49.

²¹) Страбонъ—Географія, пер. Мищенко. Кн. XI, гл. 2, § 18; кн. XII, гл. 3, § 29.

²²) იხ. Латышевъ. Известія... т. I.

უძველესმა ვარიანტმა (= „სომხურმა ქრონიკამ“) ამ თქმულების რედაქციის რა²³).

ამგვართ, ადერკის სამეფობულოდ ჩვენ შეგვჩინია არა „უოგუელი ქართლი და ეგრისი“, არამედ მხოლოდ „უოგუელი ქართლი“ ან, უბოთ რომ ვთქვოთ, კლასიკურ მწერალთა ივერია, რომლის საზღვრებსაც იმ დროს შეადგენდა: ჩდილოეთით კავკასიონის მთაგრეხილი; აღმოსავლეთით აღაზნის კასწვრივ აღვანია; სამხრეთით აღაზნის შესართავიდან დებუდამდე მტკვარი, შემდეგ მტკვრისა და არაქსის აუზთა წყალთა-მიჯნა; ხოლო დასავლეთით—ღიხისა და ახალციხის მთები, შემდეგ შავშეთის მთა ჭროხამდე, ჭროხის შუა წელი და, დასასრულ, მთა კანმუთფელი ტაოს-კარისა და კლარჯეთისა. სხვანირათ რომ ვთქვოთ, ადერკის სამეფოს შეადგენდა: კახეთი აღაზნის დასავლეთით, შიდა ქართლი, ჟავახეთი, სამცხე, შავშეთი, ერუშეთი, ტაოსკარი, არტანი, იფსო და კოლა²⁴).

„ქართლის-ცხოვრება“ მოწმობს, ვითომც ადერკის დროს „სომეხნი და ქართველნი“ უოფიდიოფონ „მთრჩილ აქიან სპარსთა მე-

²³) Add. et éclairciss. p. 13.

²⁴) იხ. ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ პირველი ნაწილი, „მოამბე“ 1905 წ. № XI—XII, შენიშვნები 278, 279, 281—282.—აქ ჩამოთვლილ მზარეთა შორის ჩვენ არ ვიხსენიებთ კლარჯეთს, რადგან, როგორც სტრაბონის მოწმობიდან სჩანს, ივერიის უკანასკნელ პუნქტს ამ მზროსაკენ წარმოადგენდა ქალაქი იდესსა (=იდა); ხოლო, როგორც ქარტიდან სჩანს, კლარჯეთი იდესის დასავლეთით მდებარეობდა; სტრაბონისაკვე მოწმობით ქ. იდესსა მდებარეობდა ივერიისა და კოლხიდის საზღვარზე (География кн. XI, гл 2, § 18); ცხადია, მაშასადამე, რომ ამ ქალაქის დასავლეთით მდებარე კლარჯეთი იმ დროს კოლხიდის ნაწილი ყოფილა და არა ივერიისა; ამ დასკვნას სავესებით ვთანხმებთ იმავე სტრაბონის მოწმობა, რომ მესხების ქვეყნის ვრთი ნაწილი ივერიას ეკუთვნის, მეორე ნაწილი კოლხიდასა და მესამე სომეხთსაო. როგორც ვიცით, კლარჯეთი უძველესი დროიდან მესხებით იყო დასახლებული (Страбонъ—ibid.)—შუადარეთ ჩვენი „წერილების“ პირველი ნაწილი, შენიშვნა 240 („მოამბე“ 1905 წ. № XI—XII, გვ. 51).



ფისა" ²⁵). მაგრამ, მსოფლიო ისტორიის იმდროინდელ გარემოებათა მიხედვით, უფრო სარწმუნოდ უნდა ჩათვალოს თეიმურაზ ბატონიშვილის აზრი, რომელიც ამბობს, რომ აღერკის დროს ივერია რომაელთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა: „აჭუნდა უგვე შეფესა აღერკის რომაელთა თახა ფრიადი შეკრულება; და ამით ჟამთა შორის იყო უგვე შეფთთი მრავალთა ძლით აღერკულობათა მართაბულთა (=სმარსულთა) და სომეხთა შორის; ხოლო ივერიულნი სარგებლობდენ ამით უშეტეს წარმატებასა შინა" ²⁶).

ჩვენი მატანიის უველა ვარიანტი ვრთხმთ მთავრითხრობენ, ვითომც აღერკის დროს კოლხიდასა და აფხაზეთში ეჭადგნათ ანდრია-მონიქულსა და სვიმონ-კანახელს ²⁷). მაგრამ, როგორც ვიცი, უნხა ქვეყნებში მონიქულებმა ქადაგება მხოლოდ ქრისტეს კარდაცვალების შემდეგ დაიწეს. ქრისტეს კარდაცვალებას ჩვეულებრივ მიაწერენ 33 წელს მისი დაბადებიდან; აღერკი შეფეს კი, ჩვენ მიერ დადგენილი ქრონოლოგიით, მხოლოდ 30 წლამდე უნდა ეცხოვროს. ცხადია, ანდრია მონიქული აღერკის შეფობაში ვერ იქადაგებდა ჩვენი ქვეყნის საზღვართა შორის. ჩვენ გვჭირა, რომ ქრისტეს მონიქულებს შეეძლოთ კოლხიდაში ეჭადგნათ, მაგრამ არა აღერკის დროს, არამედ გაცილებით უფრო გვიან, რაზედაც სხვა დროს გვქმება საუბარი. საყურადღებოა, რომ აღერკის (=როკის) დროს ქართლის-მოქცევა ანდრია-პირველიწოდებულის ქადაგებაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს, თუმცა, როგორც საველეისო ქრონიკას, მას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია ამ ამბისათვის: ცხადია, აღნიშნული თქმულება ჩვენს შემატრიასეს მხოლოდ შემდეგში მიუწერია აღერკის შეფობისათვის.

დასასრულ, როგორც მატანიის უველა ვარიანტი, ისე შატერ-

²⁵) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 31. — „სომხური ქრონიკა“ კი ქართველებისა და სპარსელების ურთიერთობის შესახებ არას ამბობს (Addit... p. 13).

²⁶) ისტორია..., გვ. 146.

²⁷) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 30; ბიჭინაძის გამოცემა, გვ. 63—60; „სომხური ქრონიკა“ (Additions et éclairciss... p. 13).



ღისეული ქრონიკა ერთხმით გვარწმუნებს, ვითომც ადერკის (წითლის) დროიდან ჩვენი ქვეყანა ორ-სამეფოდ გაყოფილიყო. «და შეუთბდა რაჟი, — ამბობს ქრონიკა, — რომელმან რამეთურით მცხეთაჲ გაიშორა, და შეეღობა ორად გაიყო, ორნი შეეყენი დასხდეს იმიურ და ამიურ: და შეუთბდა ქარამ არმაზს და მცხეთას ბრატმან და სხვანი²⁸). ქართლის-ცხოვრება კი ამ ამბავს თვით ადერკის შიანწერს: „და ვიდრე ადრეკისამდე ერთი დაჟდის ქართველთაგანი შეეყთანხი; და მას ადერკის ესხნეს ორ ძე, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქვეყანა შტკუარსა შიგა ქართლი: მცხეთა მუხრანით კერძი და უთველი ქართლი შტკუარსა ჩრდილოთ ჰურიდგან (=ჰურეთიდგან) ვიდრე თავადმდე შტკურისა და კერანისა—ესე მისცა ბრატოს, ძესა თვისსა; ნაღო არმაზით კერძი ქალაქი შტკუარსა სამხრით, ქართლი ხუნანიდგან ვიდრე თავადმდე შტკურისა და კლარჯეთი მისცა ქართამს, ძესა თვისსაჲ²⁹).

სანამ ამ თქმულებათა ისტორიული დიარსების დაფასებას შევეუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვანჩნია გამოვარკვეით, თუ სახელდობრ საქართველოს ტერიტორიის რომელი ნაწილის გაყოფაზეა აქ ღამბარაკი: სრულიად საქართველოს (ე. ი. ივერიისა, ალვანისა და კოლხიდის) ტერიტორიის გაყოფაზე, თუ მარტო მისი ერთი რომელიმე ნაწილის გაყოფაზე? თუ შექრონიკესა და შემატრიანეს სურთ გვიხიზნან: ადერკის შემდეგ მთელი საქართველოს ტერიტორია ორ სამეფოდ გაიყო, — ამით ახალს ვერაფერს გვეტუვან, რადგან, როგორც კლასიკურ მწერალთა მოწმობიდან ვიცი, ქართველი ტომის მიწა-წყალი უკვე ადერკის შეუთბამდე სამ სამეფოდ იყო გაყოფილი: ალვანიად, ივერიად და კოლხიდად, რომელთაგან უკანასკნელი ბოსფორის სამეფოს ემორჩილებოდა. მამ საქართველოს ტერიტორიის რომელ ნაწილზე გვესუბრებიან შექრონიკე და შემატრიანე?

როგორც შატბერდისეული ქრონიკის სიტყუებიდან სჩანს, აქ ღამბარაკი უნდა იყოს მხოლოდ ქართლის-ივერიის სამეფო უფ-

²⁸) სამი ისტორ. ქრონიკა, გვ. 8—9.

²⁹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 31; ჰიპოჩინაძის გამოცემა,



ლების გაყოფაზე („მეფობაა ორად გაიყო“, „ორნი შეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“, ე. ი. შტკერის გაღმა და გამოღმათ). არსებითად ამასვე იმეორებს მატანიის უძველესი ვარიანტიც („სომხური ქრონიკა“), როცა ამბობს: „ანდრეჰმა გვიარგვინი თავის ორ შვილს გადასცა და თავისი ქვეყანა შუა გაუყო: ბარტოს მისცა ქართლი მისი საზღურებით, და ქართამს ქვეყანა ხუნანიდან კლარჯეთამდეო“²⁰); ე. ი., კლასიკურ მწერალთა ნომენკლატურა რომ ვინმართ, ადერკის მიუწერება მარტო ივერიის გაყოფა (უკლარჯეთთად, უაღვანთად და უკოლხიდთ). როგორც ზემოთ დავინახეთ, მართლაც ადერკის სამეფოს შეადგენდა ივერია აღაზნიდან სურამ-ლიხის მთამდე და კლარჯეთამდე; და თუ მას მართლა თავის სამეფოებულში რაიმე განყოფილება მოუხდენია, უძველესია ეს მისი განკარგულება მაშინდელი ივერიის ტერიტორიას გერ გადასცდილებოდა. ამ აზრს დიდათ არ ეწინააღმდეგება არც მართამ დელოფელის ვარიანტის ის ადგილი, რომელიც ზემოთ ამოვწერეთ: სახელდობრ, აქ ნათქვამია, რომ ადერკიმ კაჭუთ თავისი ქვეყანა „ჭერეთიდან—შტკერისა და ეგრისის თავამდეო“. ქართული წყაროების ჭერეთი (მოფაკანი-თურთ) უდრის კლასიკურ მწერალთა აღვანას, ხოლო ეგრიი—კოლხიდას; მაშასადამე ადერკის მიფლობელობაში, მატანიის ამ ადგილის ტექსტის შიდაშირი აზრით, უთვლიდა ქვეყანა აღვანის დასაფლეთით კოლხიდის საზღურებამდე („ეგრისის თავამდე“), ე. ი. ივერია. მაგრამ, როგორც ს.ნ.ს. ჩვენი მატანიის ეს ადგილი მერმინდელ ისტორიკოსებს იმ ადგილთან დაუკავშირებიათ, სიდაც ადერკის შეფობის დასწავისში ნათქვამია, „ადერკიმ დაიბურ! უოველი ქართლი და ეგრისიო“,—და ამ კორექსტის მიხედვით დაუსკვნიათ: ადერკის თავის განყოფილებაში ეგრისიც (==კოლხიდა) უნდა შეეტანიოს. სწორეთ ასე იქნება, მაკალითად, ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII სუკ.), რომელიც ამ სკენის შესახებ ამბობს: „ადერკის ესხნეს ორნი ძენი—ბარტომ და ქართამ; ამთ განუყო სამეფო: ბარტომს მისცა მცხეთა და ჩრდილო-კერძი ჭერეთით ვიდრე ეგრისით ზღვამდე; ხოლო ქართანს—არმაზი და სამხრით კერძი ბერდუჭიდან ვიდრე

²⁰) Add. et éclairciss... p. 13.



ზღვამდე ზონტაისა²¹⁾. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცი, რომ არც ალვანა და არც კოლხიდა (გერისი) მაშინ ივერიის სამეფოს აღარ ეკუთვნოდნენ. კოლხიდის ხელში იყო აგრეთვე შესხების ქვეყნის ერთი ნაწილიც ქალაქ იდესის (—იდა) დასაუღეთით, სახელდობრ კლარჯეთი (იხ. ზემოთ შენიშვნა 24). მაშასადამე შემდგარი არიან როგორც ვახუშტი პატარნიშვილი, ისე ის ისტორიკოსები, რომელნიც მასთან ერთად ქუთაისი, ვითომცდ ადერკის მიერ განუყოფი ტერიტორია სრულად საქართველოს ტერიტორია უფიქროს. როგორც უფიქროსი ვახუშტი თქმულიდან გამომდინარე, თუ კი ამ თქმულებაში რაიმე ისტორიული სიმართლე მოიპოვება, ადერკის რეფორმა შესაძლეს იყო შეზღობდა მხოლოდ ძველი ივერიის ტერიტორიის და არა სრულად საქართველოს—ჭკრეთიდან შუგ ზღვამდე.

ამ გვარათ, როცა ადერკის „რეფორმაზე“ ვლაპარაკობთ, ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ვიჭინათ მხოლოდ საკუთრივ ივერიისზე და არა საქართველოს სხვა ნაწილებზე.

ახლა ვიცით ხოთ: რატომ ხსიათის რეფორმაზე, სახელდობრ რის გაუფიქრებლად მოგვითხრობენ ჩვენი წყაროები: ტერიტორიისა, თუ მხოლოდ სამეფო უფლებების გაუფიქრებლად? „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა, როგორც ვახუშტი, მხოლოდ სამეფო უფლებების განაწილებას აღნიშნავს, როცა ამბობს: „მეფობაჲ (და არა „სამეფოჲ“) ორად გაყოფა“; შატაბის უფიქრად ვარაირტები კი, ამასთან ერთად, ტერიტორიის გაუფიქრებლად შიდაწარმოებენ ადერკი მეფეს. მაგრამ როგორც ვიცით, შატაბის ვარაირტები შედარებით უფრო გვიან არიან შედგენილი, ვინც შატბერდისეული ქრონიკა, რომელიც მარტო სამეფო უფლებების განაწილებას მოგვითხრობს. ცხადია, მაშასადამე, რომ იმ ბირველ წყაროში, რომელთაც ამ ქრონიკის შემდგენელს უსარკებდნია, ტერიტორიის გაუფიქრებლად არაფერი უფიქროსა ნათქვამი. მაშასადამე, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ შატაბის თქმულება ამეფი სკანის შესახებ ნაკვანდელ ნაწარმოებად უნდა ჩათვალოს.

შატბერდისეული ქრონიკა მოგვითხრობს მხოლოდ „მეფობისა“ (—სამეფო უფლებებისა) და სატახტო ქალაქის გაუფიქრებლად, როცა

²¹⁾ ვახუშტი—ისტორია... გვ. 45.



ამბობს: როკმა (=ადერკომ) არაფრითით მცხეთაჲ გაიშინა და იქვე დასქენს: „ორნი შუენი დასხდეს იმიერ და ამიერ:... ჭარამ არმაზს და მცხეთას ბარტმანო.“ ჩვენი წერილების პირველი ნაწილიდან უკვე ვიცით, რომ ბარტმან—ფარნავაზ II-ის დროიდან (64—32 წ. ქრ. წინ) მტკვრის მარცხენა ნაპირას არმაზ-ქალაქის პირდაპირ, იქ სადაც დღევანდელი მცხეთაჲ, მართლაც უნდა მდებარეობდა ციხე-სიმაგრე; მაგრამ როგორც სტრაბონის გეოგრაფიიდან სწანს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდეგს, ე. ი. ადერკის მეფობაში (18 წლამდე მინც) აქ არავითარი ქალაქი არ უფიქროვდა²¹).

ამგვართ, ჩვენი პირველ-წყაროების ის დეტალური ცნობაც, ვითომც ადერკს სატაბტო ქალაქი ორად გაეყოს („მცხეთად“ და არმაზად), ძლიერ საუკუო ცნობად უნდა ჩაითვალოს.

დარსა მასსადაც მხოლოდ „მეფობის“, ე. ი. სამეფო პრეროგატივთა განწილება ორ მეფეთა შორის. მაგრამ, სწამს საკუთრივ ამ ცნობას სინამდვილისა და ხსიათის გამორკვევას შუგუდგებოდეთ, —საჭიროა დახლოებით მინც გავითვადისწინათ, თუ რამდენი ხნის ხანგრძლივობას მიაწერენ ჩვენი წყაროები ეტრეთ წოდებულს „ორ-

²¹ სტრაბონს მოხსენებული აქვს ქალაქები: არმოზიკა (=არმაზი) და სევსამორა (წიწამურა); მცხეთის ქალაქზე კი ერთ სიტყვასაც არ ამბობს. ამ ქალაქს არც სხვა კლასიკური მწერლები იცნობენ. მხოლოდ მე-II საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. შემდეგ პტოლომეი (130—170 წ.) იხსენიებს თავის ქარტაზე არმაზიკისა და სევსამორის მოშორებით ქალაქს „მესტლიტა“-ს, რომელშიაც შეიძლება თავს იფარავდეს ადგილობრივი სახელწოდება „მცხეთა“ (Латышев — Извѣстiя... I, 241—242 და ბოლოში ქარტა); მაგრამ იმავე პტოლომეის გეოგრაფიის მეორე ვარიანტი, რომელიც ჩვენი წერილების პირველი ნაწილის შედგენის დროს ზელთ გვქონდა (Ганъ, Извѣстiя... I, стр. 169), თუმცა არმაკტიკასა და სევსამორას აღნიშნავს, „მესტლიტის“ (=„მცხეთის“) შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. უკანასკნელი გარემოება რომ მხედველობაშიც არ მივიღოთ, მინც იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ მე II საუკუნის მეორე ნახევარამდე მცხეთაში ქალაქის (როგორც სააღმშენებლო და საადმინისტრაციო პუნქტის) არსებობა საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს.



მეფობის* ჰერიოდეს? სამწუხაროთ ჩვენი ადგილობრივი წერილები*²² საგნის შესახებ არაერთხელ თარიღს არ იძლევა; მაგრამ ივანი გვაწვდიან ისეთ სინქრონიულ ცნობებს, რომელთა მიხედვით მოსახერხებელი ხდება ამ ჰერიოდის ხანგრძლივობის დახვედრებითი განსაზღვრა. სახელდობრ „ორ-მეფობის“ ჰერიოდის მეფეთა შორის ჩვენი წერილები ასხვლებენ, სხვათა შორის, ორ მეფეს: ფარსმან I-ელსა და ფარსმან მე-II-ს, რომელნიც ცნობილია არიან კლასიკურ მწერალთა თხზულებებშიაღ. ფარსმან I-ელს იხსენიებს თითქმის მისი თანამედროვე რომაელი ისტორიკოსი ტაციტი (56—117 წ.) ჩვენი წელთაღრიცხვის 35 წლიდან ვიდრე 60 წლამდე²³); სოლო ფარსმან მე-II-ეს დიონ კასიუსი 1-ეულის ადრიანე-იმპერატორის თანამედროვედ და აღნიშნავს, რომ 138 წელს ეს მეფე ცოცხალი იყო და რომში ვოფინის დროს იმპერატორი ცხენზე ვარჯიშობით განცვიფრებაში მოაყვანა²⁴). ეს ფარსმან მე-II ჩვენს მატანებაში „ორ-მეფობის“ ჰერიოდის უკანასკნელ მეფედ ითვლება; მაშასადამე ეს ჰერიოდი უნდა გაგრძელდებოდეს დახვედრებით 30 წლიდან 138 წლამდე, ან ცოტა გვიან, ე. ი. ადრეის კარდაცვლებიდან ფარსმან მე-II-ის მეფობის უკანასკნელ წლებამდე. უკეთეს ამ უკანასკნელის თარიღს ორი წლით გვიან ვიანგარიშებთ (140 წლის მხლობლათ), აღმოჩნდება, რომ ამ ჰერიოდის ხანგრძლივობა, რომელსაც ჩვენი წერილები „ორ-მეფობის ხანის“ ეთხიან, უნდა უდრიდეს სულ 108 თუ 110 წელიწადს.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ ჩვენ გვეძლევა სშვალება „ორ-მეფობის“ შესახებ საკითხი შემდეგის სახით დაგვეჩინოთ:

30 წლიდან 140 წლამდე ქრისტეს შემდეგ არსებობდა თუ არა ძველს ივერიიაში რაიმე სახის ორ-მეფობა?

თითქმის უგულა ჩვენი ისტორიკოსები ამ კითხვას დადებითს ბასუხს იძლევიან; თითქმის უგულასა სჯერა, რომ აღნიშნულ ჰერიოდში იგეგია ორ-სამეფოს წარშაადგენდა. მხოლოდ თეიმურაზ ბა-

²²) იხ. ქვემოთ სხოლო მე-38. შეუღარე Латышевъ—Извѣстiя... I, стр. 622, стрк. 1—4.

²⁴) იხ. ქვემოთ სხოლო მე-40.



ტონიშიდლი სცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, ვითომც კს ორ-მეუფობა ზირველ ხანათ შინგ მარტო უფლებრივი ვითი-ლიუოს და არა ტერიტორიადური, ე. ი. იყრიაში უთვლიდუოს ორი მეფე და არა ორი სამეფო²⁵). მაგრამ როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი, ისე სხვა ისტორიკოსებიც (ვახუშტი, სულხ. ბარათა-შვილი და დიმ. ბაქრაძე) მხოლოდ უკრიტიკოთ და დიდმატიურათ იმეორებენ ჩვენი ზირველ-წყაროების სიტყვებს. დიმიტრი ბაქრაძის გარდა არც ერთი მთგანი არა სცდილობს, ამ თქმულებას თვით ად-გილობრივ ზირველ-წყაროებს გარდა სხვაგან სადმე მოუქებნოს უფროსარწმუნო და ეჭვ-დაუდებელი საფუძველი. მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძე, როცა ამგე თქმულებას იმეორებს, საჭიროდ სთვლის დასძი-ნოს, ვითომც იყრიაში ორ-მეუფობის დამაშტკიცებელ სახუის სტრა-ბონიც იძლეოდეს. სახელდობრ იგი სწერს: „სტრაბონი ამბობს: იყრია დასახლებულა ოთხის განვითარებულის წოდებით; ზირველს ეკუთვნის მეფენი; ამათში უმთავრესობს ისა, რომელსაც შეჰყვიდ-რეობა და წლოვანება უზიარტესობს აძლეუს; მეორე მხოლოდ მსა-ჯულაობს და სხათა წინამძღოლობს“²⁶). მაგრამ სცდება დიმიტრი ბაქრაძე, როცა სცდილობს „ორ-მეუფობას“ სტრაბონისა კოკგრაფიაში მოუქებნოს საფუძველი. აი როგორ იკითხება ეს ადგილი თვით სტრაბონის კოკგრაფიაში: „Четыре рода людей населяет страну (Иверію); одинъ и первый изъ нихъ, изъ котораго ставягь царей, по близости и возрасту самаго старшаго послѣ умершаго царя, — второе же лицо послѣ ца-ря отправляетъ правосудіе и предводителъствуетъ вой-скомъ“²⁷). როგორც ვხედავთ, აქ სწრულებითაც არაა დაზარატი

²⁵) თეიმურაზ ბატონ. — ისტორია... გვ. 147—148.

²⁶) ბაქრაძე — ისტორია საქართველოსი. ტფ. 1889 წ., გვ. 124.

²⁷) მოგვყავს ივ. ჯავახიშვილის რუსული თარგმანი მისი თხზულებიდან: „Государств. строй древн. Грузіи и др. Арменія“ т. I, стр. 8. შაღარუთ Латышевъ — Извѣстія... I, стр. 14; Ганъ — Извѣстія... I, 68; перев. Мищенко, стр. 511 (Географія, кн. XI, гл. 3, § 6). —



პირველსა და მეორე შეფეზე; შირ-იქით, სტრაბონი გვამცნობს გვეყვინება, რომ ის შირი, რომელიც „სახელად და ჯარს წინამძღოლობდა“, შეფე კი არ იყო, არამედ „მეორე პირი მეფის შემდეგ“, ანუ უპირველესი კარის-კაცი იყო; საკულისსთა აგრეთვე სიტყვები: „самого старшаго“ და „მეფის შემდეგ“ (და არა „самых старших“, არც „მეფეების შემდეგ“), რაც ცხადათ გვიჩვენებს, რომ სტრაბონას დროს ივერიაში ერთსა და იმავე დროს ჰყოლიათ თითო და არა ორ-ორი შეფე, როგორც ბაქრძე ვფიქრობდა.

ამგვართ, სტრაბონის მოწმობა კი არ ამტკიცებს ჩვენი წყაროების თქმულებას ორ-მეფობის შესახებ, არამედ შირდაში უარ-ჰყოფს მას. ამას გარდა; დიმიტრი ბაქრაძეს დაუიწყებია, რომ სტრაბონი გარდაიცვალა არა უგვიანეს 24 წლისა ქრ. შემდეგ, ხოლო თავისი „გეოგრაფია“, საიდანაც ზემოთ მოყვანილი სიტყვებია ამოღებული, დასწერა არა უგვიანეს 18 წლისა ქრ. შემდეგ; მაშასადამე სტრაბონის ფიზიკურათაც კი არ შეუძლო თავისი გეოგრაფიაში აღენახა ივერიის „ორ-მეფობა“, რომელიც, უგულა ჩვენი პირველ-წყაროების თქმულებით, ვითომც უნდა დაწყებულიყო აღერკის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 30 წელს ჩვენი ანკარიშით, ანუ 55 წელს თვით ბაქრაძისა და ვახუშტის თარღით.—ამრიგათ, სტრაბონი არც მოწმობს და არც შეუძლო დაემოწმებია ივერიაში „ორ-მეფობა“, რომელიც მისი გეოგრაფიას დაწერის შემდეგ, სულ მცირე, 12 წლით გვიან ვითომც უნდა დაწყებულიყო.

ამიტომ, თუ გვსურს აღნიშნული საკითხის შესახებ რაიმე სამართლე შევიტყოთ, ისეთს ვწერდებს უნდა მივმართოთ, რომელიც სტრაბონის შემდეგ ცხოვრობდენ და ჩვენი ისტორიიდან 30—140 წლებ შორის მომხდარ ამბებს მოგვითხრობენ. ამგვარ ვწერად და მასლით რიცხვს ეკუთვნის: ტატიტი (ცხოვრობდა 56—117 წ. ქრ. შემდეგ), დიონ კასიუს კოკეიანი (დაიბადა 150 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ) და მცხეთაში ნაპოვნი ჭკის 75 წლის ბერძნული წარწერა. მაგრამ არც ერთი მათგანი ერთ სიტყვასაც არ ამბობს ივერიაში ორ-მეფობის შესახებ; შირიქით, სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენი ვითომ ორ-ორი შეფე უნდა მჯდარიყო, იცინი აქ იცნობენ მხოლოდ თითო შეფეს. საკუთრივ ტატიტი მოიხსენებს



ივერიის მეფეს ფარსმანს (=ფარსმან I-ეს), აღნიშნავს მის მეტობრულ განწობილებას რომის იმპერატორთან და ვრცლათ მოგვითხრობს, თუ ამ ფარსმანმა როგორ გააშეფა სომხეთში ჯერ თავისი ძმა მიტრიდატი და შემდეგ თავისი შვილი რადამისტი³⁸). მცხეთის ქვის წარწრიდან ვტუობილობთ, რომ ამ ფარსმანის შემდეგ ივერიის ტახტზე გაშეფებულა მისი შორეუ შვილი მიტრიდატი, რომელსაც, თავისი მამის მსგავსათ, მეტათ კარგი და მეტობრული განწობილება ჰქონია რომის სამს იმპერატორთან: ვესპასიანესა, ტიტუსსა და დომიციანესთან³⁹). დასასრულ, დიონ კასიუს კოკეიანი ფრიად საინტერესო ცნობას იძლევა ივერიის მეფის ფარსმან მე-II-ის შესახებ, რომელზედაც იგი მოგვითხრობს, რომ ადრინე-იმპერატორის დროს (117—138 წ.) ამ მეფემ სასტიკი იმი აუტებს მსახურებს, სომხებს, მიდიელებსა (სმარებსა) და კანდოკიელებსაო, რისთვისაც იმპერატორმა მას დიდი შტრივი შიაცოა⁴⁰). ერთი სიტყვით, სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენში ვითამ ირ-მეფობა უნდა უოფილიყო, უნხოეთის თანამედროვე მწერლები და მცხეთის ქვის 75 წლის წარწერა აქ იცნობენ მხოლოდ თითო მეფეს და მათაც ისეთს ძლიერს, რომ უოფლად დაუჯერებელია მათ ხელში ივერია ზოლიტიკურის მხრით ირ საუფოლდ უოფილიყოს კაკლეჯილი. როგორც ტიტრი და დიონ კასიუსი მოწმობენ, ივერიის მეფენი: ფარსმან I და ფარსმან II მთელს ამიერ კავკასიასა, სომხეთსა და მცირე აზიასიაც დიდის კავლენით სარკებლობდენ, კერძოთ ფარსმან I-ელი სასომხეთის შემოკრთებაზედაც კი იცნობობდა, — და აბ რა დასაჯერებელია მათ თავის საკუთარ სამოფლობელოში მეფობის შტრივი სხვასთან ჰქონებოდეთ განწილებული.

ამსახით, ჩვენ თანდათან მივდივართ იმ დასკვნაზე, რომ 30 წლიდან 140 წლამდე ივერიაში ირ-მეფობა არ უოფილა.

მაგრამ აქ უნებლიეთ იბადება კითხვა: მაშ საიდან და როგორ

³⁸) Ганъ—Извѣстiя... I, стр. 115—123.

³⁹) ibidem, стр. 114. ეს ქვა ნაპოვნია 1867 წ. მისის თვეში.

⁴⁰) ibidem, стр. 173—174 — Латышевъ—Извѣстiя... I, стр.



უნდა განვიხილო ჩვენს საისტორიო ძირველ-წყაროებში („ქართლის ცხოვრებასა“ და „ქართლის-მოქცევაში“) ის თქმულება, ვითომც ადერკის შემდეგ ივერიაში ორ-მეფობა დამყარებულაიყოს? ხუ თუ ჩვენი მატანიისა და ქრონიკის შემდეგნელთ შირდაშირ სკუთარის ფანტაზიით და სრულიად უსაბუთოთ უნდა შეეთხზათ მთელი ეს თქმულება? ხუ თუ მათ რაიმე უძველესი საისტორიო მასალა არ უნდა სჭეროდათ ხელში?

რომ ამ თქმულებაში ეველაფერი შემატანიისა და მექრონიკის ფანტაზიით არაა შეთხზული, რომ უკანასკნელთ ხელში ჭჭონებით რაღაც ძველი კარგი საისტორიო მასალა, — ეს, სხვათა-შორის, იშითაც შტკიბდება, რომ ჩვენი წყაროების სიაში აღნიშნულ ორ მეფეს: ფარსმან I-ულსა და ფარსმან მე-II-ეს მათი თანამედროვე უცხოეთის მწერლები (ტატიტი, დიონ კასიუსი) და მცხეთის ქვის 75 წლის წარწერაც იხსენიებენ. ცხადია, ჩვენს მექრონიკესა და შემატანიეს ხელთ ჭჭონიანთ რაღაც ძველი კარგი საისტორიო წყარო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ძველ წყაროში ივერიის მეფეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დაახლოვებით ისეთივე ცნობა იქნებოდა მოთავსებული, როგორც ამ სკანზე ადერკის თანამედროვე სტრაბონი იძლევა, სახელდობრ ცნობა მეფის მეორე პირზე, რომელიც მშვედობიანობის დროს უზენაეს მართლმსაჯულებას აწარმოებდა, ხოლო თმანობისას ჯარს წინამძღოლობდა⁴¹). შესაძლოა იმ წყაროში, ადერკის შემდეგ, მეფეების კეერდით „მეფის მეორე პირთა“ რამდენიმე სახელიც უოფილიდუოს აღნიშნული. მაგრამ, როგორც სჩანს, ქრონიკისა და მატანიის ნაკვიანვეს შემდეგნელებს იმ ძველ წყაროში მოთავსებული მასალა სისწორით ვერ შეუცნიათ, თავისებურათ განუმარტაუთ და „მეფის მეორე პირნი“ მეორე მეფეებად მიუღიათ. ამ უკანასკნელის მიზეზსაც ახლავე დავინახაუთ.

უკვე რამოდენჯერმე გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი საისტორიო

⁴¹) ივერიის მეფის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა: „Государств. строй др. Грузии и др. Армения“, т. I. Спб. 1905 г. განსაკუთრებით გვ. 8—19; ხოლო „მეფის მეორე პირზე“ გვ. 67—69.



წყარობის და, განსაკუთრებით, „ქართლის-ცხოვრების“ შემდგენლობის სომხის ისტორიკოსთა და, კერძოთ, მისე ქორენულის „სომხეთის ისტორიის“ გავლენის ქვეშ უოფიდან. უკზველია, ამ გავლენით აღდსნება ის გარემოება, რომ ჩვენი მატანე სსსომხეთის არმაკუნიანთა დინასტიას ქართლში ქრ. წინ ზირველ საგუენეში აშეფებს, თითქმის 120 წლით ადრე, ვინემ იგივე დინასტია სომხეთში ნამდვილათ გამეფებოდა (ინ. ზემოთ შენაშენა მე-13). მაგრამ ვველაზე უფრო მეტათ ამ გავლენის კვალი ადერკი-მეფის ცხოვრების აღწერასა და საზოგადოთ კერეთ წოდებულის „ორ-მეფობის“ ისტორიას ატევიას:

1. მისე ქორენულის მიწმობით ქრისტეს თანამედროვე მეფე სომხეთისა იუო აბგარი (5 წ. ქრ. წინ და 32 წ. ქრ. შემდეგ); სწორეთ ისე, როგორც ჩვენში იმავე დროს მეფეობდა ადერკი. ქორენულის თქმით, აბგარის დროს „იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ძე დვთისა“⁴²); სწორეთ ისე, როგორც ადერკის მეფობის დასაწეისში, ჩვენი შემატანის გარდამოცემით, „იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურასტახისასა“.

2. მისე ქორენულით, აბგარის მოციქულები „შიდიან იერუსალიმს მაცხოვრას სსსახვად, რადგან ბევრი რამ გაცოხილი ქონდათ მისი სსსწულების შესახებ“⁴³); სწორეთ ისე, როგორც „ელიაზ მცხეთელი და ღონგინოზ კარსნელი“, ჩვენი მატანის სიტყვით, ქრისტეს ჭყარცმის წინ იერუსალიმს მიემკზავრებიან და თვით ჭყარცმასაც ესწრებიან⁴⁴).

3. ქორენულის „ისტორიით“ აბგარის დროს სომხეთში შემოდის ორი მოციქული: თადეოზ და ბართლომე⁴⁵); ჩვენი მატანით, ადერკის დროს დასავლეთ საქართველოში ქადაგობს ორი მოციქული: ანდრია და სვიმონ კანანელი.

⁴²) *История Армении Моисея Хоренского*. Москва 1893 г., стр. 76.

⁴³) *ibidem*, стр. 80.

⁴⁴) ქ.-ცხოვრ. კვირინძის გამოცემა, გვ. 51—51. მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 30.

⁴⁵) *История Армении...* стр. 83 и 86.

4. „სომხეთის ისტორიით“, აბგარი აშენებს ქალაქ ედუ-სას⁴⁶; ხოლო „ქართლის-ცხოვრებით“ ადერკი „უმეტეს სიმაცრე-თა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცებს ზღუ-დეთა ქალაქისა მცხეთისათა, წყაღსა იმიურ და ამიურ“⁴⁷).

5. დასასრულ, მოსე ქორეხელის თქმულებით, „აბგარის გარ-დაცვალების შემდეგ სომხეთის სამეფო იყოფა ორ ნაწილიად: მისი ძე ანანუხი იდგამს გვირგვინს და მეფობს ედესაში; ხოლო მი-სი დისწული სანათრუკი — სომხეთში“⁴⁸). სწორეთ :მნარათევე, ჩვე-ნი წყაროების მოწმობით, ადერკის შემდეგ იუერიის „მეფობაჲ ორად კაიფო, ორნი მეფენი დასხდეს იმიურ და ამიურ: ქარამ (ქართამ) არ-მასს და მცხეთას ბრატმან“⁴⁹).

გვგონებთ, ამ მარალეღური ადგილების ჩამოთვლაც სკამათა დაუასკვნათ, თუ რა ძლიერი უნდა ეოფიდიეო სომხის ისტორიკო-სთა კაკლებს ჩვენს შემტრანეს და შექრონიკეზე. მაგრამ კანფაკოსთ მარალეღური ადგილების ამოწერა:

6. როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, კლასიკური მწერალთა მო-წმობით, 35 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ იუერიაში გამეფდა ფარ-სმან I-ელი, რომელიც იმდენათ ძლიერი და ზურგ-გამატრეული იყო რომის იმპერატორთა მეგობრული კავშირით, რომ სომხეთში თავისი ძმა და შეილა კამეფა (იხ. ზემოთ შენიშვნა 38). ამ მეფეს ჩვენი წყაროებიც იხსენიებს; მხოლოდ ჩვენი მტრანე მის თანამე-დროვე მეფედ სომხეთში სთვლის „არენდს“ — „არავანდს“ (ანუ მოსე ქორეხელის ერუანდს) და თან დასქენს, ვითომც როგორც მისი წინამოადგილენი, ისე თვით ფარსმანიც ეოფიდიეონ „მორნილე-ბასა შინს სომეხთა მეფეთასა“ და შესწეოდენ „სომეხთა ეოფელთა

⁴⁶) ibidem, სტრ. 77.

⁴⁷) „ქართ.-ცხოვრ.“ მა⁴იამ დედოფლ. ვარ. 30; ტიკინაძის გამო-ცემა გვ. 58.

⁴⁸) Исторія Арменіи, სტრ. 85.

⁴⁹) სამი ისტ. ქრონიკა, გვ. 8—9. მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 31.

მეტრთა მათთა ზედა* ²⁰). ერუანდ-მეფის დროს „ივერიის მეფეს ფარსმანს“ იხსენიებს მოსე ქორენელიც და დასძენს, რომ ეს მეფე თავისი ვართა ხშირათ შეეწოდა ხოლმე ერუანდ-მეფეს სძარსებთან იმის დროსა ²¹). მაგრამ, როგორც მოსე ქორენელის სახელით ცნობილი „ისტორიის“ ტექსტის კრიტიკამ დაამტკიცა, სომხეთის მეფეს ერუანდს, რომელსაც ქორენელი და ჩვენი მატანე ფარსმან I-ელის თანამედროვედ სთვლიან, სრულიადაც იმ დროს არ უმეფენია სომხეთში, რა დროსაც ქორენელი უწევებს ²²). და ეს ასეც უნდა უოფილიუო, რადგან, როგორც თანამედროვე ტაციტი მოწმობს, ფარსმან I-ელის დროს სომხეთში მეფობდა მის და რომაელების მიერ დადგენილი მისივე ძმა მიტრიდატი და არა ერუანდი, გინა „იარვანდი“, როგორც ქორენელი და ჩვენი მუშატანე კვარწყმუნებენ. ცხადია, თუ საიდანაც უნდა ამოვღოს ჩვენს მუშატანეს ეს უაღბო თქმულება ფარსმან ზირველის საერთაშორისო დამოკიდებულებათა შესახებ. მაგრამ აი კიდევ მკვლელითები:

7. ფარსმან I-ელის შემდეგ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მცხეთის ქვის წარწერა იხსენიებს მის ძეს ივერიის მეფეს მიტრიდატს. ჩვენი ადგილობრივი წყაროები კი ფარსმანის შემკვიდრედ სთვლიან „აზორკს“ (= „არძუკ“, „აზუკ“, „არსოკ“), რომლის შესახებაც „ქართლის-მოქცევა“ არავითარ დეტალურ ცნობას არ იძლევა, „ქართლის ცხოვრება“ კი ბუერს ამბობს და მთელი მისა მოთხრობა თითქმის არაფრით არ განსხვავდება მოსე ქორენელის თქმულებისაგან. სახელდობრ, ჩვენი მატანე ამბობს: აზორკის დროს სომხეთში სუშატ ბიურატანმა მოჰკლა იარვანდი და მის ნაცვლად კავიყუა არტაშინი ²³); სწორეთ ისე, როგორც, მოსე ქორენელათ, არტაშეს მეფე იჭერს სომხეთის ტახტს სუშატ ბიურატის ძის ბაკრატუნის

²⁰) „ქართლის-ცხოვრება“, მარიამის ვარიანტი, გვ. 31.—ტიკინაძის გამოცემა 62.

²¹) *История Армении*, стр. 93 и 94.

²²) Г. Халатьянц—*Армянские аршакиды*, стр. 27 и 29.

²³) ტიკინაძის გამოცემა „ქ.-ცხ.“, გვ. 62.—მარიამ დედოფლ. ვარ.

დახმარებით, რომელთან ბრძოლის დროსაც მოიკვლის კრუნდ შეუე⁵⁴).

8. „ჭართლის-ცხოვრებით“ არტაშანის მეუბობაში ქართველები შეუერთდებიან ოსებს, ფიქებს, ზანჯიანებს, ძურძუკებსა და ლეკებს, შეესევებიან სომხეთს, დაარბიენ მის ჩრდილო პროვინციებს, გამო-ბრუნდებიან უკან და დაიბნაკებენ შტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც წამოეწევით სომხის დაშქარი, აუტენსთ სასტიკს ბრძოლას, დახმარ-ცხებსთ და გაფინტავსთ⁵⁵). — მოსე ქორენელითაც, არტაშესის მეუბო-ბაში აღახებმა შეიერთეს ნახევარი ივერია და მთიულეობი, გადაიარეს შტკვარი და შეესიენ სომხეთს; არტაშესმაღ შეკრიბა დიდალი დაშქარი და აღახები შტკვრის მარცხენა ნაპირზე გადარეკა, სადაც მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც აღახები დახმარცხენ და იძულე-ბული გახდენ ზავი ეთხოვით⁵⁶).

9. ჩვენი მატრიანის თქმულებით, რამდენისაშე ხნის შემდეგ სომხებსა და ქართველებს კიდეც აუტრელებთ ბრძოლა; სომხე-თის შეუე არტაშანი შექკრებს დაშქარს და წარმოგზავნის ქართლისაკენ თავისი შვილის ზარუნის წინამძღოლობით; ქართველები მიიშველიებენ ოსებს, დახმარცხებენ ზარუნს, ტვევად წამოივებენ და დარიალის ციხეში დააშწუვდევენ⁵⁷). მოსე ქორენელით: რამდე-ნისაშე ხნის შემდეგ არტაშესმა ჩრდილო პროვინციათა დაშქრის უფროსად დანიშნა თავისი შვილი ზარუნი, რომლის წინააღმდეგაც გააღაშქრა ივერიის მეუემ ქარწამში, შეიხურა ზარუნი და კავკა-სის მთის ციხეში ჩასვა⁵⁸).

10. შერამ, „ჭართლის-ცხოვრებით“, ქართველების წინააღმ-დეგ გამოემართენ სუმბატ ბევრიტიანი და არტაშანის ორი ძე: არ-ტაგაზი და ტიგრანი ეყოელითა სპითა სომხითიანითა, რის შემ-დეგაც ქართველები იძულებული გახდენ ზავი ეთხოვით და ზარუნი

⁵⁴) *История Армении...* стр. 94—95 и 89.

⁵⁵) „ქ.-სტ.“ მარიაშის ვარიანტი, გვ. 32—34.

⁵⁶) *История Армении...* стр. 98.

⁵⁷) მარია დედოფლის ვარიანტი, გვ. 35—36.

⁵⁸) *История Армении...* стр. 102.



ტყვეობიდან გაათავისუფლებინათ ⁵⁹). — მოსე ქორენელით: „ნარეკის შიკშეულენ მისი ძმები: არტავაზდი და ტირანი, სუმბატ ბიურა-ტითურთ, დაეგნ ქარწამს და თავისი ძმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს ⁶⁰).

აღარ განვადრძობთ ზარალეულნი ადგილების ამოწერას, რადგან ვგანებთ ზემოთ აღნუსხული ადგილებითაც სკამათ ირკვევა, თუ რამდენათ ძლიერი გავლენა ჰქონიათ სომხის ისტორიკოსებს ჩვენი საისტორიო ზირგულ-წაროების შემდგენელებზე. კერძოთ უკანასკნეული ოთხი ზარალეული ადგილის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოსე ქორენელის მოთხრობაში მხოლოდ ქართველი მეფის სახელია შეგვლილი (ჭარწამი აზოტკის ნაცვლათ); დანარჩენი მხრით კი ქართული მოთხრობა არსებითათ მოსე ქორენელის მოთხრობის განმეორებას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც თვით სომხის მეცნიერები ამტკიცებენ. მთელი ის 24 თავი მოსე ქორენელის „ისტორიის“ მეორე წიგნისა (თავები 37—61), სადაც შეფუკრუნდა, არტავაზისა და არტავაზდისა ლაშარკი, სომეხთა ხალხური ეპოსის ნაწარმოებია და არა ისტორიული მოთხრობა ⁶¹). მაშასადამე, ამგვარსავე მასალად უნდა ჩათვალოს ჩვენი წაროების ის ადგილებიც, რომლებიც იმავე მოსე ქორენელის „ისტორიის“ ადნიშნული თავებიდანაა ამოღებული, და კრიტიკულათ დაწერილი ისტორიიდან სამუდამოთ უნდა გამოირიცხოს.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენი აზრი კერძო წოდებული «ორ-მეფობის» შესახებ მოკლეთ ასე შეგვიძლია გამოვხატოთ:

1. მთელი ის პერიოდი, რომელსაც დღემდე ჩვენი მატრიანის ბრმა მიზეზი „ორ-მეფობის“ სახელით იცნობდენ, ნამდვილათ იუკრიის ცხოვრებაში არაფითარს ორ-მეფობას არ წარმოადგენდა; 30—140 წლები შორის, ისე როგორ მათ უწინ და მათ შემდეგაც, იუკრიანში ერთსა და იმავე დროს მეფობდა მხოლოდ თითო მეფე, რომელ-

⁵⁹) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 36.

⁶⁰) *Исторія Арменіи*, стр. 102.

⁶¹) Г. Халатьянц—Армянск. эпосъ въ Исторіи Моисея Хоренскаго. Москва 1896 г., стр. 209—314.

საც, სტრაბონის მოწმობის თანახმად, კვერდთ უღვა მისივე საკვარეულოდან არჩეული მეორე ზირი; ეს ზირი შეუფეს ეხმარებოდა ჭარის წინამძღოლობასა და უზუნახსი მართლმსაჯულების წარმოებაში. ერთი სიტუვით, ამ დროს ივერიაში არ არსებობდა აბსოლუტური მონარქია, მაგრამ იქ არც დუარქია უოფილა. საერთაშორისო სკოთხების გადაწყვეტაში ივერიის შეუფეს, იმავე სტრაბონის მოწმობით, სამდგველოება უწვედა დახმარებას⁶²); მაგრამ, როგორც ტაციტის მოწმობიდან სხანს, როცა შეუფე მოისურვებდა, მონაწილეობას იღებდა როგორც ჭარის წინამძღოლობაში⁶³), ისე საერთაშორისო საქმეების გადაწყვეტაშიაც⁶⁴).

2. წვენი ქრისიანისა და მატიახის შემდგენელთ ხელში უნდა ჰქონებოდათ კარგი ძველი წყარო, სადაც ივერიის შეუფეებთან ერთად, ადერკის შემდეგ ფარსმან მე-II-მდე, „შეუფის მეორე ზირთა“ სახელებიც უნდა უოფილეოო მისსენებულად; მაგრამ, მოსე ქორეხელისა და მისი შზგახსი შწერლების სეღგაელებით და შწიგნობორული წამბაძველობის წყალობით, მათ ამ კარგ წყაროში აღნუნხული ფაქტები და ზირები ერთმანეთში აურეკიათ და ამგვართ ფაქტიურის ერთშეფობის საგვლათ წარმომდგარა შწიგნობორული თორ-შეუობა».

3. კლასიკურ შწერაღთა შიერ დაცული ძვირფასი საისტორიო რნობები ივერიის შესახებ საშვალეებს კაძმდეგს გამოვარკვოთ, თუ წვენი ზირეულ-წყაროების შიერ წარმოდგეხილს შეუფეთა თრ სიაში („არმაზის შეუენი“ და „მგნეთის შეუენი“) რომელი სია უნდა ხათვალოს საკუთრად ივერიის მეფეების ნუსხად და რომელი—„შეუფის მეორე ზირთა“ სად. ფარსმან I-ელი და ფარსმან II-ე წვენი ზირეულ-წყაროების უკვლა ვარიანტში „არმაზის შეუეთა“ შორის

⁶²) Страбонъ—Географія, кн. XI, гл. 3, § 46: „Второй классъ составляютъ жрецы, которые вѣдаютъ также тяжбы съ соседними народами“ (пер. Мищенко, стр. 511).

⁶³) ახე მოიქცა ფარსმან I პართელებთან ბრძოლაში (Ганъ — Извѣстія... I, 115—117).

⁶⁴) ახე მოიქცა ფარსმან I-ელის შვილი რადამისტი, როცა თავის ბიძა მიტრიდატთან გამართა მოლაპარაკება (ibidem, стр. 120—121).



არიან მოხსენებულები; როგორც ვიცით, ამ ორ შეფეს მათი თანშე-
დროვე კლასიკური შწერლებიც ნამდვილ ივერიის შეფეებად სთვლიან.
მაშასადამე ივერიის მეფეებად უნდა ჩაითვალოს ის პირნი, რომელ-
ნიც ჩვენს წყაროებში ეგრეთ წოდებულ „არმაზის შეფეებად“ არიან
მოხსენებულები; მეორე რიგის („მცხეთის შეფეთა“ სია) სახელები კი
— შეფეთის მეორე პირთა, ე. ი. მთავარ-სარდალ-მსაჯულთ-უხუცესთა
სახელებს უნდა წარმოადგენდეს.

ამით ვათავებთ ჩვენს შინაშინებს ეგრეთ წოდებული ორ-შეფო-
ბისუ შესახებ ძველ ივერიაში და ადურკის მომდევნო შეფეთა ისტო-
რიის სისტემატიურ შესწავლას შემდგომისთვის გადავდებთ.

ს. გორგაძე.



მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუს- თველის „ვეფხისტყაოსანი“.

(წაკითხულია საზოგადო კრებაზე 1908 წ. 21 თებერვალს.)

„ესე ამბავი უცხონი,
უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი
ვპოვე და ლექსად გარდავსტკვენ,
ამითა ვილაუბეთანი“...

„აკამდის ამბად ნათქვამი
აწ მარგალიტი წყობილი“.
რუსთაველი.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

I. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო.

II. „ვეფხისტყაოსანი“ თამარის კარის მწერლობის ქეშმარიტი გამოსახულება; თამარის პიროვნებამ ხელი შეუწყო ჩვენში სპარსული ხასიათის კარის მწერლობის გაჩენას; სპარსული მწერლობის ის ხანა, რომელიც გახდა თამარის დროის კარის მწერლობის წინამორბედი; ბუმბურაზების შესახებ სადევ-გმირო ამბების მოწონება მე-XII საუკუნეში; ამ ამბები; აღმზრდელითი მნიშვნელობა; სპარსული კარის მწერლობა აველაზე უფრო შესაბამებოდა თამარის დროის საქართველოს მდგომარეობას; რუსთაველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შეილი, უნდა დაინტერესებულიყო „უცხოთა ხელმწიფეთა“ ამბებით; „პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი“ შეიქმნა კანეად, რომელშიაც გამოიქარგა დროის მიმართულება და პოეტის ღრმა სულის მოძრაობა; პოეტის დროს „ამბად ნათქვამი“ გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“.

III. „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

IV. „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „ბარამიანთან“ და „ეს-რამიანთან“.

V. პოეტის ფანტაზიით სადევ-გმირო მოთხრობის შეცვლა; ქაჯების შესახებ თქმულება; თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულების გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერზე.

დასკვნა.

I

ანგრეთი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ უოფილა ჩუქში, როგორც რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ქართულ მწერლობას იგი შიანდა ქართული კულტურის უძვირფასეს სამკაულად. ლიტერატურის აღორძინების ხანიდან დღემდე ტანის ამ წიგნისა და მისი ავტორის ქება-დიდება, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორიის განვითარებასთან ერთად, უნდა აღძრულიყო მისი შესწავლის ისტორია, უნდა აწონ-დაწონილიყო და დაფასებულიყო ეს ქართველი ურის სიამაუეც.

შართლაც, იგი შეიქმნა ერთ ფრიად სიანტურესო მსჯელობის საგნად, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან; მაგრამ, გამოირკვა თუ არა ამით ჭეშმარიტება, გვაქვს თუ არა ჭრუჭრობით, მისას მკვლევარების წყალობით, სწორი და უტყუარი აზრი ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე? სრულიადღ არა. პირიქით, რუსთველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ კითხვა ჭრუ ისევ სიწინა, ავტორის ვინაობა ისევ ბურუსშია გახვეული, მისი და მისის შრომის შესახები კითხვები დღემდის წველიადში განისვენებს. რა არის ამისი მიზეზი?

ერთი, — ეს კერძოდ ქართველობაზე უნდა ითქვას, ჩვენის აზრით, — უნდა იყოს გაზვიადებული და ცრუ-პატიოტიზმი; მეორე ჭრუფანი ურუდიციის უქონლობა, რომელიც უნდა ითქვას საზოგადოდ, თუ სახეში მივიღებთ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მის მკვლევარებს.

ქართველი მკვლევარები იმ აზრისა იყვნენ¹⁾, რომ ავტორის პოემა ორიგინალა, პოემის ქება-დიდებას საგანს თამარ-მეფეა, მაშასადამე ქართულის ცხოვრების უტყუარი ფაქტებია მოთხრობილი ამ პოემაში და საკუთარი, როგორც გმირებისა, ისე ქვეყნების სახელები აღდეკორიულია და მათი გაკება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ თამარის დროის ისტორიის შესწავლა-განხილვით, რადგან იმ დროის ისტორიის ამბები აქვს ამ ნაწარმოებს სარწმუნად დადებულია.

¹⁾ ვახტანგ VI, დავ. ბუბინაშვილი, აკაკი და გ. წერეთელი, დიმი. ყიფიანი, სვიპონ ქვარაიანი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

აქედან ის დასკვნა გამოიყვანათ, რომ ზოგადად არც სმარსული, არც სხვა უნდა შეეყვანოს არაფერი, ვეკლავურს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცეს¹⁾).

ამგვარი აზრი, ვამოთრებ, დაბადა ცრუმ და გაზვიადებულმა მამულის სიუვარულმა და ჭკროვანი ერუდიციის უჭირბოლობამ. მარტო სამშობლოს სიუვარული და ქართული დაბარაკის ცოდნა გერ მისცემს საკმაო ძალას ადამიანს, გადასწევიტოს ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ერთი ლიტერატურის მეორეზე გაფლენას. ნემის აზრით, არაფერი ამ შემთხვევაში ისეთი საჭირო არ არის, როგორც იმ ერის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც თამარის დროს ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე დიდი გაფლენა უნდა ჰქონებოდა.

ზირველ შეგნიერად, რომელმაც დაუღვა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ სერიოზულს შეგნიერულ კრიტიკას, უნდა წაითვალის ზროფ. ნ. მარა, რომელიც წინააღუდკა მის დრომდი კაბატონებულ შემდღარ აზრებს ამ ნაწარმოების შესახებ; მაგრამ ჭურ სტუდენტად შოფთი და ზომამზე მეტად კატეგეპული სმარსული გაუღენით მე-XII საუკუნის ქართულს საერო შწერლობაში, ბ. მარო ანქარდა, გამოკეჭვა თავისი აზრი ამ ზოემის წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი წავარდა შოარე უკიდურესობაში.

კამათის დროს იმ ზირებთან, რომლებიც უდქროდენ ამ საკითხს მარტოდენ ქართულის ნციონადურა თვალსაზრისით, ახაღკაზდა შეგნიერმა დაიწყო თავ-გამოდებით „ვეფხისტყაოსნის“ სმარსუთადან წარმოშობის აზრის შტკიცება და კიდევ დასახელა მისი თრიკინადის ადგილ-სამოთულო. იგი ფეჭრობდა, რომ ამ ნაწარმოების თრიკინადი ბრიტანიის შუზეუმში არსებობს და რომ რუსთველის კუთვინის მის დრომდი ზროზით ნაწერი სმარსული რომანის ლექსად გადაკეთების სახელით; მხოლოდ ამ ბოლო დროს ბ. მარმა შესწორა თავისი შეგდომა და თავის ერთ შრომაში („Тексты и разыскания по ари.-груз. филология, в. IV. С.-Петербург. 1902 г.) იგი ამბობს

¹⁾ ამ მხრით ვეკლავზე უფრო ტიპიური ხასიათი აქვს ბ-ნის სიმონ ჭეარიანის შრომა: „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, რომელიც მოთავსებულია 1903 წ. „მოამბის“ მე-7 და მე-8 ნომრებში.



შემდეგს: „ადგილი შესძლებულაა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად შესწავლამ აღმოაჩინოს ამ ლექსად გადაკეთებულს სპარსულ რომანში შეტანილი დასურათბატება ქართველი ავტორის ნაწინობი ტიპებისა და მოვლენებისა შოკტური იტავ-ტაკვრით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს იტავ-ტაკვრითი შოკტია დღესაც წამდენამდე გამოსწვიარსო“¹⁾.

ეს ორი უკიდურესობა შედგია იმისა, რომ არც ერთს რუსთველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეესწავლა ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შესძლებოდა ტექსტის წაკითხვა და ზირუთენელი მსჯელობის გამოთქმა²⁾; ზირიქით, თითოეული მათგანი სდდილობდა გაეყვანა თავისი

¹⁾ იხ. Тексты и разыскания по арм.-груз. филологии, вып. IV. Н. Марр, 55—56 С.-Петербург. 1902 г. შარშან წინ გამოცემულს პატარა წიგნაკში „История Грузии“ ბ. მარრი აღიარებს: „სიუვეტი ნახესხებია აწ დაკარგულის სპარსული ორიგინალიდან“ (стр. 33. С. Петерб. 1906 г.).

²⁾ პატივსაცემა ბ. ნის ა. სარაჯიშვილის შრომა: „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ (იხ. „მოამბე“ 1895. 96, 97, 98 და 99 წლებისა). ვეფხისტყაოსანი მეცნიერულად გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა ორჯერ 1846 და 1860 წ. წ. სანკტ-პეტერბურლს. ზოგიერთი შეკდომების მიუხედავად, ეს გამოცემა დღემდის საუკეთესო სახელმძღვანელოა პოემის შესასწავლად. დ. ჩუბინაშვილის გამოცემის შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემა და კომენტატორობა იკისრა ბ. დ. კარიჭაშვილმა „წერა კითხვის გამ. საზ.-ის საბჭოს მინდობილობით“ [ტფ. 1903 წ.]. სამწუხაროდ, მსენებელი გამოცემა მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა ნაკლებად ესმის რუსთველის ენა ისეთი პირებსაც კი, რომლებიც ცნობილნი არიან ქართული ენისა და მწერლობის მკოდნებად. ბ. კარიჭაშვილმა ბევრი, ჩვეულებრივის მკითხველისათვის ადგილი გასაგები ადგილი თავისი კომენტარიებით სრულებით დააბნელა: მაგალითისთვის საჭიროდ ვთვლით, დავასახელოთ ზანანი: 38, 133, 136, რომელთა აზრი კომენტატორის მიერ სრულიად წარყვნილია გარდა ამისა კომენტატორი ზშირად მარტავს ისეთ ადგილებს, რომლებიც თავის თავად ცხადია, მაშინ როდესაც უყურადღებოდ სტოვებს ბევრს გაუგებარ და საცილობელ ადგილს; ნამეტურ შესანიშნავა ავტორის სურელი, გამოაქყოს პრედიკაციებს „ა“=„არს“ (შემწეობითი ზნა).



ერთხელვე დაჯინებული აზრი, გაეტანა ერთხელვე გულში ამოჭრის სურვილი; ბევრს მათგანს, თუმიტა-კი ესმოდა ალაგ-ალაგ ზოემის სიტყვები, მაგრამ ან ხსნიდნენ ალექოროულად და სწდელითა მათი სურვილისა დაგვრად აქსნათ ზოემის ადგილები, ან და ზოგიც, მათი მოწინააღმდეგე, სწდელითადა ეთქვა, უკვლავური სმარსულია და ერთი სიტყვა არც თამარის, არც ქართველების შესახებ ამ ნაწარმოებში არ მოიხილება.

ამხანაურად ერთი-მეორის შუღლი და მტრობა იმდენად აბრმავებდათ, რომ ისედაც ხორწ კითხვას კიდევ უფრო აბნელებდნენ, მაშინ როდესაც ზოემის შინაარსის კეთილსინდისიერსა და ზიურთუნელ განხილვას შეეძლო მიეყვანა ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდე.

მაგრამ, სამწუხროდ, არცერთი რუსთველის შესახებ დამწერი ერთი სიტყვითაც არ შეხებია ზოემის შინაარსს, ეოველი მისი მკვლევარი ათავებდა თავის მუშაობას წინასიტყვაობის განხილვით. თუმიტა არც წინასიტყვაობას დღემდე სკამოდ შესწავლილი და განხილული.

მიუხედავად მთელის ლიტერატურისა ამ საგნის შესახებ, „გუფის-ტეოსანის“ მოვლინება მე-XII სუკუნეში დღემდის გამომცანად რჩება. გამოეგებული აზრი, ვითომც „გუფის-ტეოსანის“ ამბავი წარმოადგენდეს მე-XII სუკუნის ისტორიულ შემთხვევათა ალექოროულ გამოსატყულებას, ჩვენ მიგვანწია ეოველ სოფუტეელს მოკლებულად; ერთი რამ არის ჭეშმარიტად სარწმუნო, სახელდობრ ის, რომ ზოემა საკრო მწერლობის მიმართულების ჭეშმარიტი გამოსატყულება.

ამ წერილით ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ და, შეიძლებისა და-გვარად, გამოვარკვეოთ ტინი იმ სადეე-გმირო ¹⁾ მოთხრობისა, რომელიც დაედვა საფუტელად რუსთველის „გუფის-ტეოსანს“. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ საჭიროდ მიგვანწია ერთი მხრით მე-XII სუკ. მწერლობაში გაბატონებულას მიმართულების კათვალისწინება, მეორეს მხრით იმ წყაროს კაცნობა, საიდანაც იერებს ძალ-დონის და მასდას იმ დროინდელი ქართული კარის მწერლობა. იმ უცხო ლიტერატურ-

¹⁾ „სადეე-გმიროს“ ჩვენ ეფუოდებთ აღმოსავლეთურ საეპიკრა ამბებს, სადაც მოქმედ პირებად ადამიანებთან ერთათ გამოყვანილი არიან სხვა და სხვა მავნე სულენი, დეეები და ქაჯები.



რული მიმართულების კანონბა, რომელსაც თვალსაზრისით გაუღონა კონ-
ნდა მე-XII საუკუნის ქართულის საერთო ლიტერატურის აღორძინება-
ზე, ავტორის ნაწარმოების შინაარსისა და მის დამახასიათებელ თეი-
სებათა შესწავლასთან ერთად, გახლავთ ის ერთად-ერთი გზა, რო-
მელიც ნუნ ავრნიეთ ამ საგნის კვლევის დროს.

II

თამარის ციურმა სახემ, მისმა სოცნებო მშეკნიერებამ და სამე-
ფო ჭკუმ მეტის-მეტად აამდლა მეფის უზენაესი უფლება და შეუწ-
ყო ხელი მისი ზიროვნების გაღმერთებას. მისმა ჭკოროვნებამ და სან-
დობიანმა სახემ ზეშთააკონა თანამედროვე მელექსეთა მუნა, რამაც
გამოიწვია კარის ლიტერატურის განვითარება.

ამ კარეშობას უნდა გამოიწვია ლიტერატურული მოძრაობა
სმარსეთის ურთიერთობის ნიადაგზე აღზრდილსა და დავით აღმაშე-
ნებელის მიერ ზილიტიკურად გაღლიერებულსა და სწავლა-ცოდნით აუ-
ვაკებულს საქართველოში.

თამარის დროის ქართული ლიტერატურის საუცხოო აუვა-
კებას, რასკვირველია, ხელს უწეობდა ის კარეშობაც, რომ იმ დრო-
ინდელ ქართველს აღარ შეუძლია დარჩენილიყო მარტოოდენ სასულიერო
მწერლობის ქრისტიანული ასქეტისმის ვიწრო ფარგალში, რასაც
აშკარად ვამჩნევთ მეზობელ სომხურს სასულიერო ხასიათის მწერ-
ლობაში. იმ დროინდელის ქართული აზროვნების ინტერესები თხო-
ულობდენ უფრო მეტს: ხანგრძლივმა რაინდულმა ბრძოლამ სახელ-
მწიფოებრივობის შესაქმნელად მომამზადებულ ხანაში და სპერძნეთის
და აღმოსავლეთის ცივილიზაციის დაახლოვებით კანონბამ, ადრე
გათავისუფლა ქართველობა სარწმუნოებრივი ასქეტისმის კავლებისა
გან; ამიტომაც ქართველები მწერუნვალივით დაქვაფენ სმარსულ ლი-
ტერატურას და იწვეს სმარსული ეპოსის ნიმუშებით სარკებლობა.

მაშინდელი სმარსული ლიტერატურა, რომლის გამოშატველია
ფირდოუსის „მეჭანამე“ და გაზნის სუდთნის მკმუდის კარზე კარის
ლიტერატურის უმადლეს წერტილამდის განვითარება, ვგელაზე უფ-

რო შეუფერებოდა თავისის შინაარსით თაშარის ბრწინებულ ეპოქის სულს და მიმართულებას.

მაგრამ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ბუნებრივი იყო იმ დროინდელ მწერალთა სწარსულის ლიტერატურის ნიმუშებით გატაცება, საჭიროა გადავავლოთ თვალი სწარსული მწერლობის სახელდობრ იმ ხანას, რომელშიც დიდი და განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩვენს იმ დროინდელ მწერლობაზე.

სწარსული ლიტერატურის აუვავებასა და განვითარებას მე-XI საუკუნის პირველ ხახვარში ხელა შეუწყო გაზნის სულთნის მამულის კარზე საკარო ლიტერატურის განვითარებამ და მასთან ისეთი კლასიკური ნაწარმოების განქნამ, როგორც არის უკვდავი ფერდოუსის „მაჰ-ხამე“. ამ ნაწარმოებში შეტად ძლიერი გავლენა იქონია მთელს სწარსულ ლიტერატურაზე; ეს გავლენა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ ფერდოუსის შემდეგი შკოსნები სიუჟეტად ღებულობენ ხალხურ თქმულებებს, რომლებიც დარწმუნდა ფერდოუსის. ამ გვარი მიზნაძეულები უოველითვის შოკვითხრობებს რომელსაშე როსტომის საგვარუდლოდან გამოსულ გმირზე: ზოგი მათგანი აქებს როსტომის შვილის გმირობას, ზოგიც ვისმე მის ნამომავალს.

ამნაირად იწინა თავი მიზნაძეული შკოსნების მთელმა დასმა, — რომელშიც შექმნა ეპოს-რანდული ლიტერატურა, რისთვისაც შოლელეული იქმნა მთელდს ირანის ლეგენდარულ-ისტორიული მასლად; ეს მასლად რომ შემოვლიათ, ჰოეტებმა მიმართეს ნამდვილ ისტორიულ ამბებს და იქიდან სარკებლობდენ ისეთი შემთხვევებით, რომელთაც ლეგენდარული ხსიათი ქქობდათ, თუშცა რომ უფრო განართობი უოფელიყო მათი ნაწარმოები, ისინი მათში ვრცელ ადგილს უთმობდენ თავის საუთარ ფანტაზიას, ასე, ამნაირად, ეპოსი თანდათან იცვლება: ჭურ საეპიკო — სადეგ-გმირო ამბებად, შემდეგ კი ზღაპრად. შემდეგში შკოსნებმა აირნიეს ორი გზა: ერთი წეება თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებს არაბულ ზეპირ-გარდმოცემებს, შორე კი, უშეტქისი ნაწილი, არჩვენ ისტორიული პირების საგმირო საქმეებს.

მაგრამ ფერდოუსის გავლენა სწარსულ ლიტერატურაზე როდი განისაზღვრება მხოლოდ საეპიკო ლიტერატურის ფარგლებში; იგი



ინებს თავს აგრეთვე რომანულ ზოგზიაშიც. მისი „იუსუფ-უ-ზულეიხა“ (ჟიოსებ-ზალიხანანი) თუმცა მოკლებული იყო ძალად ზოეტურ ღირსებებს, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც მას გამოუჩნდა მრავალი შიშობაძველი (სმარსულის ნაციონალური ეპოსისა და ფირდოუსის შესახებ იხ. Nöldeke das iranisch. national Epos, 5 ibid. 14 folg. ფირდოუსის შიშობაძველების შესახებ იხ. წინასიტყვაობა: livre des rois Jules Mohl).

ფირდოუსის „იუსუფ-უ-ზულეიხა“-სთან სჯიროა დავასხედოთ ორი სხვა რომანული შინაარსის ნაწარმოებიც: ერთი ეკუთვნის ფირდოუსის თანამედროვე უნსურის კადამს; ეს უნსურიც ფირდოუსთან ერთად სცხოვრობდა გაზნის სულთნის შაჰმუდის კარზე, იყო ძვირეული ფირდოუსისა და ვეედა კარის შქურდისა, და დასწერა რომანი „ვაშუ-უ-აზრა“, რომლის გაცნობა შეიძლება დღეს მხოლოდ თურქულ ენაზედ გადმოღებულის, იმავე საუქეტის, ნაწარმოებით; ამ ნაწარმოების ავტორს უსარკებლებია სმარსული ვერსიით.

შეორე ამ ნაწარმოებთაგანა, რომელიც ჩვენთვის ფრიად საინტერესოა — რომანი „ვის-უ-რამინი“ გადმოკეთებულია ახალ სმარსულად ფალაური ორიგინალიდან, რომელიც შემთხვევით გადარჩენია არაბების შემოსევას, შეეხება იგი უძველეს დროს. ¹⁾

¹⁾ ჩვენი „ვის-რამინი“, როგორც თარგმანის წინასიტყვეობაც გვიჩვენებს, არის ამ სმარსულის ორიგინალის თარგმანი; ქართულ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ორიგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლებულია, ან სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი. (მაგალთად ადგილი: „დიეგრდერ შაკ ნეჭიშინედ იჩოპარ“ (სმარსული ტექსტი, 116), მთარგმნელს გადაუსხვავერებია ასე: „მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ (ვისრამ. 125. შეუდარეთ სმარსულს მათესი, თავი 7, მუხლი 6), მაშინ როდესაც აქ ნათქვამია: „მას არკერთი მარგალიტის თვალი აღარ დუგდია მიწაზეო“. შეუდარეთ აგრეთვე სმარს. ტექ. 394, 5=ქარ. ტ. 451, 10: „რომლისა მიწისაგან დაბადა (ღმერთმან კაცი), ბოლოსა ეამსა მენვე მიიყვანს“. სმარსულში მიწის მაგიერ არის: „პრ-ნიეთი, მარგალიტი. განზრახ შეცვლილია აგრეთვე ორიგინა-

ამხიარად ჩვენთვის საინტერესო სმარსული ლიტერატურის შე-
რიოდში ჩვენ ვხედავთ ორნაირს ნაწარმოებს: ეზოსს ანუ სადევე-გმარო

ლის შემდეგი ადგილი (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 113, სტრიქ. 18):
سیاسی تاجیکان کاندانان ستمگس، სადაც ნათქვამია: მასწავ-
ლებელი რომ საამო ვალობას იწყებს, მოწაფე იმ წამსვე ცეკვას
გააბამსო, ამ ადგილს მთარგმნელი ასე თავის გემოზე სცვლის:
„რა ზეკესი ორ-მალთა უკრევედეს, დიაცონმან შეშპარისა კიდე რამცა
ქნას?“ (იხ. გვ. 121. 23—24. Н. Мартъ. Ж. М. Н. Ир., стр. 202
1896 г. стр. 228, стр. 3.) ზოგი ადგილი სრულიად დამაბინჯებელია,
რაც უმეტეს ნაწილად მოწმობს გადამწერელთა უეციობას; მაგალითისთვის
შევიძლია დავასახელოთ ორიგინალის შემდეგი ადგილი (გვ. 280. სტრ.
18), „ვევრ ბანენდ არაშრა კემან გირ, კი ეზ სარი ბე მერე ანდოზტ
იეკ ტირ,“ რომელიც ნიშნავს: „არაშს იმიტომ უზმობენ მვისარედ, რომ
მან სარიდან მერეამდი გასტყორკა ისარიო“; სიტყვა „სარი“-ს (ქალაქის
სახელია) ნაკვლად ქართულში ვკითხვლობთ სიტყვას „სიარულით“, რაც
შეუწყენარებელია (იხ. ქართ. ტ. გვ. 303, სტრ. 17—18). ეს ადგილი
აღნიშნული აქვს პრ. მარსაც. (Ж. М. Н. Ир. 1895. стр. 234. ibid.
стр. 1., სადაც აღნიშნულია კუროზები, რომლებსაც ვხვდებით ქართულ
გამოცემაში.)

 დავაჯეროვო“, სწერს ავთანდილი როსტეკანს თავის ანდერძში (იხ.
 ხანა 772). მას მოჭყავს ციტატები ზღაპრის სწავლიდანაც: „სიღრუე
 და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (იხ. ხანა 770—771).

¹⁾ სწორედ ამ საზიოთვე არიან დახატული ქაჯები „ბაჰრამიან“-
 ში, სადაც ყოველი მათი ბიჯი, მოქმედება და გმირობა ზღაპრულია:
 მოიგონეთ შამსა და მისი ჯადოსნური ბალანი, რომელსაც ბაჰრამი დას-
 წავს თუ არა, იმ წამსვე შამსა ქაჯთა უძლეველი ლაშქარით მის წინა-
 შე გაჩნდება და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას მოპირდაპირზე.

²⁾ ამგვარადვე იმარება ქაჯი და დევი ყველა მე-XII საუკ. საერო
 ლიტერატურის ნიმუშებში.



ავთანდილის აზრით, საჭიროა ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც ფილოსოფოსები სწავლიან: „ისე რომ არ მოვიქცეთ, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან, მაშინ მათი სიბრძნის სწავლა რაღა საჭიროა ჩვენთვის?!“

ავთანდილი ახდურძში და, საზოგადოდ, „გეგუხის-ტუაოსანში“, ნამდვილი შეცნობილი და ფილოსოფოსია; ის ფრიად სწავლული კაცია: იცის პლატონის ფილოსოფიაც, მოციქულების სწავლაც, ღვთის-შეტყველებაც, მაგრამ ამასთანავე აზნობა, მაჭმადიანია თავისი სულის კვებობით და მისწრაფებით.

რით იხსნება ამგვარი დილოგია ავთანდილის ხსენებით, ამ ფილოსოფოს-რწმუნის მუსულმანურ-ქრისტიანული ფილოსოფოსობა?

ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საქმე პლატონის მოძღვრებასთან, რომელმაც თავისებური ელფერი შაილა და გაურცელდა შთუღს აღმოსავლეთში ნეოპლატონიზმის¹⁾ სახელით. ეს ნეოპლატონიზმი, რომელიც, ჰეგელის თქმით, ხშირად აურთებდა თავისი მოძღვრებით სხვა და სხვა ერთი მეორის წინააღმდეგ რწმენასა და შეხედულობას და ათან ხმებდა ერთი მეორის მოპირდაპირე მუსულმანურ და ქრისტიანულ სწავლათა იდეალისტურ შეხედულობათა, წარმოადგენდა პლატონის ფილოსოფიის განუქებულ იდეათა სიმართლისა, ღვთაებრივის მშვენიერებისა და სიუფარულის შესახებ უმადლეს წერტილამდე განვითარებას; მან, მესიანიზმისა, ბუდიზმისა, ბრამიზმისა და ზინსიზმის შერევით, წარმოშობა იდეალისტური მოძღვრება, რომელმაც სამუდამოდ დაამარცხა ბერძნული ფილოსოფიის ანტიროპოთეოლოგიზმი და განდევნა ანტიკური ფილოსოფიიდან ღვთაებობის ატრიბუციების შესახები სწავლა. ნეოპლატონიზმის დრმა აზროვნება გამოიხატა სიმართლის იდეის განვითარებაში.

ამ ნეოპლატონიზმს უნდა ქონოდა ვეგლახე უფრო მდიდარი ნიდატი საქართველოში, რომელიც, როგორც ვიცით, ცარდაიჭტა ნამ-

¹⁾ ნეოპლატონიზმის შემქნელი იყო აღმკანდრიელი საკასი. რომელიც ვარდაიკვალა 242 წელს, მის საუკეთესო მოწაფედ ითვლება პლოტინი.

დვიდ ბრძალის ვეღად კულტურულის ბატონობისათვის ორს შეტო-
ქეს—მუსულმანურ სმარსეთ-არაბეთსა და ქრისტიანულ ბიზანტიას
შორის; ამ შეტის-შეტად საინტერესო მოძღვრებამ, რომელმაც ახალი
სული ჩაუდგა სოკრატისა და პლატონის ანტიკურ ფილოსოფიას, ფრიად
დიდი გავლენა იქონია მთელს ქრისტიანულ ფილოსოფიაზე და მის-
თან ერთად საქართველოს ფილოსოფიაზე. იმ საქართველოსი, რომ-
ელსაც ისეთი მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ქონდა ბიზან-
ტიასთან, ამ ფილოსოფიის სამშობლოსთან, და ვეღა განათლებული
სახელმწიფოს კულტურათა შესვეურ არაბეთთან. კულტურულ მიზ-
ნებში ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან შეტოქეობამ და განათლების
საქმის ჩინებულად მოწეობამ შე-XII სუკუნეში საქართველოსთვის
ოქროს ეპოქის შემქნელების დაფით აღმაშენებლისა და თამარის მე-
ფობაში, — ვეღა ამან ის ჩაუთფი გამოიღო, რომ საქართველო გარ-
დაიქტა მთელის იმდროინდელი ფილოსოფიის ნამდვილ საფაროდ და,
მაშასადამე, საუკეთესოდ შეითფიას ხეობლატიონიკური სწავლა-მოძღვრე-
ბაც.

მართლაც, ჩვენ ვამჩნევთ ამ ქართულის სწავლა-განათლების აუვა-
ვების ხანაში ხეობლატიონიზმის მიმდევართა მთელ წეებს.

ჩვენს წარსულს ამაბის და ამშეენებს ისეთი სახელები, როგო-
რიცა იოანე პეტრიწი¹⁾, თამარის თანამედროვე ფილოსოფოსი და
სწავლული, რომელმაც დიდი დეენა აიტანა ბერძენთა და ქართველ-
თაგან ხეობლატიონიზმის მიმდევარობისათვის²⁾, იოანეს მოწაფე,
ეფრემ მტირე, რომელსაც მიაწერენ დიონისი არქიმეტიცის თარგმანს,
გიორგი ჭეონდიდელი, არსენ იუფთოელი და სხეები.

ამ სკოლას ეკუთვნის პოეტო ფილოსოფოსი, „ვეფხისტყაოს-
ნის“ შემქნელი, ჩვენა შოთა რუსთველიც.

მაგრამ არც ერთს იმ დროის ფილოსოფოსს არ დაუტოვებია
ჩვენთვის ისეთი ძეგლი, როგორიც არის შ. რუსთველის „ვეფხისტ-
ყაოსანი“.

¹⁾ იოანე მოკლაქობდა პეტრიწონს, ბოლგარიაში, რის გამო
ვეწოდა მას ეპიტეტი „პეტრიწონელი“.

²⁾ Н. Марр. Изв. кн. цар. Баграта, 1899, 234.



ტუასნი“. ეს წიგნი იმდროინდელი სპარსეთელის ნეოპლატონიკურ შესულებათა საუკეთესო გამოსახულებაა.

იმ საუცხოო აფორიზმებსა და ჰოეტურ ფიგურებს გარდა, რომლებიც გვაგონებს ანალოგიურ ადგილებს „ვისრამიანი“-დან, წვენ არა ერთგზის ვხვდებით მის უკვდავ ქმნილებაში ზეატონისა, დიონისი არეოპაგიტისა¹⁾ და სხვა ფილოსოფოსების ბრძნულ აზრებს. ნეოპლატონიკური იდეებით გაფლნობილია ამ ნაწარმოების ეგვლა საუკეთესო ადგილი. საკმაოა, აღვნიშნოთ აუთანდილის ანდერძი, რომელშიაც აეტორი ნეოპლატონიკურად აფილოსოფოსებს თავის გმირს აუთანდილს (იხილე ხანა: 770—774 და 778—779). ხოლო თვით გამოფენაელი სიუვარული, ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭესრების ამომოძრავებელი, განმცოცხლებელ სველად მიმდინარი მთელს ჰოემის შინაარსში, ეგვლაზე მჭარმეტყველური საბუთი არ არის იმისა, რომ წვენი ჰოეტი ეკუთვნის ნეოპლატონიკურ სკოლას? მანასადავ, ეს ფაქტიც, სხვათა შორის, გვაჩვენებს, რომ „გუფენის-ტუასნი“-ს ფაბულაში უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები, ჰოეტის მსოფლ-მხედველობის გაფლნობით, და ჰირვანდეული მისი ფაბულა—უფერული შითხრობა ირანის ზღაპრულ გმირთა შესახებ უნდა გადაქცეულიყო დიდი გენიის ქმნილებად, რომელიც შეიცავდა თანამედროვე კულტურულ მიმდინარეობათა მთელ ნაყოფს; ამ აზრით, შოთა რუსთაველი უნდა ჩაითვალოს თავისი დროის საუკეთესო გამომხატველად, რომლის მიმართულება ხასიათდება სპარსეთელის ისტორიის ოქროს ეპოქის ძველას რაინდული სულის იდეალისტური სწავლა-მოდერების სულთან შეერთებით.

ამხანაღდ ჰოემის სიუჟეტის განხილვა ცხად-ჭყოფს შემდეგს: იმ მიზნით, რომ დახატა წრფელი რაინდული სიუვარული, რომელ-

¹⁾ დიონისი არეოპაგირი ძლიერ მოწონებული ყოფილა ქრისტიან ნეოპლატონიკთა შორის; მას ზშირად ახსენებენ მე-XII საუკუნის ქართველი მწერლები ერთის მე-V საუკუნის ცნობილის სავკლესიო მწერლის ენოსის გვერდით; ეს ენოსი იყო ნეოპლატონიკური სკოლიდან; იგი იყო ალექსანდრიელი ნეოპლატონიკის პიეროკლესის მოწაფე (იხ. H. Марш T. P., IV, стр. 41, up. 1).

საც სარწმუნოდ გმირობა და ვაჟკაცობა კვდა, რუსთველს აუღია რა-
ღაც უძველესი, „ბაქრაშინის“ ტიზის, აღმოსავლეთის ჭვეუნებისა და
ხელმწიფეების შესახებ სმარსული სადეკ-გმირა ზღაპარი, რომელიც
ფართო ადგილს აძლევდა შოქტის შემოქმედებითს ნიჭსა და კანჯ-
საზღვრულ გრძობას, და აღუუვინა, თავისი საკუთარი კუნიის წყა-
ლობით, მსატრობას უმადლეს ხარისხში. მან სავსებით მიაღწია
თავის მიზანს, და ეს უბრალო ზღაპარი, რომლის თავკადასავალი
წარმოადგენდა დევესა და ავსულებთან ბრძოლას, აქცია უკვდავ ნა-
წარმოებად, ნამდვილ ეპოპეიად, რომელსაც საუკუნეების განმავლობა-
ში ასე მწყურფალივით ეწითებოდა ქართული ერი.

ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერილს, რომლის შინაარსის რეზიუ-
შე ასე შეგვიძლია გამოვსთქვათ:

ჩვენი მე-XII საუკუნის საერო მწერლობა სმარსულის ლიტე-
რატურის ზირში შეიღია; იგი სმარსულის საკარო ლიტერატურის
გაგებებით იყო გამოწვეული; სმარსული საკარო ლიტერატურა სრუ-
ლიად შეესაბამებოდა თამარის საქართველოს ბრწინვალე ზოლიტიკურ
მდგომარეობას და ძველი ქართველის რაინდულ მიმართულებას; ამ
ლიტერატურის მიმართულების უძლიერესი გამოშატველია რუსთვე-
ლის „ვეფხისტყაოსანი“. თუმცა ამბავი უცხო ჭვეუნებს და ხელმწი-
ფეებს ეხებოდა, ავტორმა იმდენად შესცვალა და გადმოაქართულა
ეს ზღაპრული მოთხრობა, რომ დღეს, თვალწინაც რომ გვედვას
ის უცხო ხელმწიფეების შესახებ ამბები, რომლებიც მან ლექსად
გარდასთქვა, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვპოუბდით მისში ისეთ დიდ-
ბულ ნაწარმოებთან, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“: ის იყო
„ამბად ნათქვამი“, ეს კი—„წუობილი მარკალიტა“, ის იყო ჩონ-
ჩხა, ეს კი—კუნიის უმადლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია.

მაშასადამე, კითხვას რომ ვიძლევიით იმის შესახებ, თრიგინა-



და თუ არა „ვეფხისტყაოსანი“, სრულიად უსაფუძვლოდ ვაუხუნებთ ამ გვარს კითხვას; ჩვენის აზრით, უმურობესი იქმნება და უფრო სქემპარიტ გზაზე დაგვაუხუნებს კითხვა, თუ რამდენად შეიძლოა რუსთველმა შეესწავლა და გადმოეჭართულებია ის უცხო ფაბულა, რომელიც წარმოადგენდა უმნიშვნელო ზღაპარს, მის უკვდავ ჰომეოსთან შედარებით.

იუსტინე აბულაძე.

30 დეკემბერი.

1905 წელი.

ქ. თფილისი.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი.

(ღამატება სტატიისა: „მე-XII საუკუნის ქართულის მწერლობის ბასიათი
ღ რუსთველის ვეფხისტყაოსანი“)

1. უცხო და მნელა გასაკება სიტყვები.

ა(==აღ) — მიმართულების მიჩვენებელი თავსართი, ანუ ჰრეფიქსი, აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას ჭევიდან ზეკითკენ.

ა — არსის ნაცვალის ხმოვანი ელემენტი; შემოაკლებული შემწეობითი ზმნა არს=არი, რომელიც მიეძმის ბოლოში შემასმენელს.

აზატებს, ხ. 1047, ტ. 4; იხ. აზატი; მაზატე, ხ. 247 ტ. 3.

აბანო, ხ. 329, ტ. 3. (ბერძნ. Βαλανειον, lat. balineum) ტანის დასაბანი სახლი. მოსახდენი წყალი (საბანებელი).

აბჯარი, ხ. 84, ტ. 3; 91 ტ. 3; 220, ტ. 3 — ფაჭვ-ჭური, ფაჭმანი, საჭურველი, T. P. IV, რმა.

ადლი (არაბ. كاهل — სამართალი) — სიგრიძის საზომი; არშინი. სამართალი.

ავაზა, ხ. 459, ტ. 1 (სპარს. *آواز*, სომხ. *ავაզ*, რფსპ. *ავაზ*) — კიტის ჯიშის სანადირო ცხოველი, საბა

ორბელიანის ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „ავაზა ვეფხისა ჭკავს, მცირეა (ამირან დარუჯანიანი)“.

ამირან დარუჯანიანში ეს სიტყვა, მართლაც, ხმარებულია სანადირო ცხოველის აზრით, იხ. ამირან დარუჯანიანი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1898., გვ. 3, სტრ. 3. გვ. 12, სტრ. 13 გვ. 122, სტრ. 8., გვ. 126, სტრ. 15; გვ. 136, სტრ. 12, 22, გვ. 261, სტრ. 32. ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე „ვისრამიანი“ — ში, იხ. ჭართ. ტექსტი, გვ. 56, სტრ.



15, სადაც ამ სიტყვით გამოტყვევებულია სპარსულენოვანი კინაზის **كز** შველი, იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 60, სტრ. 10., რაც ამტკიცებს, რომ მთარგმნელს შეუფერხებელია ეს ადგილი; სხვა ადგას ამ სიტყვას სწორად გამოტყვევებს ქართული ტექსტი, იხ. გვ. 75, სტრ. 20—სპარს. ტექსტი, გვ. 75, სტრ. 12. პროფ. მარრი სოელის მას შინთერად, იხ. H. Marr. T. P, V, *Physiologie*, გვ. 93. მოშინურებული და სანადიროდ დაკეპილი ვეფხია-ავაზა მშვიდი და უვნებელია. ავაზა წარმოადგენს სანადირო ღვოპარდს, იცის აფრიკაში, სირიაში და სპარსეთ—ინდოეთში, იხ. ვეფხ. ტუ. ხ. 1137, ტ. 2 იხ. ამის შესახებ. Д-ръ Вильгельмъ Гааке, *Происхож. животн. міра*, стр. 590, С.-П. Бургъ, 1903 годъ.

ავლი, ხ. 777, ტ. 2; 912, ტ. 3.—ფერფელი, იხ. თეიმურაზისა და ორბ. ახსნა.

აზავერი—აზავირი, ხ. 449, ტ. 3—გახეღნილი მოზვეერი, უღლის ხარი, იხ. ორბ. ლექს. და H. Marr. T. P. IV, გვ. 105, სტრ. 15.

აზატი, (სომხ. *ազատ*, სპარს. **آزاد**)—თავისუფალი.

ათქს, ხ. 1495, ტ. 2.—ადგას, ადგია, შეადარე უთქს, ხ. 465, ტ. 2; ამირან-დარეჯან. გვ. 122, სტრ. 7.

აღამი, ხ. 390, ტ. 1; ხ. 923, ტ. 3; ხ. 1285, ტ. 2 (არაბ. **ام**)—ნაშანი, დროში; (T. P. IV, რნგ).

აღამნეს, ხ. 923, ტ. 3.: იხ. აღამი; ხ. 923, ტ. 2; ხ. 1552, ტ. 2, იხ. ღამი; ხ. 923, ტ. 4, იხ. ვღამი, ხ. 1465, ტ. 1.

აღაფი, ხ. 440, ტ. 1—ნატარები, ნადარები, ნატვენავი, დაფლა, ნაშოვარი, ნადავლი, ხარკი.

აღვა, ხ. 223, ტ. 3. ხ. 319, ტ. 1. ხ. 1286, ტ. 4. (სპარ. **اف** არაბ. **اف**)—აღვი, იოანე, 19, 40. საგმეველის ხე. აფვას

სხვანაირად სამოთხის ხეს უწოდებენ; ადვამ იცის მაგარი და მსუქანი ხე, რომელიც, წვის დროს, ავრცელებს საამო სუნნელებას, აღმოსავლეთში ძალიან მოწონებულა, როგორც მოსაკმევი ნავთაერება.

ადვა, ხ. 12, ტ. 3; ხ. 77, ტ. 4; ხ. 1400, ტ. 1; ხ. 1488, ტ. 4. და სხვ.—ადვის ხე, იხ. T. P. IV, რმა; ადვის-ხიანი—ადვის ხის მსგავსის ტანის შექონი.

ადი, ხ. 1135, ტ. 2; 1265, ტ. 2; 1498, ტ. 3; ხ. 1567, ტ. 2. (სპარს. آدی) — გეგხლის ნაქშენი; ადამა=ადმა.

ადმულობა, ხ. 1459, ტ. 3, იხ. სიტყები: ადი და მური, იხ. ხანა 294, ტ. 4.

ადქატი, ხ. 1441, ტ. 1 (სომხ. ადქათ) — დარბი, არას მქონები, გლახა.

ადმასი, ხ. 316, ტ. 4; 330, ტ. 4 (სპარს. آدما) — იგივე მნიშვნელობა; ანდამატი.

ადმასნი, ხ. 742, ტ. 2, იხ. ადმასი.

ადუა, ხ. 73, ტ. 2; ხ. 956, ტ. 3; 960, ტ. 2; 6. 962, ტ. 2, (არაბ. آدوا=ქალკა) — წრე, სელტე, ირკელიც შემორტემა.

ამაზრზენი, ხ. 983, ტ. 4; ხ. 1248, ტ. 2; 1469, ტ. 2; 1525, ტ. 3. —ამაყროლი, ამატოკებელი, შემადრწუნებელი.

ამარი, ხ. 1031, ტ. 2. (სომხ. ამარ) — რიცხვი, ზომა; უამარი—ურიცხვი.

ამარტა, ხ. 260, ტ. 1. — ქარვა, მძიეა (საბა ორბ.)

ამბაგი (სომხ. ამბაგი), იგივე მნიშვნელობა.

ამილახორი, ხ. 54, ტ. 2 (სპარს. آملاخور) — მუჟინბეთ-უხუცესი, თბერშტალმეისტერი.

ამირბარი, ხ. 306, ტ. 1; 369, ტ. 4; 397, ტ. 4 (სპარს. آميربار) — მხედართმთავარი, დიდი სარდალი; ამირ-სხასადარი.



- ამირ-სმასლარი, ხ. 40, ტ. 1; 306, ტ. 2 (სმარს. اميراسپاسا — სარდალი; ფართა წინამძღოლი. იხ. ამირბარი.
- ამაუი, ხ. 976, ტ. 2; ხ. 1211, ტ. 3—უიფი, შედიდური, დიდგული, თავმომწონე, ამბარტაყანი.
- ამო (სომხ. հայ-გემო), სასურველი, გემრიელი, გემოვანი; აქედან საამური, საამო, სასამოენო.
- ამხანაგი, ხ. 421, ტ. 3; 614, ტ. 4; 650, ტ. 4 (სმარ. امخاند) — იგივე მნიშვნელობა; შინაური, შეგობარი.
- ანაზდა (სომხ. անազդ) — ჩარი, უცარი. მოულოდნელი, უცები, შევიდნხელი, ცქაფი.
- ანაკები, ხ. 915, ტ. 3; 949, ტ. 1. — ტანადობა, მოყვანილობა, თვალადობა, აგებულობა, იხ. ტება.
- ანგარიში, (სმარ. انگرشي) — იგივე მნიშვნელობა.
- ანდამ:ტი, ხ. 1318, ტ. 3 (ბერძნ. ἀνδραμας) — აღმასი.
- ანდერძი, ხ. 768, ტ. 1; 679, ტ. 1; 789, ტ. 1. (სმარს. انداز) — უკანასკნელი აღთქმა.
- არაგი, ხ. 1487, ტ. 3. (სომხ. արագի) — იგავი, საგულისხმადრო ამბავი, მაგალითი, ზღაპარი.
- არამი, ხ. 685, ტ. 4 (სმარს. ارام) — უკანონო, ცუდი, აქედან სიტყვა არამზადა, რომლის მეორე ნაწილი „ზადა“-ც. სმარსულია ارامزاد — უკანამზადა — ცუდად, უკანონოდ შობილი (შეადარეთ თ. ჟორდანიასი კურითზული ახსნა, ქართული გრამატიკა, გვ. 86, c) სტრ. 9.
- არე, ხ. 177, ტ. 2; ხ. 353, ტ. 4; ხ. 435, ტ. 3. ხ. 303, ტ. 2. მხარე, არე მარე, ადგილი; იარე, ხ. 71, ტ. 2; ხ. 1191, ტ. 3. ატარე; ხ. 1191, ტ. 4. არირა.
- არიფი, ხ. 1143, ტ. 2 (არაბ. اريف) — შეგობარი, თანამზრახველი, მონაწილე წევრი, დაახლოვებული პირი; იხ. ვისრამ. ქართ. ტექსტი, გვ. 124, სტრ. 7. — სმარს. ტექსტი; გვ. 110, სტრ. 160.
- არმადანი, ხ. 1211, ტ. 2 (სმარს. ارمان) — ძღვენი, ძვირფასი საჩუქარი.

- არღვანი, ხ. 923, ტ. 3 (სპარ. ارغوانه. ارغوان) მალესტინის ხე, იასმანი, იასმანის ფერი, წითელი, წითელი ღვინო, ერთგვარი წითელი ქვა. მოჭირებული წითელი ფერი, საზოგადოდ.
- ასადაგეს, ხ. 136, ტ. 1, 2, 3, 4, იხ. სადაგი.
- ასაქმარი, ხ. 132, ტ. 4—კომპქნელი, მოპქრელი; —ან „ასაქ-შე“ — ს ნაგვად, ლექსისთვის.
- ასპარეზი, ხ. 100, ტ. 2 (სომხ. ასպարէզ), მოედანი, სარბი-ელი, მოჭიდავეთა გამოსადგელი ადგილი.
- ასპიროზი, ხ. 941, ტ. 1 (ბერძ. ἄσπιρος) ცთომილი ვარსკლავი, საღამოს ვარსკლავი.
- ასპიტო, ხ. 1209, ტ. 4. (ბერძ. ἄσπις), გველი.
- ასული, ხ. 33, ტ. 4—ას+ული, ასჯერ აღებული, ბევრად ასუ-ლი: ბევრი ნიშნის 10,000; ბევრად ასული—ბევრი ასჯერ აღებული, ე. ი. მილიონი ენა უნდა მის ქებასო.
- ასული, ხ. 33, ტ. 1. —ქალიშვილი. ძირ. ქე, ვაჭიშვილი.
- ასუბარნა, ხ. 241, ტ. 2: არ ენანი აუბარნა—სიტყვები ვერ მოეხერხებინა სიტყვადო, აუბარნა, resp. აუბნა.
- ატლასი, ხ. 992, ტ. 2 6. 1414, ტ. 1. (არაბ. آتلس) — იგი-ვე მნიშვნელობა.
- აუგი, ხ. 359, ტ. 4; ხ. 1071, ტ. 2; ხ. 1211, ტ. 4.—სირ-ცხვილი.
- აფოლხევა, ხ. 378, ტ. 4. შეღავათის მიცემა, აშევა, შეხსნა რისამე.
- აქიმი, ხ. 644, ტ. 1. (არაბ. احمى)—მეურნადი.
- აღვსება, ხ. 536, ტ. 2. აღდგომის დღე (ორბ.)
- აღლუმი, ხ. 389, ტ. 2 (თ. ოსმ. اغلما) ჯარის ნახვა, ტასინჯვა.
- აუეი, ხ. 1124, ტ. 4. (არაბ. اءى مراءف. اءى) — ერთგვარი ძვირფასი ქვა, წითელი ფერის, წითელი მარჯანი, წი-თელი ფარღული, გინა უოველგვარი წითელი სამკაული.
- აშოკი, ხ. 25, ტ. 2; ხ. 348, ტ. 4; გ. 360, ტ. 4 ხ. 1067, ტ. 3; (არაბ. اشوك) ტრფიალი, გულის საყვარელი, მიჯნური, მოტრფიადე საყვარელი.



აწამწამე, ხ. 133, ტ. 1.—წამწამად აქტიუ.—გაიხადე, შუადრეთ, ხ. 1517, ტ. 4.: „ბროდ-ბადანში გადაწვეს და ცი-
შერი აწამწამეს“.

ახავს, ხ. 639, ტ. 3.—ჭკუნესის, ოხრავს, ახს იახის, სწუსს.

აჯა, ხ. 17, ტ. 3; ხ. 270, ტ. 1.—თხოვნა, ვედრება, შუადრა.

აჯილა, ხ. 1154, ტ. 4.: თეთრი თავსუფარი, ქაღების მოსაბურა-
ვი, თეთრი ბაღდადის თავსუფარი.

აჯილოსანი, ხ. 474, ტ. 2—აჯილაში შუოფი; ქაღი.

ბ.

ბაკე, ხ. 5, ტ. 2; —ტუზი; ხ. 598, ტ. 1.—პირი, კიდე.

ბადანში, ხ. 3, ტ. 2; ხ. 5, ტ. 3; ხ. 137, ტ. 2. (სპარს.
بادان)—ლალი.

ბადანშინი ხ. 1528, ტ. 2. (სპარს. باداند)—სუვეტესო ხარის-
ხის ლალი ბადანშინის მხარედან.

ბადრაგა, ხ. 1016, ტ. 2. (სპარს. بادراغ)— გამძღოლი, გზის მარ-
ველებელი, თანამგზავი.

ბაუთი, ხ. 1486, ტ. 4. (სომხ. բաւթ)—სამწუხარო ამბავი, ავი
გასატანი.

ბაზარი, ხ. 967, ტ. 4; 1436, ტ. 4 (სპარს. بازار) — იგივე
მნიშვნელობა.

ბაზიერი (ძარი სპარ. بازار სომხ. բազար) — ბაზოა დამგუშავი, მე-
მინოვე, შეშავარდნე.

ბაზმა=ბაზმი, ხ. 1495, ტ. 2 (სომხ. բազმა, բაզმակ) — სანა-
თი, ღამპარი, სკიშვი.

ბალიში, ხ. 1238, ტ. 3. (სპარს. باليش) — იგივე მნიშვნელობა.

ბაკმული, ხ. 226, ტ. 4; ბაკმიანი, ბაკმის მექონი; ბაკში, ხ.
ორბულიანის განმარტებით ნიშნავს მომრგვალებულს,
გინა ბაკს: სინთლის რკალი, მნათობების სიმრგველე.

ბანის ბანი, ხ. 1090, ტ. 3; ხ. 1253, ტ. 4; ბანს ზევით



- ადგილი, ცის ტატნობი, სახლის სახურავი, ცის გუმბათი; ბანის შესახებ იხ. T. P. IV, რმა; ჰერი, ცის თალი.
- ბარბითი, ხ. 178, ტ. 4; 472, ტ. 2. (ბერძნ. βαρβίτων, სპარს. بار دا بار) — სიმუბიანი საკრავი, ციტარა, ჩანგური.
- ბარგი, ხ. 171, ტ. 4; ხ. 1409, ტ. 1; წერაკითხვ. საზ. გამოც. შუგლომით „ტვირთად ვარკად“, უნდა იყოს-ტვირთად-ბარკად, ხ. 1553, ტ. 1 (სპ. بار) — ტვირთი, სიმძიმე, შწუსარება, საზრუნავი.
- ბარი, ხ. 275, ტ. 2. ხ. 397, ტ. 2 (არაბ. بار) — დაბლობი, ვაკე, ცის ქვეშეთი.
- ბარი, ხ. 1094, ტ. 4; მიწის საშუშაო იარაღი; მიწის სათხრელი, ნიადაგის გადასაბრუნებელი რკინის ნიწაფი.
- ბასრი, ხ. 424, ტ. 3 (სომხ. սուր — მახვილი, შტრული); — იგივე მნიშვნელობა. შტრული, ზირმოღესილი, მოზირული სამაგალითოდ.
- ბასრობა = გაბასრება (სომხ. բասրել) — შერცხვნა, სახელის გატეხა, გაკინება, T. P. IV, словарь, რნდ. აქედან გაბასრული, გაბასრულა და სხვ.
- ბაღი, (სპარს. باغ) — იგივე მნიშვნელობა, აქედან შემცირებული ბაღა (სპარს. باغ — ბაგნა) — იგივე მნიშვნელობა.
- ბატი, ხ. 1441, ტ. 2 (არაბ.-სპარ. بات) — იხვი; ბატი.
- ბეღითი, ხ. 23, ტ. 3; ხ. 364, ტ. 1; (სპარ. با) — ცული, ავი;
- ბეღი — ხვედრი, იღბალი, მოსავალი, წერა.
- ბევრი, ხ. 419, ტ. 1 (სომხ. բար) — 10,000; ბევრად ასული, ხ. 33, ტ. 4 მილიონი; ბევრის ბევრი, ხ. 266, ტ. 1; ხ. 1039, ტ. 3, ასი მილიონი; იხ. ხ. 1200, ტ. 4.
- ბერი, პროფ. მარრის აზრით, არის სპარსული بار — იხ. T. P. IV, გვ. რნდ, ibid. გვერდი 106, სტრ. 30; — მოხუცი, ხ. 546, 3; ციტრი-დამწიფებელი, დაკაკლებელი, ხ. 767, ტ. 1.



- ბილწი, ხ. 10, ტ. ხ. 130, ტ. 2. (სომხ. *պիլძ*) — არაწმიდა, vulg. ბილწი, -ცუდი, არამი.
- ბინდი, ტ. ხ. 762, ტ. 3. P.—ცოტა სიბნელე; სლამორეულე.
- ბისონი, ხ. 701, ტ. 4 (=ფისონი) ედემის შდინარე,
- ბოზი, ხ. 561, ტ. 4; ხ. 562, ტ. 1 (სომხ. *բոզ*) როსკიბი.
- ბნედა, ხ. 12, ტ. 3; ხ. 363, ტ. 3; ხ. 364, ტ. 1; — შწუხარებისათვის თავის შიგნმა. შწუხარებისგან გრძნობის დაკარგვა. უზომო დანადგეაიხება. ძაღლონის დაკარგვა.
- ბორით, (ბერძნ. Βορέας), 1432, ტ. 4. ჩრდილოეთის ქარი.
- ბორთი (სომხ. *բորთ*)— ავი, ცბიერი, მღვდაკა, გულბილწი, ავი სული, შავი.
- ბოლო (სპარს. *بلور*), ხ.ხ. 404.386. იგივე შნიშენულობა.
- ბუკი, ხ. 46, ტ. 3; ხ. 405, ტ. 1; (სპარს. *بوك*) — სამხედრო საუვიარი;
- ბულბული, ხ. 1231, ტ. 4; ხ. 1232, ტ. 4; (სპარს. *بلبل*) იგივე შნიშენულობა.
- ბუნება-ზიარი, ხ. 1087, ტ. 1—ღვთაებრივია.
- ბურჯა, ხ. 123, ტ. 2; 597, ტ. 1.—დათვარება რისაშე, ხურჯა.
- ბურთი, ხ. 67, ტ. 4 (სომხ. *բուրդ*—მატული)—სათამაშო, მრგვალი სხეული, იხ. Н. Марр. Т. Р, V, физиол. стр. 88. აქედან, ჩვენის აზრით, წარმოსდგება სიტყვა ბურტული.
- ბუჭი, ხ. 712, ტ. 4, ხ. 1121, ტ. 4 (სომხ. *բուր*) — ქარიანი თოვლი (საბა თრბ.).
- ბჭე, ხ. 1371, ტ. 2 1518, ტ. 2;—კარი; სასახლის კარი, სემეუთ დარბაზი.
- ბუ, ხ. 946, ტ. 4 (სპარს. *ب*)— იგივე შნიშენულობა.
- ბურჯი, ხ. 1371, ტ. 2. (სპარს. *بجر*) — სვეტი, ღვდა-ბოძი ციხე.

ბ.

- ბ—არსის ნაცვალის (ნაცვალ სახელის) თანხმოვანი ელემენტი.
- ბა—მიმართულების მარჯვენა: აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას შიგნიდან გარეთ; გარ. ბა, ხ. 1056, ტ. 4: გარეთ გავიდა.
- ბაზუარა, ხ. 435, ტ. 4—ამაღლა; გააღიდა, გააძლიერა. შუად. ბუნება—ზუარი, ხ. 1087, ტ. 1;—დიდბუნებოვანი, ღვთაებრივი, იხ. ამის შესახებ დ. კარიჭაშვილის განმარტება, გვ. 297.
- ბაკარა—, ხ. 224, ტ. 2.—გარეთ ამოიყვანა (თავი თვისი)
- ბაბასრულა, ბაბასრულად, ხ. 615, ტ. 2 ხ. 842, ტ. 4; ხ. 1053, ტ. 4; იხ. ბასრობა=გაბასრება.
- ბაგვა, ხ. 1289, ტ. 3; ბენადვლება; გვაგვა, ხ. 492, ტ. 4. გვენადვლება.
- ბაგრიდა, ხ. 894, ტ. 3.—მოგირიდა ჭირმან; არ ბაგრიდა ე. ი. ჭირმან არ მოგირიდა, დავიხელა, ხ. 889, ტ. 3. გამოტყუა; გამოუჩინა, გამოუფატრა, ხ. 743, ტ. 1.—დარცხვნილი გაიპარა.
- ბაგვიდა ხ. 171 ტ. 1, 2, 3, 4. შირველი ბაგვიდა განშორდა, გაკიდებანდა, შორე — გაჭებულა უკან გაკიდება, დაღვენება, შესამე — გაღარიბდა, თავის იმუდად დარჩნა (შეღავა), შოთხე — ზურგზე აკიდებული ქონდა გაქმნის ტვირთი, ე. ი. მისი საზრუნავი გამხდარიყო იგულისხმება სუფარდისთვის (თინათინი) ფიჭრა, კეჟანი.
- ბავაზი, ხ. 211, ტ. 2. (სმარ. ბავაზ), მიმინო, შავარდენი.
- ბამიწაშე, ხ. 133, ტ. 3.—სიციცხლის სურვილი განმიცხოველე, რწმენა განმიახლე, ისევ მანატრე სიციცხლეო (შუადარე ბ. კარიჭაშვილის განმარტება, იხ. გვ. 269, ²¹)
- ბაბს, ხ. 743, ტ. 3.—შერე გასვლისას, გამოთხოვებისას.
- ბაბდეს—ეკუთხობდეს, ეხადვლებოდეს, ახნდეს წელულად.
- ბარგა, ხ. 1056, ტ. 4. შემოკლებით განმოკლებული გარეთ გავიდა.



- გასაგანა, ხ. 355, ტ. 4. გარაზმული.
- გვირაბი, ხ. 1220. ტ. 4. 1221. ტ. 1. (სომხ *ვირრად*); ხერე-
ლი, თხრილი. T. P. V, § 17, XLV.
- გზეთსა, ხ. 511, ტ. 2—გზასა, გზად.
- გიშერი, ამ სიტყვას ბ. მარო ათავსებს ნასესხებ სიტყვებში,
თუმცა კი არ აღნიშნავს, საიდან არის ნასესხები, T. P.
IV, რნდ—შევი ქარვა.
- გლახ, ხ. 94. ტ. 2, 188 ტ. 2, 194. ტ. 4. სწულაო, საბრა-
ლო. იხ. ვაკლახ.
- გოლიათი, ხ. 1511. ტ. 2., — ფილისტიმელთა ფადავანი; ბუმ-
ბერაზი (დაბადება.).
- კანება, ხ. 58. ტ. 1, 125 ტ. 3, 473. ტ. 4, 504. ტ. 1,
882. ტ. 1, 1004 ტ. 2. ფიქრი, შოგონება.
- კორდი, ხ. 252. ტ. 4.—სათივე თოკი, თივის შესაკრავი საბე-
ლი (ორბ.), დვლეჭი.
- კულის კული, ხ. 795 ტ. 4.—უსაყვარლესი, უკვლახე სასურველი.
- კულსადაგი, ხ. 650, ტ. 1. ორი სიტყვაა კული და სადაგი და
აღნიშნავს კულწრფელს, იხ. სადაგი.
- კუნდი, (სომხ. *კონდი*)—იგივე შნიშენელობა; ჯარი, მხედრობა.
- კუშაგი, ხ. 1367, ტ. 4 (სომხ. ძირი *კონი*) მეთვალყურე, და-
რავი. მცველი, უარული. სომხურად ნიშნავს წინასწარ-
მცნობს, კულთმისანს.

ღ.

- ღ-მიმართულების მანქანებელი თანხმეანი ელეშენტი.
- და განუსაზღვრელის მიმართულების მანქანებელი ბრევიქსი.
- დაბლებული, ხ. 295, ტ. 1—აღმოდებული, ცეცხლ-მოკიდებული.
აღად ქცეული.
- დავლა—(დოვლათი). P. ხ. 777. ტ. 4, 1043. ტ. 4, 1416
ტ. (არაბ. - სძარს. *داوا*)—ბედნიერება, სიმდიდრე, ქო-
ნება.
- დარაკი, ხ. 1077 ტ. 3. (არაბ. *دارا*)—ფარი.



- დარჯა, ხ. 434. ტ. 1. (სპარ. *دار*)—შველი, კარული, შვე-
თელურე.
- დარჯაგი, ხ. 1194. ტ. 2.—სეარული; იხ. დარჯა.
- დარბაზი. ხ. 459 ტ. 2 (სომხ. *դարբազ*, სპარ. *دار*)—იგივე
მნიშვნელობა; სეკრებულო, სასახლე, კარი.
- დარგი, ხ. 19. ტ. 1—ნაწილი, განყოფილება, შტო.
- დარდი, ხ. 82, ტ. 4; 1500; ტ. (სპარს. *درد*)—წუხილი, მწუ-
ხარება. ტყვიანი.
- დარი, ხ. 275, 1, 4.—სწორი, მსგავსი.
- დარი, ხ. 595. ტ. 2.—კარგი ამინდი.
- დარშანი, ხ. 382. ტ. 2. (სპარს. *دراش*)—წამალი.
- დასი, ხ. 33 ტ. 2., 163 ტ. 2- (სომხ. *դաս*)—წება, კუნდი,
რიგი, ჯარი.
- დადაქი. (არაბ. *دادي*)—*دادي*—იგივე მნიშვნელობა.
- დასტაქარი=დასტაქარი; ხ. 510 ტ. 2, 874 ტ. 3. (სპარს.
دستار)—ჭრილობების ეჭიში, ქარურტი.
- დასტური, ხ. 129. ტ. 3, 448. ტ. 3., 575 ტ. 3. (სპარს.
دستور—სულ სხვას ნიშნავს: ვეზირი, დიდი მოურავი;
ნიშუში, წესი)—მართალი, ნამდვილი.
- დაფი.—(სპარ. *دف*, არაბ. *دف*)—დაირა.
- დალი.—ხ. 574. ტ. 3., 696. ტ. 3. (სპარ. *دل*) იგივე მნიშ-
ვნელობა.
- დევი, ხ. 98. ტ. 2, 638 ტ. 1, 1340 ტ. 3., 1344. ტ. 3.
(სომხ. *դե* სპარ. *دو*)—ჭაჭი, ეშმა, გოლიათი, მძღავრა.
- დეზი. ხ. 211, ტ. 3.—ცხენის საჩხვლეტული ნემსებიახი ბორბა-
ლი ქუსლზე მისაკრავი, ცხენის საჩხვლეტული, ს. ორ-
ბელ. 9,5 საქ. შიგ.
- დესი, ხ. 248 ტ. 4.—შედარებითი ხარისხი სიტუვისკან და;
დის მუთბი.
- დილაჯი ხ. 813 ტ. 2.—წვალი (ო.) წეარო, შდინარე (თ). იხ.
დიჯლა.
- დიჯლა, ხ. 830 ტ. 3 ანუ დილაჯი ხ. 813 ტ. 2. იხ. საკუთა-
რის სახელების განმარტება.



- დოსტაქანი, ხ. 473 ტ. 1., 1144. ტ. 1. (სმარს. *დოსტაქანი*) — დიდი ღვინის თასი. *دستگاه* — ღვინო, ან სხვა მკვარი სსმული, რომელსაც სადღეგრძელოდ სმენ შეუღლისში.
- დრაკანი (დრაჭკანი), ხ. 456 ტ. 1. — ძველებური ფული.
- დრამა, ხ. 371 ტ. 3, 528 ტ. 3; 573. ტ. 3, 668 ტ. 4. სომხ. *դրամ*) — ფული, შუადრე ბერძნ. *δραχμή* — წონა-ბერძ. = 3 გრამი, 24 ტენტიგრ. ბერძნ. ფული, რომელიც წინედ ღირდა 17 კაპ., დღეს კი 6 შაურამდე ღირს.
- დრამა. ხ. 390 ტ. 1. 3016 ტ. 3. (სომხ. *դրամակ, դրամ*) — ადამი, ბაირაღი, ნიშანი.
- დურად, ხ. 1105. ტ. 1. — როგორც დამ, დის მსგავსად.
- დურაფი, ხ. 330. ტ. 1, 331. ტ. 4; 332 ტ. 3. (არაბ. *درا*) — კარეული ფრინველი; ტუის ქათამიყით
- დუხჭირა, ხ. 126 ტ. 1, 673 ტ. 2. უშნო, ნასი. ზროფ. მარს მითაფსებული აქვს ნასუსსებ სიტყვებში, T. P., IV, რნე, იხ. ამის შესახებ *ibid.* გვ. 106, სტრ. 19.

ქ.

- ქარსის ნაცვადის ხმოვანი ელემენტი; გულით ხასროლი.
- ქანი, ხ. 1100 ტ. 3. საკრავია. დაფი.
- ქბი, ხ. 16, ტ. 4. — ქს+ქბი, ქ. ი. უველაფერა ქს დაშმართოს ღადმან და ღამაზმან.
- ქეკმა, ხ. 50, ტ. 1, ხ. 77, ტ. 4. (სომხ. *կեկմ*, ბერძ. *Κεκέμ*) — სამთხის ბადი.
- ქვარდებოდა, ხ. 1328, ტ. 3. — იხ. ზარდ.
- ქზროს, ხ. 176, ტ. 1, თეიმურაზი სამართლიანად აწარმოებს მას სიტყვისაგან აზრი, ქზროს ნიშნავს, ეთანხმება, ასე ფიქრობს, აზრობს ბრძენი დიონისიცი.
- ქუერი, ხ. 283. ტ. 4. (ბერძნ. *κέρη*) — ჭაბრთაკანი, თხელი ჭაერი ცის სივრცეში, T. P., IV, რნე.



- ეორების. ხ. 139. ტ. 3. ელანდება, ეგეება, ტ. 4: უბუნება
 მწესარება ჭირი ერთი ოცად ემცევაო. შეადარე ხ. 1551.
 ტაუშები-შე 2 და შე 3.
- ეფენი, ხ. 772. ტ. 3, P. —საქლარუნებელი, საწკარუნებელი;
 საქლერია (ორბ. 39; 23 გამოსვლა).
- ერდო, ხ. 383 ტ. 3. სახლსა ზედა კერძო ბანი (ორბ. 2 შეფეთა
 9,25), — ბანი.
- ერლი, ხ. 269. ტ. 1, 1175. ტ. 3, 1513. ტ. 3; ბედის ვარსკ-
 ვლაეი, 12 ზოდიაქო და 7 ცდომილი ვარსკვლავი (სა-
 ბა ორბ.); კრებული (ვარსკვ.)
- ეშმა, ხ. 110 ტ. 3., 113 ტ. 3. ეშმაკი, მავნე, ბოროტი სული.
- ეჭიმი, ხ. 340 ტ. 1, 614 ტ. 1. (არაბ. عجم) — მკურნალი.
- ეჭი, ხ. 462 ტ. 3; 930. ტ. 2, — ბილაეი, ვაწრო და მიხვეულ-
 მიხვეული გზა. საცადფეხო მოსაჭრელი გზა. სიკრძის
 ზომა 60,000 ბიჯი (წუბ.) სიმი შილი (ო. თ.)
- ეჭიმი, ხ. 141. ტ. 1, (არაბ. عجم, ძირი عجم) — მეფის მხლე-
 ბელი, შირის ფარეში, შეკარე; კარის კაცი.

3.

არსის ნაცვალის თანხმოვანი ელემენტი.

- ვა, ხ. 336 ტ. 3, 398. ტ. 3, 597. ტ. 4, 1123. ტ. 4. —
 გულით ნასროლი; რუსთველის კეფხის ტუაოსანში იგი
 იბრუნვის ისე როგორც ხმოვანი საფუძვლის არსის სა-
 ხელი: ვა, ვისა ვასა და სხვ. იგივე რითმისთვის დერ-
 თვის ხშირად სატყეებს ბოლოში: დიანურვა, ხ. 597,
 ტ. 4. იღუმადვა, ხ. 398, ტ. 3. ვაგლახ შე ვა! და სხვ:
- ვაგლახ, ხ. 111 ტ. 3, 250. ტ. 4. ვაი შე უბედურა...
- ვადა, ხ. 1222, ტ. 1. შეცდომით კითხულობენ: იხ. შაკრ და
 შეად. ხ. 678, ტ. 4.
- ვაზირი, ხ. 795 ტ. 1. (არაბ. وزير) — იგივე მნიშვნელობა.
- ვალი, ხ. 146 ტ. 3., 330, ტ. 3. ჭირი, ჭირგარდახდილობა;
 მწესარება.



- ვაში, ხ. 100. ტ. 2, 483 ტ. 2, — ვაიშე, (ს. ორბ.) ვაშქი-ვაშქი
ხილი.
- ვარდი, ხ. 418 ტ. 3, 466 ტ. 3, 874. ტ. 2, (სომხ. վարդ,
არაბ. -სხარსული ٧١, syn. ٢٢) — იგივე მნიშვნელობა.
- ვაგაქიღენით, ხ. 198. ტ. 3. (ძირი სჯ.) — ვეჭალობა გავსწიეთ,
იხ. ვაჭილი.
- ვაჭილი (არაბ. سچي) — ადვოკატი, ვეჭილი, მოსარჩლე, მოციქული,
წარმომადგენელი
- ვაცი, ხ. 223. ტ. 4, 1128 ტ. 3. — მამალი თხა
- ვაშად, ხ. 290 ტ. 1, 379. ტ. 3. — კეთილად, მშვიდობით.
- ვანი (სომხ վան) სახლი, სადგური, სამუოფი, საცხოვრებელი.
მონასტერი, თავშესაფარი.
- ვაშობს, ხ. 757. ტ. 4. ოხრავს, ჰკენესის, მოსთქვამს.
- ვაჭარი, ხ. 1008. ტ. 4, 1010. ტ. I, 1019 ტ. 1, 1032.
ტ. 1, 1045 ტ. 1. 1051 ტ. 1, 1437 ტ. 1. და სხვ.
(სომხ. վաճառ).
- ვება=ვაის ძახილი.
- ველი, ხ. 77, ტ. 1, 3. ხ. 956, ტ. 3. და სხვ. სომხ. վայր, იგივე
მნიშვნელობა.
- ვეშაში, ხ. 1136 ტ. 4, (სომხ. վիշապ) — ბურძნ. ბრძახავ — ნიანგი.
- ვირ, ვირე, ვირემ, ვირეს ხ. 1452 ტ. 4; 400 ტ. 3; 193 ტ.
1; ხ. 28 ტ. 4. — სანამ; ვიდრემდის; ამ დრომდე, სანამ.

ვ.

- ვადი, ხ. 116. ტ. 4, ნაკლი; 1468. ტ. 1.
- ვაეი, ხ. 307 ტ. 3. კარიგება, მშვიდობის ზირობის დადება. მუო-
მარის სახელმწიფოების შერიგება.
- ვათქი. ხ. 957 ტ. 2. (ისი ვისია ხმა ვათქისა და ვარისა)? 1157.
ტ. 1. დიდი ხმაურობა. ზრიალი, ვახილი.
- ვაში — (სხარს. ٧١) — ვაება, დიდი და გასაოცარი, საშინელი აშმაგი,
ხანა 372, ტ. 4 = ვეში.
- ვაშთარი (სხარს. — ٧١) — იგივე მნიშვნელობა.



- ზანგი, ხ. 120. ტ. 2; 1253. ტ. 2. 1117, ტ. 2. (სპარს. زنگی) - კვავიბტელი, კითხვა, შავი მონა; ნჯერი.
- ზარადი, ხ. 1135 ტ. 4. (სპარს. زراد = სომხ. զար) თავზე დასარქმედი რკინის სჭურველი ბრძოლის დროს
- ზარადხანა, ხ. 1343 ტ. 2 იარაღის, ზარადის, აბჯრის სწყობი და სკეტებელი სხელი.
- ზარდ (კზარდუბოდა,) ხ. 1328. ტ. 3. — სომხ. ძირია զարդ — სელამაზე, სამკაული, მორთულობა, კაზმა.
- ზარი, ხ. 308. ტ. 2; 323. ტ. 3; 334 ტ. 4; 568 ტ. 1. (სომხ. զար, (զար) საშინელება; შიშის ზარი.
- ზარი, ხ. 957. ტ. 2; 1053. 1; 1156. 3; 1157 ტ. 1; კივი-ნა დიდი ხმაურობა; 73. ტ. 3, 303 ტ. 3; 313. ტ. 2, — სკერთო ხმაურობა, დიდი რამ სანახობა; აურ-ზაური.
- ზარქში, ხ. 595 ტ. 4. (სპარს. زارش) — თქროს ქსოვილი, თქრო-შკედი; თქროს ფარჩეულობა.
- ზაფრანა, ხ. 346 ტ. 1; 1135 ტ. 4; 484. ტ. 2; 1255, ტ. 4. (სომხ. զափրան, სპარს. زعفران) — იგივე შნიშენე-ლობა.
- ზეიმი, ხ. 73. ტ. 3; 303 ტ. 3; 305. ტ. 1; 313 ტ. 2; 326. ტ. 3. დიდი რამ ამბავი; სკანკებო რამ ამბავი. იხ. ზამი.
- ზეთი, ხ. (სომხ. ձէթ) — იგივე შნიშენელობა.
- ზენა, ხ. 291 ტ. 3. — ზეციური, უმაღლესი, დეთაებრივი; აღ-მოსავლეთის ქარი.
- ზენარი, ხ. 384 ტ. 2, დმერთმანი, დეთის სხელზე დავიციების ფორმა ზენარი, 407 ტ. 3; 688 ტ. 1, 718 ტ. 3; 1194 ტ. 4. — ფიცი.
- ზენი, ხ. 1525 ტ. 1; შაღალი, ზენას მუთფი, კურთხეული.
- ზესი, ხ. 771 ტ. 4; 1149 ტ. 4. შაღალი, ზეციური, ცთა შინა მუთფი.
- ზიანი, ხ. 448, 808 და სხვ. (სპარს. زيان) — იგივე შნიშენელობა; უნება.
- ზომი, ხ. 270 ტ. 4; 317 ტ. 3 — ზომი.



- ზრახვა, ხ. 405, ტ. 3; 804, ტ. 4; 100, ტ. 4; 409, ტ. 1; — ღაზარაკი; ცუდი ფიქრი, გაკიცხვა სიტყვით.
- ზუალი. ხ. 338 ტ. 1; 1397. ტ. 2. (არაბ. *حز* = vulg. *حاز*) — ცთომილი ვარსკვლავი, სატურნი.
- ზღვათაცა შესართუი, ხ. 218, ტ. 3; - შესამაღი, ხ. 259, ტ. 3 — დიდი მდინარე.
- ზურმუხტი, წ. 345, ტ. 4. (სპარს. *زهره*) იგივე მნიშვნელობა.

თ.

- თ — არსის ნაცვალეობრივი თანხმოვანი ელემენტი, აღნიშნავს სიმრავლეს.
- თათი, ხ. 1052, ტ. 3. (სომხ. *թաթ*) — ხელის მტევანი, დათვის ან სხვა უწლიაქო ცხოველის ფეხი; შუად. თათი.
- თათობრი, ხ. 1367, ტ. 1; 1373, ტ. 3; 1384, ტ. 2. (არაბ. *تات*) — ტუტმა, ურადობა, რჩევა; შმართველობა.
- თამაში (სპარს. *تاما*) — იგივე მნიშვნელობა.
- თასი (სპარს. *تاس*) — იგივე მნიშვნელობა.
- თხეში, ხ. 1346, ტ. 3. — მთის მწვერვალი, თავის საქაირე; უღუღუტხილი.
- თარგმანი, ხ. 16, ტ. 2 (სომხ. *թարգման*, არაბ. *تارجمان*) იგ. მნ.

ო.

- ო. — არსის ნაცვალის ხმოვანი ელემენტი.
- ოა — გაზაფხულის ვეკვილია.
- ოაგუნდი, ხ. 318, ტ. 2; 1527, ტ. 1 (არაბ. *وات*) — იგივე მნიშვნელობა; ძვირფასი ქვა.
- ოადონი, ხ. 648, ტ. 1 (ბერძნ. *ὄρνις*) — ბუღბუღი.
- ოავარ, ხ. 1081, ტ. 2 (სომხ. *օավար*) — ნადავლი, ნაშთივარი, ნაძარცვი, იხ. T. P. IV, რგ.
- ოღუმაღი, ხ. 259, ტ. — ჩუმი, დაფარული.

იღუმად, ხ. 398, ტ. 3.—ჩუმად, საიდუმლოდ, ფარულად, მალე.
იუფი—აფი, ხ. 134, ტ. 4.—უხვი, მრავალი, ადვილი საშოვნე-
ლი, უფასური, შეად. თათრ. ოსმანური—სს—იგივე
მნიშვნელობა.

იუფო—იუფი, ხ. 147, ტ. 2, შეად. დაზო—დაზი.

იე, ხ. 1249, ტ. 4.—resp. იე.

ითხეს, ხ. 1400, ტ. 4.—ითხებად აქციეს. შეად. იშულეს (იქვე);
ირმოს, ითხოს, ხ. 649, ტ. 2. შეად. აგრეთვე ხ. 579,
ტ. 3. იგი შტურნი გამილომდეს, აქამდისა რომე ვით-
ხენ.

ილაჯი (არაბ. عِلا) — წამალი, ღონის ძიება, საშუალება.

იმუდი, ხ. 1037, ტ. 2; 752, ტ. 2; 1015, ტ. 3. და სხვ.
(სპარს. امد) — იგივე მნიშვნელობა.

ინდო, ხ. 373, ტ. 2, (ჰინდო) ინდოელი (სპარს. اهند—ჰინდო).

ირო.—იროს, ხ. 863, ტ. 2 ირები ხ. 805, ტ. 1. ვირები ხ.
411, ტ. 4. ვარო ხ. 519, ტ. 3. აროს, ხ.
749, ტ. 3. ვარებ, ხ. 273, ტ. 2; არუ მარე, ხ.
1508, ტ. 4.—ზმნისაგან რება.

ირმოს იხ. ითხეს.

იოტა, ხ. 816, ტ. 3. (ბერძნ. ἰωτα)—ასო jota, ხაზი; იოტის
წამი—თვალის დახამხამება, წუთი.

იშისა, ხ. 323, ტ. 4.—იშ არის სიხარულის გძრნობის გამოი-
ხატველი გუღითხასროლი; შექქმნეს ხსენება იშისა, ე. ი.
იწუეს გახარება, გაიხარეს (მტრებმა), იხ. აგრეთვე ხ.
1184, ტ. 4. აქან სცდება ბ. კარიჭაშვილი.

იჩქითი, ხ. 401 ტ. 2.—მაღი, სწრაფი, მოულოდნელი; მუისი
(არაბ.) იხ. ამირან-დარეჯ., გვ. 218, ხ. ტ. რ. 25;
ibid; გვ. 270, ხ. ტ. რ. 3.

ქ.

კადნიერი, ხ. 65, ტ. 2 (ძირი არაბ. كاد) — თავხედი, უზრდე-
ლი, მოურიდეტელი.



- კადრება), ხ. 65 ტ. 3, 739 ტ. 3. (ძირა არაბ. *كادر*)—შე-
ბუდვა, უნგრისის მოხსენება უფროსისთვის.
- კაქანი, ხ. 171 ტ. 4, 303 ტ. 1.—ღარდა, სიმძიმადი, მწუ-
ხარება, სევდა.
- კაზმა ხ. 1099, ტ. 3, (სომხ. *կազմ*)—რთვა, წეობა, დამაზო-
ბა, კონტაობა.
- კავშირი, ხ. 864 ტ.—კაცის სხეულის ნაწილი; კდეშენტი; დამო-
კიდებულება, ერთობა.
- კაკაბი, ხ. 227, ტ. 3; 228, ტ. 2 (სპარს. *کاکب*, სომხ. *կարპი*)
- კალაში, (არაბ. *كلس*)—იგივე შნიშენულობა.
- კანჯარი, ხ. 75, ტ. 2; კარეული ვირი (თ. ოსმ. *كاجان*).
- კაპანი, ხ. 388 ტ. 4. (სომხ. *կაպან*)—უღელტეხილი, ხეობა,
ღრენი; ქვადოჯი (საბა ორბ.).
- კაპარჭი, ხ. 93, ტ. 2; 259, 2. (სომხ *կაպარճ*)—ისართ ბუდე
კარ-განსმული, ხ. 226, ტ. 2. კარ-გადებუდი, კარ-ღია.
- კარგი (სომხ. *կარգ*)—რიგიანი, წესიერი.
- კატაბა, ხ. 463 ტ. 4. (არაბ *كاتب*)—ტეული. T. P. IV, 106,
II, 1 საბა ორბუღიანს, და, მაშასადამე, ბ. კარიჭა
შეიღსნაც, შენდომით აქვს კატაბას მაგიერად კატაბანი,
კატაბანი შრავლობითი რიგხვია სიტყვის კატაბა.
- კატარღა, ხ. 596, ტ. 2. (თურქ. *كاتار*)—საბრძოლველი ნავი, ან
ხომალდი.
- კაუა, ხ. 1392, ტ. 3.—ჭრა, კეპა, ჩეს, აარადით აგუწვა.
- კანრიელი ხ. 636, ტ. 2.—აღამაანთა, კანთან, კანიანი, opp.
უკანური.
- კეისარობა, ხ. 306, ტ. 4.—ხელმწიფობა, იხ. კეისარი.
- კეისარი, (სპარს. *كيسر* ბერძნული *καισαρ*, სომხ. *կაისარ*, სირ.
კესარ, *)—ხელმწიფე, თვითმპრობელი.
- კეკლეუცი, ხ. 29, ტ. 4. 389, ტ. 1; 1439 ტ. 2;—კონტა,
დამაზი, ტურფა-ნაზი.

*) სირიული ასოები ვერ ვიშოვეთ.

- კენარი. ხ. 50 ტ. 1;—შნოიანი ტანის, ღამაზი მოყვანილობა; კვეთა—ჭრა, მახვია, გამწვეტანება; წვეტა; თღა.
- კეტო, ხ. 1020, ტ. 2; 1021, ტ. 4;—გრძელი და მომსხო ხელ-
 ვიხი.
- კვლადი, ხ. 1182, ტ. 1.—წივე სხვადა.
- კიდუკანი, ხ. 1125, ტ. 4; ხ. 1161, ტ. 2; ხ. 1171, ტ. 1.—
 სხვა, კიდვე, გარდა, გარეშე.
- კიდის კიდობა, 1464, ტ. 4. განშორება, წამოშორება, თავის-
 თავის უფინა.
- კიდეს (საუბარი): ხ. 1008; ტ. 4—გაბებს (მუსიაივი), საუბარი
 ჰკადრეს.
- კიდობანი, ხ. 564 ტ. 2. 608 ტ. 4. 1109 ტ. 1; 1343 ტ. 4;
 1345 ტ. 1. (სომხ. *ասպոն*). T. P. IV, 666.
 იგივე მნიშვნელობა.
- კისკასი, ხ. 1372, ტ. 2.—მარდი, შკვირცხლი.
- კოშკი, ხ. 504, ტ. 2; 319 ტ. 1; 520, 1. (სპარ. *كوشك*)—მა-
 ლალი ციხე.
- კონებით, ხ. 1551, ტ. 1—კონით, licent. poet.
- კოთობა, ხ. 664, ტ. 3; ხ. 850, ტ. 3; ხ. 609, ტ. 3; ხ.
 705, ტ. 8.—სროლა, ტუორნა, კიაფი, ციმცომა, თა-
 მაში, წახცახი, შიში, ფრთხობა, სხლეტა; გამოფხან-
 ლება, უგრად შებტომა, დაფუტება, თრთოლა, ხ. 228,
 2,—ხ. 1408, ტ. 2. გაკვირება.
- კოთომიდი, ხ. 1512, ტ. 2—მოსხლეტალი, გამოტუორნალი,
 მოშწედარი.
- კრძღვა,—რიდი, მორიდება.
- კუბო, ხ. 365, ტ. 3—ქალის, გინა კანის წასაჯდომი, აქლემის
 ასაკიდებელი, ან ხელით სატარებელი; ტანტრეკაი.
- კუშტი(+ობა), ხ. 10, ტ. 2, 206 ტ. 3. 1209, ტ. 3; 1462,
 ტ. 2;—შწერალი, სხე-შწერალი; გულმოსული, ახ.
 ქუში.

ლ.

- ლაგამი, ხ. 84, ტ. 3, 221, ტ. 3. (სპარს. لگام) — აღვარი.
 ცხენის პირში ამოსადები თავის მოსაკავეებლად.
- ლაღი, ხ. 138, ტ. 2; 204, ტ. 1; 318, ტ. 2; (სპარს. لا, არაბ. لاه) იგივე შინაშენელობა, ძვირფასი ქვა.
- ღამაზობა, ხ. 1099, ტ. 3. კოსტაობა; რთვა; შრანტვა.
- ღამვა, ხ. 352, ტ. 2; ხ. 1085, ტ. 1; ხ. 970, ტ. 2, ს. 1552, ტ. 3 ხ. 877, ტ. 1; ხ. 923, ტ. 4. შონდომება; სურვილი, მისწრაფება; ვლამი-ვაშირობ რასზე.
- ღამი, ხ. 923, ტ. 2. ხ. 1085 ტ. 4; ხ. 1874, ტ. 2; 865, ტ. 4. ხ. 1138, ტ. 1. — ღვარი, წვიმა, ცვარი; ხ. 1552, ტ. 2; დუღამე — დავასველე, მოვრწყე; საღამე-დასასვლელი, მოსარწყავი, მოსაღვარი.
- ღაჟვარდი, ხ. 934, ტ. 2; 1255 ტ. 4. (სპარს. اراجله არაბ. اراجله) — ცის ფერი, ღურჭი.
- ღარი, ხ. 54, ტ. 4; ხ. 601, ტ. 4; ხ. 1000, ტ. 2; ხ. 1034, ტ. 2; აბრეშუმეული, ფარხეული; ქონება, ხაზინა.
- ღარულად, ხ. 446, ტ. 3; — ღარის ქსოვილივით.
- ღაღი, ხ. 16, ტ. 4; ხ. 34, ტ. 3; ხ. 383, ტ. 3. (სპარს. لگه) — ამაუი, თამაში.
- ღაუფობა, ხ. 1574, ტ. 4. — (არაბ. لاف) — ხუმრობა, შექცევა, ცართობა.
- ღაშქარი, (სპარს. لاش) — ჯარი, მხედრობა; არმია.
- ღაღიციება, ხ. 1131, ტ. 1 — ხუმრობა, კომწიაობა, მისიეყარულება.
- ღებუდი, ხ. 295, ტ. 3. იხ. ღები.
- ღები, ხ. 295, ტ. 3. ხ. 482, ტ. 2; ხ. 759, ტ. 2; ხ. 1005, ტ. 3. ნაცემა, ცემისგან დაღურჯებული ხორცის კანი
- ღელი, ხ. 1396, ტ. 3 — ღელწამი.
- ღექსი. ხ. 947, ტ. 4. (ბერძნ. λήξις).
- ღიზღობა, ხ. 1059, ტ. 2. — ღაჭყდი. ცბიერი აღერსი, ფერება.
- ღილა, ხ. 385, ტ. 3. (სპარს. لپه) — იგივე შინაშენელობა;

- ლიტრა, ხ. 998, ტ. 3.—ზომა, სწვაო, (სომხ. *litra*).
- ღმობა, ხ. 38, ტ. 3; ტკენა, ტკივილი, წვალება, დასჯა; აქედან
მობილი, 829, 2.
- ღმობიერი, ხ. 454, ტ. 3 (ძირი ღმობა, აქედან საღმობა—ტკი-
ვილი) — გულშემტკივარი.
- ღოღი, ხ. 263, ტ. საფლავის დასაფარავი ქვა. მთლიანი უძარ-
მასარი ქვა.
- ღომი (ბერძ. *λίαν*) — იგივე მნიშვნელობა
- ღტობა, ხ. 899, ტ. 2, ხ. 1257, ტ. 2, — ღმობა, სველება.
- ღუგმა, ხ. 903, ტ. 4. (არაბ. *كامل*) — იგივე მნიშვნელობა.
- ღუსკუმა, ხ. 1345, ტ. 4. (ბერძნ. *γλωσσόκομος*, სირ. *gluskma*,
იხ. Н. МаррЪ. Т. Р. IV, რნზ, მისივე Жит.
Петра Ивера; II, 29, ქართული ტექსტი.) — კუბო,
ზანღუეი, კადობანი.

მ.

- მ.—არსის ნაცვალის თანხმობანი ელემენტი.
- მაგრ, მაგრა—ხ. 1222, ტ. 1, — მაგრამ: მაგრ ავადამან—მაგრამ
ავადმოფმა, დასკედაინებულმა, დაწყურებულმა.
- მაღესა, ხ. 558, ტ. 1.—ვინ დაღ გაუნენია: ნემთვის დმერთისო,
შეად. შიდა.
- მათრანო (სომხ. *մարակ*), ხ. 204, ტ. 4, 44, ტ. 4, 97, ტ.
1, ხ. 1390 ტ. 1 და სხვ.—იგივე მნიშვნელობა.
- მამაცი, ხ. 410, ტ. 1; 510, ტ. 3; ხ. 780, ტ. 1. ხ. 890,
ტ. 2; ხ. 911, ტ. 1.—მამაცი, opp. დაცი: მამაკაცი,
მხნე და მარჯვე.
- მანა, ხ. 378, ტ. 3.—მადო, ღურსმანი, რომელიც ჟაჭვზეა
მიბმული (თ.); მადო (ორბ.).
- მანგი, ხ. 120, ტ. 4; (სპარს. *منگه*)—მთვარე, იხ. Н. МаррЪ,
IV, რნზ.
- მანდილი, ხ. 1506, ტ. 2. (*ماندلی*) შირის დასაბურავი, ხელმანდი-
ლი — ხელსახოცი.

- მანდიკურად, ხ. 433, ტ. 3. იხ. მანდიკი.
- მანდიკი, (ლათ. *manica*) — ხურჯინი, იხ. Н, Марръ. Сборники притчъ Вардана, Ч. I, стр. 494.
- მარგალიტი, ხ. 1534, ტ. 3; (სომ. *მარგარით*, ბერძნ. *μαργαριτης*) — ძვირფასი ქვა; თვალი ზატისანნი.
- მარგი, ხ. 19, ტ. 2; ხ. 1553, ტ. 4. — სსარგებლო, სჭარო, სსურველი.
- მარზაზანი, ხ. 388, ტ. 1. (სომხ. *მარჯაჲան*, სპარს. *مارزبان*) — მონაცვლე (თ.), განაპირა კუთხის მმართველი, უფროსი.
- მარეკი ხ. 261, ტ. 4. — ნადირის მოსარეკად დაეუნებული, დანიშნული კაცი, შეად მრეკელი, ხ. 585, ტ. 2.
- მარხი, ხ. 940, ტ. 1. (ჯარ.) — მარხი, ცოთშილი ვარსკვლავი.
- მასხინძლობა — კვეთა, ხ. 1473, ტ. 2. გულუხვის მასხინძლისათვის თლა.
- მაქა, ხ. 1144, ტ. 3. (არაბ. *مخ*) — მაქა, არაბეთის წმიდაქალაქი.
- მადრიბული, 1165, ტ. 2. იხ. მადრიბი.
- მადრიბი (არაბ. *مدراب*) — დასუფლეთი.
- მაყარი, ხ. 600, ტ. 4; (ამყარხა); 1529, ტ. 4. — შეუფ დედოფლის დამამშვენებელი მსღებელი, გამყოლი საქორწილოდ.
- მაჭარი, ხ. 1010 ტ. 2. (სომხ. *մաճար*) — ხალი ღვინო, დაუუნებელი, დაუვარგებელი.
- მახალი, ხ. 991, ტ. 1. — საუკეთესო სსსმელი.
- მახვა, ხ. 493, ტ. 4. ხ. 1309, ტ. 4. — მირვა, ღვსვა.
- მახმული, ხ. 1535, ტ. 3. — მახმური (არაბ. *مخمر*) — მახმური, შოფრალი.
- მახმურად, ხ. 913, ტ. 3. იხ. მახმული.
- მაყა, ხ. 644, ტ. 2; მელავსა და მტევანს შუა საფეთქელი.
- მაჰმადი, იხ. საკუთარის სახელების განმარტება.
- მბეჭველი, ხ. 780, ტ. 3. — მქსოველი, ამომხვევი, ზმინისგან ბეჭვა.
- მგამა- ხ. 1312, ტ. 4, იხ. ტატვა.
- მგოსანი, ხ. 119, ტ. 2 (სომხ. *գոսան*) — მტკლობელი, მომღერალი.



- მდეგელი, 1213, ტ. 3; — გარდაშენებული, აღმასრულებელი მძღველი. შუა. ხ. 1016 ტ. 3.
- მდენნი, ხ. 924, ტ. 1 — მდენნი — მღვრენი, შუა. ხ. 874, ტ. 1 და 2; მირასა, მცირასა. ხ. 671, ტ. 3. — მინამან — მინამა, ე. ი. დასველა და სხვა თავისუფალი ადგილები.
- მეკეთა, ხ. 411, ტ. 1 — მომეწონა, მომავიდა ჭკუაში.
- მეკობრე, ხ. 54, ტ. 4; 193, ტ. 3; 195, ტ. 1; 1012, ტ. 3; 1016, ტ. 3; 1019, ტ. 4. 1031, ტ. 1; — მტარე ბელი, ზღვის ეზილი, ზირატი.
- მერეფე, ხ. 666, ტ. 4. — სტუმარი, დამსწრე.
- მელანი (სომხ. *მელიანი*, ბერძნ. *μέλαν*) იგივე მნიშვნელობა იხ. H. Mapp. T. P. IV. 666.
- მემახული, ხ. 804, ტ. 3. მახვილი, მკვეთრი, კმირული, საგმირო, იხ. მახვი.
- მემაჯანი. ხ. 255, ტ. 2; მამაბუნებელი (ორბ.), მადლი და წერილი (წ.) მოხდენილი; კობტა.
- მენა, ხ. 681, ტ. 2; (სწარს. *ა**) სამეოფი, სადგომი, სახლი, თავშესაფარი.
- მეოტი, ხ. 1363, ტ. 2; — გაქცეული.
- მერანი, ხ. 96, ტ. 3. — შავი ცხენი, თოხანიცა ცხენი (თ.)
- მესაკსე, ხ. 1526, ტ. 1. — უხევი, სრული. სვიანი.
- მეუნებლე, ხ. 258, ტ. 3 - უნებური; წინააღმდეგე, ურჩი.
- მეძავი, ხ. 10, ტ. 1. — ბოზი, მრუში.
- მეჭველი, ხ. 780, ტ. 2 (ძირი ეჭვი). — მათეპრალი, შიშში მყოფი. შიშის მქონებული
- მზარავი, ხ. 302, ტ. 1. — თავსარდამცემა; შიშის მკვრელი; ხ. 1489, ტ. 2. მხიბლავი. ამყრელი.
- მზაკეფი, ხ. 916, ტ. 1; - კვირა, შვიდეული. აქ ლექსისთვის არის ხმარებული.
- მზიან-მრდილი, ხ. 846, ტ. 2. — მშვენიერი (ველი) სანდილობელი ხეობით.
- მზირი, ხ. 416, ტ. 3. — ჯაშუში, მზეკრავი.
- მზობა, ხ. 2114, ტ. 2 — მზედ ეოფნა; ხ. 1114. ტ. 4 — ძიება, ეურება.



- მთვარებლად, ხ. 207, ტ. 2.—მთვარის მსგავსად, მრგვალებლად, იხ. ხ. 801, ტ. 2.
- მი.-მიმართულების მანქანებულა, გვიანგებს წყნადან სხვა ადგილი-საკენ მოქმედების მიმართულებას.
- მიადროვებს, ხ. 1309, ტ. 1.—მიათხარავებს, მიატყდებს, იხ. ცოცხა.
- მიაზრა, ხ. 520, ტ. 4. საქმე მიაზრა-სარწმუნოდ შეწვევა, შერწმუნა, შუად. ამ საქმეს ეზროს, ხ. 176, ტ. 1; იხ. ეზროს; მიაწარებს—იხ. მირათა.
- მიგზითა, ხ. 131, ტ. (არაბ. *الطريق*), სომხ. *մղիկի*, სირიული ექვავაღნტი, იხ. H. Mappx. T. P. IV, რნს.
- მიდამო, ხ. 228, ტ. 2. აქეთ-იქით. იხ. აგრეთვე ხანა 1451, ტ. 4. მიდამო რბენანი.
- მიდამოდა, ხ. 703, ტ. 3. ძაღლთა სრბოლა მიდამოდა: აქ კავშირი და გადატანილია რითმისთვის ფრაზის ბოლოში, მაშინ როდესაც ის უნდა აკავშირებდეს წინადადებებს: „შესესა ქორნი აბნელებდეს“ და „ძაღლთა მიდამო სრბოლა“—ო; ბ. კარიჭაშვილი კი სთხზავს რაღაც არ არსებულ სიტყვას „მიდამებს“. იხ. გვ. 322.
- მიდგომილი, ხ. 164, ტ. 3.—მიმყოლი, მორჩილი. ჩემისა სწადისა (სურვილის) მიმყოფნო, მორჩილნო, ამსრულე-ბელნო.
- მიდია, ხ. 1419, ტ. 1—დად გამიხდა, შუად. მადესა, ღურად, დება, ხ. 1524 ტ. 3. დებულსა, ხ. 831, ტ. 2; იხ. დესი.
- მისმიერი, ხ. 1, ტ. 4.—მისივე, მისუბრავე
- მიმდო სწუთროსა, ხ. 3351 ტ. 1—იმედით, სიცოცხლის რწმენით, სავსე, ოპტიმისტო, ხვალის ცრუმითაშედე.
- მილი, ხ. 284, ტ. 3; 1435, ტ. 4; 1528, ტ. 3; წყლის გასაყვანი მრგვალი რკინის ღარი; ნაკადული, ღვარი.
- მინა-ყარდი, ხ. 320, ტ. 2.—თეთრ-ყარმიანი; თურაშუელივით.
- მირათა, ხ. 1086, ტ. 2—ეს ადგილი თეიმურაზსა და მამასადამე, ბ. კარიჭაშვილსაც, შეცდომით აქვსთ ახსნილი. ამ მირათა



აზრით, აქ უნდა იყოს სიტყვა მორადება, მაშინ როდესაც აქ ჩვენა გვაქვს ხალხურის ენის ერთი ფრთად საინტერესო მოვლენა, სახელდობრ, მამართულების მანკებელი ნაწილაკის განმეორება. ეს მოვლენა, ჩვენს უნივერსიტეტში უოფინის დროს, ჩვენ გავაცანით ბ-ნ მარსაც, იხ. T. P., IV, გვ. 64—65. ეს მამართულების მანკებელი ნაწილაკის განმეორება არც თუ უმნიშვნელოა: იგი შერს სიგნოვლესა და სურათებრივობას აძლევს აზრს: (ავთანდილი) „მიჭხრის ტანსა ში-ა-წარებს—ე. ი ტანს საამოდ არხვეს, ცხოვლად გვიხატავს ავთანდილის მიმოხრას. ბ. კარიჭაშვილი *) სთხზავს რაღაც მიწარებას, იხ გვ. 698.

მიიქედნეს, ხ. 740, ტ. 4—იტვირთოს, კისრად იღოს.

მინა, (სპანს. სპ.)—შუშა; ღურჯი ემალი, ჭიქის ფურცელი.

მიუხედავებლად. ხ. 70, ტ. 4 სწორად შეუდგომლად.

მიუხედარობა, ხ. 306, ტ. 3. წაიკ მიუხედარობა—გამოუხედალობა; ხელისა მიუხედარობა: სულელის, ბრევეის გამოუხედალობა, მიუხედაომლობა, უჭკუობა და არა შეუხედაომლობა, იხ. ბ. კარიჭაშვილის განმარტება.

მიღმა. ხ. 289, ტ. 3; ხ. 1061; ტ. 1; იხმარება თანდებულის გან—ის აზრით: თურქთა მიღმა—თურქებისგან; მიღმა ვუთხრა—შეგუთვლო; —მხრით.

მიფნური, ხ. 2, ტ. 3; 8, ტ. 1; 10, ტ. 1; 11, ტ. 1; 129, ტ. 3; (არაბ. افسر)—სატრფო სიუყარულისგან შმაგი; იხ. საკუთარი სახელები.

შკედი, ხ. 1346. ტ. 3;—მსხვილი და მაგარი ძაფი.

*) ბ. კარიჭაშვილი კი გვარწმუნებდა, ვითომც მას პროფ. მარტხე ადრე სკოლნოდეს ეს იყისება, იხ. წ. კ. სახ. გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XXI X, სტრ. 15, ამისი მთქმელი კომენტატორი „მოხისა“-ს აწარმოებს სიტყვისაგან „მოხე“, რომელიც, კომენტატორის აზრით, ნიშნავს ზის მბაძავს, იხ. გვ. 327, სიტყვა „მოხე“. ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირებს!—ო.



- მკრნხალი, ხ. 1020, ტ. 1, სწრაფი, კისკასი, მკვირცხდმ, მკვირცხდმ
 მავი, ფიგხელი.
- მლაღავი, ხ. 1035, ტ. 2. ხ. წარმტავი, წამკლევი, მოძალე,
 მზარავი, გამჭრობი; მომხზობი, ხ. 209, ტ. 4.
- მო.—მიმართულების მარჯვენაგან მრეფიქსა; აღნიშნავს მოქმედ-
 ბის აქეთ, ჩვენსკენ მიმართულებას.
- მოამდაბლა, მოამიწა, ხ. 206, ტ. 3.—დამცირა, მიწასთან გა-
 სწორა.
- მოვანება, ხ. 100, ტ. 2; 1505, ტ. 4; ხ. 1510, ტ. 4; მოვ-
 ლინება, მობრძანება, იხ. ვანი.
- მოარნა, ხ. 92, ტ. 3,—მო—ავლო.
- მოლარე, ხ. 102, ტ. 3; 346, ტ. 3; 358, 1; ხაზინადარი, მყო-
 ჟახე, ქონების მმართველი
- მოლახობა, ხ. 127 ტ. 4; —შესჯება ორი სიტყვის: „მოლახო“
 და „ცა“-საკან; გერუკვი, (გთხოვ) კიდეით კიდე მოლა-
 ხო ცა, ე. ი. ცის კიდედან კიდემდისან (ცას ქვეშ) არ
 დასტოვო ადგილი უკათხავით; საკუთრივ: მოულახავი,
 მოუვალა—ო.
- მოედანი, ხ. 67, ტ. 3; 536, ტ. 1; (სპარს. ایدان)—სერბიული
 ასპარეზი.
- მოვანება, ხ. 106 ტ. 2; 1505, ტ. 4; 1510, ტ. 4.—და-
 ბრძანება, სხეოსნობა, დიდებული უოფა, დასადგურება,
 იხ. ვანი.
- მოვეყვ, ხ. 449, ტ. 3—მოვერაე, ვიკე, მოვასურხე.
- მოემზრა, ხ. 520, ტ. 3. (ძირი არაბ. مزرا) შემოეზღუდა, შე-
 მოესაზღვრა, შემორტეზოდა, შემოესარა.
- მოეჭაფნეს, ხ. 637, ტ. 3. ეჭურა, ჩაეკვა ვაჭვ-ჭური.
- მოამედდრე, ხ. 158, ტ. 4.—მოაღბე (ჩემი მოგონებით); ატირე.
- მოამდგომარე, ხ. 539, ტ. 1. მოიდრუე, მოამაღვალაკე, იტბიერე,
 იეშმაკე, მადღურობა ჩაიღინე.
- მოკენესა, ხ. 1179, ტ. 1.—მკენესარი, მწუნხარე, ხელაფხურა
 ფორმა.
- მოლი, ხ. 1253, ტ. 3.—მწვანე წამოსახსხში ნაბადივით (თ.),

შავი წამოსხსნაში, (ხუბ.); შავი ნაბადი, ვადონხონი
მოსხსნაში.

მოლიზღარი, ხ. 86, ტ. 2.—მოლიზარი, აღერსიანი, მხარული;
მოცინარი.

მომცქაფაფი, ხ. 684, ტ. 1; გაფორებული, აჩქარებული, იხ. ცქაფი.
მომწუროდეს, ხ. 589, ტ. 3.—შეწოდენ.

მონახსნანი, ხ. 388, ტ.—გამოშურებული, გამოქცეული.

მონაწთომი, ხ. 1117, ტ. 4;—წამონაწვეთი, დადვრილი.

მორნი, ხ. 475, ტ. 4; 616. ტ. 1; 962, ტ. 3.—ქორთა ჩეი-
ლი (სომხ. *ჩორ*)—ახალი.

მორანი=მო რანი, ე. ი. მო რაც (შემქმნის).

მორწმული, ხ. 32, ტ. 3; 400, ტ. 2; 287 2; გაძლიერებული;
სრული ბედნიერი. ავლა-დიდების მხრით უზრუნველ-
ყოფილი, იხ. მორწმა.

მორწმა, ხ. 32, ტ. 3; 459, ტ. 4;—გაძიდება, გაძლიერება, და-
დებით შეფუობა.

მოსადაფე, ხ. 1421, ტ. 2.—სადაფის მშეობნი, მჭკრელნი.
კბილნი ბროლნი, ბატენი კი სადაფთა მჭკრელნი, მშეო-
ბელნი.

მოსაცეთი, ხ. 511, ტ. 3 ლანძღვითი კილოა წმინდა ხალხური ფორმა:
მომცდარხარ მო, წა საც, გინდაო: ეთ—ადნიშნავს ადგი-
ლს—ს. ცეთოსა=რა ადგილსაც, (სადაც) გინდაო, შეადარე
ხალხური: „აზგამო“—„აქეთ გამოდი“. და სხვ.

მოუთმინაშნ, ხ. 671, ტ. 1—გაუტანელაშნ, მოუსყენარაშნ, გეგმან.
მოხისა, ხ. 1238, ტ. 2. შესდგება: ¹⁾ მიმართულების მიჩვე-
ნებულის მო—სი და ²⁾ ხისაკან, რომელიც :რის ნათესაო-
ბითი ბრუნვა სიტყვისაკან ხე. ტანი აღვისა მოხისა ნამ-
ნავს; აი ატერ მომკლავს:ღვის ხის ტანი—ო იხ. მირითა.

მოყამებული, ხ. 642, ტ. 4; დიდის ხნის; ნახვისა მოყამებულ-
მან—დიდი ხნის უნახავმა.

მრეკელი, ხ. 585, ტ. 2.—იხ. მარეკი.

მუდარა, ხ. 134. ტ. 2; 613, ტ. 3. (არაბ *مردار*)—ხეყნა, ვად-
რება, თხოვნა.



- მუზარადი, ხ. 530, ტ. 1; 1344, ტ. 2; იხ. ზარადი) თვინ
სარქმელი ბრძოლის დროს, რქიის ქუდი.
- მულამი, ხ. 339, ტ. 1 (არაბ. *كلم*)—სჯულის მოძღვარი, მასწავ-
ლებელი.
- მუნ—იქ.
- მუნ—ღა, ხ. 90, ტ. 4.—იქ დავუთენე; აქ განმეორებულაა მი
მართულების მანვენებელი ღა, რომელიც გულის ხმობს
•დავუთენე“-ს, შეად მისისა.
- მური, ხ. 1105, ტ. 4; 1575 ტ. 2. (სომხ. *მուր*) მჭვარტლი,
კვამლი, დარდი.
- მუსაფი, ხ. 339, ტ. 2, 514, ტ. 1; 1144, ტ. 3. (არაბ. *موسى*)
ურანი—მჭამდიანთა სჯულის წიგნი.
- მუსიკობა, ხ. 25 ტ. 4; (ბერძნ. *μουσική*)—ტკბილ-ხმიანობა.
სიუვარულის ჰანგზე მღერა.
- მუტრბი, ხ. 356, ტ. 2; 470, ტ. 1, (არ. *بطي*)—ჩანგის დამ-
კვრელი და კარგი მომღერალი.
- მუფარახი, ხ. 108 ტ. 3, 1 (ტ 74, რაბ. *خرم*)—ნაღველის გამ-
ქარეველი საშვალეა.
- მუქარა. (არაბ. *سك*)—ქაღალი, დაქაღნება.
- მუქაფა, ხ. 1167, ტ. (არაბ. *سكك*)—სამაგიერო სანუქარი, ნა-
ცვალი.
- მუქეფობა, ხ. 487, ტ. 4; 1445, ტ. 3 იხ. მუქაფა.
- მუურა (მოლა), ხ. 337, ტ. 1,—სჯულის მოძღვარი.
- მუშაითი, ხ. 119, ტ. 2 (არაბულია) — თოკზე მოსიარულე, ჭამ-
ბაზი.
- მუშაკი, ხ. 119, ტ. 2. (სომხ. *მუშაკ*) იგივე მნიშვნელობა.
- მუშთარი, 939, ტ. 1, (არაბ. *مشتر*)—ცთომილი ვარსკვლავი. იუ-
შიტერი.
- მუხთალი, ხ. 409, ტ. 2, (სხარ. *مختل*)—მოღალატე, მატყურა,
მღვალავი, ვერავი.
- მუყამარი, ხ. 319 ტ. 1; (არაბ. *مقمر*)—საცეცხლური.
- მქენები, ხ. 640, ტ. 4; ხ. 1496, ტ. 2.—იხ. ქენება.
- მქისი, ხ. 182, ტ. 1; 167 ტ. 3; 838, ტ. 4; 964; ტ. 4;

- 1049, ტ. 4; 1325, ტ. 4; მოსწვენი, უტემური, უსნო; მოწვენილი.
- მდერა, ხ. 11. ტ. 3 ხ. 82, ტ. 1; (აქედან სი — მდერა — იმ ვითაი ფორმა — გალობა). თამაში; გალობა, ხ. 472, ტ. 1; ხ. 24, ტ. 1; ხ. 947, ტ. 1.
- მმუნევი, ხ. 918, ტ. 3.—უენო, უტევი, გაწუმბული.
- მმქეფრა, ხ. 433, ტ. 2.—მმქეფრა.
- მენება, ხ. 775, ტ. 1.—ბრძანება, სურვილი, დაბილება, აღთქმა.
- მენხინარე, ხ. 849, ტ. 4.—მკზნებარე, გაძლიერებული.
- მეხრალი, ხ. 37, ტ. 4; ხ. 1412, ტ. 3.—დალეული, გალეული, დამკლევებული, გამხდარი.
- მეხბარე, ხ. 1011, ტ. 3.—resp. მეხბარი — მეხბნელი.
- მეწობრი ხ. 771, ტ. 4.—დასი, ტუნდი.
- მეჭერი, ხ. 137, ტ. 3; 6; ხ. 418, ტ. 3; ხ. 676, ტ. 2; ხ. 804, ტ. 2. კობტა, დამაზი, მოხდენილი
- მეჭელი, ხ. 956, ტ. 4.—ხელეური; ერთი ნამგლის მოსმით მოჭრილი მეჭა ბურა.
- მეჭვირსა, ხ. 401, ტ. 3 მერთის, მივიშივიშებს, მინათებს, მიდარებს.
- მეჭუნავი, ხ. 918, ტ. 1.—მეჭუნარე.
- მხალი, ხ. 1028, ტ. 1. მეჭქნელი, გამხენი.
- მჟილი, ხ. 482, ტ. 2.—მჟილი, მჟილიეკენი.

ნ.

- ნ.—არსის ნაცვალის თანხმოვანი ედუქტი—აღნიშნავს სიმრავლეს. ნა, resp. ნაი, ნაჲ, 178, ტ. 4; (სმ.რ. 5ს)—აუღწამი, საღამური.
- ნათალი, ხ. 1146, ტ. 4;—მეთელი, შეადარე—ნასამალი, ხ. 314, ტ. 2.
- ნაგი, ხ. 915, ტ. 3.—მოყვანილობა, მოსრულობა, შენობა.
- ნადერი, ხ. 676, ტ.—დამცირებული, დევნილი, სუსტი, ქედ-მოხრილი, ნაკრული.



- ნადიმი, ხ. 056, ტ. 2; 372, ტ. 3; 451, ტ. 3; 992, ტ. 1.
 (არაბ. ندى)—ქეიფი, შეკრებილობა, შევლსი, წვეულება.
- ნადიმობა, ხ. 472, ტ. 2, იხ. ნადიმი.
- ნაფროზობა, ხ. 1099, ტ. 1, იხ. ნაფროზი.
- ნაფროზი—(სპარს. نازوس)—ახალი წელიწადი სპარსთა.
- ნავი, ხ. 1016, ტ. 3, 4; 1020, ტ. 3; 1025, ტ. 2; 1031, ტ. 1. (სომხ. նավ, სპარ. navio, ბერძნ. ναυς)—ნავი; იგივე მნიშვნელობა.
- ნაზი, (სპარ. naz)—იგივე მნიშვნელობა; სუსტი; წვრილი და სუფთა; სუსტი და დელიკატი; აქედან: თავი გინაზობია, ხ. 279, ტ. 2.
- ნაზრახი, ხ. 781, ტ. 4.—სასირცხვო, გმობილი, სათავილო.
- ნაკადი, ხ. 1001, ტ. 3.—დვარი. მთით გადმოიქუზარი, ჩქერი.
- ნაკვეთი, ხ. 1268, ტ. 2.—იხ. კვეთა.
- ნაკვთი, ხ. 309, ტ. 4; ხ. 952, ტ. 3.—მოყვანილობა, გამომკვეულება, მოხზულობა.
- ნაღაქნი, ხ. 515, ტ. 1—მოფერებული, სათვალმაქცი.
- ნაგი, 787, ტ. 2;—ზედმეტი; გარდანამეტი.
- ნამა, ხ. 668, ტ. 3.—ნამება, იხ. ნამი.
- ნამი, (სპარ. nam)—ცვარი.
- ნამუსი, ხ. 1036, ტ. 4. (სპარს.—არაბ. ناموس)—საქციელი, ზრდილობა, სინიღისი.
- ნამუსთაღავი, ხ. 1209, ტ. 2.—იხ. მუსთაღი.
- ნარგისი, ხ. 307, ტ. 3. (სპარ. نارگس)—იგივე მნიშვნელობა; უკავილია.
- ნარდი, ხ. 82, ტ. 1; სათამაშო; გამათულთა ასატორებელი.
- ნარი, ხ. 379, ტ. 3;—უკლიანი ბაღახი.
- ნარიხვი, ხ. 465; ტ. 1; (არაბ. نارنج, სპარს نارنگ)—ფორთოხალი, აქედან სპარს نارنجى—ნარიხვის ფერი.
- ნარნარი, ხ. 1399, ტ. 3.—სამთი, დამატობელი; ხელი და ამო.
- ნასამაღი, ხ. 314, ტ. 2, ხ. 690, ტ. 3. შეად ნასათლი, ნასათლი და სხვ.
- ნასი, ხ. 1183, ტ. 1;—უშნო, გონჯი.

- ნატრფაღი, ხ. 635, ტ. 2; — ნაფეხური კვალი; ხ. 76, ტ. 4.
 ცხენოსანთაგან დაუენებელი მტვერის კორიანტელი; ხ. 1530, ტ. 4; — ქუსლის ნაღი.
- ნატი, ხ. 261, ტ. 2. მოჭნილი ტუავი, (ს. თრბ.) ტუავის ქვეშ-
 საგებელი.
- ნატიფი, ხ. 1104, ტ. 2; 1312, ტ. 1; ბ შარის აზრით, არის
 არაბ. اظنه, იხ. (H. Mappes T. P. IV, რთ.) —
 ჩვენის აზრით კი, უნდა იეოს სმარს. ღატიფ — ს-
 სიაშოვნო, მოხდენილი.
- ნატუსაღი, ხ. 1321, ტ. 1. — გამორუყული, გამოხუხული, გენდ-
 მონკადები.
- ნაუოტა, ხ. 594, ტ. 3. (ძირი სომხ. *ფაჟარ*) — ხმელი შუშა, ხე,
 ხმელი ხის ნაფლეტები.
- ნაღი, ხ. 574, ტ. 2. — გამოხადები, გამოხაჭკერი — ზმნისაგან ღე-
 ბა, აღება, შუად. ნაღი ზმნისაგან გება, ხ. 915, ტ. 3
- ნა — ჩანგ — დაფენი, ხ. 1421, ტ. 3. — სლამურება, ჩანგები და დაფე-
 ბი იხ. ცალკე-ცალკე ნა, ჩანგი და დაფი.
- ნაღი, ხ. 1180, ტ. 2. — გვამის, უკანაღის კარი, აქედან სიტყვა
 ნაწული; შუად. ბურთი — ბურტული.
- ნაჩინი, ხ. 404, ტ. 3. — რომელიც ჩანს, იხედება, გამოიყურება
 შიგდენილი.
- ნაჩაფაფი, ხ. 1291, ტ. 1; — ხელად მოგონილი, მოჭორილი,
 უაზროდ წამოსროდილი, იხ. ჩაფი.
- ნაჭარი, ხ. 1010, ტ. 4; — ნაკლები, მცირედი, არ ღარნი გვაჭვან
 ნაჭარნი, ე. ი ღარნი არ გვაჭვან, გვაკლია, ნაჭარი —
 საჭარო.
- ნახლი, ხ. 672, ტ. 3 (სმარს *كنا*) — ძვირფასი ნაქსოვი, ძვირფა-
 სი ფარჩეულობა.
- ნახოკარი, ხ. 482, ტ. 3 იხ. ნახოკი.
- ნახოკი, ხ. 594, ტ. 3. — ნახოტნი, ნაკაწრი, ნაფხაჭნი რისაჲ
 ზედაპირზე, ან კანზე სორცის კანზე ნაფხაჭნი.
- ნება, ხ. 106, ტ. 3; 210, ტ. 3; 352, ტ. 1; 860, ტ. 1;
 სურვილი.



- ნებასა — ნელა; მონაშენ წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა, ს. 352, ტ. 1.
- ნები, ს. 1348, ტ. 3; 1380, ტ. 4. ხელის შინაგანი სიბრტყე (ორბ.), ხელმკლავი; მეტაფორულად: ღონე, ძალა.
- ნეზვი, ს. 1182, ტ. 3 — დედალი: თხა, ღორი და სხვ.
- ნელი, ს. 1411, ტ. 1; — მალული, ჩუმად შწველი.
- ნიანგი (სპარს. *ننگ*) — ხვითქი, კროკოდელი; ვეშაპი. — გველ-ვეშაპი.
31 რვეულია, თითო რვეულში რვა ფურცელია. მთელ წიგნში 259 ფურ-
ცელი არის. ხელნაწერი შემკობილია ოთხთავუ მახრობედის ფერადანი
და კარგი სახელავი სურათებით, რომელნიც ჩვენ ფოტოგრაფიით
გაღმოვადებეთ. წარწერება სურათის, ესე იგი მახრობედების სახე-
ლები, ბერძნული აქვს. სახარება იწყება ევსების წერილით კვი-
რიანესთან. ეველა სახარებას წინ მიუძღვის ნუსხა თავებისა, შემ-
დეგ მახარებელის სურათი და შემდეგ სახარების ტექსტი. ბოლოს
დართული აქვს მშვენიერად შედგენილი: „ზანდუკი სახარებისა, სა-
ძიებულისა: და სწელიწადოა“ (ფურც. 243—259). ეს ზანდუკი

*) ცნობები ამ სახარების შესახებ მოყვანილი აქვს თ. კორდანიას
(ქრონიკები, II, გვ. 172), მაგრამ მინაწერებიდან სამიოდუ აღუნიშნავს
და ზოგ შემთხვევაში იგიც შეცდომებით.



და საძიებელი სხვა ხელით არის ნაწერი, ვინემ ტექსტი. არის სახარება დაწერილი არა სწანს, ხოლო ხელის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწერილია არა უდრეს მე-XII საუკუნისა და არა უკვიანეს მე-XIII-ის, ასე რომ სახარება მე-XII—XIII საუკუნისაა. საძიებელის ბოლოს დაგულია ძველი მხედრული მიხაწერი, როგორც საფიქრებელია, მე-XIII საუკუნისა:

:ქ: თითთაუი: ესე წ დაი განმანათლ-

ებელი: ზდამის ტომთაი: მე ბასილი:

:წ: მწმან: შევმოსე და მოვტევეც:

ღვცა ვვთ სემთს: დ'სათუი: -

...: წ: მწმან: "უნდა ნიშნავდეს „ფეხსუთის შავან-კმისგო-ზოსმან“ როგორც შენიშნული აქვს თ. ჟორდანიას (ქრონიკები II, გვ. 172). ეს წარწერა ჩვენ ფოტოგრაფიის საშუალებით კადმოვიღეთ.

ეველა თავისუფალი ფურცლები სახარებისა და სწორად არმიუბინ საესეა სხვა და სხვა მანაწერებით. ვისაც რა შეუწირავს კაბუნის კვლესიასათვის, ეველა აქ დაუწერა, ასე რომ ეს მიხაწერები კაბუნის კვლესიის გუგართა კრებულაა. ჩვენ მოგვეფხვს ეს გუგარები შეძლებისამებრ ქრონოლოგიურის რიგით, მართლ წერას ვიცავთ დედნისს და ატრეთვე უმეტეს შემთხვევაში ნიშნებსაც.

1. პირველი ფურცლის მეორე გვერდზე ხუცური მე-XV—XVI

საღუენის ხელით:

სხლო მწმის და ძის და სღი: წს შემაღგლომბთ: ხტის
ორვისით და: ცსმსხს ღმ მ: მობღსთ: ესე დაწრლ: მოგაკსნ: თქენ.
ბტრონთა: მღდელთ და მოძღრთ და კრბულთ: კანის ვიხებთ მე
ბიღქს: ათრს ძემა: მას ვმას იღეს უნწელ. ხრანსს: აწოიეს და
მეჭმარ: და თქენ ჟაჭ: მუსრღაგდგ: შმტეხწე: მიბითქთ და მოგვიდე.
ვნაკი: ოგომურღსა: თავს: მიწა ბურკულას: ძისცხ: სხუადი: მ-
ქონდა აწ გიბღნიეროს: ღთ თქნ მონასტრსა: კრბულთა: რო-
მელი აწ ხარბ: და შმდგმ: მათავლ: ხრთ ვერს: შგნელოს ვრ
მარტონმა და ვრც ნმის გარს კრმა ამა: და რომე მეც ნსეიდა და
მქონდა. აწ ვრც რა შგნელოს ჰრსხეს მ: ხტი ორვისის და გეს-
მანს: ღთმობილი: დამმტეგბლხ: ღმმა აკურთხეს: ამისნი: მოწ-

მენი. არიან: ანორას: ძნ კრშიმ: და ზეტრეს: ძე: ჩიტა კსბურს შუ:
 ინონა: მე ჭოდლას: ძესა იონათს დამაიწრდა. და მოწამუნა ვრ.

შეუმოკლებლად ეს წერილი ასე უნდა წაეკითხოთ:

სახელითა: მამისა და ძის: და სულის წმიდისა, შემდგომ-
 ლობითა ხატისა ოროვისითა (ორაისისთა) და კეს. მხაიას ღმრთის
 მშობლისათა, ესე დაწერილი მოგახსენებ თქვენ ზატრონთა მღვდელ-
 თა და მოძღვართა და კრებულთა კაპენისა; ვინებეთ მე ბილქან
 ათარის ძემა (ათარის ძემა?) მს ვამსა, ოდეს ვანხელ ხა-
 რასანს (ხორასანს) აწვიეს, დაშეჭირა და თქვენ ვაჭუ-მუზარადი
 გდექ (=დაგდექ), შემოგვხვექ. შიბოძეთ, და მოგვიდე ვინაჲ
 ოგომურისა იავსა. მიწა ბურკულას ძისა გან ხსივიდი შქონ-
 და. აწ ტიბენიეროს ღმერთმან თქვენ მონასტრისა კრებულთა, რი-
 მული აწ ხართ და შემდგომად მომავალი ხართ. ვერავინ შეგა-
 ცვალოს, ვერ ზატრონმ: და ვერც ჩემის გვარის კანმა, აზად რი-
 მე შეც ხსივიდი შქანდა. აწ ვინც რა შეგაცვალოს, ჭრისხავს მას
 ხატი ოროვის: (ორაისის) და ტეისმხაიას ღმრთის მშობელი, და-
 მამტიციტებელი ღმერთმან აგუროხეს. ამისნი მოწამენი არიან ან-
 თრას ძე გერშიმ (ანუ გურშიმ) და ზეტრეს ძე ჩიტა
 კასბურის ძე ინონა. მე ჭოდლას ძესა იონათს დამაიწუ-
 რია და მოწამუნა ვარ.

2. მეორე ფურცლის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით
 მე-XV—XVI საუკუნისა:

ქ: სახელითა: სამშნათობაერთა: ღმრთთა: შეოხებითა: ეოვ-
 ლად: წმიდისა: ღმთის მშობედისათა: შეოხებითა: დათავსებობითა:
 ულთა: წმიდათათა: რნი: საეკურიოტან: სათხო: ეუუნენ: უფადსა: ჩენ-
 სა: იესოს. ქრისტესა: დაგაწერთ: დაწერილი: ესე: მე. მიქელის-
 შვილმა: შიპაიმა: და ჩემმა: მეუღლემ: როსოდან: და ჩემმა:
 შვილმა: აფთარმა: დაგდეკით: ტულოშულთა: ვინაჲ: მშიდა
 ძისაგან: ნუიდა: სარგისისგან: და დათაისაგან: ეოვლი-
 სა: კადისა: მოუდეგარი: ჩენისა: სოდისა: სმლონეველით: მოვასე



ნეთ: მონასტერსა: და კრებოლსა: და: შეკვიკეთეს: ადაზი: დღეს
 ნიკოლოზობასა: რაისაღენიგა: მწირველი: იოს: თო მას დღე-
 სა: ვერ წირვიდეს: მეორესა: დღესა: წირვიდეს: და ვინც: ესე:
 დაკლოს: დაძვავადების: [სუ]ქელსა: ქრისტაიანეთასა: ვინ გაკო-
 თოს: დ'ნ: აკურთხოს:

3. მეორე ფურცლის მეორე გვერდზე იმავე ხელით:

ქ: სახელითა: სამნათობაურისა: დთისათა: შეოხებითა: უო-
 დაწმიდაისა: დთის: მშობულისათა: შეოხებითა: და თავსდებობა-
 თა: უოველთა: წმიდათა: რემუნია: საუკუნითგან: სათნო: ეუენეს:
 უფადსა: ჩენსა: იესოს: ქრისტესა: დაგვიწერეთ: ესე დაწერილი:
 ნებ: მიქქელის შვიდმა: ბასილმა: და: ნიკიანმა: და: ნი-
 კოლაოზ: და: გიორგი: ვიუიდეთ: ასლას ძისაგან:
 ვერაი ადალითა: წვენიათა: საქაიხელით: მას: ჭამსა: შიგა: იდეს:
 დედა-მამია: შეიდასა: ჭეიდა: გაკვიკეთეთ: საბობასა: დღესა: ადაზი:
 თხთავე: ძითა: ჩენისა: სოლისთა: რაიზომიგა: ხოცესი: იეს:
 ჩენთის: შეამოსებოდეს: მონასტერსა: შიგა: და თო მას: დღე-
 სა: ვერ წირვიდეს: მეორესა: დღესა: წირვიდეს: და ვინ-
 ცა: დაკლოს ჩენთამგა: ცოდვათათის: გაკითხვის: ვინცა: ესე:
 ჩენა: განენილი: შეტიფელის: შემგა: იგვადების: სუქელისგან:
 ქრისტაიანეთისა: და: ნესტოს: და ოროგანესმგა: თანა არის: სამ-
 კადრებელი: სოლის: მისისა: და ვინცა სროლ: ქმას: დმერთ-
 მან: აკურთხოს: და თუ ვინ: ჩენისა: გარისა: იოს: თანა: და-
 კახდებოდეს: შე: ჭოდლას (ჭოდლასი) ძესა: დოკას: დაშიწრთა:
 ვინც: შენდობასა: უოფდეთ: დ'ნ: შეკინდენ: ვითა: ამას: წიგნსა:
 შიგა: სწერია: ასრე მკვადრად: შიგაკსენებთა:

4. მეოთხე ფურცელზე ხეცურათ მე-XVI საუკუნის ხელით:

ქბ: დწლი სწრველთა. წწროა ცხორებისა. და იქნებებს მკურ-
 ნლად. და იქნებებს აღწვეწულ. კიბე. სმწროთა. იბრებდინ
 ტძარო. დწს მშობლისო გესმანიაო. დ'დდ ვოთ მორწმუნო
 გ'ანბრლ. წესთ მთ'ვრისა თ'ა და ვიტყოდეთ: „ბ'ნ სხარულეწ'ნო

თხ შნ თწ. რწ მოსცემს ს'ფელსა შნ მრ დიდსა წუ'ლობასა?

ნებითა და შეწვევითა დნსათა და უშეტესად კურთხეულისა დე-
ლოფლისა ჩუენისა დნს მშობელისა მარადის ჭაღწულისა მარამისათა.
ესე უკუენისა მდე უამთა ტასათევებადი (sic), მდირე შესწირავი შე-
მოგწირეთ ჩუენ ძე მან ქუტნი ფნეველისა მან, კრისთავთა
ერისთავთა მატრონმან იასე და თანა: მეცხედრე მან ჩუენმან
მატრონმან რო დამ და ძეთა ჩუენთა ღარტუტ ღმან და ქუტ-
ნი ფნეველ მან ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად და ძეთა ჩუენთა
სადდეტქლოდ. ჩუენთა მამათაგან სსსოებითა აღშენებულსა კაბენს
ტესმნიისა დნს მშობელსა კაბენს ჭირღინულისა მამული კუამდი
ერთი თეველორ¹⁾ მითათა, ბართათა, წუღითათა, წისქუღითათა და სს-
სახღვითათა და სეფეობითათა, ასრე რომე ჩუენგან არა სათხოვარი და
არა გამოსადეგბი არა გუთხოვებოდეს რა ღაშქარ ნადირობის შეტი.
ვინტა და რამანტა კაცმან ამა ჩუენგან შეწირულსა კელ ჭუოს შლად
ან შეფემან ან დედუფაღმან, ან ჩუენის გუარის კაცმან, ან მატრო-
ნობითათა, ან კელოსნობითათა, რისხავსმტა წმიდაჲ ღმრთის მშობელი
ტესმანისა და უოვეღინი წმიდანთა დნსანთა ზეცისანი და ქუენისანი.
გამთავებულნი დმურთმან აკურთხნეს. *

ნ. მეშვიდე ფურცელზე მხედრულის ხელით მე-XVII საუკუნისა:

ქ: ნებითა: არსებად: და: უსაბამოსა: და: უსრულებელისა:
მღთისა: მამა: მისა: ძისა: სულისა: წამიდისათ: მინადობითა: და:
შუამდგომლობითა: უოყლად: წამდისა: მღთის მამობელისათა: მარ-
დისა: ჭაღწულისა: მარამისათა: თეავსა: მდებობითა: და: მოწამო-
ბითა: და: შუამდგომლობითა: ასრე: რომ: მოგაუიდე: მე: მამუ-
ნი მ: მარკოზა: შვიღმან: ჩემი: აღადი: ნსუიდი: მამული:
ჭადისა: ვენაკი. გაძულთა კრას (კარსა): მიწა: შენა: მასარკებ-
ლის: შვიღასა: დემეტრეს: ჭორმელი: შვიღას-
სა: ბასიღასა: ძაბღასვიღასა: მითსა: სომინა-

¹⁾ ეს სიტყვა ზემოთ დაწერილია სწვა მელნით.

²⁾ წაწერა ბეჭდისა გადახულია.



შვიდს: გიორგისა: ვაშაბაძესა: ზავდეს რომე: მოგიცით: ფასი: სრული რასაცა: ზემა: გული: შავჯრ-
დებოდა: ნახევარი: ფასი: მოგიცია: ნახევარზედა: ზემსა: სულისა:
საღმბოდა: დამიდვია: ამაღლებასა: დღესა: ერთი: ცხვარი: დამიკა-
ღითა: ერთი მღვდელი: შამიმოსეთა: ამისა: ბოლო: ზემოთა: წე-
რი: (ზემოთ ბოლო სწერია მე-4 ფურცელზე იმავე ხელით): რიანს:
ამისნი: დამხდომნი: და: შუმდგომელნი: თენიერ: დემერთი: და:
გესმანისა: მღთისა: მშობელი: კაცთაგან: ერთობიანი: უხსენებნი:
ვინცა: და: რამხნა: კაცმან: ანუ: დიდმან: ანუ: მცირემან: ანუ:
რჯულანამ: ან ურჯულანამ: შემცა: იცვლების: რჯულისა: მისის
ქარისტანეთსა: აქმან შენდება: მასა დღესა: განკითხვისას: ვინცა:
ესე: წიგნი: გატეხოს: შამალოს: მასამცა: რისხეს: დემერთი:
და: უოველნი: მისანი: წამიდან: ზეცარანი: და: ქვეყნარნი: მე:
გვდევანსა: დამიწერია: და: მოწამეც: ვარ +.

6. მე 119—120 ფურცლებზე ზეცურათ მე XVI—XVII საუკუნის ხელით:

წ: სხელითა დაუსამბოსა ღრისათა, მამის ძისა და სულისა
წმინათა, მეოხებითა უოველად წმსა დედოფლისა ჩნის ღმს მშო-
ბელისა და მარადის ქალწულის მარიამისათა, ძლიერებითა ზატო-
სნისა და ცხოელს მეოფელისა ვურისაგათა, წმიდათა ზეცისა ძღ-
თა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისითა
და ცსრათავე დასთა ანგელოზთა, წმიდისა და დიდებულისა წინას-
წარ მეტეფელისა წინა მორბელისა და ხთლის მგემელისა ითანესი-
თა, ითანე ღმს მეტეფელისა და ითანე მახრობელისაგათა, წმს და
უდ ქებულთა თავთა მოციქულთა: პეტრე და პავლესითა, თავსმდ-
ბობითა, მანდობითა, წყალობითა და შუმდგომლობითა უოველად
წმსა ღმს მშობელისა გესმანისათა და ხატისა ორბისისათა, ამ
თხზავისა მადლითა და ამ უოველთა ამ წიგნსა შინა წერილთა
წმიდათა მადლითა და თავსმდებობითა, ესე უკვე ვამთა განსთავებუ-
ლი წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩნ რატის შვილმან
იოანე (იქ) და ჩნმან მეუღლემან სინდუსტი თქვენ მახ-
მანის შვილთ: ტატისა და შენთა შვილთა დემურასა, ქა-

მ ა ლ ა ს ა და მ ა რ ქ ა რ ს ა, ასრე და ამა ზირს ზედა, როდეს უშვილონი დაურხით და ე რ ი ს თ ა ვ ი ს ე რ ა ს ტ ი ს ა გ ა ნ მ ა მ უ ლ ი და სასახლე ვიეიდე, სასლკარი და ჭურმარანი ი შ ს ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი ს და ვ ი თ ი ს ე უ ლ ი და ვ ე ნ ა ვ ი ე ნ დ რ თ ი კ ა ს ე უ ლ ი და ა მ ს ა რ და ვ ს უ ე რ დ ი თ და ო რ ი ს ა ქ ე ლ ბ ა ქ ე კ ი დ ა ვ ე მ ა ბ ო მ ა. მივერ ამისთვის ე რ ა ს ტ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ს ა ე რ თ ა გ უ ლ ა ს ზ ი რ ი თ უ ა ლ მ ა რ გ ა ლ ი ტ ა ნ ი, ერთი მძიმედ ოქრო ქსოვილი ატლასი, ერთი მაშრაში *) ვერცხლისა. და მამული ესე მიეიდა, კაცი ჩუმი მკვდრი ემა არის შევწირე და მოვაკსენე გესამანისა ღწს მშობელსა სულისა ჩწისა სა-ლორცველად და დავსდევით ორი ღატრა სახთელა და ერთი ჩარეჭი სიმუქელი, სხვაჲ არა ვეთსავეობდეს რაჲ არცა ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა გ ა ნ და არცა ჩწინისა სახლას კაცისაგან და ვინცა ესე ჩუენგან მოცემული წიგნი შეეცევალოს და არე ხატისა სახთელ საკმელი მო-გაშლევინოს, შემცა იცვლების რჯულისაგან ქწანეთასა, რისხავსმცა ღმერთი და გესამანისა ღწს მშობელი და ამა ოთხთავსა შინა აღ-წერილნი წწნი ღაწწნი, ა მ . ნ .

7. მე-188 ფურცლის მეორე გვერდზე ხეუროთ მე XVII — XVIII საუკუნის ხელით:

სახელითა ღწსთა და ამა ოთხთავსა შინა აღწერილთა წწა მ ა - დ ლ ი თ ა თ ა, ესე წიგნი მოგაკსენეთ ჩუენ რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ ს ე - ფ ე დ ა ვ ლ ე და ჩემთა შვილთა ბ ა ი ა დ უ რ და შ ა ლ ვ ა ე ო ვ ლ ა დ წ მ ა დ ა ღ წ ს მ შ ო ბ ე ლ ს ა გ ე ს ა მ ა ნ ი ს ა ს ა, ასრე რომე შემოგწირეთ მიწაჲ ა ს ა თ უ რ ი ს ხ ა ნ ვ ა ლ ი ა ს ა ნ ა ს კ ე ვ ს გ ა მ ო ღ მ ა თ ზ გ ა ს ქ ე ლ შ ე - თ ი, მიეიდა ჩემითა საქთლწიანა (sic). ს ე ფ ე დ ა ვ ლ ე ს და მის მკუდლესა მკუდლს ღმერთმან; მასთა შვილთა მკუდლეს ღმერთმან, ბ ა ნ დ უ რ ს და შ ა ლ ვ ა ს მ კუდლეს ღწ, ამინ. მათსა მკუდლე-თა გ უ ლ ა ნ შ ა რ ს ა და ა თ რ ბ ი ს მ კუდლეს ღმერთმან: ვიხე მე-გვერდლოს, გესამანის ღწს მშობელა, მენ რისხავდა.

*) მაშრაფა არაბ.—ღოსტაქანი.

8. მე-189—190 ფურცლებზე მხედრულის ხელით მე-XVII—XVIII
 საუკუნისა:

ქ. ნებითა და შეწევნითა მხთისთან, მამითა, ძისთა, შუა-
 დგომლობითა ხატის ორბაისისთა გესმანის მხთისთა შობელისთა
 დაციწრეთა თაქვენ კრებულთა ხელთა ერთა შირათა კამუნელათა,
 მოგვიდე კ რ ა ე და ს ზ ა ვ რ ი (ზვარი) მოუდევრი ჩემი მამული აღა-
 ლი ნახიდი (სიღ). ავიდე ფასი სრული, უწინაჲ შემოწირული იყო
 ჩემკება გესმანის მახთისა შობელისთაიან მ ე ს ე უ ე დ უ ვ ლ ე ვ ს
 შ ვ ა ი ლ შ ა შ ა ნ შ ე შ ა და ჩუმა შეუდღემა თ ა დ უ კ ა შ ა,
 შაკაიღმა ჩავენმა რ ა მ ა ზ, ტ ი ო რ ტ ი შ ა. ვინცა და რამც კც-
 მა ესე ჩეხი შოსხიდული (სიღ) მამული შემოწირული გესმანის მახთის
 შობელსა შეტიცვლოს, ჟულის ქარისტანობისგნა შეტიცვლოს, რის-
 ხვსც შამა ძე და სული წამაიდა, ხატი ორბაისის, მერმე გესმანის
 მახთისშობელი, ცხრნივე დასნა ანგელოზნი, რანიცა წამიდიანი ხა-
 ტნი გესმანის მახთის შობელში არიან, რანიცა წამიანდანი ამა სვი-
 ნაქსარსა შინა აღწერილ არიან, რაც ამა ოთხთავსა შიგა აღწერი-
 ლა არიან, გამათავებელი ღმერთმან აკურთხოს + + +.

 9. უკანასკნელ მე-229 ფურცლებზე მხედრულის ხელით მე-XVII—XVIII
 საუკუნისა:

ქ. სახელითა ღმთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისთა,
 შოხებითა (სიღ) უოყვად წმიდისთა ღმთის მამობლისთა მარადის
 ქაღწულისა მარამისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა და ანგელოზთა და
 შთავარ ანგელოზთა მიქელ და კაბრიელისთა, რანიც წმიდანი ან-
 გელოზნი ამა ოთხთავში წერიან, ამითითა შადლითა და მოხვევაბი-
 თა (სიღ) დაშიდვია მ ე რ ა ტ ი ს დ ა ვ ი ს ა შ ა ვ ი ლ ა ს ა
 ნანისა მამული ჩემისა სულისა სააღად (სიღ) და ჩემისა შეუდღისა
 ხ ა უ რ ა მ ა ზ ე ს ა თ უ ი ს ა და მიშიცემია კ ა ზ ა უ რ ი ს ა დ ა-
 ვ ი თ ა ს ა თ ა ვ ი ნ ა ესე წიგნი. კორციელ შაბათსა აღაშნა იქმო-
 დეს ერთისა ცხურითა და ბატონითა და ორისა მღრღლითა. თუ
 ხუცესი ვერა იშოოსა, წინამძღვარსა აწირვინოს. ერთი ჩემისა სახ-
 ლის კაცი სახ-კარსა არა უთრუდოდეს რა ... და სუფობის შეტი



და ძღვნისა მეტი. ვინცა ესე.. აღმა მოუშალოს ღმრთისაგან და მის წმიდათაგან შეიგვლოს.. მისი სული და მისი კორცა + +

10. მე-8—11 ფურცლის არშეიბზე მხედრულის ხელით 1703 წლისა:

ქ: ნებითა და შეწყვენითა მღთისათა მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, ოხითა და შეოხებითა უოვლად წმინდისა უბრწუნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა მღთის მშობედისა, მარადის ქადწულისა მარიაძისათა, ესე უკუნისამდე უამა და ხანთა, საუკუნოდ გასთავებელი, მტკიცე და უნკალებელი, უოვლისა კანის მოუდევარი და მიხუხ შემოუდებელი შესაწირი შემოგწირეთ თქვენ, ჩვენს სასოსა და შეოხსა, უოვლად უბრწუნელსა, უბიწოსა და უფროსად კურთხეულსა და შეამდგომელსა უოველითა ცოდვილითა წინაშე მღთისა, და მხსნელისა წეკვისასა და შიმატეკებულსა კურთხევისასა, უოველითა ქრისტანხეთა შესავდრებულსა, კაპისის ტესმანისა მღთის მშობედსა, ჩვენ მღთისაგან და მადლის კეშქიფისაგან სმართლად შეუვრებულმა და მრავალ წესდობა სიკეთე მოვლენილმა მ უ ხ რ ა ნ ი ს ბატონმა და მატონმა ბატონიშვილმა ბატონმა ერეკლე მ, ძმამ ჩვენმა ბატონმა შ ა შ უ ა მ ა, ძმისწული ჩვენმა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ, ბ ა ტ რ ა ტ, ო ტ ი ა მ, ლ ე კ ა ნ, ძეთა ჩვენთა და ვით, ჩამომავალითა სახლისა ჩვენისა უოველთავე ასე და ამა მირსა ზედა, რომე როდესაც რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ მ ა გაურა მთინდომეს, სახლის კანობა ვეღარ ქნეს და აღარც მოგდა, მოვიდენ და ჩვენ შემოგვეწვენ, რომე გაგვარეთო, მოვედით ქ ს ო რ ი ს რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს გასურელად ჩვენ და ჩვენი ძმა მთავარ ეპისკოპოზი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე და ჩვენი ძმისწული კ ო ს ტ ა ნ ტ ი ს ე, ჩვენი დარბაისელი გვერც გვახდენენ, 'ხ ე დ ტ ი ნ ი ძ ე ნ ი, რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, ბ უ რ დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი და უოველი ჩვენი მსახურ აზნაურშიელი, დავსხედით სამართალშია და ოთხად გაგვარეთ, რაგვართაც გაურის წესი და მართებელი იყო, იმ წესით ბართათა გაგვარეთ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ფ ა რ ს ა დ ა ნ, რ ა ტ ი, ო ტ ი ა და შ ი ს ი ძმისწულები, გ ო რ ტ ი შ ვ ი ლ ი ლ უ ა რ ს ა ბ და რ ე ვ ა ზ ო თ ხ ათ გაიურენ, ჩვენთაქს ავიდეთ ამათა გასამაურელი ა ხ ა ლ ტ ო რ ს



ოთხი კვამლი კაცი. ამ ოთხის კვამლის კაცისაგან ერთი კვამლი კაცი დე მურა, მისი შვილი ბერი თავისის მამულითა, თავასი სახლკართა, შესავლითა და გასავლითა, რისაც მჭონებულნი არაან უოვლითურთ უნაკლულოდ, შემოგწირეთ თქვენ, ჩვენს სასოსა და შკოხსა კაბენს გესმანისა მდთის მშობელსა ჩვენთა და ჩვენ თანა-მეცხედერთა ცოდვათა აღსაკოდლად, ზირმშითა ძეთა ჩვენთა და ვითის აღსაზრდელთ, ძეთა და ასულთა ჩვენთა წასამართებლათ, ასე მ(ა)მოგწირეთ, რომე არაფერი გამოსადები არა გთხოვებოდეს რა, არა ღაღა, არა კულუხი, არა კოდის შური, არა ს:მასპინძლო, არა სამოსელი, არა უღაუი, არა ხარვის გაღება, ასე გაცვითარხებუ. ბახარ და ისრე შეგვიწირავს, რომ შხისა და წვიმის შერი კრს არა მოგადტებოდეს რა, თუნიერ ს(ე)დრის სამსახურისა(საგან კიდე), და არცა რა გთხოვებოდეს, არა სჩვენო, არა სკემწიფო, არა საკრისთო ბაჟი, არას კაცისაგან არ გთხოვებოდეს რა. ვინცა და რამინც ჩვენმა სახლის კაცმა, ანუ ხელმწიფემა, ანუ დიდმა, ანუ შვირემა ამისად შლად და გამოკვებად კელ უოს, რისხამცა თვით დთი დაუსბამო, მამა, ძე და სული წმინდა, გესმანისა მდთის მშობელი და მისი ძე იესო ქრისტე და უოველნი მისნი წმინდანნი, ზეცისანი და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორციონი, მასმცა ეღების ტეცელი გენისა, კეთრი გეზისა. შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან-პრონისა (sic). შეწველებულიც იქნება შემგვალელებელი ამისი ოთხთა მატრიაქთაგან, უოველთა მართალ მადიდებულთა მატრამოლიტაგან, მართალ მადიდებულთა ეფისკოპოზთაგან, მღვდელ-მოძღვართაგან, მღვდელთაგან, მთავარ დაეკონთაგან, ცსრა დასთა ანგელოზთაგან, უოველთა წინასწარ მტრუველთაგან, მკედარ მოწამეთაგან, ქალწულ მოწამეთაგან; შვიდი შურის ძიება აბელისა, მეას და რვე ფსალმუნი დაეითისა მას ზედამც დაესრულების, შეწველებულიც იქნების ზირისაგან მდთისა, ამ ოთხთავ მაზარებულთაგან. შვიწირე წმინდაო კაბენისა მდთის მშობელო შვირე ესე შესაწირავი ცოდვათა ჩვენთა მოსატეკებლად და ძეთა ჩვენთა წარსმართებლათ. ვინ ამისად გამოწირედ, ან შლად კელუოს, შურისხდი წმინდაო გესმანის მდთის მშობელო თქვენ და თვით ძე თქვენი იესო ქრისტე; შემგვალელებნი ამისნი ღმერთმან შესცადნეს, ხოლო დამტკი-

ცებულნი ამისნი ღმრ აკურთხეს. დაიწერა შეწირულობა ესე კარი-
სა ჩვენისა დეკანოზის იასესითა, გიორგობისთვის ოცნა, ქვს ტყა.

მონა მღთისა ბატონის მვილ
ერეულს ებეჯა

ჰაჰუ *

11. მე-11 ფურცელზე სხვა მხედრულის ხელით 1726 წლისა:

ქ. ჩენ მღთისკან და მადლის კელმწიფისკან უხვად ზეგარ-
დმო წყალობა მოვლინებულმა და ღირსად ბატონეგუმულმა, ძირმოღ-
გმით იესიანმა და ტომობით აწ ბატონმა მუხრანის ბატო-
ნის, ერეკლეს ძემან ბატონი შვილმა მამუკამ, რა-
გვარადც კურთხეულს მამა ჩვენს ეს გლეხთა თავისას გამოხადები-
თა შექწირა, ჩვენც ისე ჩვენის უმის რატი შვილებს ს-
სა ფლაოს გესმანის მღთის მშობელისათვის შეგვიწირავს და
დაგვიმტკიცებთა მამის ჩვენის მოსახსენებლად და ჩვენს გასამრ-
ჯვებლად და საღვთობელთ, რამინც მუხრანის ბატონმა და ან რა-
ტიშვილმა ამისად შლად კელ უოს და გამოხწიროს, ნუმცა იხსნება
კორცი მისი აქ შერცხვენიანგან და სული მისი საიქიოს წაწმენ-
დისკან, დამამტკიცებელი ღმრ აკურთხოს. დაიწერა მკათათვის გა-
სულს ქვს უად. ჰაჰუ მ. შუკა (ხელ ჩართულად).

12. მე-7ბ ფურცელზე მხედრულის ხელით 1705 წლისა:

ნებითა ღმთისათა მე მკინიბეთ უხუცესმა რატი შვილმა ზუ-
რატ მუშოგწირე ტყემანისა ღმრს მშობელს ჩუმა მკვიდრი უმანი
კატენს მოსახლენა მადლეშვილი შო, ძაბილან შვილი ბერი,
ქურცაკაშვილი ივანე თავეთას მამულათა, ყოფლს თავის ბეგა-
რასა და კულუხსა უვლებლად კელესისა მთარბეუდენ, ვერა რა-
ტიშვილი ამის ვერ იმსხურებდეს ერთის ძღვნის შეტს. ამით და-
ვადევით ერთა ღმრს სახთული. ერთი ჩარეკი სკამელი, ერთი
თუნგი ზეთი წელიწადშია, ვინც გამოხწიროს, რისხავს ღმრ და მი-
სი მშობელი, ამან. დაიწერა იანკრის ათსა ქვს ტყვ. მე რატიშვი-
ლი ოთარამ ჩემის ძმის შეწირვის უბული მაქ. + + + +

* სრულად წარწერა არ იკითხება.



13. მე-73 ფურცელზე მხედრულის ხელით 1804 წლისა. ნიშნებათ რაზმზეა
თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ:

ნებითა და შეწყვენითა ღმრისათა და ეოველთა წმინდათა მის-
თათა, სსოსსა და შეოხსა ეოველთა ქრისტანეთისა ღმრის მშობელსა
მარიაშს გესმანიისსა უძღვნი მცირესა ძღვენსა მე მონა მისი თა-
ვადი გაბრიელ რა ტ ი შ ვ ი დ ი, ასე რომ კ ა ს ა ბ უ რ ი ე კ ლ ე
სიის ემანი არიან და უმამულოდ ეოფილან თ ე ღ ო ვ ა ნ ს და
ზ უ რ ა ბ ბ ი ბ ა ჩ ე მ ს ერთი ვენახი მიუცია და იმისი გამოსავლი-
დამ ჩვენ კულუსა აკვიდია. რადგან დღეს აღარც ვენახად იყო და
ის კ ა ს ა ბ უ რ ე ბ ი ც უ მამულა იფერენ და ხატის ემები, მე ვი-
გულსმოდგინე და ის ნავენახობი ორის დღისა თელავანს შემოგ-
წირე მოსახსენებულად ბიძის ჩემის ზ უ რ ა ბ ი ს ა, მამისა ჩემისა
ბ ე ჟ ა ნ ი ს ა და დედისა ჩემისა ა ნ ა ს თ ვ ს და ს: დღევრედოდ
ქეთა ჩემთა და რათა მეცა შეოს შეეო დღესა განკითხვისსა, წელსა
ჩუდ. ქვს უბი; შეფობასა ოსიისსა: აღექვანდრეს ზავლეს ძისსა.
როდესაც მოსხაყდენ, იმის დღისა უკლებლად მოგართმევდენ ეს
კასაბურება. მე მაიორი გ ა ბ რ ი ე ლ რა ტ ი ს ქე თვთ კვლითა ჩე-
მითა ვწერ. რა ტ ი ე ვ ი (ჩართულად)

14. მე-116 - 118 ფურცელზე მხედრულის ხელით 1814 წლისა:

ქ. რ: ც კაბენს მამული აქვს შეწირული სულ ამას ქვევით სწე-
რია, ან ვისაც უჭირავს და ან რამდენის დღისა არის.

ქ. ერედას ვენახი. ქ. ბახუნთ წინ ერთი დღისა ნავენახობი,
ამის მაგიერი მღვდელს უჭირავს, მათეს ვენახის გვერდზე,
გაუცვლია სხვაზედა.

ქ. ბახუნთ ბაღებს ზევით ერთი დღის მიწა ოთარას ბიჭს
უჭირავს.

ქ. ბუღლათ კარს ერთი დღისა გორთამაშვილს უჭირავს

ქ. სარუკაანთ კარს გოგია ჭარმელაშვილს უჭირავს ერ-
თი დღისა. ქ. მათეს ვენახის გვერდზე გოგია ჭარმელაშვილს უჭი-
რავს დღიურია. ქ. ხესაღს (ზეზაღს?) ვენახის გვერდზე ერთი დღი-
რი ოთარას ბიჭს უჭირავს.



ქ. ხუხუტს ვენახის თავზე სმა დღის მიწა მათეს¹⁾ მთეს²⁾ რავს.

ქ. ამ ხუხუტს ვენახს აქვს სმა კოკა ტკბალი.

ქ. ვეძას ქედზე ორი დღის მასა³⁾ და ხეხილს უჭირავს.

ქ. ერთი დღისა მღვდელს უჭირავს მათეს წინჭვილის გამოდმა, ზუღეშვილის მიწა არის.

ქ. აქა ერთი დღიური თევდორეს ბიჭს უჭირავს.

ქ. გოგას ბაღს ზემოთ ოთარას ბიჭს უჭირავს ნახევარ დღიური.

ქ. ანანანთ კეკეში⁴⁾ ხეხილს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. კახენს ზუღეშვილის მიწა გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს ორი დღის.

ქ. ვადნანთ კარი საკომლო არის ღუა ტატუნაშვილს და მის ძმის დათუას აქვს.

ქ. თეზიაშვილის მიწის ზარზედ ერთი დღის ნავენახობა მღვდელს უჭირავს.

ქ. შეიდანა და კარმეო სრულად მღვდელს უჭირავს.

ქ. კადვე მღვდელს უჭირავს შეუქლის სწილენისურის⁵⁾ თავზედ დღიური.

ქ. ვაზარაულში ორი დღისა. ქელახნდ⁶⁾ ქედზე გლახა გოგაძეს უჭირავს ერთი დღისა.

ქ. ამსონ გვას ქვევით შეუქლის მიწის თავზე ღუას უჭირავს დღიური.

ქ. ეუდრევისკენ მიწა ახი⁷⁾ გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს, დღიურია.

1) შეიძლება ამ სიტყვაში იგულისხმებოდეს „ფშანი“ — ქაობნარი.

2) ასანანთ ზევი შით ყანჩაეთის სოფელს ჩამოუღის.

3) სპილენძაურის ზევი ყანჩაეთის დასავლეთით არის.

4) ეხლა ქვია გელიანთ ქელი.

5) ახლად გაჩეხილი ტყე, სადაც პირველად მოხზავენ.



ქ. ზახოროს კარკბახანთ კარს ერთი დღიურია, რასაც მისი შირი წამოიტანს.

ქ. წირს ქინკვიძის მიწებს აქეთ გზას ქვევით კვეთსავე დღიური ორი არის.

ქ. კახს ბურებს უჭირავთ ორი დღის ხეუნისობი თელთანს შრავსხნებშია.

ქ. ეს ხუხუა მღვდლის თანადსწრებით და სოფლის კაცთ ქვათხვით დავსწერეთ, რომ კვლეციას არ დაკვარტოს მამული შე კახორი ელ რატეკვა, ჩემა ბიბსეილმა სოფომახ და დავეთმა წელს ჩეად. ვინც მოხნას დაღა უკვლად კვლეციას უნდა შიართოს, და ვინც შიშროს, კაუწერეს დმის მშობელი და ძე შისი იესო ქრისტე, ზნ, ზნ.

ქ. დემურანთ აქვეს ორი დღირა სხთელი და ერთი წარეჭა სკამელი უოველს წელიწადსა.

ე. თაყაიშვილი.

კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავი დაწერადა ბერძნულ ასომთავრულ ასოებით მაკარ კტრატზე და ზომით არის 29 × 24 სანტიმეტრი. თითოეულ კვადრზე ორ-ორი სვეტია და თითო სვეტში 28 სტრაქონი.

სულხაწკრი სრული არ არის: შირველი ფურცელი დაზიანებულია მათეს სსსრების 1-ლი თავის მე-9 მუნდამდე, რამდენიმე სსვა ფურცელი დაკარგულა, წიგნში დარჩენილა მხოლოდ 249 ფურცელი და მთვან 1-ლის კარდა დაზიანებულია კიდევ ფურცლები 2, 3, 25, 26, 34, 38, 39, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 82, 247 და 249.

შეკვრილია ხელნაწერი რვეულებად, მაგრამ ეს რვეულები შემდგომ დროის მკაზმავს ალაც-ალაც აურევია. ყოველ რვეულში, როგორც თვით საიტევა „რვეული“ კაიზერებს (რვა—რვეული) რვა-რვა ფურცელია, მაგრამ ზარველიდგან გადარჩენილია მხოლოდ 2 ფურცელი.

წიგნის კაზმი განხლებულია მე-XI სვეტებში ერისთავთ-ერისთავის ბეჭელების მიერ. უდა კადამიტეარა და მისი ზედა ნახევარი დაკარგულა, ქვედა ნახევარი კი ხისა და კადაკრულია შვიი ტყავით და შუაში დამატებულია აქვს ჯვარტმის სტი კერტხლისა; სტიის კვარტხლბეკზე მოჩანს ადამის თავი, ხოლო ჯვარტმის ზემო ცალკე ფიარფიტაზე, რომელიც აგრეთვე კერტხლისა, არის ასომთავრული წარწერა:

Ն Կ: Կ Կ: Կ Կ Կ Կ —ესთ; ქე მეფე-
Կ: Կ Կ Կ Կ Կ Կ: კ¹ კორათთაი.

ხელნაწერში არის ბერძნული და ქართული წარწერები. ბერძნულები მიწერალია შემდეგ კაბდონებზე: 72, 73, 132, 139, 140, 155, 174, 197₂, 249₂.

ქართულები მიწევიან ტვერდებს; 2, 26, 27, 28, 29, 30, 73, 74, 75 (ვილაცას გაუშევიან), 76, 77, 78, 121, 122, 123, 124, 131, 132, 187, 188, 192, 193, 247, 249.

ეს მინაწერები და წარწერები ჩვენი ხელნაწერის ადგილ-სამყოფელოდ სთვლიან კორიდეთს. სთფელი, რომელსაც ეს სახელი მიწევიან, არსებობს დღესაც. იგი ართვინის მარაშია და კვეთვინის ძნსულის სასთფლო საზოგადოების, რომელშიაც სთფელები: ადურჩა (27 კომლი ქართულია), ბუჯურა (1 კ. ქ.), ძნსული (70 კ. ქ.), დურჩა (23 კ. ქ.), კაბარკეთი (20 კ. ქ.), კორიდეთი (9 კ. ქ.) და ოსმალი (1 კ. ქ.) (იხ. სტატ. კომიტ. გამოც. 1893 წლის, № 13,332).

კორიდეთი და მისი ამე-მარე შედიოდა ჯაქელების სამფლობელოში, ხოლო ეს ჯაქელები ითვლებოდნენ ქართველ მეფეების ერისთავთ-ერისთავებად, მერე შეიქმნენ მესხეთის ათაბაგებად და შემდეგ კი ფეშებად. უმეტესი ნაწილი კორიდეთის ოთხთავის ქართულ მი-



ნაწერებისა და წარწერებისა შესრულებულია ამ სხელოვან წარმომადგენლების ხელით. ესენია არიან:

იოვანე ჭიანჭყაძე (X ს.).

ბეშქენ I კრისთავო-ერისთავა († დაახლ. 1045 წ. — ქარ. ცხ. I, 224, H. G. I, 318).

მურვან I († დაახლ. 1070 წ., ქართ. — ცხ. 232). შეუღლე მისი აგათა.

ბეშქენ II — ბექა († 1118 წ.).

მურვან II (XII სუკ.). შეუღლე მისი ელი.

ყოთლ არსდანი, რომელიც თამარ მეფეს წინადადებას აძლევდა შემოიღო საქართველოში ჰერალდისებური მშრომელობა.

ბერძნული წარწერები და ქართულების ნაწილი შესრულებულია ითხთხვის თავდაპირველდ მისაკუთრეთა ხელით. ესენი თავიანთ თავს უწოდებენ კვირიკისძედ და ხუცესის შეილებად და ხუცისძეობად. მათი შთამომავლობა ამ მინაწერებით:

მარკოზ ხუცესისძეა კვირიკისძე.

ივანე.

მიქელ (შეუღლე სლომე).

მიტრიონ.

შეტრე.

აქ არ არის მოხსენებული გიორგი ხუცესისძე (მინაწ. 249 ცხ.); რომელიც თავის ვუნახის ნახევარს სწირავს ტაძარს(?) და შეორე ნახევარში იღებს 11 ასარს (დინარს) და რომელის შეწირულებას

იბარებს სტუფენუ დოღისეანაში ქორანიკონს მა (=821 წ.). კორიდა, ალბად, იყო შამა მარკოზისა. თარიღი, რომლითაც თავდება მისი წარწერა, ცხადად გვაჩვენებს, რომ ჩვენი ხელნაწერი გადაწერილია არა უკვიანუს შერვე სუფუნისა. იგივე თარიღი გვაჩვენებებს და თვალწინ გვაჩვენებს იმავე დროის დიდ მნიშვნელოვან შემთხვევებს: 26 იანვარს 826 წელს, როგორც ვიცით, სარკინოზები შეიპარნენ არტანუჯს და შერტრუზაველს ტაძრის საკურთხეველში დაქკატეს შუვე ამოტ დიდი. მისი ჭარი მამინ იდგა დოღისეანაში. შუოტკეს-რა შუფის მოკვლის ამბავი, აღელდნენ, ენენ კატხეულ შტრების, დაქწივინ და სულ ერთიან ამოწვეიტეს ადგილსა სვანუს. თვით დოღისეანაში დიდი სუფარა ააქნა შუვე სუმატმა, რომელიც კარდაიცვალა 958 წელს.

წარწერებიდან არა სჩანს, თუ როდის, რა მიზეზით და რა გზით შედგა ჩვენმა ხელნაწერმა სვანეთამდე. მისი ერთი წარწერა იხსენიებს კ ა ღ ი ს ს აზოგადოების დადგენალებას იმის შესახებ, რომ, თუ ვისმე ვინ შემოაკვდა, ზასუხი უნდა გასცესთ კადის სოზოგადობის ხატს კვირაქს. იქ ეს წიგნი ენახა (1853 წელს) გენერალის ბარტოლომიუს, რამდენიმე წარწერა გადმოეხატა და ქუთაისის გუბერნატორის დეკლარაციისათვის ენობებინა—სვანეთში ასეთი და ასეთი შესანიშნავი ხელნაწერი არისო. ამასვე გამოეწერა სვანეთიდან და გაგზავნა რუსეთს გრაფ ზანინისათვის და იმასვე გადაეცა ბროსეს-თვის. შემდეგ დიდის ხეყნა-მუდართი ისევ დაეპირუნიებინო განსვენებულ კაბრიელ ეპისკოპოსისთვის, რომელსაც გელათში დაესვენებინა. აქედან ებ. კარიონმა მოიტანა ტფილისის და გადასცა აჭურ ზასტორ ბერმანს. ამან წაიღო რუსეთს და აქადგან ორა წლის მიწერ-მოწერის შემდეგ დაუბრუნეს საკელესიო მუზეუმს.

კორიდუთას სახარების შესწავლა ჭირად არ დასრულებულა.

მისი ტექსტი შეისწავლა მეცნიერმა ზოდენმა და ის აზრი გამოისიტება, რომ ამ სახარების ტექსტი უნათესავდებათ კატობრიკონის და ჰოსიკურის ვარაზტების ტექსტს და სამთავე კი ზნთვალსა და ევსევის მიერ 300 წლის ახლო ხანს დადგენილს ტექსტსო (Mater. по арх. Кавк., вып. XI, стр. XVI). იმავე სვანურ შემოაბდა აგრეთვე ე. ე. კესევა, ხოლო მოსკოვის არქეოლო-

გაურ საზოგადოებამ ფოტოტიპურად გამოსცა კორადეთის სახარუბის ერთი თავი, სასელდობორ, მარკოზის სახარუბი.

მიხსწორ-წარწერების შესწავლას პირველად ხელი მოჰქადა მარი ბროსისემ, მაგრამ უმეტესი და უმთავრესი წარწერება მას ან სრულიად ვერ წაჰკითხია და არც კა უხსენებია, ან და აურ-დაურგვია; თვით ბერძნულ წარწერებიდან კახუნიდავს მხოლოდ სამი და ისინიც უთაუბლოდ. მას არა უთქვამს რა, მაგალითად, ამ ბერძნულ წარწერების შესახებ, რომელნიც მიწერილია 132 და 139—140 გვერდებზე და რომელნიც დაწერილია ბერძნთა იმპერატორების დროს, ე. ი. იმპერ. ნიკეფორე ფოკასი (970—976) და იმპერ. ანდრონიკე (1185—1194) (იხ. ბროსეს შრომა „Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Souaneth et appartenant au comte Panin“, რომელიც მან დასწერა 1870 წელს და დაბეჭდა 1872 წელს *Mélange Asiat.*-ის მე-VI ტომში).

ჩვენ შევეცადეთ ამ ძეგრფის ძველის ქართულ წარწერებას შესწავლას და, ვფიქრობთ, სრულად შევაცნეთ მათი ნამდვილი მნიშვნელობა და აზრი. მოგვყავს თვით წარწერება ფურცლების ჩვენებითვე.

1. არა ლამაზ და გაურკვეველ შეათე საუყუნის მხედრულით, ამირსპასაპლის ამირახორის ივანე ტიასძეს ხელით.
2. დაწერილი ეს თქვენ ეოლა წმადისა დსმ(შო)ბდაის კორადეთისასა მე ივანშან ტიასძ[ემან] ¹⁾ ამირსპასაპლასა ამირსიორმან მ[ას ჟამს],

¹⁾ იოანე ტიას ძე, ჩვენის აზრით, იხსენიება აგრეთვე საეკლესიო მუზეუმის ქვის სვეტზე, რომელიც ყველის ციხილამ არის ჩამოტანილი თავ. მიხ. ბერბეულიძის მიერ. მისი წარწერა წაკითხულია ე. ს. თაყაიშვილის მიერ ასე: „დიდ არი იოანე ერისთავი. სახელითა იოანესითა ესე ჯუარი ჩუენ შუავისძეთა ავაგეთ მრთელითა ქეთთა (იხ. *Извѣст. Кавк. Отд. Имп. Моск. Арх. Общ.*, вып. II, стр. 68). ამ სანახევროდ გადა-



- 2₂ ოდეს ზატრონიას ჭემის ამირხმასხდლისა წყალობით ორჯისა შ[ამოლი] ორთავე შეუეთავან: თით დავით მეფის კეტ[ის]სკან და ბრძნებით მეფის გათრგისკან²⁾
- 26₁ (ზ)ატრონიას ჭემის წყალობით დაგიწეს³⁾ დობა[ე]რით ესე კორადეთა ოდეს ოთხთავი წაიღეს და ეკლესია ჭსა...ან გან-
ვ[ას]ლე)
- 26₂ მოგჰქადე⁴⁾ კელა და ამჟ ეკლესიას დაედეგ და შევსწირე შე-
გოდანსე⁵⁾ წმიდასა დ[ე]თის მშობელსა კორადეთისასა ჭემის-
სა სო-
- 27₁ ღისათის და ჭემისა შეიღისა ბეშქენის სადღეგრძელოდა გავა-
კეთე მარიამობა დღეა საღაბოდა.
- 27₂ რაზომნიც ხუცესს აუნენ, ჟამს⁶⁾ წირუადენ. სსოდ ეკლესიას
ჰკაზმადეს ზეთით, სხილით და ყვრით
- 28₁ და სტრანჰეზიას ჭემსა ბეშქენს საცოცხლესა და გამარჯობასა
ოდღეცადენ. შემაწირავს ყოვლით ფერით შეოგადადა
- 28₂ და ოცადებდადა. და ვინც შეოცელოს, შემციფვადებას სჯო-
ღისკან ქრისტიანობისკან, აოდანსმც თანა ღისა-
- 29₁ ჟებას და მისმც თან არს ნაწილი მისი და თეას არს და ორი-
გინესმც თან არს ნაწილი მისი და იკიმც დაიც, რომელმბს
აოვანე ნათლანსმცე-
- 29₂ ეღსა თავი მოგჰქეთა და დ[ე]რამან ორით სხანსოლითა სო შე-
ონდენეს⁷⁾. შე ივანსა ჭემითა კელათ დამიწერა

ლელუს და მეტად დაზიანებულს წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „საყ-
დარი იოანე ერისთავისაჲ სტოითა იოანესითაჲ ჯუროსაჲ (თუ ჯაეისაჲ?)
ჩუენ შუევი ჰიას ძეთა ავჰმართეთ“.

²⁾ აქამდის ეს შესანიშნავი წარწერა გამოტოვებულია მარი ბროსეს
მიერ (იხ. *Mélange Asiatique*, t. VI, გვ. 272).

³⁾ ბროსეთი: „და მეწესლობ რთ“.

⁴⁾ ბროსეთი: გავჰკიდე.

⁵⁾ ბროსეთი: ავეოლისძე.

⁶⁾ იქვე: ამას,

⁷⁾ სიტყვებიდან „და ვინც“ აქამდის ბროსეს გამოტოვებული აქვს,
ზემორე წაკითხულებიც უსწორია.

30₁ ნიშნად და შეგველად^{*)}).

2. ლამაზ მე-XI საუკუნის მხედრულით.

73₂ ქ: კ ერისთავთერისთავ (კაპუა) ბეშქენ, დუთას სწორთ მაცამან შენმან ითანე დავაწე⁹⁾).

3. ლამაზ ძველ ნუსხურ-ხუტურით მე-X—XI საუკუნისა:

73₂ ქ. სახელთა დთისაჲთა და მუხებთა წდის დთის მშობლასაჲთა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისაჲთა და შეწვენითა წმინსა გიორგისითა და ეოველთა წმიდათაჲთა შე ცოდვადი ზიტორიონ დირს ვაქშენ შემოსად ამათ წმიდათა თათთათა საღოცველად თავისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს: მიქელასტს და საღომესტს. წნ.

4. ძველის ლამაზის მხედრულით:

73₂ ქ: ჩუენ მორეანს და აკათას მოკუეკსეხება წსა დთის მშობელისა კორადეთისადა თახნე არა ზარტასტი. დმურთიმან გომარეონ. არა ვინ თქტათს ესე ჩუენ მვაცე(?) არს, თო დმურთისა თნდეს.

5. ლამაზ მხედრულ ხელით ბეშქენ I-სა.

74₁ ქ სახელთა დთისაჲთა შე ბეშქენ ჩემისა სძლისა ხააშაქისა სოვიშნთათათა კორადელთა სოცესთა სარტართა დრამა, რა-ზომიტა გამოვიდოდა, აღარავან აიღოს და ჩემისა ძ(ა)ს წოდისა ბეჭათისა საღოცავად და სოღისა... ხარკად შეამოსებთ-

^{*)} ბროსეს „პეელიად“ წაუკითხავს.

⁹⁾ ეს წარწერა ბროსეს არ წაუკითხავს. თუმცა ბეშქენი მოღუბუნებია მე-4 წარწერის ქვეშ.

დათ რაზომნიცა იუიხენ დრის¹⁰)...

6. ბეშქენ II (=ბეკა) ლამაზის მხედრულ ხელით.

74₂ ქ. ამას ზორგით რომე ზაზას ჩემის კელითა დაწერილი არს, დაძვეებულიყო. მე ძისწოდამნ მისმან ბეშქენმა განფაცხოვლე და მე დამიმტკიცებთა, რაიცა სლოცაფი თქვენ დააკლოთ... სიღის თქვენს დააკლოს მას დღეს განკა... წყენ თბრადლო-ნა ვართ თქვენ კაკა...¹¹).

7. ბეშქენისავე ხელით.

75₁ ქ. ესე მე ბეშქენ ჩემითა კელითა დაწერე ესე რაიცა ჩემთა მშობელთა და ჩემან დაწერილი არს განდამც მტეიცი იყო, რომე სატანტროთა გამოდებულა ამის... რაიცა ხეგესი კორადეოს არს ხარებად... სხლსა შიგან ხეგესი არ იუოს და ვერ წირეადეს სატანტროს. . (რომე)ღნიც წირეიდეგ რადმცა ვინ სთხოვდა, კრულმც არის დმისმშობელისმეურ(?) და ვინ ლოცვას დააკლოს, იგიმც კრულია დმისა შირითა¹²)...

8. მურვან II-ის მხედრულის ხელით.

76₂ ქ. სახელითა დმისათა დატიწერე ესე დაწერილი მე
77₁ მურვან თქვენ სრულად კორადელთა. თახჩეთა

¹⁰) ამ წარწერიდან ბროსეს ამოუკითხავს მხოლოდ შემდეგი: „*Moi Bechken et ma fiancée Khouachak nous avons offert à Coridéthi*“ (ibid., გვ. 275). ეს სულ შეცდომაა, ვინაიდან ხოაშაკი ბეშქენის საპატარძლო (fiancée) კი არ იყო, არამედ რძალი.

¹¹) ამ წარწერიდან სიტყვაც არ აღუნიშნავს ბროსეს.

¹²) ამ წარწერიდან ბროსეს მოჰყავს,—ისიც მეხუთე წარწერის ვაგრძელებად,—მხოლოდ სიტყვები: „*J'ai écrit de ma main*“ (=წერ ჩემის ხელით).

- 77₂ დედასა ღუთისადა შუქწარა მურვანს და აგათას და
- 78₁ თქუენ ნაკუყდ(?) ვითა მქქონებოდა და ვითა კარდასაკდეკელი იყო. ამისთ¹³ არაი კარდაკადევიხუ ფორცელი ამოკუთილი იყო და არ... ვინუ. ავადუ თქუენკან სამსახურა თრმოცდა... და ფორცელის ამოკუთილიცა კაცითა და თახხუთა მოგერ მამოლობ(ითა) მამოლი თქუენა კერკვე აგ(ი) მამოლი (თქუენ)ს კრდგულებას შაცან. ვინუ შუშალას კრდლია ბირითა ღ¹⁴ თისითა:—შემოკადე მელმული (შლი) სამოცი. მერა ათა კაცითა და თრმოცდათისა ბოტინატისაი ავადუ ჩემთვის ჩემისა სოღისა და საკლავისეფლოდ უოვლად ფერად თახხუთს ქსისა კაბიწისა ნიგოზისაი შუქწარა და განდა ჰგერკვე იყო და ვინცაღარა...ნოს თქუენიშგ ბრანბი და ცოდვანა .. მც კორიდეთისა ღ¹⁵ თისშმოხელა ჰრისხავს:—ქ. ესე ვითა (ჩემითა) კელითა დამიწრაი მე მორვანც ... (ვამ)ტკიცებო ჩემნაცამც ბრანბი და ცოდვანა ოზღვან, ვან ამისთვის სცელიდეს(?), ოზღვიოს დმურთმან ¹³).

9. მურვანის მუელლის ელის ლამაზის ხელით.

- 78, ქ. ამ ბატონისა ბრახუბას მე კლცა მამტკიცებელი ვარ ¹⁴).

10. ივანე მათეშელის მმედრულ-ხუცურ ხელით.

- 121₂ ქ. სახელითა ღთისათა და შთამდგომლობითა წმიდასა ღ¹⁵ თის შმოხელისათა მე ივანე მათეშელმან ¹⁵) დავიწერე
- 121₁ მაქელ ხოცესს კორიკეს ძეს მას ჟმსა, ოდეს ზარსმან გამგებლად იყო, შოდელეთა ივან წმიდასა თანა, რომელ მიწა იყო, მისი ნახეგარა ნიგოზითა ვიუადე. გაბუნბიერუნ დმურთმან.

¹³) ამ წარწერიდამ ბროსეს წაუკითხავს მხოლოდ 20 სიტყვა დასავლეთისილამ და მურვანი ბურვანად უხსენებია (იქვე, გვ. 276).

¹⁴) ეს წარწერა ბროსეს ვერც კი შეუნიშნავს.

¹⁵) ბროსეთი — მალეშელმან.

ამს დაწვრილს მოწაშენი არაან ვაშნა და იანე სკოროდნი და თადუი და ხადარბური ¹⁴⁾ და ჰეტრე და სროლად კორი-
დიგლნი. დაიწერა ხადარისქეას კელითა და ვინცა ესე დაწვრი-
ლი შლას, ათა ბოტინათი ზღოს და ესე გაგებოდა ჰასრევე
იოს ¹⁷⁾.

11. მურვან I-ის ხელით შედრულად ¹⁵⁾.

123. სსხელითა ღთისათა და შეოსებითა წდის ღთის მშობე-
ლასითა ესე დაწვრილი მე მორვან დაიწერე შენ მაქელ [ხე]-
ცესსა იო[ვან]ქსესსა: მამს მამა შენი მარკოზ ხოცესასშეიღა
იყო და მისი კერძი მამოღა შენდავე მომიტემა შეიადრად შე-
ოცვალეებულად შენდა და შეიღთა და მომავლთა შენთადა. ესე
ჩემკან და შეიღთა და მომავლთა ჩემთაკან მტეიგე არს. არ
კელა შეუუადს არც კელისოფადს ჩემსა შლად და ქცევად ამა-
სად.

124. შენკან სამსხორა ამიღა ერთი ჯორი და ერთი კარი.

12. ბექას ხელით შედრულად ¹⁶⁾.

ქ. ესე ვითა მამას ჩემსა მორვანს დაიწერათ, მე ბექა მო-
წაშე და მამტეიგებულა ვარ.

¹⁴⁾ ეს სახელი ბროსეს გაკოტოვებული აქვს და დანარჩენებსაც ასრე კითხულობს: ეაენანი(?) და იანე საკო...ლი და თი.., კოვი და ჰეტრე და სროლად კორიდელნი.

¹⁵⁾ ბროსეთი: „...ათი გადანაჯი ზღოს და... გუეშალოს ასევე იყოს“. „გადანაჯი“ კი არა, ბოტინათი გადაიზადოსო გუჯრის მშლელ-
მა ბერძნული ფული „ბოტინათი“ (—„ბოტინატი“) საბერძნეთში იკ-
რებოდა იმპერატორის ნიკოფორე ბოტინატის (1078—1081) მიერ. მა-
ლე ამის შემდეგ იგი ჩვენშიაც შემოვიდა ხმარებაში.

13. მურვან II-ის ხელით მხედრულად ^{1*)}.

ქ. ამ მახის ჩემის დამტკიცებულს მე მორვან ვამტკიცებ²⁾.

14. ბეშქენის ხელით მხედრულად ^{1*)}.

132₁ ქ. სხელითა ღთისითა და შოხეებითა და შოამდგომელობათა კორიდეთისა ღთის შშობელისათა დაგვიწერე ესე დაწერილია მე ბეშქენ თქვენ კორიდელთა ერთობ სოფელსა მას ჟამსა, ოდეს ახალი ბეგარი დაგდევ, წინას რამ წრეობდა. ვნახ, რომე ბრალი შექნა, შევე კავიშოი. ესე დამეფა: კნეი, შკაი, თიბი, სადეწაუი კაშქობაი, არ გეძრთადებოდი და შით კავიშო-

131₂ ი. შწირველნი ხართ ჩემნი და შშობელთა ჩემთანი. სსთაი, რაიგ გწ(ე)რებთ, გვრევე იუთს. ესე ვახიმე გავტეიოს და გაქნეკინოს, კრულმე არს ზირითა ღთისითა და დედისა ღთისა შგმობართამე თან არს ჩაწილი სოღისა მასისაი, კვლიამე მდდელთ-შიმღიართა და მდდელთა ჟიართა კრადისა. ამის: —

15. მურვან II-ის ხელით ^{1*)}.

132₁ ქ ესე ვითა მამსა ჩემსა კავიგა, — რაიგ რა გავწირებოდა კავიშოთა, — მე მორვანგ ვამტკიცებ ჩემს კრდვლობასა შიგან. კრულია მშლედი: —

16. ყოთლ-არსლანის ხელით მხედრულად ^{1*)}.

^{1*)} წარწერებს 11, 12 და 13 ბროსე არ იხსენიებს.

^{2*)} ამ სამ წარწერიდამ ბროსეს მოპყავს მხოლოდ შემდეგი უმართლოდ წაკითხული სიტყვები (გვ. 277): „ბეშქენ.. კორიდელთა ერთობ სოფელსა მას ჟამსა ოდეს ახალი ბეგარი დაედეა დაბას... და ვეან რომე ბრალი შეონდა .“



ქ. ამა ზეტონისა ზმასა და შამასა სემასა ბრახნეჰსა შუამონჰსა
 ვითღ-ანსღან მამტეიტეებულა ვარ:-

17. ულამაზო და უწერთელ მხედრულ ხელით.

- 187₁ კალისა და კალისა კვეი ერთობილა
 187₂ რაი გინდა სქმე მოუეეს, ვან და ვან მოკდეს, ვან და ვან
 დაიკოდოს ან და ვან ბოართოტ შემოუეეს და ვათა ზასოხეის
 გამტეჰა წმიდა ვეირაუოს
 188₁ გინდა რა ვან დადად სმანელას თქრიბირას, მტკარე და
 უმტეჰელი რას. ვან დაშლასა შეოსროლობასთოვა შეუგვალეუ-
 ლა ამა ზარსა ზედა რაც ქნასა მათას სქმეს მოუეეს წმიდა-
 ს ვეირაუეს კლასა თაუსდებობითა და შუეამდგომლობითა და-
 უწრეთელა დაკადევათ უოკელთა წკრილა ესე სერთოდა. სე 2⁰).

18. ლამაზი მრგვალი ხუცურით.

- 192₂ ქ. სსხელათა დ'თასაჰთა ესე დაწერალი მე თახნე 2¹) და-
 გაწერე შენ ითანე და გიორგის არემეთას ნემას კერძისა სხ-
 ხეარა. დემრთმან გიბუღნაურს თქუენ და თქუენთა მოამფელთა.
 დაწერა გამკებლობას 2²) ითანე ფხუნს'ლის'ს ტახოტრობას
 კორადელისას, დორწელი ითანე ტახირი (ტხრა), თაგოგისქე
 ზეტრე 2³) და სროლად კორადეთა. და ვანტა ესე დაწერი-
 ლა შლოს, თ ა ბ დრაჰკანა 2⁴) ზდოს და ესე არცა კერე
 აშადოს:

¹⁶) აქედგან ბროსეს წაუეთხავს მხოლოდ ხუთი პირველი სიტყვა
 და ისიც უმართლოდ: ვალისა კალის მავიერ, ვალისხევი კალისხევის
 მავიერ და სხ.

²¹) ბროსეთი—თახნე

²²) ბროსეთი—გამგებულეზასა.

²³) ბროსეთი: „დორწელი იე ტტრი თაგოგისქე ჰე“.

²⁴) ბროსეთი: „იბდრასი კმ“. სწერია კი ობ(—82; დრაჰკანი,

19. ხუცურ-მხედრულით.

247, ქ. სსკელითა დ'თისათა ოდეს მაქელ ხოცესს ცოლი მო-
ოკოდა ტეხიხვისას ასოდა²⁵⁾ მისა ზეთევა დაწერეთ ერთი
კარი და ერთი ფორი. ერთი დრაჰკანი ერთი...

248, ერთი თხაი.

20. გიორგი ხუცისძის ხელით ხუცურ-მხედრულად.

249₂ ქ. სსკელითა (მამისა და ძისა) და (სულისა) წმიდასათა მე-
გიორგი დაუხსნა ენაჲ (და)უც და სსკესუროს მე გიორგი ხუ-
ცისძემან შეეწირე ნახური(?); ნახეგარის ფსა ავალე დასსე-
რეგულად ჩემად: ია: სს ასარის... სს... თესესს, არცა ჩემ-
(სა სს)ლს კელესსა კ(ცსა) ქონდეს ესე(?) წა შობით
ძმას ჩემ(ისა კელით ადგაშენე) სსა ხუცდრე(ბუღიეთ ...) ...
ცხეხუდასათა და წა..... სტეფანე*) დოღისე(ნს) ქს მს.

ბროსე ამ წარწერის შესახებ შენიშნავს (გვ. 281): „ამავე გვერ-
დზე არის დიდი წარწერა ხუცურ ასომთავრულით გადაღებული ისე,
რომ ვერც მისი პირი გადმოვიღეთ და ვერც წავიკითხეთ“.

წარწერა მართლაც ისე დაზიანებულია, რომ ბევრგან ნაწერი გადა-
ღებულია, თუმცა ამ გადაღებულ ასოების კვალი ალგა ალგა ცხადად
გამოჩანს. წარწერა შესანიშნავია მით, რომ თარიღიანი და მისგამო ყვე-
ლა დღევანდლამდე ცნობილ ქორთიკონიან სიგელ-გუჯრებზე უუძვე-

²⁵⁾ ბროსე კითხულობს: „სახელითა ლისათა ოდეს მიხელ ხუ-
ცესსა მოკვდა ტე აუცისა ასოლი“ და თარგმნის კი ასრე: „Au nom
de Dieu, quand mourut la femme du prêtre Mikhael, fille du prê-
tre(?) Théodore“. ტეხიხვითგან, არ ვიცი, როგორ შესდგება prê-
tre Théodore, ე. წ. მღვდელი თეოდორე, ამიტომ რომ „თეოდორე“
არასდროს ქარაგმით არ იწერება ტეი. ჩვენი ტეი უნდა იყოს ნაშთი
ბერძნულ თეოსისა ან და ქართ. სიტყვისა მტეი, რომელიც 1035 წელს
გადაწერილ დავითნის თარგმანში გვხვდება ფორმით ტე (პურის—ტეი).

*) სტეფანე ბერძნულ მინაწერებშიაც იხსენიება, მაგრამ ბერძნულ
მინაწერის სტეფანე მიქელ ხუცის ძმა არის.

ლესია. ამავე ქორონიკონის მიხედვით შეგვიძლიან აღვნიშნოთ თვით დრო-საუკუნეც კორიდეთის სახარების დაწერისა: ამიტომ რომ რახან გიორგი ზუციძის წარწერას ახის ქორონიკონი მა (=821 წ.), თვით სახარება ბევრით ადრე დაიწერებოდა, ე. ი. არა უგვიანეს მე-VIII საუკუნისა მაინც.

21. მრგვალის ზუკურით.

249₂ ქ. ესე ოთხ(თ)ავა და ერთა სახარებაჲ²⁶) კანთვსულა კორადელა დაშლიდა ვხოე ჭმთა საგრძობათა. შე ერასთავთ-ერასთავმან ბეშქენ შეგვეზმე: ესე ოთხთავა მოგვქედე ჟუართა და გუართა, სახარებაჲ მთა სადაგად შევმოსე. აწ ვანცა იკათხედეთ და იმსახურებდეთ წმადათა ამთ წაგნთა, დოცვასა მომაკსენეთ ცოდვალა ესე და უღირსი, რომელსა დიდად შეკმარებოს შენდობაჲ დღეს მას ცანკათსვისსა:-

22. ქართულ-ბერძნულ ასოებით ყდაზე.

თავსა წაგნთასა წერილ არას ჩემთვის ჟოფნებას²⁷).

ეს სიტყვები ამოლებულია დავითნიდამ (39,7), საცა ეკითხულობთ: „თავსა წაგნთასა წერილ არს ჩემთვის“. „ჯობნებისა“ კი თავისით მიუმატებია წარწერის ავქსონს.

მ. ჯანაშვილი.

²⁶) ბროსეთი: „ესე ოთხთავი სახარებაჲ“. წარწერაში კი ორი ზელ-ნაწერი იხსენიების.

²⁷) ეს ბერძნულ-ქართული ასოებით მინაწერი მოყვანილია ბროსეს შრომაში.

ზ ე ნ ი ზ ე ნ ა .

ეს ბ-ნი მ. ჭანაშვილის მიერ გადმოწერილი კორიდეითი სხარების ქართული მინაწერები ჩვენ შევედარეთ დედანს და მცაროდნათ შევასწორეთ. სამწუხაროთ ვკვლავ უძველესი მუ-20 ხეგურთ მინაწერი ისე გადასულა, რომ მისი სრულთ აღდგენა შეუძლებელია. სიღრმე ჩვენგან მისე ჭანაშვილთან ერთათ ეკვინათ, რომ უკანონისხეული ირა ასო ამ წარწერის „მ“ ქორთიციონის რიცხვით და უდრის 821 წ. აქამდე ცნობადს ქართულ წყაროებში ქორთიციონათ წელის აღრიცხვა ზირველათ ევსდებოდა სეშმატ დავითის ძის ბატონიციონის ქორთიციონა, სდაც მოხსენებულია აშოტ კურაპალატიის სიკვდილი „დასაბამიაცი წელთ ხ ჯღ, ქორთიციონსა მეთა-ცამეტედ მოქვეყდსა შინა მ ვ (იხ. „ქარ. ცხ.“ მარამ დედათულის ვარიანტი, ხეჩი გამოცემა, გვ. 345). დასაბამადგან 6430 წელი ქართულის სთავდავით და 46 ქორთიციონი შეცამეტე მოქვეყდსა უდრის 826 წელს ქრისტეს შემდეგ. მუ-20 კორიდეითი სხარების მინაწერა, თუ ხეჩ არ ვგდებთ, ხეთი წლათ ადრე უზენებს ქორთიციონის სმარებას ქართულს მწერლობაში. სხვა წარწერების სიზოგადო აზრთ ეკვებს ადარ აწვეს მართლ-გათიციონაში. მხოლოდ უთარილობის კამთ გადაჭრათ არ შეიძლება თქმა, თუ რომელ დროს ეკუთვნის თითოეული მინაწერი. სელის მიხედვით უძველესი მხედრული მინაწერები უფრო მეთერთმეტე და მეთორმეტე სეუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ბუნებლითგურ ცბუელაში ბ-ნ მისე ჭანაშვილს ბეშქენ II და ბექა ერთ და იმავე ზირათ მიანათ, მაგრამ ამის უტყუარ სბუთის მინაწერები არ იძლევა. ხეჩ ეკვინათ, რომ ბექა და ბეშქენი ერთი და იგივე ზირი არ არის, არამედ ძმებთ, მურფხ I-ის და აგათის შვილებთ. ტექსტის მიხედვით აგრეთვე, შვილი სხელათ მურფხი ბეშქენსც უნდა ეოდოდეს და ბექასც.

განათვილება

IV

ეთნოგრაფია:
სახალხო სიტყვიერება.

ხალხური გლაპრები

(შეკრებილი სვესტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წვეაში, ზემო იმერეთს).

1. დღით მკედარის დედა.

იყო ერთი დედა-ბერი. ერთი ვაჟის შერი არაუვდა-რა, და ისინი გარდევნილა. ზომა და ანგარიში აღარ ქონდა დედის მწუხარებას. გასვინეს ცხედარი და ერთ მახლობელ გაუქმებულ სახტარში დასაფლავეს. გვეიდა დრო და ჟამი.

ერთ ხემწიფეს მზეთუნახავი ქალიშვილი უავდა. ბევრი მთხოველი დიდი-კაცის შვილი შადიოდა, მარამ არავის არ მიუვებოდა, უველას იწუნებდა. ბოლოსაც ილაჯ-გაწვეკტილ მამას ძალათი უნდოდა დეკვირგებება თავისი ქალიშვილი. ეს რომ ქალიშვილმა ტეიგო, გეიშარა დამით და დიდი ხეტიალის შემდეგ ამ გაუქმებულ ეკლეხას წაატედა. კარი ღია იყო. შვიდა შიდ და, რომ შადეკრებს ვეღარ მიეკნოთ, კარი მიხურა, თითუან კი აკლდამაში ჩაძრა. ამ აკლდამაში ესკენა ის დედის-ერთა ვაჟი თავ-ახდილი კუბოთი. ეს ვაჟი უოველ დამ ადებოდა, შთელ დამე ეღვინძა; როცა დილა მოახლოვებოდა, ჩაწვებოდა თავის კუბოში და მოკვებოდა. ასე კემართებოდა ცის მარად დამე.

როცა ეს მზეთუნახავი ჩვიდა აკლდამაში, უმწვიღის ეღვინძა, გაცოცხლებული იყო და ვეღზე შემოეხვა მზეთუნახავს.

— შენი ბედი ვოთელვარო, უთხრა მზეთუნახავმა და, თუ გინდა, ქერ¹⁾ მაკალიო.

შადეგრებმა მზეთუნახავის ავან-ჩავანი ვეღარ ტეიგეს და თავი დანებეს შის ძებნას.

გვეიდა დრო და ჟამი.

მზეთუნახავმა იგრძნო, რომ ტულთან რაცხა²⁾ დეემძვრა³⁾. ეს ამბავი დამე უთხრა ვაჟს და იმანაც ურწია: წადი ამ და ამ გზით,

¹⁾ კიდევ; ბარემ.

²⁾ რაღაც.

³⁾ დაენძრა.



აქა და აქ ამისთანა და ამისთანა სახლს ნახავ. მიდი იქ. იქ არის დედა-ჩემი. ჩემ შესახებ არასფერი არ უთხრა. მიდი ამისთანა და ის მოგივლისო. შე-კი უოველ დამ მოვალ იქ და გეგებებ შენს ამბავსაო.

როგორც ვაქმა ურჩია, მზეთუნახავიც ისე გეცისარჯა. მივიდა იმ სახლში, ნახა იმ ვაჟის დედა, შეჩივლა თავისი ფეხ-მომიბობა და შეიღლის სიუფარულისთვის თხოვა, რომ შეველო მისთვის. დედა-ბერმა დიდა სიხარულით მიიღო, განსაკუთრებით თავისი შეიღლის სიუფარულის ხსენების კამო.

ამ დღიდან უოველ დამ შევიდოდა ვინცხა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან ¹⁾ ჩუმათ ჩამოძახებდა:

იასამან — გულისამან,

შენი საქმე რაყარაო?

მზეთუნახავიც მიახარებდა ჩემი ხმითვე, რომ დედა-შენი ძალიან მიუღლის და შეფერებო და არა მიშავსრაო.

ეს ქალ-ვაჟის ერთმანეთთან კამოდარდილება ²⁾ არ გამოძარცვია არც დედაბრის სმენას. იმან გეიგონა, რომ ვინცხა შეიღლის სახლის თავზე და „იასამან-გულისამანს“ იძახის.

ერთველ კითხა დედა-ბერმა ამ მზეთუნახავს: ვინ არის, საფაფურიდან რომ ჩამოგძახის ხოლმე, დედა-შეიღობას, მითხარო, მზეთუნახავი გადაფიცავდა და არასფერის გულისთვის არ გტოვდა ხოლმე.

ერთველ, როცა ფეხ-აკრეფით სახლის თავზე ასული უძახოდა მზეთუნახავს, წამოდგა ლოკინიდან დედა-ბერი და დოუძახა მზეთუნახავს: თუ შენი ორგული არ ვიყო, ნუ დამიფარავ, ვინ გიძახისო. მზეთუნახავი ვერ ბედავდა: ვაი თუ შერე აღარ შევიდეს ჩემი სატროფო.

ვაქმა ჩამოძახა: ნუ გეშინია! უთხარო!

— გეტყვიო, უთხრა დედა-ბერს მზეთუნახავმა, მარამ იმ ბირობით კი, რომ წამალი უშონო და მოაჩინოვო;—ის შენი ვა-

¹⁾ სახურავში ბოლის (კვამლის) ასახვლელი ნახვრეტი.

²⁾ გამოხმაურება, გამოლაპარაკება.

ჟია ჩემი გულის სიტყვით, — დამე ცოცხალი და დღისით შევღა-
რო.

— ოღონდ კი მასწავლეთ, რა ეშველება, რა გააცოცხლებს,
თუარა ქვეყნის კადეს იქითაც წავალო.

— ამა, წადი, გადაუვი თან და მზის დედა მანც ნახეო. შეეს-
ვეწე მას, — ასე და ასე ჩემი ვაჟი და მიშველე რამე წამალი-თქვა.
ის გასწავლის, თუ რა წამალი უშველის შენს ვაჟს. სხვა ვოველი-
ვე ცდა ამაო, სხვა არასფერი უშველის შენს ვაჟსო.

წვიდა საბრალო დედა. იარა, იარა და, რომ გეიხედა, დეინა-
ხა, ოთხი მამა-შვილი მუშაობს ეანაში.

— სად მიდისარ, ბებიაო, კითხეს ემწვილებმა.

— მზის დედის სანახავათ მიუდივარო, — და მოუყვა თავის
გაჭირვებას.

— შენი ჭირამე, ჩემო ბებია, — შეესვეწენ, — თუ ნახო მზის
დედა, კითხე, ჩვენი საქმის უამედო უოფას რა ეშველებაო? ჩვენ
ვართ ოთხი მამა-შვილი, ძარღვები გვაწუდება, კანში ვძვრებით, ისე
ვშრომობთ, და ხეირი არა აქვს ჩვენ შრომასო.

შეზირდათ ბებერი და წვიდა, გოუდგა თავის გზას. ბევრი ია-
რა თუ ცოტა, ხედავს, რომ გუთნუელი გოუბამსთ და ცხრა უღელი
ხარ-კამბენი ვერ შათრევს გუთანს. გუთნის-დედამ კითხა დედა-
ბერს: სად მიხვალ, ბებიაო? დედაბერმა მიუტო: მზის დედის სა-
სანახავათაო, და მოუყვა თავის გასაჭირს. ახლა გუთნის-დედა
შეესვეწა დედა-ბერს, — ხომ ხედავ, რავა ვწულებით, რავა ვი-
ხოცებით და ფაიდა¹⁾ არა აქვს ჩვენ შრომასო. კითხე დედაშვი-
ლობას, რა ეშველება ჩვენს საქმესო. დედა-ბერი შეზირდა და გო-
უდგა თავის გზას.

იარა და იარა, ხედავს, — ცხერის ფარა დაცვინილა, ძლივსდა
იღებს სულს. თავზე ადგია შწეუმი და ხელ-გულ დაკრუფილი ტირის.

— სად მიხვალ, ბებიაო? კითხა შწეუმსა.

— მზის დედის სანახავათაო, მიუტო ბებერმა და თან მოუყ-
ვა თავის გასაჭირს.

¹⁾ ნაყოფი, ხეირი.

— ხომ უყურებ, ჩემო ბებია, როგორ უნუტეშო უოფაში ვარ, მთელი თვარა ცხვარი მიწედება; გამიკე, დედაშვილობას, რა ეშველებათ?

შეპირდა ბებერი და გოუდტა ტზას.

იარა ბებურმა და იარა... ხედავს, რომ ერთ მიდორში ირემი დტას, თუხებს ველარ სდტამს. ერთი ბორჟდიანი რჭა მიწაში ჩარტობია წვერებით, შეორე კი ცამდი ასვლია.

— რას შვები, ირემოვო? კითხა ბებურმა.

— ამ რჭების წვალბობით ისეთია ჩემი გატორეება, ველარ ვამძრევი.— შენ სად მიდიხარო?

— მე მივდივარ შზის დედასთანო; და მოუყვა ბებერი ირემს თავის გატორეებას.

— აბა, რაღა შორს მიხვალ, უთხრა ირემმა: აუკვი ჩემ რჭებს და ახვალ შზის დედასთანო და, დედაშვილობას, არ დეიფიწუო ჩემი უსამკელო უოფაც, ჰკითხუ, რა მიშველისთქვა?

ირემის რჭების ბორჟდებს ისე აუკვა ბებერი, რავარც კიბეს, და კვიდა შზის დედის ძელურ¹⁾ ქოხში. შინ იუო შზის დედა. გამოდტა ტანის²⁾ კარზე და შეიხმო შინ დედა-ბერი.

— რა გატორეებამ შოტიუვანა ჩემამდიო, კითხა ატრემლებულ დედაბურს შზის დედამ.

დედა-ბერი ჩამოჟდა ლოკინზე³⁾ და ძიმის⁴⁾ მარცვადივით ჩამოუთვალა, რაც უბედურება ეწია.

— ნუ ტირია, ნუ გეშინიაო, უთხრა შზის დედამ: შზის შირის ნახანი წეიდე და ის შოტირჩენს შენს ვახსაო. ჩადი ისეგ იმ ტზით, რომელთაც ამოხვედი. იქ შეიცადე გათენებამდი. გათენებისას წამოვა ცვარი, ეს არის შზის შირის ნახანი, მოუყარე თავი, წეიდე, შიასხურე იმით შენი შვილი და დდისითაც ისე ცოცხალი იქნება, რავარც დამით არისო.

¹⁾ ძელური—მრგვალი ბისა.

²⁾ გვერდის კარები.

³⁾ საწოლი ტახტი.

⁴⁾ მძივის.

მადლობა მოახსენა დედა-ბერმა შხის ღუდას და ღოუკონს მუნ-
ღები.

ახლა კითხა დედა-ბერმა: ასე და ასე ირმის საქმე და ტხოვსთ,
რა შეუქლებაო.

— რომ ჩახვიდე ძირს, მიუგო შხის ღუდამ, შეუძვრე რქე-
ბი, წაძვრება, გოუმჩატდება თავი და იფრენს თავის ნებაზედაო.

— რაღა ეშველება დაფოლხვებულ¹⁾ ცხვარსაო?

— გაკრიჭონო.

— რა ეშველება გუთნის-ღუდას შწუნარებასაო, და მოუყვა გუთ-
ნეულის ამავს.

— რკინის უღელი არ ვარკა, ხის უღელი იხმარონ: შჩატკა
და მსუბუქათ გასწევენ ხარ-კამბელები, ბეგრს შიხნავენ და მოსაყა-
ლიც მტრი მოვაო.

— რაღა ეშველება მამა-შვილებს, — მუშაობენ და ხეირი არა
აქვს მათ ნამუშევარსაო.

მამას ნუ ამუშავებენ... მოხუცებული კაცის მუშაობა საცოდა-
ობის არის და უფაილო. უთხარა შვილებს, ნუ ამუშავებენ მამას და
მტრი დოღათი ექნება შიო შრომასაო.

— ამ მასუხების შემდეგ ჩამეარა ირმის რქის ბორჯლები დედა-
ბერმა, ჩამევიდა ძირს, შეუმძვრა ირემს რქები, წაძვრენ, ეიშვა ირემ-
მა და გაშვა²⁾ შიისაკენ.

შეიბადა იქვე გათენებაში დედა-ბერმა. კანთიადისას მოუყა-
რა თავი დიღის ცვარს და წაშევიდა შინისკენ.

შინხარა შენხვარეს: გაკრიჭე ცხვარიო. მანაც გაკრიჭა და წა-
მოღვა ფეხზე ცხვარი.

შინხარა გუთნის-ღუდას: რკინის უღლით ნუ ტანჯავ ხარ-კამბეჩს
— ხის უღლები შჩატკა და უფრო მსუბუქათ ამუშავებს ხარ-კამბეჩიო.

ასე შეიქცა გუთნის-ღუდა და სისწრაფით წევიდა წინ მისი საქმე.

ახლა შინხარა მომუშავე შვილებს: თუ გინდათ დოღათიანი
შრომა, მამას ნუ აწვალებთ, ნუ ამუშავებთო.

¹⁾ დავარდნილი, დასუსტებული, მოხსლეტილი.

²⁾ გაიქცა, გაეარდა.

— ჩემმა გველ-ვაჟმა მოსვენება არ მომიღა, თქვენს ქალს გთხოვს სიცილითა და მოუყვას უველაფერს. შეფემ არ გაიკვირება¹⁾, გულ-დასმით მოუსმინა და მასუხათ უბძანა: უველა ჩემმა ხელ-ქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ღარიბი შეფე. მომთაღებია ერთი მოსამზღვრე შეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზავნია შუაკანები და სამ კითხვას იძლევა. ასახსნელათ; თუ არ აუხსნის, დამარბევს და დამაჭრევს. უთხარი შენს ვაჟ-გველს, თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მიუთხოვებ, რადგანაც განსადგელს გადაშორებს თავზე ჩემ ქვეუანასო.

პირველი კითხვა: მე შეავსო, ითვლეკინება ის შეფე, — ცხენის ჯოგი, გამიციანია, რომელია დედა და რომელია შვილებიო.

მეორე კითხვა: აგზავნის ქვასანას²⁾ და ითვლეკინება, ამაზე ამოჭერთი ათასი წედა³⁾ თანმა და გამამიგზავნეთო.

მესამე კითხვა: ჩემ ქვეუანაში ერთი მხარეა უწელო, წყარო არსა და გოუნინეთო.

დედაბურმა თქვა: თუ გადაეკიდე ჭირი, ეს ახლა გადაეკიდეო, და კუნკულ-კუნკულით გამოქანდა შინისკენ.

— რა ჭენიო, კითხა გველ-ვაჟმა.

— რაღა რა ვჭენიო, მიუგო ნერწყვ-გამშრალმა დედამ: სიკვდილი გველის, მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამიდეო და დეიწეო ქვითინი.

— რა დაგუმრთა, რა იუოვო, ჩააცვიდა გველი: მე ის ხე-მ წიფე ვერ მიმერევა, თუ ძალაზეაო.

დედას ამ სიტყვების გატონებაზე სულელივით გვეცინა:

— შეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს⁴⁾ გველ-ფეშისა?

— ვერაო, დარწმუნებით უთხრა გველმა.

— ამა კარქი და რუხსენი ახლა ეს კითხვებით და მოუყვას, რა კითხვებიც იყო ასახსნელი.

¹⁾ დიდათ არ გაიკვირება, არ იუცხოვა.

²⁾ ფილთაქვას.

³⁾ წყრთა.

⁴⁾ ღვაფსი — ძალიან პატარა (ერთი ბეწო).



ტველი ერთ წუთსაც არ ჩაფიქრებულა და უთხრა დედას:

— წადი ახლავე და მოახსენე შეფეს: კატონე შენი ვეზირი იმ შეფესთან და დააბარე—რამისისხო თასმა უნდა, მინუსი ამოჭერი ამ ქვესანაუზე და მეც იმ ზომას გამოვჭერთო. ვერ აჭრის ამ ქვესანაუზე მინუსს და შერცხვნილი დარჩებაო. ცხენები დააწურონ სამ დღეს და როცა გამოუშვებენ, რომელიც დეიხვიხვიანებს—ის იქნება დედა. სადაც დამწურვადებულა ხალხი, იმ ქვესანაში ერთი მუხაა ამა და ამ ადგილას, მოთხარონ ის მუხა და ამეიღონ იქ მალაღი ¹⁾ ორში, სანამ წყალი არ ამევიდეს. ის იქნება ჭა და მისი წყალი იხმარონ.

 მოდიან ცხენ-და-ცხენაო,
 ერთმანეთს ეუმბებიან:

„დაუბრუნდეთ ვეკლა ჩვენაო!“
 მანდეთში¹⁾ რო შევიდენ, —
 დეიწვეს ჟვარის წერაო.

20.

მოუვარეს შამოუთულია:
 მოუვარის მოუვარე კვდებაო.

— მოკვდეს და ჟანი ტავრდეს,
 სხვა უკეთესი მრწყებაო.

21.

მოკვარე ვნახე ტან-წვრილი —
 გზა-მარას იყო გაწვდილი.

22.

ზემოთიდან წამეკვდი,
 წამევიდე დართულიო.
 დმურთო, შენ გამიძლიერე
 ჩემი ხელით ნათლულიო!

23. ნათლია და ნათლიდედა.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — წინდა-შაიჭს გიმზადებ,
 ლეკვერთხებესაც²⁾ ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვებედავო?!
 კაი ქოშებს გიუიდი,
 წვივ-საცმელსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — კაი პერანგს გიკურავ,
 ახალუხსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვებედავო?!
 კაი კაბას მოგიტან,
 კარქ სარტყელსაც ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო!
 ჩემთვის რასა ბედავო?!
 — კაი ჩოხას მოგიტან,
 კაი ქამარს ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვებედავო?!
 კაი ლაჩაქს მოგიტან,
 კაი ბაღდათს ზედაო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 ჩემთვის რასა ბედავო?
 — კაი ქუდაც მოგიტან,
 ბურსოულსაც³⁾ ზედავო.

— ჩემო ნათლიდედაო,
 შენთვის რასა ვებედავო?!
 კაი ჩიხტსაც მოგიტან,
 კაი კოხსაც ზედაო.

¹⁾ მანდეთი—სოფელია ზემო იმერეთს, ქოხოს წყლიდან 4—5 ვერსზე.

²⁾ ლეკვერთხი—პატივის შესაკრავი, წვივ-საკრავი.

³⁾ ბურსოული—ხელ-მანდილი.

24.

იანურისა რვასაო
 ნუ გოუდგები გზასაო,
 ნუ ეწვევი სხვასაო,
 ნურცა ცოლი-ძმასაო!
 თუ მიხვიდე დისასაო,
 ფული გქონდეს ქისასაო.

25.

შექვებები მოდიან,
 ქვაბი მოვკაგლვითო.

მასინძდესა გადაუძხოთ,
 ღვინო მოვატანიოთო.

26.

ბღაიძისა კარზედაო
 მტერს ნუ დადამდესაო!
 ჭადი ვთხოვე; ვერ შიშინა,
 ქერქი ეღვა ჟამზედაო.
 ცოლი ისე დაბდური¹⁾ ვაეს,
 იხუხება კვამლზედაო;
 ვერ ტვირეკა ნაცარი,
 ვერ გამოჩთა კარზედაო.

IV

სამეურნეო ლექსები:

1.

„ოდილა“ უთხარ უანსა,
 ნაფუზვარსა და ჭალასა!

2.

აღ:ღმაქო, დაღ:ღმაქო,
 დიდ შიდორში უანა მაქო;
 მუშა ბევრი შევიწიე,
 სჯამადი აღარ მაქო.

3.

განჯას წუალი შამოვასხი,
 ვარდო-მანანსა!
 დმერთო, წვიმა შეიუვანე,
 ვარდო-მანანსა!

4.

ზემოთიდან წამყვედით
 მე და ბიჭი ომანაო.
 ზურის ქუდილისთვიან ტუდა ჯობს,
 სიმიდისთვიან ტომარაო.

5.

შენ, ჩემო ღომო, რას შვები?
 შერკან ველოდი სარწოსა.
 ეს უბისღების¹⁾ ღორები
 სულ შენში დეიხარჯოსა.
 — ღორო, ეს ჩემი სიათა
 მაქვს მხარზე დაკიდებული,
 შამოგიწეო და გქსროლო

¹⁾ შეუგნებელი, უხეირო.

) უბისა — სოფელია შორაპნის მახრასი.



ის ჩემგანვე შეჭირვებული!
 შენი პატრონი შევიდეს,
 ის ჩემზე აჩივლებული.
 — ეს ჩემი ახლა სიკვდილი
 ჩემი პატრონის ბრალთა,
 ჩემი პატრონმა არ იცის
 ჩემი საღორის კარია.

6.

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
 მე მოგახსენეუფ, რა უნდა:
 სათავე ¹⁾ აშენებულად,
 დარსა პირამდი თლა უნდა,
 ქვეშ-ქვეშ ღამაზი ბორბალი ²⁾,
 შიგნი ღამაზი ქვა უნდა,

ხეიმირა ³⁾ და სარკველა ⁴⁾,
 საინწიადლო სხვა უნდა,
 ზედ რომ მური დაარბო,
 იმასაც კარქი ქეთა უნდა.

7.

ნახშირმა თქვა: მოგახსენებ,
 მეც ვარ სახსენებელი:
 წმინდა რკინა ჩემთან მოდის,
 სახნისი და საკეთელი.

8.

ჩარირამა, ბუბიაო!
 აბრეშუმმა გვიღალატა,
 ბამბა მაინც ბუერიაო.

V

ლექსები შინაურ და გარეულ თრინელებსა და ცხოველებზე:

1.

— უიუღიუო მამადო!
 სადა ხარ?— წინჭარში.
 — დაგსუსხავს.
 — ფაჩუნება ¹⁾ მაცვია.

— დაგიკვება.
 — ხარაზი შეავს.
 — მოგიკვდება.
 — ცხვარს დოუკვამ.
 — სად დაკვლენ?
 — ხიდის თავში.

¹⁾ სათავე—ჯებირი.

²⁾ ბორბალი—წისქვილის თვალი, ფრთებიანი.

³⁾ ხეიმირა—წისქვილის ქვის ზემოდან დაკიდებული ყუთია, რომელშიაც ხორბალს ყრიან.

⁴⁾ სარკველა—მოკლე და მოკაუტუებული ჯოხია, რომელიც წისქვილის ქვას ზედება, ხეიმირას ანძრევს და იქიდან ხორბალს ერეკება.

⁵⁾ ფაჩუნები—პატარა ფეხსაცმელები.

2.

ელენიკის ქათამიო
 ღობის ძირში დავკალიო;
 იმის კურტუმი-ბარკალიო
 ბატონ-შეფეს მივართვიო.
 ბატონ-შეფემ დამიწუნა,
 ბიძა ჩემსა მივართვიო.
 გობ ქვეშ შეინახა,
 კატამ შეუჭამა.

- კატა რე-იქნა? 1)
- ხიდზე გივიდა.
- ხიდი რე-იქნა?
- წულმა წეილო.
- წული რე-იქნა?
- შხემ დააშრო.
- შხე რე-იქნა?
- გორას შეეფერა.
- გორა რე-იქნა?
- ხორას 2) შეეფერა.
- ხორა რე იქნა?
- ცეცხლში დეიწვა.

3.

ჭაფარა 3) შუადა, მიუვარდა
 ეშმაკური სიტყვის მთქმელი;
 ხუთი კვირის რო შეიქნა,
 გარეთ ფრენას მიჰყო ხელი;
 ექვსი კვირის რო შეიქნა,
 სულ ეილო ჩემზე ხელი.
 ავდექი, ბეგრე ვეძებე,

ვერ გვიბე ვერაფერი,
 ვინახები შუუაჭურე;
 მარნები და სწინახელი;
 ეველა ჭაფარა შეკონა,
 რაც რომ ვნახე მისი ფერი...

ხუთშეთათ დილა გათუნდა,
 აგერ მოხტის ჭაფარ-ჭრელი,
 ჭერ საღამო მოვასხენე,
 შერე ჩქარა ვტარე ხელი.

— არათ მოგვიძულე, ჭაფარა,
 რათ დამტოვე მარტვა-ხელი?
 მარტვა-ხელი კაცისათვიან
 იუავ თავის შესაქცევიან

ერთი სიტყვით, გოუნწერი:
 „სადა გინდა, წეუთერი!“
 გოუტანელი უოფილა
 ეს ჭაფარა გვერდებ-ჭრელი
 თუ ჩვენკენ გვერდი არა ქნას,
 იუოს ქორის განსადღუნელი!

4.

კატამ თავვი დახატეა
 ას და ხუთი კაციათაო.
 ადგა თავვი და ეწვია
 სულ ცხენოსან ჭარათაო.
 საჭამადი ვერ იშონა,
 კატა კვდება ჭავრითაო.
 თხა და ცხვარი ჩამორეკა
 იმ დიდი ოსეთისაო,

1) „რე იქნა“ — რა იქნა, საით წავიდა?

2) ხორა — საენებად დაწყობილი შეშა.

3) ჯაფარა — ჩხიკვი (ფრინველია).

ასიანები ¹⁾ დახადა
 იმ შუმი ²⁾ ბეგრებისაო.
 ჟერ თავგმა შექნა შილინგრო ³⁾;
 კატამ შეიწოთ უვებრები ⁴⁾.
 ერთი თავგი გეიზარა,
 ღეინს უკანა შეეფარა.
 კატა ცხენ და ცხენ მიეჭრა,
 ცალი თვალი წამოთხარა.
 შენი შვილი დამამოყვრე,
 კატამ უთხრა თავსა:
 *თუ ამ სიტყვას არ მიყვრის,
 ზე წაკვერეს თავსა*.
 თავგი ბატონთან გეიქცა:
 კატამ არ დამაყენაო.
 კატა შეისმია ბატონმა:
 *კატა, რამ გაცხელაო?
 თუ შეტი ჭკუა არ გქონდა,
 რამ გატყარდა მაგ-ხელაო? —
 მე თუ რომ ჭკუა არა მქვს,
 კაცი ნუ დამემდურება:
 მე თავგის შიშით არ მძინავს,
 დანჯვეტილი მაქვს ეურები;
 შემოდის, რახუნს ასტეხავს,
 რავარც ქართული ⁵⁾ ურემა.
 კაკალსაც არას შემარჩენს,

რომ შექონდეს ასი ურემა!...
 — მიდი, თავგო, და აკოცე,
 აღარ დაგიშლის კაკალსა.

5.

ცხენი იმტომ მოგაბარე,
 კარზე გქონდა საბადახო;
 ახა. იმისთვის კი არა,
 გოუშვა და აღარ ნახო.

6.

გელმა თქვა: შეტათ გავსუქდო
 ამ უზარმავე ხორცილო,
 აუდექ და გამევიარე
 ამ უსიერი ⁶⁾ ტვერითო ⁷⁾;
 ჭაღში გადევსებდე,
 ცოტა რამ ვნახე თვალითო:
 ოცათ კრავი დევიანსე,
 დასუქებული ჭაღითო.

ბეველი, გამევესაღმე
 საუკეთესო ვერძსაო,
 უგელას თავები დაგწვიტე.
 რავარც მიმინომ წვერსაო.
 ერთი ხატარა თიკანი
 აფარება ბეგსაო.

¹⁾ ას-ჩაფიანი ტურები.

²⁾ შუმი ღვინო — კარგი, მაგარი ღვინო.

³⁾ შილინგრო — შლიგინი, შრიალით რბენა.

⁴⁾ ყვიბარი — ყველის ქილა (ჩუბინაშვი.).

⁵⁾ ე. ი. ქართლური.

⁶⁾ უსიერი — გაუვალი, დაბურული.

⁷⁾ ტვერი — შირი ტყე.

— გელო, რა ავი უოფილხარ:
 გვემტერებოდი ჩვენცაო?
 გუშინ ბურაკი მიტყონდა,
 ზურგზე აფეჭვინიდი ბეწვისაო.
 ჩვენი ჰატრონი ეიდულობს
 სულ ფინთიხიან თოფსაო,
 დაკინოქებს და მას გესვრის,
 დატამტერებს ბეჭის ფთებსაო.
 ნაღველას წაშლათ იტყვიან,
 საუკეთესოთ — ქონსაო.

7.

კაღმა-კამოღმა უანაო,
 შუაზე გამოგვალაო.
 კაღმა ირეში ბღაგაო,
 ნეტამღ აქ გამამგვარაო.

8.

დათვი და პავლია.
 — ვაი დედაშენს, შავლია!
 რას წამიდექი გვალშია?
 რა შუგიჭამე მისთანა,
 არ დამაენე მთაშია?!
 არ იჭმება ჩემი ხორცი,
 არც ფასს მოტყემენ ტყავშია.

თუ მაინც თოფი მესროლო,
 შიგ მამახეთერე პაუვშია!...
 — თუ ტესროლე, თავში ტესერი,
 თვარამ ში წავალ სხსშია.

ადგა, წვეიდა დათუნა,
 გზა-წვრილი კადეიარა.

საწული ჩვენი შავლია
 დასაფრულაა, წინ არი.
 ჩახმახი გააციმცამა ¹⁾
 დათვს გაატანა წინ-ხალი.

— ვაი დედა-შენს, შავლია!
 რა კლახათ მოტეკაღია?!...

ძროხა ბევრი შუგიჭამე,
 შენი წიქარაც ²⁾ ხარია.

— მეც მიტომ გამოგიდექი:
 არ შემარჩინე ხარია,
 ნალია ³⁾ მთლათ დამიმტერიე,
 ჭიშკარიც აღარ ვარცია.

თითო შესვლაზე არ გეუო ⁴⁾
 ნაჭები კარქი ძარია ⁵⁾.

— ანასური ჩემ სიკვდილსა!
 გაფქელი კარქა ხანია.
 ამიდე — და მამგერი
 როკინა ⁶⁾ ჩემი თავია.

¹⁾ გააციმცამა — განძობია, დააცემინა.

²⁾ წიქარა — ხარის საკუთარი სახელია.

³⁾ ნალია — მაღალ ფეხებზე შემდგარი სასიმიინდე.

⁴⁾ იგულისხმება სიმიინდი.

⁵⁾ ძარი — წნელისაგან მოწნული გრძელი, ურემზე დასადგმელი ჯი-
 ნია, რომელშიაც სიმიინდის ტარობებს ჰყრიან, ან ყურძენს ზიდავენ.

⁶⁾ როკინა — უშნოთ დიდი და მსხვილი.

VI

სატრეილო ლექსები.

ა. ვაჟი ქალს ეუბნება:

1. ნიტი ღობეზე შამოფდა,
ბიძიბილი ¹⁾ ნოუშავდაო.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
გვირგვინი გოუშავდაო.
2. იელშია ²⁾ ჭორის ბუდე:
კატკატს გული დაწვევტია.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
თავზე შეხი დატეხია.
3. ნეტაი, გოგო, დედა-შენს:
შენ გოუზდინარ შეილათა!
არც გინდა პირის დაბანა,
არც უმარინი სშირათა.
4. დილი, დილი, დიბანდაო,
გოგო სახეს იბანდაო;
ტავხედე და შამაშხედა
სამსე ³⁾ შთვარეს უტავდაო.
5. კაი თავსრაკი ⁴⁾ გარტეა,
შუბლი დაგვიშვენებია.
6. მარგალიტი ძუძუები
ტულზე აგისვენებია.
7. საევარელო ძვირფესოვო,
ნეტაი, შენთან დამსვო.
შენა ბროლის თითებთა
შე ჭიჭით ღვინო მასვო!
8. წითელ ღვინოს მიგატვანე
ჭიქაში მდგომარეს...
სასუფეველი რათ უნდა
შენს მკლავზე შწოლიარეს!
9. მიდორშია ⁵⁾ თეთრა ქვაო,
ავკარ ხელი, თან აშევაო.
გოგო, შენი სიევარული,
სადაც წაველ, თან წაშევაო!
10. ესე წიგნი ჭრედიო,
შენთვის მამიწერაო:
შენ თავს ვერავინ წამართმევს,
ჩემი საევარედიო.
- დაბნეულ ფეტვის მარცვალს
რა შობოტს წაწილის შტო?

¹⁾ ბიბილო.

²⁾ იელი — ბურჭოვანი მცენარეა, ყვითელ ყვავილს იხზამს.

³⁾ ხავეს.

⁴⁾ თავ-საკრი.

⁵⁾ მინდორშია.

შე და შენსა სიუვარულს
რა გაურის სიკვდილის მეტი?

11.

წყალ-გაღმა კახა-მბალები ¹⁾,
ზე მოსხუდილან ქალები;
ერთი შეხედვით შევატყოფ,
რომელსაც შევებრალე.

12.

გაღმა ბატები გუდგენე,
გამოღმა დევიარები;
გოგო, რათ არ ტებრალეები,
უნოდოთ დევიარები?

13.

საღამო ქაში მევიდა,
მეშუმ დეიწყო ტალობა;
რა ქაღმაც არ შემობრალოს,
დეიწვა მისი ქალობა.

14.

იაგუნდო და გიშურო,
შე აქიდან რა გიშეგლო?
ახლოს მოვად, გენაცვალე,
ეგებ მსარი დამიშეგნო.

15.

აქიდან და შენამდი
ვარდი მასხია უელამდი.

რომ ვინმე გამამიშვებდეს,
თამაშით მოვად შენამდი!
აქიდან და შენამდი
მთები მიფარებს, წინ არე;
შე შენი სიუვარულითა
დაბნედილი ვარ, შიინარე;
ასე გამსდა სურვილმა,
დავჭექე და ვეღარ ვიარე.

16.

მონაწერსა შენსა წიგსა ²⁾
ვაკონეფ და მოგუკამ ტირსა,
დამე საწოდში ჩვეიტან,
არ ვადარსეფ თვალსა ძიღსა.

17.

გოგომ დამწეველა ღამაზმა,
ხელ-შელებიღმა ინითა;
ნეტამცა წინა შემუარა,
ზაღსოშთ ³⁾ ვიყო ღვინითა.

18.

წისჭვილშია სიარულით
ტვერდი მამტუნა გუღამა ⁴⁾;
გოგოს ვთხოვე, არ მაკოტა,
ტუნე მოტამოს მურამა ⁵⁾.

19.

გოგო, გოგო კვისკვისოთ,
აქ ჩამოდი, წუღის პირსათ;

¹⁾ კახა-მბალი—ერთგვარი ჯიშის ბალია (არა ალუბალი).

²⁾ წიგნსა.

³⁾ ზარზოში—ღვინით შექვიფიანებული.

⁴⁾ გუღა—ხალთა, ცხვრის ან თხის ტყავისაგან გაკეთებული.

⁵⁾ მურა, მურია—ძაღლის სახელია.



ღვინოს ტასმევე კუდიათაო,
ტაკანარებ გუდიათაო.

20.

იარე, გოგო, წამოდი,
ჭადის უანები ვნახოთო;
წვეილოთ ჰური და ღვინო,
დავედეთ და ღვინი ვნახოთო.

21.

საუვარულო ნინო,
მასვი ტივი ღვინო,—
დახე ჩემ ვაჟკაცობას,
რაფრათ შევიღვინო!

22.

მუხას ტული შამოვკარი,
მე შეკონა წითელაო;
გოგო, ერთი შაკონიე,
ჩემო ღოფა-წითელაო!

23.

მივად-მოვად, მოტანასე,
მოკვდები და დაგმარხე;
რწმუნებულ შენს შატონზე
მე უკეთ შეტინასე!

24.

მივარე, მევარე,
ტულფა ¹⁾ განხე მწოდარე;

თავით ეღვა თეთრი ვაზლი.
ბოდოს უფრო მსხმოიარე;
თავი ვთხოვე, არ მათხოვა:
ქმარზე იყო მგლოვიარე.

25.

შატარა და მშვენიერო,
ღვინის უფრო მდინარეო,
სიახლოვეს რომ შევედი,
თავი შეიმკვდინარეო!

26.

საუვარულსა ეძინაო,
გულზე ვარდი ეფინაო.
შევედი და გავაღვინძე,
ტავაღვინძე... ეწეინაო.

27.

ვაი, დედა! თავი მტკივა.
სად არი შავ-ბალახო? ²⁾
თეთრმა გოგომ დაშტინა,
შავმა გოგომ გამღახაო.

28.

შირათ მშვო, დაწვით ³⁾ ვარდო,
შუქი მოკივალეზია.
შენთვის აღარ მიკონია,
ვაჭმე, დიდი ხანებია!...
სულო! როდის დაგიკონო
მაკ სამოთხის თვადებია?

¹⁾ ტულფა—ტურფა, საკუთარ სახელადაც იხმარება.

²⁾ შავ-ბალახა—ერთგვარი ბალახულია, რომელსაც თავის ტკივილის წინააღმდეგ ხმარობენ.

³⁾ ლაწვი - ღოფა

სულა! დაბძანდი დოშაკსა¹⁾,
 ჩემო ხმელეთის მთვარეო,
 ია ბუმბულათ დეიტე,
 ვარდი ზედ შეიუარეო,
 უკვდავების წყაროზედაც
 შაქარი შეიუარეო!...
 მე უშენოთ ვეღარ გავძლებ, —
 სულეი შენ მიიბარეო!

29.

იაგუნდისა წვიმამა
 მოლი-მიდორი დანამა.
 შამკლა და აღარ მაცოცხლა
 იმ ქალმა ღერწამ-ტანამა.

ან შამქე, ქალო, იმედი,
 ან გამითხარე სამარე;
 სარწმუნოებას გაფიცებ,
 მაგ ძუძუ-შეკერდი დამალე:
 მოგჩერებავარ, შიტუდება
 გულის წუხილი მალ-მალე!

თუთხმეტე დღის მთვარის მსგავ-
 მიკვირს, აგრე რამ გაკავსო?! [სო,
 ერთი შენი შამოხედვა
 ათას ზედვას დაკარგავსო.

ათი თითი ბროლისა გაქვს,
 ზე კალთაზე დატედატოს,
 თასით დვინო ზელთ გეჭიროს,
 შიტაც ვარდი ჩაკუაროს;

ერთიც კიდევ მაკონნიე,
 შენი ჭირი შეშეუაროს!
 ხირი მიგიკავს მთვარესა,
 ანათებ ბნელსა ღამესა.
 აქ მამკლავს შენი სურვილი,
 ჩამატებს ცივ სამარესა.

30.

თანათი არე-მარე,
 ჩემო მზე, ჩემო მთვარე!
 დმერთია ჩვენი მოწამე,
 შატარა მოგიუყანე:
 სულ ჩემ კალთაში გზარდე.
 ბალიშს არ მიგაკარე;
 ღალისა დვინო გასვი,
 რკოსი²⁾ არ მოგაკარე;
 დიბა-ატლასი გაცვი,
 ხამი³⁾ არ მოგაკარე...
 გაფრინდი, წამიხვედი,
 ნეტა, რა დამიბარე?!...

31.

ვაი, დედა, გვერდებოთ,
 უცოლ-შვილოთ ვებრდებოთ!

32.

გოგო, გოგო შევთვალაო!
 ბიჭმა შამოგითვალაო:

¹⁾ დოშაკი—ბუმბულის დიდი ლეიბი.

²⁾ რკო—ერთგვარი ჯიშის ყურძენია, შავი ფერისა.

³⁾ ხამი—უბრალო შინ მოქსოვილი ბამბის სამოსელი.

„ან მაშეც ჩემი დანაო¹⁾,
ან წამიტანე თანაო“.

33.

— ჩიტო ღობეზე შამოჯდა,
კაკალი ჩამოუარაო.

გოგო, შენმა დანიშნულმა
სიტყვა შამოგითვალაო.

— რა სიტყვა შამოთვალაო?

— ის სიტყვა შამოთვალაო:

„თუ არ წამოგვევს თანაო,
აკოცე ღოყასთანაო“.

34.

საუვარელო, შენი ქება
უნხო თემში გვიამბესო.
გადმოფრენა დავაპირეთ,
მარამ ჟაჭკით დაგვაბესო;
არ გვაღიარეს შენი ნახვა,
ვეკლბან მახე დატვიტესო.

ველი გიგავს არაბულსა
შეკაზმულსა ბედაურსა,
თვალ-წამწამი უორანს გიგავს.
შავი ზღვიდან ამოსულსა,
ენა ბულბულ-კაჭკაჭს გიგავს,
ინდოეთიდან მოსულსა.

35.

საუვარელო! აღვის ხე ხარ;
მებრადები, რომ მარტვა ხარ.

36.

მელანო, ჩემო მელანო,
ნუ ხარ ჩემი ორტუღიო!
სახლი აგვეშენებიათს,
ქვეშ პალატი-ოდურიო²⁾.

37.

ფერი მიგიგავს დეინოსს
ჭიჭაში მდგომიარესს.
შენი არ დეინდილება
შენსა არესა-მარესს!

38.

ეო, მეო, შაისურაძეო!
შაისურაძის ვენახში
ჩვევივისკვისეო.
იქ რომ ერთი ქალი იყო,
სამი ვაკოცეო.
სამა ნაკოცეო

ფერი უნვალაო.

ფერმა-ნაცვალმაო

წიგნი დაწერაო.

— წიგნი ვიღას გოგუზანა?

— დავით შეფესაო.

დავით შეფე შინ არ იყო,

ქალაქს წასულაო.

— ქალაქიდან რას მოგიტანს?

— წითელ ატლასსაო.

¹⁾ დანას ბიჭი ქალს საწინდრად (ნიშნად) აძლევდა, როცა დაი-
ნიშნებოდენ.

²⁾ პალატი—ძირა სართული; ოდა—ფიცრული კარგი სახლი; პალა-
ტი ოდური—ორ-სართულიანი კარგი სახლი.

39.

ტყეში შევალ. შეგინდლები,
 გამევიტან ფურტუროსა;
 გოგო, შენთვის დედაშენი
 დღე და ღამე შეტუნობსა.

40.

იმისთანა დილა წაწვედეს,
 ცხვირს არ დამაცემიოსო...
 რა იქნება, თეთრმა გოგომ
 ერთი რომ შაკოტნაოსო?!

41.

ბადში ქალი შესულიყო,
 დგუკრიფა ქლიავიო,
 გულთან უბე შეხუდა,
 შედიოდა ნიავიო.

42.

დილაზე ადრე ავდექი,
 წინ ავასწარა შხესაო.
 თქვენც კარგა იციო, ქალებო,
 რომ ძაფი უნდა ნემსსაო!...

ბ. ქალი ამბობს:

1.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
 „სახელსო ¹⁾ შევიქარგავო;
 ღამაზი ბიჭის დედასა
 გულის-ყურს დოუქარგავო!*

2.

გოგომ თქვა გასათხოვარმა:
 ნუ გამათხოვე დედაო!...
 თუ შიმცე, ისეთ კაცს შიმე,
 ან იფოს მამასახლისი,
 ან იფოს გუთნის დედაო.

3.

ღამაზმა თქვა: ასეთი ვარ,
 მე არ მინდა ფარანაო ²⁾;
 მე ისეთა ქმარი მინდა,
 შირს არ ჭონდეს ბაღანაო.

4.

ახლა დიდიღმე, დიდიღმე!
 დამტოვე დაბნედილი მე.
 კაბისა ზორტი ³⁾ შემისხენ
 და პერანგისა დიდი მე.
 ნეტაი როდის შედიროს

¹⁾ სახელო — „სახელი“ (ქართლ-კახეთში); სახელოები — „სახლები“ (ქ.-კახეთში).

²⁾ ფანარიო.

³⁾ ზორტი — კაბის შესაკრავი გრძელი და მსხვილი ძაფი ან წვრილი ნაჭერი.



შენთან წილს და ძილი მე?
თვალ-ქონორ გადახატულო,
ტანი-აღვისა ჭირამე!

შამთხედვას არ ვიკადრეფ
შენისთანა ბიჭისასა!

5.

რადღი არ მინახავხარ,
ღადი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გაცვინა,
ხელახალი გამოსულა,
მე და შენსა სართუმად¹⁾ ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!..

6.

— „შენი ნანიშნი დანაო
აგერ მაქ ჭიბასთანაო,
ამევიდებ და დევიკრამ
შარცხენა ძუძუსთანაო!“
(მართლაც დაიკრა დანა
და მოივლა თავი).

7.

კავალ ხესა, კავკრამ ხელსა,
ყავარს კავხდი ფიჭვისასა;

8.

დილაზე ადრე ავდექი,
აერია²⁾ არეული;
შენ რაფა მამეწონება —
დაბადი ხარ, დაღეული!

9.

— სუვარელო, კაკვ ღები...
— ამ ჩემ ჭირს, თუ მოკვდება!
თავით აციმთეფ სამთელს,
ფეხტით³⁾ აციტირდება.

10.

დედამ კაბა შემიკერა
აბრეშუმის, სრიალაო,
ზედ დოკშები დამიკერა
ჩაბურასტი ჩხრიალაო.

¹⁾ სართუმალი—ბალიში და მუთაქა.

²⁾ ჰაერი.

³⁾ ფეხით, ფეხებთან.

VII

მილოცვა, ლოცვა და შელოცვანი.

ა. სადღეგრძელოები და მილოცვა:

1.

ერთი ძირი ბია ¹⁾ შედგა,
 ვორი ²⁾ ძირი ბრაწოული.
 დმერთმა უგულა გადღინძელოს
 ამ სუფრასზე მოწვეული!

2.

ამიერი, ამიერი ³⁾
 ფხიღლი არ წამოგტკეპნას,
 ცაცოცხლოს და გადღინძელოს,
 დღე მოქცეს დიდი, ტქელა!

3.

დმერთმა ნუ მოვიშალოს:
 ტანი მთელი,
 ტული მხიარული,
 ბეღელში ზური,
 ხელში ჭიანჭური,
 ჟიბეში ფული,
 ქოშით სიარული!

4.

გვირგვინის მილოცვა:
 ზემოთიდან წამუვიდა
 წითელი და წითღოსანი.

თაუზე გვირგვინი დაგდგმა
 სუ-მიღათ მარგალიტოსანი.
 დმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს,
 მოქცეს ხუთი ვაჟი-შვილი,
 უგვაღებელი ამუოფოს,
 ნეფეო, შენი გვირგვინი!

5.

შობა-ახალწლის მილოცვა ⁴⁾:
 ნატა დობეზე შამოფდა,
 იახის ქიშმიშობას;
 დმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს,
 ახალ წელს, ქრისტეს შობას!

6.

ტყუალბეჯს წმინდა გიორგი,
 მათე, მარკოზ და სებაო;
 ბედნიერი სახისა ხარ,
 ქრისტემ მატეო დაგდგაო!

7.

მთას ურეში გამოვჭერი,
 შინ მუვიდა გორებითა.
 აქ სიცოცხლით გაჭერიდები,
 საიქიოს—ცხონებითა!

¹⁾ ბია—კომში.

²⁾ ორი.

³⁾ ე. ი. ამიერიდან და სამუდამოთ.

⁴⁾ შემდეგს ოთხ ლექსს (5—8) ეგრეთ წოდებულ «ალილო» ში გალობენ შობის წინა ღამეს.

8.

წისქვილს ზური დავარიტე,
 ჩამუეიდა მინდობითა¹⁾.
 დმერთმა ისე ატაშენოსთ,
 თუთრი²⁾ მოქტესთ კიდობნითა.

9.

აღღკომის მილოცვა³⁾:
 ალათასა, მალათასა,
 ხელი ჩაკარ კალათასა;
 ამეიღე ფორი კვერნხი,

დმერთი მოქტეს ბარატასა.

კატეობო, კიტეობო,
 ღაკეზღება ბიტეობო;
 ღობობოვო, ღობობოვო,
 კატეზღება გომბობოვო.

ტუეში მგელი გამოვარდა,
 თხა შეტვიტვამა ნისლათ;
 მასინძელო, კაკვისტუმრე,
 სხვაგანც გვინდა მისვლათ!

ბ. ლ ო ც უ ე ბ ი:

1.

ლოცვა ძილის წინ:
 დავწეები, დამეძინება,
 ზირფვარი დამეწერება;
 ცხრა ხატი, ცხრა ანტელაზი
 სართუმალს დამესვენება.
 ვერას მანდენს მანდური—
 ფვარი მწვალობს, ფვარ-ცმული.
 აქა კარია, კართან ფვარია,
 შიდა ბთანდება მიქელ ტაბრიელ,
 მთავარ-ანტელაზი.

კლიტე მამე ელვარისა,
 ბეჭედი სოლომანისა!
 დასწევლე, დმერთო,
 მოსიარული ღამისა,
 შეშერავია,
 შემოტავია,
 მავნე კაცისა!

2.

ლოცვა მზისადმი:
 მზე შინა და მზე გარეთა,
 მზე, შინ შამოდით!
 უეივლია მამალსათ,
 მზე, შინ შამოდით!
 კათენებულათ,
 მზე, შინ შამოდით!
 კათენდი, თუ კათენდები,
 მზე, შინ შამოდით,
 კათენებულხარო,
 მზე, შინ შამოდით!
 ძილო, რასა მეძინები?
 მზე, შინ შამოდით!
 მე საბრალოსათ,
 მზე, შინ შამოდით!
 ტანს ზერანგი არ მანცვია,
 მზე, შინ შამოდით!

¹⁾ მინდი—ღჭვილის განსაზღვრული საწყაო, რომელსაც მეწისქვილე ღებულობს დაფქვის სასყიდლად.

²⁾ თუთრი—ე. ი. ფული.

³⁾ ამ სიმღერას „ტონა“-ს ეძახიან; მომღერლები წითელ კვერცხებს აგროვებენ.

თირისტარი ¹⁾, კვირისტავო ²⁾,
შზე, შინ შამოდო!
ჩქარა დაბრუნდო,
შზე, შინ შამოდო!
მალე შერანგს შევიკრავ,
შზე, შინ შამოდო!
წითელ კაბას შევიკრავ,
შზე, შინ შამოდო!
სანატრელსა, ფრიაფსა,

შზე, შინ შამოდო!
ჩქარა დაბრუნდო,
შზე, შინ შამოდო!

3.

შზე, შამოდი ბაკესო,
ცხვარს დაგიკლავ მაკესო³⁾,
შეგიწვამ, დაგიშარიღებ,
დაგიდგამ ხელ-გობითაო!

ტ. შ ე ლ ო ც ვ ა ნ ი:

1.

შაკიის ლოცვა.
შაკიი შამაშეწვია
სათბისა ბოლოსაო;
ასე ჭამდა რეინასაო,
რავარც ხარი თიფასაო;
გოუწერა წმინდა გიორგი,
ტეიზარა დიღასაო.
(შეულოცავენ დაწერილ ქალღღს,
თავზე შემოადებენ და შორიება
შაკიი).

2.

დამწერის ლოცვა.
წითელ ხუნესსაო
ხარი ტეეპაო.
რას ხნამდაო?
ზღვას ხნამდაო,
ქეიშას თესამდაო.
ვინ ტეეგონაო
ზღვა ხანხავი
და ქეიშა ნათესაო?!
(მესამე დღეს იქით დამწვარი გა-
მონელებულია).

3.

სატკბურის ლოცვა.
ჭრისტემ დაკლა თეთრი ფური,
შეიწვია უოვლი სულა.
სატკბურმა უთხრა სატკბურსა:
„ჩახეილ ემაწვილის ტანსაო,
ჭამ მიიღსა და ხრამ ძვალსაო*.
— არა! შამამ, ძემ და სულმა წმი-
დამა იცოდეს:
არცა ვხრამდე ძვალსაო,
არცა ვჭამდე მიიღსაო!
გავსშები ჭიქასაიეთა,
ხამოფეცხინდები ბრელისაიეთა⁴⁾).

4.

„თვალის“ შელოცვა:
აღისასა, მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა,
შინაურისასა, გარეულისასა.
ქორი გახტა ქანდარასა,
დედალი საბუდარსა.
გულო, მოდი საგუდესა,
გულო, ნუ შეტეშინდება!

¹⁾ თირისტარი — თითისტარი.
²⁾ კვირისტავი — თიზის პატარა რგოლია, რომელსაც ცარიელ თითისტარს ქვემოდან წამოაკმენ ხოლმე რთვის დროს.
³⁾ ბაკე — ეზო.
⁴⁾ ბრელო — განაივებული ხორბლის ან სიმინდის ანახვეტი ქერტილი.

5.

ნანა («ბატონების» საგალობელი
ლოცვა).

იავ-ნანა, გარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!

ბატონებისა დედასა,
იავ-ნანინაო!

უღვთა ოქროს აკვანი,
იავ-ნანინაო!

შიგ უწევს ბატონიშვილი,
იავ-ნანინაო!

უსხია ოქროს ქოჩორი,
იავ-ნანინაო!

ხანდისხნ გადაარწებენ,
იავ-ნანინაო!

ტკილათ კტუვიან ნანასა,
იავ ნანინაო!

იავ-ნანა, გარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!

დატკივით, დატკივით, ბატონებო,
იავ-ნანინაო?

შაქრათ, შაქრათ დაამდიოთ,
იავ-ნანინაო!

— თუთრი ზღვიდან გახუდით,
იავ-ნანინაო!

შვიდი და-ძმანი ბატონი,
იავ-ნანინაო!

შვიდ სოფელს შუეფენენით,
იავ-ნანინაო!

ასე დაკადივართ სოფელში,
იავ ნანინაო!

არც კაცი დაგვიწვენიან,
იავ-ნანინაო!

არც რწეილი აგვიფერენიან,

იავ-ნანინაო!

იავ-ნანა, ბატონებო,

იავ-ნანინაო!

6.

ღვეისა და ქაჯის ლოცვა.

სახუდითა ხეთისათა,

მაშისა და ძისათა

და სულისა წმინდისათა!

უღენიენტა ღაიღე შამათე,

უღენია იავი გერამათე,

კერესემ იოსი კრავანე

და იონა იოსავე¹⁾.

ამათითა სახუდითა

შეიკრა ბირა დევეთა,

ქაჯთა და გველთა

და უოველთა საჩინოთა

და უჩინოთა მიეჩებულთა.

იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო

ღვთისაო ცხოველისაო!

იხსენი უოველივე ჭირისაგან

და უოვლისა საუშმაკოსაგან

და უოვლისა ცრუსა შავნისა

და საცთურისაგან

შონა ესე ხეთისა!

7.

ალ-დაცემულის ლოცვა.

ჩვენ ვიფუვით სამნი ძმანი:

იროს, მაროს და კვირსტინე;

ტვევდით შთასა შაღლასა სახადი-

როთ

და ვერა ვზოვეთ კვალი ნადირისა;

¹⁾ ამ სიტყვების მნიშვნელობა თვით მთქმელსაც არ ხეოდნია.



ვიპოვეთ კვადი აღისა და ეშმა-
კისა:
ისხდენ კლდისა ძირსა;
ხელში ეპურათ ბადე აბრეშუმისა.
და შევიპურათ იგინი ხელთა ჩვენ-
მათ ესხნეს თმანი გიშრისანი, [თა:
კბილნი რვაღისანი,
წვიფნი ჭიქისანი.
იროხ თქვა: მოვეკვეთოთ აღსა
თმანი გიშრისანი;
მაროხ თქვა: შთავაურვეინოთ აღსა
კბილნი რვაღისანი;
კვირსტინემ თქვა: დავუღწოთ
წვიფნი ჭიქისანი! [აღსა
მიუგო აღმან და ეშმაკმან:
თექვენ, სამნო ძმანო, სამებისა
ძღვისანო:
იროხ, მაროხ და კვირსტინე!
ნუ მოვეკვეთოთ თმათა ჩვენთა
გიშრისათა,
ნურცა შთავაურვეინებთ
კბილთა ჩვენთა რვაღისათა,
და ნურცა დაგვიღწოთ
წვიფთა ჩვენთა ჭიქისათა!
სადაც იხსენებოდეს სახელი ხვთი-
სა,
მამისა და ძისა და სულისა წმი-
და სახელი თქვენი, — [ღისა
იქ ჩვენ არა მივეახლოთ
და არცა ვაფნოთ მშობიურესა
და არცა ურმასა ჩვილსა,
და არცა ქრისტიანესა ნათელღე-
და თუ შევრიდ ვიუოთ, [ბუღისა.

დავდნეთ, ვითარცა თოვლი და
კვამლი,
და ვითარცა მარილი, და ვითარ-
ცა ქარი,
ეგრეთ განვქარდეთ და განგეშო-
და წარვიდეთ ასს მილიონზე [როთ
და არა ვაფნოთ ჩვენ მონასა
ღვთისასა!

8.

საქონლის შელოცვა:
როცა საქონელი ღამე კარში დარ-
ჩება, რომ ნადირმა არ შეკამოს, სა-
კეცეს (მაშას) სარტყლით პირს შე-
უკვრენ, შიგ დაატანებენ სავარცხელ-
სა და მაკრატელს და იტყვიან:
გვენია, ბეგენია,
ბერსა ხატი სვენება.
ოთხი კუთხის მარსკვლავებო,
ნადირს კბილი შეუკარი,
კადაგდე ზღვაში,
ნუ გოუშეგეუ გზაში!

9.

სისხლის ლოცვა:
მამისა მარსკვებსა
იორდანე მოდიოდა,
რკინა მოაქკინოთისა
და აღმასი სმიღენძისა
და ისარი დაეკღისა.
სისხლო, გაბერე?..
ნულა გაბერაე!
ჭუჭუ, შგელსა!
(უნდა დაჭრა სისხლით ვაბერილ სა-
ქონელს ატმის ჯოხი და გაუშეგეს).

VIII

გ ა მ ო ყ ა ნ ე ბ ი :

1.

ერთი რამ არის უსულო,
მუცელ მდებარე კელითა,
წუურია—წუალსა ვერა სვამს,
სხვანი ასმევენ ხელითა,
თავსა ცნენლი მიუღება,
ტულსაც გაამსებს ღხენითა.
(ყალიონი).

2.

ძირი ნეღლი, შუა ხმელი,
თავი წითელი.
(აღება, დიდ-მარხვა და აღდგომა).

3.

ერთი სტუმარი მეწვია,
მიდღემნი ¹⁾ უსტუმრებელი,
ვორი ²⁾ უღუფა ³⁾ მივართვი,
სუფრასუ დოუდებელი.
(ბავში და ძუძუები).

4.

ცასა მოუწმენდიათ,
მოუკანკრანებაყო ⁴⁾.

მელას კუდი გადუგდას,
გადუფინჯილებიაყო ⁵⁾.
(თხილი).

5.

ხე ტეეარე სევნარი,
ხე კა ვერ ვნახე მართალი;
ერთი ხე ვნახე მართალი,
ისინ ტვერდ ჩამონათალი.
(?)

6.

ახლახუნ-დახლახუნი,
დოსკამ-დოინჯებანი.
ოხროხი, დოხროხი,
დოინჯი და დოწკაბი.
(ხაფანგი).

7.

ერთი წევს და არა დგება,
მეორე ჭამს და არ ძღება,
მესამე მიდას, არ დგება.
(კერია, ცეცხლი, კვამლი).

¹⁾ მისღლეში.

²⁾ ორი.

³⁾ კერძი.

⁴⁾ ძლიერ მოუწმენდია.

⁵⁾ ჯინჯილი—ფოჩები, ბუჩუჩი.

8.

დღე ცარიული,
 დამე ტვირთიანი.
 (ლოგინი ანუ ტახტი).

9.

ჭრის და არ აკაკუნებს.
 (ცეცხლი).

10.

ჩემი შატარა ფინია
 ჩემი სუფრა და ღვინია;
 სუნთელათ¹⁾ დეკნაცვალა
 ჩემი ცოლი და შვილია.
 (ფული).

11.

შიგნი გული გურგუმელი,
 გარეთ კანი ატლასისა,
 რაც იმაში ჯარი არი,
 თუ არ შეტი ათასისა.
 (ბროწეული).

12.

უფხო, უძვლო ტუის ნადირი.
 (ლოკოცინა).

13.

სახლი დაედგი ხისა,
 არა ხაფორისა,
 შედიან და გამოდიან
 ანგელაზნი ზეთისა.
 (სკა და ფურტკარი).

14.

ახლა-ბაბღი, ვერცხლის ტახტი,
 მზით ვეიდე, მთვარით დაედგი.
 (ყინული).

15.

ჭვეუანაზე ოთხი რამე არ არის.
 (ხელის გულზე ბალანი, ქათმის ძუ-
 ძუ, ზღვის სარკველი და ცის კიბე).

16.

ორი ორენას,
 ოთხი კორენას,
 თორმეტი ასკუნას,
 არცერთი ჩინილაკს.
 იგივე სხვა ვერსიით:
 ორი ოდენას,
 ოთხი კოკენას,
 თორმეტი უანჭურას,
 არცერთი კირკიტელს.
 (ძუძუები: 2 თხასა, 4 ძროხასა,
 12 ღორსა,—და ქათამს არც-
 ერთი).

17.

ზენას ვიუფ, ზეცა ვნახე,
 მარსკვლავებსაც დევექრახე²⁾.
 (თვალი).

18.

კიკელი-კიკელი კიბესაო,
 ზვარასანის ციხესაო
 გურდღელი გადმოიმდგარიო,
 აცმატურებს ყურებსაო.
 (სამარგლო და ზარები).

19.

ჩემი შატარა ბოსელი
 ვხვეტი, ვხვეტი, ვერ დავხვეტი.
 (ცხვირი).

¹⁾ სულმთლათ.

²⁾ ე. ი. დავეზრაზე—გამოველაპარაკე.

20.

ასიანისა მთაზედა
ასი თათარი დგასათ;
ასსა ფეხი მოტყხია,
ასი ისევე დგასათ.
(დგიმ-საბარცხალი ¹).

21.

აიანური, ბაიანური,
წითელი კაკიანური,
ვიშღება, დვიშღება,
მოწეენია სიარული.
(სათი).

22.

ერთა თხა მუავდა ერთა,
შუაზე ება ენათ,
მისმა სიტყვა და მსუსხმა
ჭეკუნს დაჯერათ.
(სახწორი).

23.

ქალი იჯდა ტახტაზედა²,
ცრემლს იურიდა კალთაზედა.
(წისქვილი).

24.

თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი;
გამეიციანი რა არი?
(მამალი).

25.

გამოცანას მოგახსენე,
ბევრი არაფერიათ:
აღაგ შევი, აღაგ თეთრი,
აღაგ ღაღის ფერიათ.
(ხალიჩა).

26.

მამა დაჯდარეული,
დედა—ლამაზი,
შვილი გადარეული.
(ვახი, ყურძენი და ღვინო).

27.

მიდის-მოდის ქარავანი,
არ უტყება ქალამანი.
(ქარი).

28.

ბოძი, ბოძი, ბოძჩკალი,
ზედ ძარი და ზესადგარი.
(მკებნარი).

29.

ებერ-ებერ სერზედათ
ბოსტან უკან კვახიათ³,
დედამიწა გახიათ.
(მუღო).

30.

ორმაგ⁴) ძელშიდ⁵) ამოვძვერი
ძნელათ მოსაბრუნებელი.
(ხმალი).

¹) საფეიქრო, საქხოვი მანქანა.

²) ი. ე. ტახტზედა.

³) კვახი—გოგრა.

⁴) ორმაგი—ორკეცი.

⁵) ძელი—ხე.

31.

ეს ჩემი კუზურელა¹⁾
 დღეც და ღამეც ზეზუა.
 (თუნგულა).

32.

რა იგი და რა არ გახსოვს.
 (შობა კაცისა).

33.

ერთი სახლი შაქვს ასეთი,
 კახაკუბოთი ნაშენი,
 შიგა ვუდივარ და ვიმღერი,
 გარეთ არსა მაქ სარბენი.
 (ენა).

34.

ქორქოლამ დეიქორქოლა,
 გარს შამუისხა შვილები,
 არც იუო მისი შვილები,
 არც მისი შვილიშვილები.
 (ყვერული).

35.

ოქრო ბზინავს, ოქრო ბჭუევი-
 ოქრო მიჭრი-მოჭრიადობს. | ნავს,
 (ციცინათელა).

36.

ჩახტა ჩაჩქანი,
 ჩაევა ღაშქარი.
 (კრუბი და წიწილები).

37.

სირი²⁾, სირი, სირი-გოგდი,
 სირის ფოტები მასხიაო;
 რაღაი შენ გაგკრალე,
 სულიც აღარ მიდგიაო.
 (თეზი და წყალი).

38.

ერთი რამა სურიელი
 დამე-ღამე შავალა,
 საკლავს ისე გაატუეებს,
 არ სჭირდება მამხმარია.
 (მელა).

39.

ვიხილე კაცა ცასა ბეწვითა
 და შუბის ტარსა დარბაზი ედგა.
 (ობობა, ბაბაქუა).

IX

ანდაზემი, ჩქარა-სათქმელი და ზმა:

1.

თუმც რა გზია ზაქარია,
 ცივი ჭადი შაქარია.

2.

ძიღს სართუმალი არ უნდა,
 შიმშილსა — საჭამადიო.

¹⁾ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით.

²⁾ სირი — ფრინველია.

3. — მგელა გუგას მოდიო! — სათხებოში შევხტო?!
თავის ქებაო — თავის ტეხაო.
4. მიდის-მიდის გაბრეული, არაუინ ვავს მადრეული.
შეიღო ჩვენი გვიფვარს ცოლი კი — სხვისიო.
5. გერტის ნახული კანაფი მარცვალს ვერ გვიკეთებსო.
ახალ მატარძალს ღრუბლიანი დღე დილა ეკონაო.
6. კარქა ცხენი ქერს იმატებს, ავი ცხენი მათრახსაო.
41. შინაურ ხარს მოზგერს ²⁾ ეძახიანო.
7. დათვმა თქვა:
ორსაც ჩემი ტორი ვერ მოვატა-
ბემო ვერ ჩავატანო. [ნეო,
51. ცარიულმა თითმთო შირი გამომქლითო ³⁾].
8. ქაღსა დედა გოუშინჯე, სიმოსელსა ნაწიბურა ¹⁾.
16. შედღე-ხვალეუ კაცსო თოვლი მოუვა კარსაო.
9. — ძაღლო, ვისთვის უეფხრო?! — ვის სანაკვეზედან ვწევარიო!
17. შეღასაც თავისი კუდი სჯისო.
10. დედა იკითხეო, კვიცი იუადეო.
18. კარეუმს რა მოკლავს და .. თავისი ენაო ⁴⁾.

¹⁾ ნაწიბური — კიდურ-ქსოვილი, ნაპირი.

²⁾ მოზგერი — ახლგაზღა ხარი.

³⁾ გამომქლითა — გამოტყავება

⁴⁾ ხალხი ამბობს: ერთ ჭვეყანაში ორი კაცი დეიარება თურმე; ერთს პარი აქვს გადებული მხარზე და მეორე უკან მიყვება. ერთი ეუმ.

19.

ქოთანი რომ წაიქნევა,
საჭამადი დეიქნევა.
ოთხი ფეხით დაწვედილო
ცხენი აღარ წაიქნევა.

20.

თაყის ურგებელი კბი
სხვისთვის რა სარგებელია?!

21.

ჭაღაჭა რომ შენდებოდეს,
შეასწარიო;
რო იქნეოდეს,
გამოასწარიო.

22.

კვდარი კვდარს კვიდებოდო.

23.

სინქართი ძაღლშო
ბრმა ლეკვები მოუარაო.

24.

ერთმანეთის მზერითაო
სახლი ეყისო მტკვრითაო.

25.

შენ გაჭყავრება მანახეო
და გაჭნევას შე გაუურებეო.

26.

თვალი თვალის მტკრიაო.

27.

თვალი თვალს შეჭამს,
შუაზე რო ცხვირი არ იყოსო.

28.

კახა-მბალი კენწეროში
გამწარდებო.

29.

ძაღლი შინ არ ფარგეო და...
სახადირთთ მიუყუდათო.

30.

საუღლე მოზვერს
სასკორეზე ¹⁾ შეეჭობაო.

31.

თუ ღმერთი შწვალთბს,
ეშმაკი რას დამაკლებსო?!

32.

მიძაღებული ზური
ძაღლმაც არ შეჭამაო.

33.

ოქრო ჰატარა არის,
მარამ რამდენ რეინას
ჯობიაო?

ბება მეორეს: „ყარყუმს რა მოკლავსო?“ მეორე უპასუხებს: „რა და—
თავისი ენაო. თუ ახლო-მახლო სადმეა ყარყუმი, დეიძაზებს: „რომ არა-
ფერს ვიტყვიო?!“ დაკრავენ ბარს და ამოაგდებენ მაღლა.

¹⁾ სასკორე—სანებვე, უკან-ნალი.



34.

რისი ცნობაც არ იყოთ,
მისი ფასიც არ იყოთ.

35.

ურეში რო წაქრევა,
ც'ხა მაშინ გამოჩნებათ.

36.

შელამ თქვა:
„ჩემ დამკურნავ ძაღლს
ერთი შეხედვით
შევატყოფო!“

37.

შვავმა შვავს წასძახა „ერინტო“.

38.

შელას შემწვარი ქათამი
უზმანებოდაო.

39.

ბურჯულ ვახხავ ივანესო,
კარზე შამამჩივანესო.

40.

შუქუო კ'ნს ცოტან
გოუგვირდებაო.

41.

უნახავმა რა ნახაო?
ცხრა მთა გადაღახაო¹⁾.

42.

თოვლი თუთრია, მარამ
ქვეუანა ზედ აფურთხებსო.

43.

ამევიარე აღვესო:
ფერხული ება ქალებსო...
საქმეს წახთენს რეგვენი,
ფათერაკს დაბრალებსო.

44.

ჩქარა სათქმელევი:
ტეეში უახანი შევიდა,
ტეე გაუახანებუდიო.

45.

შენი ცხვარი რქა-გრეხილი
ჩემსა ცხვარსა რქაგრეხილსა
რას ერწოდა, რას ებძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა?

46.

ჩიტმა რკო ჭამა, რკო უღამა,
რკო მუსხზე გეიტანა,
გარნია და შეჭამა.
(სამ-სამჯერ უნდა ითქვას).

47.

ხმა:
ახალი ჩაღა დამიგეს,
გვერდი ხუობს²⁾ დაწოლასა.

¹⁾ გადაიარა.

²⁾ უარობს.

X

ნ ა რ ე ე ი:

1.

ანბანის ქება.

ა-ნო ასე შემიფარდი,
რომ გამოეთქვი ქება შენი;
ბ-ანო ბევრა სიუფარულით
მუდამ შინდა ჩახვა შენი;
დ-ანო დაგვქექ შენ საქებრათ,
ჩემი თავით გენ:ცვლები.

2.

ერთ კაცს თავი წააგდებოეს; თავი
ჭინჭარში კოტრილობდა და თან
იძახოდა:

„წმინდა გიორგი დეიბნა
სამს სსმოდნა სუთათო...
ხეთის აუგს¹⁾ მაინც არ ვიტყუი,
ტყუი გამძროს გუდათო!“

3.

სამართალი და წესია:
მური აღაგზე თესია.
არ გეიციოთხენ გლახასა, —
თურმე კრევანს წესია.

4.

ურია და ურეკრიკე,
ჩოხანდრიკე ფანდურეკე!

მე რო გოჭი მოგაბარე,
კუდი რაზე მამიკვნიტე?

5.

ურიაშა ხარი დაკლა,
ჩასოკიდა წიბ-წიბითა.
თაკემა ღვინი გადიხდა
ფეს-დამწვარი წიწილითა;
კატა მურულს ეუმბება,
თაკვი კვდება სიცილითა.

6.

წევას რო დედაბერია:
მისთანა შენი შტურია:
დოუსტენია²⁾ კბილები,
რავარც აჯიღლა ცხენია.

7.

მისთანა შენი შტურია,
წევას რო დედაბერია
ერთი მისთანა მიხტენა,
ცივათ მამწვევიტა წელა.

8.

სვიმონლების თმით
ტყუმაღი და ღომით;
სვირელების „ხაზინაო“
ოდელა და შრასინაო³⁾;

¹⁾ აუგი—ძრახი, გმობა.

²⁾ დახტენა—სიცილის დროს კბილების გამოტენა.

³⁾ ოდელა და შრასინა — ბალახეული (მხალეული) მცენარეა.



წვევლების ღვინო —
ქონდარი ¹⁾ და თხილით;
ისინი რო გაშველევით,
დეერევით ჭირით.

9.

სესტაფონში რო ხეველი,
იქ ვიუიდე არღანით.
ღმერთო შენ გადააშენე
შროშელების ქარხნით ²⁾.

შროშელების ქარხნითა
ტურა ხოსავს ნაღარშია.
იქ ნამზადი არ იჭშევა,
რავარც ვეელი მარხვანია.

10.

ამ როსტომს თაბაგარსა
თავი გასივებიათ.
ადგილს ³⁾ თავი დაანება,
წიქვილს წაღიკებიათ.

11.

შეგრელების ფანჯარა ⁴⁾
ტურა ხოსავს ნაღარშია;
იქ ნამზადი არ იჭშევა,
რავარც ხორცი მარხვანია.

12.

ზაქარია და კვირია,
რათ დაგიღათ შირია?

თფილი ჭადი ვერ გიძინებ,
ღაგმა მოტკვეთა კბილია.
სამმა ქოთანმა მაწონმა
ვერ ტაგისთვლათ შირია!

13.

დედე-დედე შევარე,
შაშვი აფანუსებდაო;
შენი რძლისა ძუძუ-შეკრდსა
რწიდი აკრატუნებდაო.

14.

სასიმღერო:

გააააა, გაააააა!
შენმა რძამდა დამხატოქა;
გააააა, გაააააა!
ძირს დამიგო ხალიჩაო;
გააააა, გაააააა!
ერთი მატრათ მავონია;
გააააა, გაააააა!
მისი თავი დამიჩინაო!

15.

ქ კვირია კანანძე
კვირეს შემოდგამს ქვასია ⁵⁾;
თხლეკები გამოლევი,
ღვინოს დოუწვეებს ხდასია.

¹⁾ ქონდარი — პიტნა-ტარხუნის მზგავსი მცენარეა, კლდეებზე იზდება დაუმუშავე ლათ.

²⁾ სოფ. შროშა (ზემო იმერეთს, წვეის მუხობლათ) ცნობილია თიხის ტურქელის წარმოებით

³⁾ ადგილ-მამულს.

⁴⁾ ფაცხა — წნული კედლებიანი ქოხი.

⁵⁾ საარაყე ქვაბი იგულისხმება.



16.

ვისი შვილი ვისა ¹⁾ შვილსა
აღინძებს და უფუთხობს ძილსა?

17.

ქალი შამუაგვს ბზიანიო ²⁾,
აბრეშუმის თმინიო...

18.

ბიჭი შიდას ცოლოურსა,
შითღლიდა ატამსაო;
იქიდან რო წაშევიდა,
შეკეძება ხათაღსაო.

19.

წინდაო და ქალამანო,
ბიჭის დამაშეგნებელიო!
ბიჭო, გოგოს დეეთხოვე,
თვარა დატაშეგნებო.

20.

არ კი გითხარი, დათიკა:
ნულა უვარობ მართასაო,
თვარა მართას სიუყარულიო
დაგანჯხავს ბარკაღსაო!...

21.

უნაშა თიკას ვთიბამდი,
გამოხტა მწყერიო;
ვინც არ გვიცინოს,
ტაცვინდა წყერი!

22.

როცა თმა-გაკრეკილ ბავშს და-
ინაზავენ, ხუმრობით ვტყვიან:

ხოტორ-ხოტორ, ბრაშა,
უვაგი ნიგოზს ურიდა;
უვაგო, ერთი ჩამამიგდე,
ლობიოსთვინ შინდა
(უკან სენელ სიტყვებთან ერთად
გაკრეკილ თავში წკუპურტს ჩაჭკრა-
ვენ, თიქო კაკალი ჩამოვარდაო).

23.

დეღასა დეღასა,
ქმარი უნდა ბებასა!
მატარა ბიჭის დეღაო
შეუღება კურდღელზედაო;
ტაატენ ტამოატენებს,
გადმოვარდება ზეღაო,
გასკდება მუნელზედაო.

24.

მალულობიას თამაში:

როცა მალულობიას თამაშობენ,
დასამალ ვ ბავშს ამნაირათ ირჩე-
ვენ: მოთამაშეები წრეს გააკეთე-
ბენ, შუაში გამოვა უფროსი მო-
თამაშე, ამბობს შემდეგს ლექსს
და ყოველი სიტყვის თქმაზე ოთხ
ადებს გულზე თვითმულს მოთამა-
შეს:

აღხოს,
მადხოს,

1) ვისსა.

2) მზიანიო - მზესავით მანათობელი.

ნიტმა
 ცნახოს,
 შენი ფეხი,
 ფეხ-მანდური,
 გადაჭექი,
 გათმოჭექი,
 სკამ და
 რიკ!

ვისაც შეხედება სიტყვა «რიკ», ის უნდა დაიმალოს; თუ მოთამაშე ბევრია, მაშინ შეიძლება ყოველი სიტყვა მარცხ-ებად დაიყოს («ალ-ხოს, მალ-ხოს» და სხვა) და ისე ჩამოურიგდეს მოთამაშეებს.

25.

იაგუნდის მარანშია
 ჭიქა დგას და ლალი ჭვირს;
 შიდ აღუის ხე ამოსულა,
 ღორჩქია ¹⁾ და ქარი შდისა;
 ზედ ბულბული შეხვევია,
 იადონი ²⁾ ხელს უშდისა.
 იადონო და ბულბულო,
 იაგუნდო და ზურმუხტო
 და ამბარო ³⁾ საქრისაო!
 საქრისტიანოს დრუბულო,
 მზე ხარ დასავლეთისაო!



¹⁾ ღორჩქი—ნორჩი, ახალი.

²⁾ იადონი—იგივე ბულბულია.

³⁾ ამბარ —სურნელემა, არომატი.

ქართული ხალხური სიმღერები.

განუთვლივა

V

ხალხური სიმღერები

ქართული ხალხური სიმღერები.

(ჩაწერიდა ილია გიორგის ძის კარგარეთლის შიერ).

№ 1 შვესვათ წითელ-წითელი.

(სოფ. ერთაწმინდაში, ქართლში).

მძიმეთ



შვესვათ წი თელ წი თე ლი და



შვესვათ წი თელ წი თე ლი და

ჩველებს ირუძოთ ირუძობს



სი ჰარ ნუ ნა ნუ ნა ნო



დი ელ დი ე ლო და ჰარ ნუ ნა ნუ



ხალხურა სიმღერეი.



3

ქართული
ენციკლოპედია

ნა ნა დი ელ დი ე ლო და ა სი

ა ი ა თა სი

№ 2 3 ა რ ა ლ მ.

(სოფ. მეჯვრისხევში, ქართლში).

ჩქარად.

ვა რა დო დე ლი ა დე ლი ა დე ლა



ვა რა დო შე ნი ძმო ბის სი ყვა რუ ლი



ვა რა დო გუ ნუ ბა ში ჩა მი გლი ა



ვა რა დო შე ნი ძმო ბის სი ყვა რუ ლი

ხატურა სამღერებს.



5

ქართული
ენციკლოპედია

ჰე ო რი დილა ვა რა დო გუ ნე ბა ში ჩა მი გლი ა

ვა რა დო.

ჰე

№ 3 ბრძანა სოლომან მუხომან.

(სოფ. ბიწმენდში, კახეთში).

დინჯათ.

ჰა ი თუ და ბრძა ნა ჰა თუ და ბრძა ნა



სო ლო მან ბრძა ნა სო ლო მან

ბრძა ნა სო ლო მან მე ვე მან ჰარ ნა

ხალხურა სიმღერეი.

№ 4 მრავალ ჟამიერ.

(სოფ. დირბში, ქართლში).



ქაი და მრავალ ჟა მი ერ
ჟა მი ერ

ქაი და მრავალ მრავალ ჟა მი ერ
ჟა მი ერ

მრავალ ჟა მი ერ.

№ 5 მივალ გურიასი.

(დაბა სენაკში).



ჩქარად.

მი ვალ გუ რი ა ში მა რა ა ში მა რა ა ში მა რა

პო დილ პო დილ პო რი დი ლა პო დი ლა ა დი ლა

ა დი ლა დი ლა ა დი ლა პო

ხალხურა სიმღერები.



დიღდიღდიღდიღდიღდიღ-ლა ო-დე-ლი-ა დი-ლა-ო დი-ლა-ო

ჰო

№ 6 ორმოცის წლის ბებიაო.

(სოფ. ბაბეში. გურია).


მზიარულად.

ორ-მო-ცის წლის ბე-ბი-ა-ო რათ არ გას-თხო-ვედე-ბი-ა-ო




ო-დე-ლი-ა ო-დე-ლი-ა რე-ნო ნა-ნი-ნა ო-დი-ლა ჰა-ბა-დე-ლი-ა

რა - ნი - ნა



ორ-მო-ცის წლის ბე-ბი-ა-ო რა-ტომ არ სთბოვ დე-ბი-ა - ო დე-ლა

რა ტომ არ სთბოვ დე-ბი-ა - ო



ო-დე-ლი-ა ო-დე-ლი-ა რე-ნო ნა-ნი-ნა ო-დი-ლა ჰა-ბა-დე-ლი-ა ჰო.

რა - ნი - ნა

№ 7 გუშინ შვიდნი გურჯანელი.

(ქალ. თელავში).

მძიმეთ.

გუ-შინ შვიდ-ნი გურ-ჯა-ნელ-ნი გუ-შინ შვიდ-ნი გურ-ჯა-ნელ-ნი

გუ - შინ შვიდ - ნი გუ - ი - უ - რჯა -

ნელ - ნი და გუ - შინ შვიდ - ნი გურ - ჯა - ნელ - ნი



სა - ნა - დი - როთ წა - სუ - ლი - ყენენ ჰო.

№ 8 მ უ რ მ ა ნ.

(სოფ. გიორგიწმინდაში).

ჰო - დი - ლა მურ-მან მურ-მან შენ - სა მზე - სა

შე - ნი ცო - ლი რა - რი - გი - ა ჰო - დი - ლა

ხალხურა სამღერეუბი.

პო - დი ლა პო - რი დი - ლა ო - დი - ლა


მურ - მან მურ - მან შენ - სა მზე - სა შე - ნი ცო - ლი რა - რი - გი - ა

პო - რი ო - დე - ლი - ა პო - რი დი - ლა - ო - დი - ლა.

№ 9 მოდი აქ დაჯექი შეილო.

(სოფ. სავარჯიშო).

საშუალო სიჩქარით



მო-დი აქ და-ჯექი შეი-ლო მო-დი აქ და-ჯექი შეი-ლო



შა-რი შე-რი შა-რი გო-გო შა-ქო-ში - ა შე - ქერ მა-ქო



გო-გოვ, შე-შა-ნა-ო.

№ 10 გვევებს მიღებული.

(სოფ. მეჯვრისხევში, ქართლში).

მძიმეთ.

გვევებს მი - ლე - ბე - ლი გვევებს მი - ლე - ბე - ლი

The first system of the musical score consists of three staves: a vocal line in treble clef with a key signature of one sharp (F#) and a common time signature (C), and two piano accompaniment staves (treble and bass clefs). The vocal line contains the lyrics 'გვევებს მი - ლე - ბე - ლი გვევებს მი - ლე - ბე - ლი'.

რეს - თა ხელმ - წი - ღე ჰო ვა - რაი - და

The second system of the musical score continues the piece with three staves. The vocal line contains the lyrics 'რეს - თა ხელმ - წი - ღე ჰო ვა - რაი - და'.

ჰო - რი დი - ლა ვაი და ჰოი ვა - რა - და.

The third system of the musical score concludes the piece with three staves. The vocal line contains the lyrics 'ჰო - რი დი - ლა ვაი და ჰოი ვა - რა - და.'

№ 11 მოკლეს ილია.

(სოფ. ბიწმენდუი).

მძიმეთ.



მოკლეს ი - ლი - ა კარ - თლის



შვი - ლი - ა ნე - ტა რათ მო - კლეს



ჩვე - ნი ი - ლი - ა.

№ 12 ვისია, ვისია ქალი ლამაზი?

(სოფ. გომში).

პირ. მზარე. მძიმეთ.

First system of the musical score. It consists of three staves: a vocal line in treble clef, a piano accompaniment in treble clef, and a bass line in bass clef. The time signature is 3/4. The lyrics under the vocal line are: ვაი ვი - სი - ა ვი - სი - ა.

Second system of the musical score. It consists of three staves: a vocal line in treble clef, a piano accompaniment in treble clef, and a bass line in bass clef. The time signature is 3/4. The lyrics under the vocal line are: ქა - ლი ლა - მა - ზი - ა.

მეორე მზარე

Third system of the musical score, labeled 'მეორე მზარე'. It consists of three staves: a vocal line in treble clef, a piano accompaniment in treble clef, and a bass line in bass clef. The time signature is 3/4. The lyrics under the vocal line are: ვაი ვი - სი - ა ვი - სი - ა.



ქა - ლი ლა - მა - ზი - ს

პირ. მხარე. აჩქარებით

ქვი ა - ხ - ლა კი შე -

მეორე მხ.

მო - უ - ა - როთ ჰე ჰვი

ხალხური სიმღერები.

19



ა - ხ - ლა კი - შე - მო - უ - ა - როთ

ჰე. ჰე.

№ 13. წყალსა მოქონდა ნაფოტი.

მძიმე.

ჰი - ლა წყალ-სა მო-ქონ-და ნა-ფო-ტი



მე

წყალ-სა მო-ქონ-

და ნა - ფო - ტი ალ - ვის ხის შე -

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მო - ნა - თა - ლი დე - ლა ჰო.

№ 14 კე ბიჭებო.

(ქალ. ტფილისში, ვურული).

მარდათ.


ჰე და ბი - ჰე - ბო

ჰე - ბი - ჰე - ბო


გა - უს - ვი და გა - მო - უს - ვი

ჰე

ვი-თომ კი-ა- ნე-რი-ა-ო დილ დი-ლა დილ დი-ლა დი-ლა დი-ლა



დი-ლადი-ლადი-ლადი-ლა დილა დი-ლა დი-ლა დი-ლა დი-ლა



დე - ლი ო - დე - ლა - სა - ო ჰე.

№ 15 ჰაი და ქალეზო (ქალეზის ფერხული).

(სოფ. ერთაწმინდაში, ქართლში).

პირ. მხარე იწყ. მძიმეთ.



ჰე ჰაი და ქა - ლე - ბო ჰა - და

ხალხურა სიმღერება.

23

თეოლოგიური
ბიბლიოთეკა

მეორე მხარე.

ქვეყ - ნის თვა - ლე - ბო ჰაი - და ქა - ლე

ბო ჰა - ბა - და ქვეყ - ნის თვა - ლე ბო

ჰაი - და ქა - ლე - ბო მათ ეგ - რე



ქვეყ - ნის თვა - ლე - ბო ქა - ლე - ბო



ქვეყ - ნის თვა - ლე - ბო ქა - ლე - ბო ქვეყ - ნის



თვა - ლე - ბო. სო.

ხალხურა სიმღერება.

25

ქართული
მუსიკის

№ 16 მუშური.

(სოფ. სვენეთში, ქართლში).

მძიმეთ


ქა - რა - ლი ჰა ჰა ბი - ტო ვა - ლა

ლა - ლო ვა - რე შით - ხარ გე - ნაც - ვა - ლე

ვა - ლა - ლა - ლო



გა - რი ვა - რა - ლა - ლა მე




ნოტების ტექსტი.

№ 1 შვესვათ წითელ-წითელი.

შვესვათ წითელ-წითელი,
ასი—ათასი.
პარხუ ნახუ ნანო,
დიელ-დიელო.

№ 2 პარადო.

შენი ძმობის სიყვარული
გუნქაში ჩამიგდია,
ქორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია.

*
*

ამომავალო ღრუბელო,
გადამიტანე თანაო,
სად არის ჩემი მოკეთე?
მიმაგდე იმასთანაო!

*
*

შენი კირიმე შენია,
რომ გილილინებს ყელთა;
გაგიძლიერე მოკეთე.
დაგიმონავე მტერია.

№ 3 ბრძანა სოლომან მეფემან.

ბრძანა სოლომან მეფემან,—
 უშველეთ ქვრივსა ობოლსა,
 ბრძანს თვალი აუხილეთა,
 ნუგეშსა სცემდით დავრდომილთ,
 უხვობდეს გლახაკს წყალობა.

№ 5 მივალ გურიაში.

მივალ გურიაში, მარა
 სული სულ მთლად გეიპარა.
 თუ ნუნეკოს არ უყვარხარ,
 ტყუილია ოქროს ფარა!

№ 6 ორმოცის წლის ბებიაო.

ორმოცის წლის ბებიაო,
 რათ არ გასთხოვდებიაო!
 ფერ-უმარილს რომ წაისომ,
 კარგათ გამოჩნდებიაო,
 ფარჩის კაბას შეგიკერამ,
 გააშრიალებიაო,
 ჩეიცი და დეიხურე,
 კარგათ მოგიხდებიაო
 ჩასპანდურა ბიჰსა ჰკარი,
 გვერდში მოგიდგებიაო.

№ 7 გუშინ შვიდნი გურჯანელი.

გუშინ შვიდნი გურჯანელი
სანადიროთ წასულიყვნენ;
იქ მოეკლათ თეთრი ტახი,
ხორცი მოემრავლებინათ.
ესროლა ბერმა პაპამა,
ჯიხვი რქით გადმოეკიდა.
ესროლა ჩაქედა ბიჭმაც
არწივსა და ააცდინა.

№ 8 მურმან.

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
შენი ცოლი რა რიგია?
რას კითხულობ ცათა სწორო,
ცოლის ქება რა რიგია!
შენც ხომ იცი ბროლის ციხე
როგორ სამდის მალაღია.
შიგა ზის ქალი ეთერი
ყელი მოუღერებია.
დედამთილი ნაწნავს უწნავს,
მული პირის ფარეშია.

№ 9 მოდი, აქ დაჯექ შვილო.

მოდი, აქ დაჯექ შვილო,
კარგათ დამიგდე ყური.
ჯერ ხომა ხარ ყმაწვილი
შენი ურჩი ბედისა.

თუ რომ გახდე ვაჟკაცი,
 შეიტყო რამ ქვეყნისა,
 მაშინაც კი გახსოვდეს
 რჩევა შენი ბებრისა.

შვილო, ასე ამობენ:
 ამ ქვეყნათ ურჩ მავალსო
 არა სწყალობს უფალი
 და სულ მარტო დავალსო.
 ფლიდია ვაჟკაცობით,
 ყველასთან გულით ჭრელი,
 პირში ბინძურათ მლიქვნი,
 ზურგს უკან კი მზრახველი.
 შეინდე, შეიყვარე
 ყველა შენი მოკეთე,
 ვერადე ავკაცობასა,
 თუ რომ გსურს სცნო სიკეთე.

ესე, შვილო, გახსოვდეს
 რჩევა შენი ბებრისა,—
 როცა გახდე ვაჟკაცი,
 შეიტყო რამ ქვეყნისა.

№ 10 გვევავს მიღებული.

გვევავს მიღებული
 რუსთა ხელმწიფე
 მამულის შვილათ
 და პატრონათა;

გვთხოვა სალდათი,
გვეგონა ტყვილი,
რას ვიფიქრებდით,
არ უკდეთ ყური.

ოც მკათათვესა
დაგვესხნენ თავსა,
ჰკრეფენ სალდათსა
კომღზედა კაცსა.

მათი დედები
იხოქენ თმასა:
ვერა, ვერ მოგცემთ
ჩვენ ამ ერთ ვაჟსა.

ეს რომ თქვენ მოგცეთ
სახლმა რა ქნასა?
უსიკვდილოდამც
დავიხოცთ თავსა;

ვერ გავეყრებით
ჩვენ მიწა-წყალსა,
სხვაგან ვერ ჩავყრით
ჩვენს ხორცს და ძვალსა.

№ 11 მოკლეს ილია.

მოკლეს ილია
ქართლის შვილია,
დაობლდა ხალხი
გმირთა გმირია.

ნეტა რათ მოჰკლეს
ჩვენი ილია
და რათ დაგვირთეს
ქირზე ქირია.

ქართლი, კახეთი
და იმერეთი.
გმირი სვანებიც
თან მისტირიან.

ფშავ და ხევსურებს
ძაძი ჩაუცვამთ,
მამულის შვილსა
ზარით სტირიან.

მთიულს შესძახეს:
გამოდი გარეთ!
გულჩათხრობილი
ნუ ხარ მწირია.
ჩაჰყე არაგვსა;
ბარათ რომ ჩახვალ
მაშინ იქ ნახამ,
მამულის შვილსა
როგორ სტირიან.

ნეტა ვინ მოჰკლა
ჩვენი ილია
და ვინ დაგვირთო
ქირზე ქირია!

№ 12 ვისია, ვისია ქალი ლამაზი.

ვისია, ვისია ქალი ლამაზი?
 მას უქეს თვალ-წარბი და ქცევა ნაზი.
 დაღალი კავები, წამწამ-არვაზი;
 ტუჩი (და) საღიმოთ გამონამზადი,
 კბილი (და) აღმასით გამონათალი,
 ხოხობის (და) ყელი ბჭეთ მონახაზი,
 საროსა (და) ტანი ვერხვათ ნაზარდი,
 გულით,(ღ)რა გულით, მკერდ-ბუმბერაზი,
 ედემსა (და) რგული, ვით ია ნაზი.
 ვისია, ვისია ქალი ლამაზი?
 ჩვენია, ჩვენია ქალი ლამაზი!
 საამო-სატკბილოთ გამონამზადი,
 ცას ვეტყვი მის ქებას ენა ფაქიზი,
 ხმელეთს (და) გაუშლი, ვით ფიანდაზი.
 ეხლა კი შემოუაროთ,
 დავაგუგუნოთ ლხინია,
 ქალი ბევრი ვათამაშოთ,
 მარიამი და თინია.

№ 13 წყალსა მოჰქონდა ნაფოტი.

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი
 აღვის-ხის შემონათალი.
 დადექ, ნაფოტო, მიამბე:
 სად ვინ რა დავაბარაო?
 მეგობარი ხომ არ ნახე,
 ბევრჯელ შენ ნაპირს მდგარაო?

თუ ნახე, ხომ არ მიმგლოვდა?
 თვალთ ცრემლი ხომ არ ღვარაო?
 ლაშქრათ წასულთა ძმებთანა
 დამა რა დაგაბარაო?
 შენი მეგობარი, გეტყვი,
 შუა გზას ვნახე დაქრილი,
 დავდექ, ბევრი ვივაგლახე,
 ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

№ 14 ჰაი და ბიჰეზო.

გაუსვი და გამოუსვი,
 ვითომც კიანურიო;
 მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
 ისიც შინაურიო.

№ 15 ჰაი და ძალეპო.

ჰაი და, ქალებო,
 ქვეყნის თვალებო,
 მოკისკისენო,
 პირ მცინარენო,
 ია და ვარდის
 მოტრფიალენო,
 გულ-ლომ ვაჟკაცის
 წამახარელნო.
 ხმატკბილნო, ნაზნო,
 თვალ-წარმტაცენო,
 ბულბულის ენით
 გამონაქებნო!

განუთვლივა

VI

საზოგადოების კრებათა ოქმები
და წევრთა სია.

«საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების» კრებთა ოქმები.

№ 1.

ჩვეულებრივი საზოგადო კაბაა.

1907 წელს, იანვარისთვის 20-ს.

ძრება დაიწყო საღამოს 8 საათზე, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ., № 2). დაესწრო „საზოგადოების“ ხუთი დამფუძნებელი წევრი, რომელთაც ხელი უწერიათ მთავრობის მიერ დამტკიცებულს წესდებაზე: 1. თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი, 2. თფილისის ქალთა მე-II გიმნაზიის მასწავლებელი ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, 3. ექიმი გრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილი, 4. თავადი ელადიმერ სვიმონის ძე მიქელაძე და ნ. როტმისტრი ბორის სპირიდოვნის ძე ესაძე. ამ პირთ თვის შორის კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი.

I. ძრებას დაესწრენ აგრეთვე ზემო აღნიშნულის ხუთი წევრის მიერ მოწვეული შემდეგი პირები:

1. თავადი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი,
2. ივანე დიმიტრის ძე აფხაზი,
3. მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი,
4. ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი,
5. გრიგოლ თედორეს ძე ყიფშიძე,
6. დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი,
7. ილია ივანეს ძე ფერაძე,
8. გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძე,

9. კონსტანტინე ზაქარიას ძე მყაუჭილი,
10. დეკანოზი ანტონ თოთიბაძე,
11. მღვდელი კალისტრატე ცინცაძე,
12. დეკანოზი კორნელი კეკელიძე,
13. სერგი რომანოზის ძე გორგაძე,
14. სეით ლუარსაბის ძე იაშვილი,
15. ალექსანდრე ბესარიონის ძე შდივანი,
16. გიორგი ალექსანდრეს ძე ჯაეზიშვილი,
17. გერასიმე სოფრომის ძე იმნაიშვილი,
18. გიორგი იოსების ძე ამირჯიბი,
19. ალექსანდრე ივანეს ძე ყანელი.

ბ-ნის თავმჯდომარის წინადადებით, დამფუძნებელმა წევრებმა ყველა ეს პირები ჩარიცხეს „საზოგადოების“ ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად.

ამით გარდა, დამფუძნებელმა წევრებმა „საზოგადოების“ ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად ჩარიცხეს შემდეგი პირებიც, რომელნიც, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ამ პირველ საზოგადო კრებას ვერ დაესწრენ:

1. პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი,
2. ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე,
3. დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილი,
4. თავადი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი,
5. გიორგი ივანეს ძე მუსხელიშვილი,
6. მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი,
7. მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი,
8. მღვდელი ვასილ კარბელაშვილი,
9. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,
10. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე,
11. ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე,
12. არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია),
13. ილია ვლადიკოვსკის ძე ზურაბიშვილი,
14. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.

II. როცა წევრთა არჩევა გათავდა, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა ახლად განსვენებულის მგოსნის ილია კრიგოლის ძის ჭაგკავაძის ხსოვნას.

III. შემდეგ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება: „დღემდე თფილისში კერძოთ არსებობდა ქართული ისტორიისა და მწერლობის მოყვარულთა პატარა წრე, რომელიც შოულობდა ნივთიერ საშუალებას და, სხვათა შორის, თავისი ხარჯით დაბეჭდა წიგნი „თიმსარიანი“; მთელს ამ გამოცემასა და აგრეთვე ფულად 68 მანეთსა და 40 კაპეიკს აღნიშნული წრე ჩვენს ახლად დაარსებულ საზოგადოებას სწირავს; ამ ფულს გარდა, იმავე წრემ კიდევ დახარჯა ჩვენი „საზოგადოების“ წესდების გადაწერასა და დამტკიცებაზე 22 მანათი“. — კრებამ აღნიშნული შემოწირულება მაღლობით მიიღო.

IV. დასასრულ, თავმჯდომარემ კრებას წინადადება მისცა: „საზოგადოების წესდების თანახმად, საჭიროა ახლავე აირჩეს საზოგადოების საბჭო, რომელიც ცხრა წევრისაგან შეესდგება, საბჭოს წევრთა სამი კანდიდატი და სარევიზიო კომისია“. ასარჩევი კანდიდატები კრებამ ბარათებით დაასახელა, ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ:

ა. საბჭოში:

1. თავმჯდომარე — ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი¹⁾,
2. თავმჯდომარის ამხანაგად — დავით გიორგის ძე კარიბაშვილი,
3. ხაზინადრად — ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი,
4. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველად — ილია ივანეს ძე ფერაძე,
5. მდივანად — სერგი რომანოზის ძე გორგაძე,
6. წევრებად: ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე,
7. მღვდელი პოლიფექტოს კარბელაშვილი,
8. მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი,
9. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე.

მათ კანდიდატებად:

1. მღვდელი კალისტრატე ცინცაძე,
2. ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი,
3. დეკანოზი კორნილი კეკელიძე.

¹⁾ წესდებით საზოგადოების თავმჯდომარეც იგივეა.

ბ. სარევიზიო კომისიაში:

1. ივანე დიმიტრის ძე აფხაზი,
2. გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე,
3. კოსტანტინე ზაქარაის ძე მაყაშვილი.

სალამოს 10 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

№ 2.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1907 წელს, ნოემბრის 8-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 8 საათზე თავდა-აზნაურთა სადგურტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკ. ქ., № 2) ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ „საზოგადოების“ შემდეგი ნამდვილი წევრები: თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძენი, დავ. გ. კარიჭაშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, ალ. ბეს. მდივანი, იუსტ. ირ. აბულაძე, ალ. ი. სარაჯიშვილი, ილ. ივ. ფერაძე, გრიგ. ნიკ. დიასამიძე, ივ. დიმ. აფხაზი, გერასიმე სოფრ. იმნაიშვილი და ს. რ. გორგაძე. წესდების § 28-ის ძალით, კრებას გარეშე მაცურებელნიც დაესწრენ.

I. პირველათ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულის მოღვაწის ალ. მირ. ტყონიას ხსოვნას (იხ. საბჭოს ოქმი № 2).

II. შემდეგ კრებამ მოისმინა წინანდელი საზოგადო კრების ოქმი და დაამტკიცა იგი.

III. ამას შემდეგ „საზოგადოების“ ხაზინადარმა ალ. სარაჯიშვილმა კრებას მოახსენა „საზოგადოების“ თანხების ანგარიში მიმდინარე (1907) წლის 20 ენკენისთვიდან 8 გიორგობისთვემდე. ამ ხნის განმავლობაში „საზოგადოებას“ შემოსვლია: „ქართული ისტორიისა და სიტყვიერების მოყვარეთა წრისაგან“ — 88 მ. 40 კ., თ. ალ. ფალავანდიშვილისაგან 161 მ. 86 კ. და საწევრო ფული 50 მ. 50 კ., — სულ 280 მ. 76 კ.; ამჟვე დროს „საზოგადოებას“ დაუხარჯავს სულ 111 მ. 23 კ.; დარჩენილა ნალ-

დი ფული 169 მ. 53 კ.—საზოგადო კრებამ აღნიშნული ანგარიშები დაამტკიცა ტიპა.

IV. დასასრულ, კრებამ მოისმინა ს. რ. გორგაძის რეფერატი: „მეფე ადერკი და ეგრეთ წოდებული ორ-მეფობა ძველ ივერიაში“¹⁾. მოსხენების საზოგადო დასკვნა ასეთი იყო: წინააღმდეგ „ქართლის-ცხოვრების“ და „ქართლის-მოკცევის“ თქმულებისა, აღნიშნულ დროს ივერიაში არაერთი ორ-მეფობა არ ყოფილა; იყო მხოლოდ ერთი მეფე ივერიისა, რომელსაც, სტრაბონის მოწმობის თანახმად, გვერდთ უდგამის „მეორე პირი“ ანუ მთავარ-სარდალ-მთავარ-მსაჯული და რომელიც, ტაციტისა და დიონ კასიუსის მოწმობით, იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი პოლიტიკური გავლენა სომხეთსა, კაბადოკიასა და პართიასაც კი საგრძნობლად ჰხედებოდა (ფარსმან I და ფარსმან II). რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ თქმულებას იმის შესახებ, ვითომც ამ დროს ქართლში ორი მეფე ყოფილიყო, აღნიშნული თქმულება წარმოადგენს მწიგნობრული წამბაძველობის შედეგს: საბედლობრ, ჩვენს მემბტიანეს ეტყობა მოსე ქორენელის ისტორიის ძლიერი გავლენა. ამავე გავლენით აიხსნება „ქართლის ცხოვრების“ ის თქმულებაც, ვითომც აღნიშნულ პერიოდში ქართლის მეფეები ყოფილიყვნ ამსახურებასა და მორჩილებასა შინა სომხეთის მეფეთაჲსა—(ორი უკანასკნელი ახრი მომხსენებელმა მრავალი პარალელური ადგილების ჩვენებით დაამტკიცა „ქართლის ცხოვრებიდან“ და მოსე ქორენელის ისტორიიდან): როგორც ტაციტის მოთხრობიდან სჩანს, ივერია იმ დროს არა თუ სომხეთის მეფეებს არ ემორჩილებოდა, პირ-აქეთ, სომხეთი იმყოფებოდა ივერიის მეფის, ფარასმანის, ძმისა (მიტრიდატისა) და შვილის (რადამისტის) ზღუდში... ივერიის მეფეებს იმ დროს ზურგი გამაგრებული ჰქონდათ რომის იმპერატორებისაგან (ტაციტი, მცხეთის ქვის წარწერა, დიონ კასიუსი).

რეფერატის წაკითხვის შემდეგ კამათი გაიმართა.

პეტრე შირიანაშვილი: რადგან საზოგადო კრებას გარეშე მსმენელებიც ესწრებიან, სასურველია რეფერატები ყველასათვის საინტერესო შინაარსისა და პოპულარულად დაწერილი იყოს. რაც შეეხება ბნ გორგაძის მოხსენებას, სასურველი იქნებოდა, რომ რეფერენტი ჩვენთვის

¹⁾ ეს რეფერატი წარმოადგენს ერთ თავს რეფერენტის ვრცელი შრომისას: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ (იბ. ზემოთ ამ კრებულის პირველ ნაწილში გვ. 43—68).



გაეცნო, თუ როგორი ბა'იათისა იყო ის ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენს ისტორიაში ორ-მეფობა ეწოდება.

აღუქსანდრე მდივანი: ბ-ნის პ. მირიანაშვილის შენიშვნა „ორიგინალურს პრეტენზიას“ წარმოადგენს; ბ. გორაკაძე თავის მოხსენებაში სკდილობს დაამტკიცოს, რომ აღნიშნულ დროს ივერიაში არაფითარი ორ-მეფობა არ ყოფილა; მაშ როგორღა შეგვიძლია მოვთხოვოთ: გვითხარი, ეგ ორ-მეფობა როგორი ხასიათისა იყო... საკუთრივ, რაც მე შემეხება, უნდა გამოვტყდე, რომ, სამწუხაროთ, ქართული ისტორიის წყაროებს ძლიერ სუსტათ ვიცნობ, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნო, რომ თავისი რეფერატის უმთავრესი დასკვნა („აღნიშნულ დროს ივერიაში არაფითარი ორ-მეფობა არ ყოფილა“) ბ-ნ გორაკაძეს ვერ აქვს ჯეროვანათ დასაბუთებული.

თავ. პავლე თუმანიშვილი: სასურველია, როცა ასეთს საინტერესო და სპეციალურ საგანზე აპირებენ მოხსენების წაკითხვას, წინდაწინვე გამოცხადებულ იქნას გაზეთებში უმთავრესი წყაროები და თეზისები მოხსენებისა; უამისოთ კი მეტათ ძნელი იქნება არა-სპეციალისტმა მსმენელმა შეგნებულათ მიიღოს მონაწილეობა მოხსენების ღირსება-წაკლულავენებათა დაფასებაში. —ამას გარდა, ძლიერ არგი იქნება, რომ ყოველი, ჯეროვანათ დასაბუთებული, მოხსენება რუსულათ და ქართულათ იბეჭდებოდეს, მე მზათა ვარ საამისოთ ყოველგვარი ხარჯი ვიტვიტო.

დავით კარიჭაშვილი: ვეთანხმები იმ აზრს, რომ აღნიშნულ დროს ქართლში ორი მეფე არ ყოფილა, მაგრამ ვფიქრობ, რომ როგორც პირველი რიგის, ისე მეორე რიგის იმ დროინდელი „მეფეები“ (არმაზელნი და მცხეთელნი) — ყველანი ისტორიული პირები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ყოველად შეუძლებელია მათი სახელები მემტრიანეს შეეთხზას; კერძოდ, ამ ხანის შესახებ მე უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია ჩვენი ქართული წყაროები, ვინემ რომაული ისტორიკოსები, რომელნიც უცხოელების შესახებ სიყალბის მეტს არას ლაპარაკობენ (მაგალ. ტაციტის მიერ მოთხრობილი რომანი რადამისტისა და მისი ცოლის ზენობიას შესახებ).

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი: 1) არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ პ. მირიანაშვილს, ვითომც ჩვენი საზოგადოების კრებებზე მარტო პოპულიარული და ზოგად-საინტერესო შინაარსის რეფერატ-მო-

ხსენებანი უნდა იკითხებოდნენ. სამეცნიერო საზოგადოებაში, როგორც ჩვენი საზოგადოებაა, ყოველგვარი სამეცნიერო ხასიათის მოხსენება უნდა მოხსენილ იქნას; ვისაც ეინტერესება ამგვარი საგანი, უბეკლია რეფერატსაც სიამოვნებით მოიხმენს; ვისაც არ ეინტერესება და—სულაც არ მოვა კრებაზე... 2) რაც შეეხება თ. პ. თუმანიშვილის განცხადებას, რა თქმა უნდა, სასურველია ყოველი მოხსენების მოკლე შინაარსი და წყაროები წინდაწინვე იცოდნენ დამსწრე საზოგადოებამ, მაგრამ ეს მეტათ საძნელოა და არც მინც და მინც აუცილებლათ საჭიროა. თუ დღეს წაკითხულ რეფერატში ბევრი რამ ისეთი შეგვხვდა, რაც ჩვენთვის გაუგებარია, ეს აიხსნება მხოლოდ ჩვენის მოუშალებლობით, საისტორიო წყაროების უცოდინარობით, და აქ მომხსენებელი არაფერს შუაშია. მომავალში ამ დაბრკოლებას ჩვენ ამგვარათ შეგვიძლია შემოვუაროთ: ერთს კრებაზე რომ მოვიხმენთ რეფერატს, იქვე დავიწეროთ მისი თეზისები და წყაროები, შემდეგ შინ გავეცნოთ ამ წყაროებს და მომავალ კრებაზე შევუდგეთ წინათ წაკითხული რეფერატის გარჩევას... 3) არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ კარიბაშვილს, ვითომც რომელიც ისტორიკოსები ჩვენს შესახებ მხოლოდ სიყალბეს ლაპარაკობდნენ. ავიღოთ, მაგალითად, იმ დროინდელი გეოგრაფი სტრაზონი, რომელიც ჩვენს ქვეყანას გასაოცარი სინამდვილით აგვიწერს. ესევე უნდა ითქვას ტაციტის შესახებაც; იგი იხსენიებს ივერიის მეფეს ფარსმანს (I), აგვიწერს მის ძლიერებას და აღნიშნავს, რომ ფარსმანს რომის იმპერატორები მფარველობდნენ; ამ ცნობას სავსებით ამართლებს მცხეთის მიდამოებში ნაპოვნი ქვის ბერძნული წარწერა, რომელიც იხსენიებს იმავე ფარსმანს და მის ძეს მიტრიდატს, თან დასძენს, რომ ამ უკანასკნელს მფარველობასა და მეგობრობას უწევდა ზედი-ზედ რომის სამი იმპერატორი, რაც შეეხება ჩვენებურ წყაროებს, განსაკუთრებით „ქ.-ცხოვრების“ თქმულებას ამ ხნის შესახებ, პირადათ მე ვეთანხმები ბ-ნ გორგაძეს, რომ ეს თქმულებანი ნაგვიანვეათ უნდა იყონ შეტანილი მატიანეში („ქ. მოქცევის“ ქრონიკაში იგინი არ მოიპოებინა), შეიძლება მოსე ქორენელის ისტორიიდან; რეფერენტის მოხსენებაში ყველაზე მეტათ საგულისხმოა ის პარალელური ადგილები, რომელნიც რეფერენტმა მოსე ქორენელიდან და „ქ. ცხოვრებიდან“ გვიჩვენა. 4) დასასრულ, არ შემიძლია დავეთანხმო იმ აზრს, ვითომც აღნიშნულ დროს ივერიაში (ქართლში) ორ-მეფობა არ ყოფილი-



ყოს; არა თუ ორ-მეფობა, შესაძლოა იმ დროს იქ მრავალ-მეფობა ყოფილიყო, რადგან, როგორც ქ.-მოქცევის ქრონიკიდან სჩანს, საკუთარი მფლობელები ჰყვლია არა მარტო მცხეთის-ციხეს, არამედ უფლის-ციხესა და კასპის-ციხესაც; ამას გარდა, როგორც ვრ. ი. უცხოელი მწერლის მოწმობიდან სჩანს, იმ დროს მესხები დამოუკიდებელი ყოფილან, ხოლო, როგორც ვიციტ, მესხები ქართლელების ნაწილს შეადგენდნ.

ამას შემდეგ წასაკითხავი იყუ კიდევ დ. კარიკაშვილისა და მღვდ. პოლ. კარბელაშვილის მოხსენებანი, მაგრამ, რადგან პირველი რეფერატის კითხვა და გარჩევა ძლიერ გაგრძელდა, მათი მოხსენების წაკითხვა შემდეგი ჩვეულებრივი საზოგადო კრებისათვის გადაიდო.

სალამოს 10 საათზე, წესდების § 31-ს თანახმად, თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება არა-ჩვეულებრივად და გარეშე პირათვის დახურულ რუღად გამოაცხადა.

№ 3.

პირველი საზოგადო კრება.

1907 წელს, ნოემბრის 8-ს.

კრება დაიწყო სალამოს 10 საათზე ექვთ. სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგი წევრების თანდასწრებით: თავ. პავლე იოსების ძის თუმანიშვილისა, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებისა, დავ. კარიკაშვილისა, მღვდ. პოლ. კარბელაშვილისა, ალ. ბეს. მდივანისა, იუსტ. აბულაძისა, ალ. ი. სარაჯიშვილისა, ილ. ივ. ფერაძისა, გრიგოლ ნიკ. დიასამიძისა, ივ. აფხაზისა, გერასიმე იმნაიშვილისა და ს. გორგაძისა.

I. პირველად კრებას მოხსენდა საბჭოს დადგენილება 1907 წლის 25 ოქტომბრისა საზოგადოების კრებულის გამოცემის შესახებ, სახელწოდებით „მკვლედი საქართველო“. საბჭოს აზრით, კრებულში უნდა იბეჭდებოდეს შემდეგი შინაარსის მასალები: 1. რეფერატები და გამოკვლევანი, 2. ნათარგმნი სტატიები საქართველოს შესახებ, 3. ქრონიკები და საისტორიო მოთხრობანი, 4. წარწერანი, სანუმიზმატიკო მასალები, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 5. ცნობები ხელნაწერებზე, 6. ძველი საარქეოლოგიო ნივთების აღწერილობანი, 7. სი-

საზოგადო კრებათა ოქმები.



გელ-გუგურები, 8. ძველი სიტყვა-კაზმული მწერლობის ნაშთები, ფ. სალინგვისტიკა წერილები და მასალები ქართული ენის კილოცავთა შესასწავლად, 10. ხალხური სიტყვიერებიდან: ზღაპრები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვა-გამოლოცვანი, 11. ნეკროლოგები, 12. საზოგადო კრებათა ოქმები და 13. საზოგადოების წევრთა სია.— კრებამ მოისმინა საბჭოს დადგენილება და მოიწონა იგი.

II. შემდეგ, თავმჯდომარის მოხსენების თანახმად, კრებამ დაადგინა: საბჭოს ნება მიეცეს ისე მოიხმაროს „საზოგადოების“ თანხები, როგორც საკანცელარიო და საგამომცემლო ხარჯები მოითხოვს, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემოსავლის 5% გადაიღოს ძირითადი თანხისათვის.

III. დასარულ, წესდების § 16-ის დაცვით, გრიგოლ დიასამიძისა და სერგი გორგაძის წინადადებით, კრებამ აირჩია შემდეგი ნ ა მ დ ე ი ლ ი წ ე ვ რ ე ბ ი საზოგადოებისა:

ა. ე პ ი ს კ ო პ ო ს ე ბ ი: 1. ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, გიორგი, პეტრე და დავით.

ბ. ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ე ბ ი: პიროსი (ოქროპირიძე) და დოსითეოს (ბერძენიშვილი).

გ. პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი და დ ო ც ე ნ ტ ე ბ ი: მარია ნიკოლოზ იაკობის ძე, 10. პეტრიაშვილი ვასილ მოსეს ძე, ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე, ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ავალიშვილი იოსებ დავითის ძე, მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე, თარხნიშვილი ივანე რამაზის ძე.

დ. ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა და პ რ ო ფ ე ს ი ი ს ა ნ ი: აბაშიძე ივანე (კიტა) გიორგის ძე, აბულაძე პლატონ ქრისტეფორეს ძე, 20. ავალიანი სემიონ სემიონის ძე, ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე, ანდრიაშვილი სოლომონ ანტონის ძე, არაყაშვილი დიმიტრი, აფხაზი კოსტანტინე ნიკოლოზის ძე, ალაძე ილია, ბარნოვი ვასილ ზაქარიას ძე, ბაქრაძე დავით ნიკოლოზის ძე, ბაქრაძე კოსტანტინე დიმიტრის ძე, ბილანიშვილი ზაქარია, 30. ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე, ბურჭულაძე გრიგოლ, გაბაშვილისა ვეატორინე რევაზის ასული, გამრეკელი გიორგი მღვდელი, გამურელიძე ივანე ვედოკიმეს ძე, გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, განჩილაძე სევასტი მიხეილის ძე, გელოვანი იასონ დავითის ძე, გელოვანი ქაიხოსრო გიორგის ძე, გებტმანი გიორგი ნიკოლო



ზის ძე, 40. გვახავა გიორგი ბეჟანის ძე, გვარამაძე სოლომონ ნანდუაშვილი ძე, გიორგაძე მიხეილ, გიორგიევისა ეფემია გრიგოლის ასული, გიორგიევი მიხეილ გრიგოლის ძე, გოგიტიძე ნიკოლოზ გიტოს ძე, გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, გოცირიძე კოსტანტინე რამაზის ძე, გულისაშვილი ზაქარია მღვდელი, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე, 50. დადიანი იოსებ ტარიელის ძე, დადიშელიანი თათარზან თენგიზის ძე, დადიშელიანი ჯანსუფ თენგიზის ძე, დედაბრიშვილი შიო, დემიდოვი ვასილ ალექსანდრეს ძე, დემურიაძე მარიამ ივანეს ასული, დიასამიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ექიმი, დოდაშვილი კოსტანტინე ივანეს ძე, ვაძიას ლიუბოვ კოსტანტინეს ასული, ვლიაშვილი ივანე სპირიდონის ძე ექიმი, 60. ერისთავი დიმიტრი დავითის ძე ექიმი, ერისთავ-შერვაშიძე ნიკოლოზ თომას ძე ექიმი, ერისთავ-ხოშტარიაძე ანასტასია გიორგის ასული, ვაშაკიძე ექვთიმე სვიმონის ძე ექიმი, ვაჩნაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე, ვაჩნაძე მიხეილ რევაზის ძე, ვახვახიშვილი ალექსანდრე რევაზის ძე, ვახვახიშვილი სვიმონ(სიკო) რევაზის ძე, ვაწაძე სპირიდონ იოსების ძე ექიმი, ვოლსკი გრიგოლ იოსების ძე, 70. ზაალიშვილი მიხეილ რომანის ძე, ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსის ძე, ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, თავდგირიძისა ნინო მერაბის ასული, თალაკვაძე ნიკიტა დეკანოზი, თაქთაქიშვილი მიხეილ ივანეს ძე, თულაშვილი გაბრიელ ივანეს ძე, თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია მიხეილის ასული, თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე, 80. თუმანიშვილი ვასილ მიხეილის ძე, თუმანიშვილი კოსტანტინე მიხეილის ძე, თუმანიშვილი კოსტანტინე პავლეს ძე, თუმანიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, თუმანიშვილი მიხეილ იოსების ძე, იაშვილი აბელ ექიმი, იმნაიშვილი სამსონ მღვდელი, იოსელიანი ეგნატე ონისიმეს ძე, კაკუბავა გიორგი, კანდელაკი თეოფილე, 90 კარგარეთელი ილია გიორგის ძე, კელენჯერიძე მელიტონ მღვდელი, კლდიაშვილი დავით სვიმონის ძე, კლდიაშვილი სვიმონ გრიგოლის ძე, კობახიძე ლევან სოლომონის ძე, ლაბაძე იასონ მღვდელი, ლასხიშვილი გიორგი, ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე, ლორთქიფანიძე ალექსანდრე მერაბის ძე, ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, ლორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე, ლორთქიფანიძე კოსტანტინე ტარიელის ძე ექიმი, ლომაური ნიკოლოზ იოსების ძე, მამაცაშვილი ქრისტეფორე იოსების ძე, მამინაიშვილი ნიკიფორე იესეს ძე, მანსვეტაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე, მახაბელი გიორგი (გილო) ვახტანგის ძე, მაკავარიანი ივანე ნიკოლოზის

ძე, მაქარაშვილი ნესტორ მღვდელი, მაყაშვილი დიმიტრი ივანეს ძე, 110. მახათაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე, მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიაძე ძე, მდივანი დავით ბესარიონის ძე, მესტიაშვილი სოლომონ სტეფანეს ძე, მესხისა ეკატერინე გრიგოლის ასული, მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მთავრიშვილი თომა აბრამის ძე, მიჭაბურიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, მიქელაძე ალექსი მღვდელი, მოსეშვილი იასონ (ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი), 120. მირიანაშვილი პეტრე გრიგოლის ძე, მირიანაშვილი ალექსი ივანეს ძე, ნადირაძე ანდრია გიორგის ძე, ნათაძე გრიგოლ იასონის ძე, ნათიძე ნიკოლოზ მღვდელი, ნაკაშიძე ილია პეტრეს ძე, ნაკაშიძისა ნინო, ნაკაშიძე ერმილე კაკოს ძე, ნატროშვილი ანტონ ივანეს ძე, ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე, 130. ნიჭარაძე ივანე, ნიჭარაძე მღვდ. ბესარიონ, ოცხელი იოსებ იოსების ძე, ოცხელი სვიმონ იოსების ძე, პაპიტაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე, ჟორდანია თევდორე დავითის ძე, ჟურული გიორგი დურშიშხანის ძე, რაზიკაშვილი ლუკა პავლეს ძე, რაზიკაშვილი თევდორე პავლეს ძე, რატიშვილი ივანე გიორგის ძე, 140. როსტომაშვილი ივანე პავლეს ძე, რცხილაძე ვასილ ილიას ძე, რცხილაძე გრიგოლ სვიმონის ძე, სარაჯიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე, სახოკია თევდორე, სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე, ტატიშვილი იპოლიტე ზურაბის ძე, ტყეპალაძე მარკოზ დეკანოზი, ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე, ფანცხავა იაკობ სპირიდონის ძე, 150. ფირცხავა სამსონ, ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე, ქართველიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, ქვარიანი სვიმონ ალექსის ძე, ქიქოძე მოსე ათანასეს ძე, ქუთათელაძე არისტოტელ ვასილის ძე, ქუთათელაძე დავით ვასილის ძე, ქუჭუკაშვილი შიო ილარიონის ძე, ლამბაშიძე დავით დეკანოზი, დ. მბაშიძე ვაბტანგ დავითის ძე გქიმი, 160. ღლონტი ხარლამპი პეტრეს ძე, ღოღობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე, ღოღობერიძე სვიმონ ბესარიონის ძე, ღულაძე ანდრია სოლომონის ძე, ღულაძე იაკობ სოლომონის ძე, ყაზახაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, ყავრიშვილი კოსტანტინე ივანეს ძე, ყიფიანი სამსონ გიორგის ძე, ყიფიანი კოსტანტინე დიმიტრის ძე, ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, 170. ყიფიანი დიმიტრი ალექსანდრეს ძე, ყიფშიძე ზაქარია თევდარეს ძე, შათირიშვილი კოსტანტინე ნიკოლოზის ძე, შიუკაშვილი შიო ისაკის ძე, შებლაძე ილია მღვდელი, ჩერქეზიშვილი ვასილ ნიკოლოზის ძე, ჩიჯავაძე იოსებ მღვდელი, ჩოლოყაშვილი დიმიტ-



რი ერასტის ძე, ჩოლოვაძე მელიქონ იესეს ძე, ჩხიკვაძე ზაქარია ივანეს ძე, 180. ციმაკურიძე ალექსანდრე მიხეილის ძე, ციციშვილი ქრისტეფორე მღვდელი, ცხვეთაძე ნიკოლოზ ზებედეს ძე, წერეთელი აკაკი როსტომის ძე, წერეთელი ვასილ გიორგის ძე, წერეთელი მიხეილ გიორგის ძე, წინამძღვრიშვილი ილია ივანეს ძე, ჭავჭავაძე ნიკოლოზ გულბაათის ძე, ჭავჭავაძე დავით ზაქარიას ძე, ჭავჭავაძე მაქსიმილიანე ზაქარიას ძე, 190. ჭარაია პეტრე გიორგის ძე, ტიქინაძე ალექსი ბესარიონის ძე, ტიქინაძისა ეფროსინე იაკობის ასული, ტოლოშვილი ვეგენი ალექსანდრეს ძე, ტრელაშვილი სტეფანე თევდორეს ძე, ტყონია ილია მირიანის ძე, ხოშტარია დიმიტრი თომას ძე, ხუნდაძე სილოვან თომას ძე, ხუსკივაძე თეოდოლე იესეს ძე, ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე, 200. ჯავახიშვილი ლუკა ანტონის ძე ეჭიმი, ჯანდიერი ლევან გიორგის ძე, ჯაოშვილი გვიფანე მღვდელი, ჯაფარიძე ვასილ, ჯაში ილარიონ მღვდელი, ჯაჯანიძე სვიმონ მღვდელი, ჯვარიშვილი ათანასე თევდორეს ძე, 207. ჯორჯაძე დავით გიორგის ძე.

ლამის 11 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურა.

№ 4.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1907 წელს, ნოემბრის 20-ს.

ძრება დაიწყო საღამოს 7 საათზე, თავადაზნაურთა სადგურტარო სკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ., № 2), ექვთ. სვიმ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ შემდეგი წევრები: მღვდ. პოლიევკტოს და ვასილ კარბელაშვილები, გრიგოლ ნათაძე, გერას. იმნაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ნიკ. გოგიტიძე, იუსტ. აბულაძე, არისტ. ქუთათელაძე, დავ. კარიბაშვილი, შიო დედაბრიშვილი და ს. გორგაძე. ამით გარდა კრებას გარეშე საზოგადოებაც დაესწრო.

I. პირველათ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება „საზოგადოების“ წევრის ყ-დ სამღვდლო ალექსანდრე ეპისკოპოსის გარდაცვალების შესახებ და უკანასკნელის მსოფნას პატრიე სცა_ზეზე ადგომით.

II. შემდეგ კრებას მოხსენდა წინანდელი კრების ოქმი, რომელიც კრებამ მკითრე შესწორებით დაამტკიცა.

III. ამას შემდეგ დაიწყო რეფერატების კითხვა:

ბ. პირველათ რეფერატი წაიკითხა მღვდ. პოლ. კარბელა-შვილმა ამილახვრიანთ გვარის სიგელ-გუჯრების შესახებ. რეფერენტს თან ჰქოდა ამ გუჯრების რამოდენიმე ცალი. უძველესი მათგანი ეკუთვნის მე-XV საუკუნეს. რეფერენტის აზრით ამ გუჯრებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს: იგინი გვაწვდიან ქართლის ისტორიიდან ბევრს ისეთს ცნობას, რომელიც არც „ქ-ცხოვრებაში“ მოიპოვება და არც ვახუშტის ისტორიაში; ამასთანავე, ბევრ შემთხვევაში სავსებით ამართლებენ იმ ცნობებს, რომელნიც ამ წყაროებში მოიპოვებიათ (მაგალ. იოთამ ზედგინიძის გმირობაზე). სამწუხაროთ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ამ სავგარეულოს ყველა სიგელ-გუჯარი. საჭიროა მათი მოკითხვა ამილახვრებს შორის და დაბეჭვდა.

რეფერატს კამათი არ გამოუწვევია. კრებამ დაადგინა: ვახუშტის საშუალებით ეთხოვოს ამილახვრიანთ გვარის წევრებს მიაწოდონ „სახოგადოებას“ თავიანთი გვარის სიგელ-გუჯრები.

ბ. შემდეგ დავით გ. კარიჭაშვილმა წაიკითხა ორი მოხსენება: 1. „დავით კუროპალატის გენეალოგია“ და 2. „ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი?“

პირველ მოხსენებებს არსებითათ დიდი კამათი არ გამოუწვევია. მცირეოდენი კამათი გამოიწვია მეორე მოხსენებამ.

მომხსენებელის აზრით, „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი, რომელიც ქრონიკის სათაურში სუმბატ დავითის ძედ არის წოდებული, უნდა ყოფილიყო იმ დავით ბაგრატიონის ძე, რომელიც აღნიშნულ ქრონიკაში „დავით მცირედ“ არის მოხსენებული; ეს დავითი იყო აღარანასეს ძე და შესაძლოა მას ჰყოლოდა შვილი სუმბატი, რომელიც უნდა იყოს ქრონიკის ავტორი. რეფერენტს ყოველსავე საფუძველს მოკლებულად მიანჩნა ბაქრაძის აზრი, რომელიც ჰფიქრობდა, რომ ქრონიკის წერა უნდა დაეწყო და თავის დრომდე მოეყვანა სუმბატს, დავით არტანუჯელის ძეს, რომელიც ქრონიკით გარდაიცვალა 988 წელს, ხოლო მის შემდგომ აღნიშნული ქრონიკა სხვისაგან უნდა იყოს განგრძობილი.

იუსტინე აბულაძე ყოველი მეცნიერული ჰიპოტეზა რომელსა-მე ფაქტზე ან მტკიცეთ დადგენილ ქეშმარიტებაზე უნდა იყოს დამყარებული. სამწუხაროთ ბ. კარიჭაშვილის ჰიპოტეზაში ჩვენ ასეთს მტკი-

ცე საფუძველს ვერა ვპოვებო: დიმ. ბაქრაძეს ისეთი ისტორიული პირი ჰყავდა ქრონიკის ავტორად დასახელებული, რომლის არსებობა თვითონ ქრონიკისავსია მოხსენებული; ბ-ნი კარიკაშვილი კი ქრონიკის ავტორად ასახელებს ისეთს პირს, რომლის არსებობისა ჩვენ არა ვიცით რა. ამიტომ მე მგონია, რომ, მეცნიერულის მხრით, ბაქრაძის ჰიპოტეზა უფრო მაღლა სდგას, ვინემ ის ჰიპოტეზა, რომელიც დღეს ბ-ნის დ. კარიკაშვილის მოხსენებიდან გავიცანით.

ს. გორგაძე ეთანხმება აბულაძეს და თავისი მხრით დასძენს: სცდება ბ-ნი რეფერენტი, როდესაც ბძანებს, ვითომც დ. ბაქრაძის მოსახრება „ყოველსავე საფუძველს მოკლებული“ იყოს. მაგალითად, რა არის დაუჯერებელი თუნდ იმ მოსახრებაში, რომ სუმბატ არტანუჯელის გარდაცვალების (988 წ.) შემდეგ მის მიერ დაწყებული ქრონიკა სხვა პირს განეგრძო? ამისი მაგალითი ბევრია ჩვენს მატიაშეში: ერთი შემატიანის შრომას განაგრძობს და ავსებს მეორე. იმ გარემოებას, რომ ქრონიკა სუმბატ არტანუჯელის შემდეგ დროსაც შეეხება, დიმ. ბაქრაძის ჰიპოტეზაც აღვიღათ ხსნის: ამის გამო, ამავე მიზნისაუვის ახალი საისტორიო პირის გამოგონება („დავით მცირის“ ძე სუმბატ), ჩვენის ფიქრით, აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს.

ე. ს. თაყაიშვილი: ვეთანხმები რეფერენტს, რომ ქრონიკის ავტორს მე-XI საუკუნეში უნდა ეცხოვრა და რომ იგი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა საგვარეულოდან, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო იმაზე, ვითომც სუმბატის ქრონიკა ტენდენციას იყოს მოკლებული. როგორც ქრონიკის შინაარსი გვიჩვენებს, მის ავტორს ორ-გვარი ტენდენცია ჰქონია: ა) ერთი ისა, რომ ქართულ მწერლობაში წერილობით უკვდავ-ეყო ის თქმულება, რომლითაც ბაგრატიონები თავის გვარს დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლებად სთვლიდენ და რომელიც სუმბატზე უწინ, ბერძნულ ლიტერატურაში, კონსტანტინე პორფიროგენს ჰქონდა აღნიშნული; ბ) მეორეც ისა, ვითომც ქართველ ბაგრატიონთა წინაპარი (გურგენი) საქართველოში გახელმწიფებულისა ხალხის არჩევით უკვე მე-VI საუკუნის დამლევს და არა მე-VIII საუკუნეში.

სალამოს 11 საათზე კრება დაიბურა.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1907 წელს, დეკემბრის 28-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე თავდაზნაურთა სადებუტატო საკრებულოს დარბაზში ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ საზოგადოების წევრები: არისტ. ქუთათელაძე, პეტრე შირიანაშვილი, მღვდ. კალ. ცინცაძე, დავ. კარიბაშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდ. ნ. მაჭარაშვილი, ათან. ჯვარიშვილი, აღ. სარაჯიშვილი, გ. ჯგავიშვილი, ს. გორგაძე და გარეშე მსმენელნი.

I. პირველათ ბ-ნმა თავმჯდომარემ დასწრე საზოგადოებას გააცნო ვრცელი გეგმა დიდებულის ბანის ეკლესიისა (ტაოში), რომელიც აშენებულია ადარნასე კუროპალატის დროს (888—923 წ.); იგი წარმოადგენს მრავალი მოყვანილობის სამ-სართულიან შენობას, რომელიც სივრცით თითქმის ყველა ტძრებს აღემატება ამიერ კავკასიაში.

II. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა არქიმანდრიტის ამბროსის (ხელაია) მოხსენება „ტელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“¹⁾. ვარიანტი იძლევა ფრიად საინტერესო ცნობას ქრონიკის ავტორის შესახებ, სახელდობრ იგი ამბობს, რომ „ქართლის-მოქცევა“ შედგენილი იყო გრიგოლ დიაკონისაგანაო.—ვარიანტში მოთავსებულია ახალი ცნობა ვარაზ-ბაკურის დროის შესახებ: ვარიანტი ამ მეფეს მიაწერს წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესიის აშენებას. მომხსენებლის აზრით, ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მოწმობს, რომ წმ. გიორგის პატივისცემა ქართველებში მე-IV საუკუნეშივე გავრცელებულა. რით აიხსნება ეს ფაქტი, თუ არა მით, რომ წმ. გიორგი კაბადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო, ან ქართველთ-განმანათლებელის მონათესავე? ამითივე უნდა აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ არც ერთს ხალხში წმ. გიორგის ისე პატივს არა სცემენ, როგორც ქართველებში, სადაც მას 300-ზე მეტი ტაძარი აქვს აგებული. მომხსენებლის აზრით, ქრონიკის ტელიშის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის.

მომხსენებამ ცხოველი აზრთა გაზიარება გამოიწვია.

მღვდ. პოლ. კარბელაშვილი: საყურადღებოდ მიმაჩნია მამა ამბროსის აზრი წმ. გიორგის ქართველობის შესახებ. ეს აზრი გვხვდება როგორც მწერლობაში, ისე ჩვენი მთიულეების რწმენა-თქმულებაში. მაგალითათ, სვანეთში დღემდე ცნობილია „ვიზლიანების“ საგვარეულო,

¹⁾ იხ. ზემოთ იმავე კრებულში, გვ. 1—29.



რომელსაც დაცული აქვს ილორის ხატის პირი და რომელსაც კველა სვანი დიდის მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობა; ამ საგვარეულოში დაცულია გარდამოცემა, რომელიც მოგვითხრობს, ვითომც ვიბლიანები ქანეთიდან (კაბდოკიის მეზობლად) ყოფილიყონ მოსული და დასახლებული პირველათ ილორში და შემდეგ ილორიდან სვანეთში. წმ. გიორგის ის ხატი, რომელიც დღეს ილორში ასვენია, ამ საგვარეულოს თან მოუტანია თავისი ძველი სამშობლოდან; ვიბლიანებს სჯერათ, რომ წმ. გიორგი მათი წინაპრების ნათესავი იყო.

პ ე ტ რ ე მ ი რ ი ა ნ ა შ ე ი ლ ი: ყურადღებით ვისმენდი მამა არქიმანდრიტის მიერ წაკითხულს ვარიანტის ზოგიერთს ადგილებს, ვაკვირდებოდი მათს ენას და უნდა შეენიშნო, რომ ამ ენის ზოგიერთი თვისება ცხადად ამტკიცებს მის სიძველეს. — გვე-დაუდებლათ მიმანჩნია, როგორც ნინოსი, ისე წმიდა გიორგისა და 18 სირიელ მამათა ქართველობა. — ამას გარდა მამა არქიმანდრიტი შევბო საქართველოში „ურთიების“ ანუ ებრაელების გადმოსახლებას, რაც ქრონიკაშიაც ყოფილა მოხსენებული. ვეთანხმები იმ აზრს, რომ ებრაელების გადმოსახლება ჩვენში სხვა და სხვა დროს უნდა მომხდარიყოს. ჩემის ფიქრით ასეთს გადმოსახლებას ადგილი უნდა ჰქონებოდა უ რ ა რ თ უ ს ე პ ო ჟ ა შ ი ც, როცა ქართველობა ვან-არარატის მიდამოებში ცხოვრობდა.

ვ კ ვ თ. ს ვ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი: სრულიად ვეთანხმები მამა არქიმანდრიტს, რომ ტელიშის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის. ამ ვარიანტით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის მოსაზრება, რომელიც ჩვენ ამ ქრონიკის შატბერდისეული ვარიანტის გამოცემის დროს გამოვთქვით მისი პირველი ნაბეგრის დაწერის შესახებ. ჩვენის აზრით ქრონიკის პირველი ნაწილი (სახელდობრ სტეფანოზ მე-II-ის გარდაცვალებამდე † 663 წ.) ცალკე შედგენილი, მე-VII საუკუნეში (იხ. ჩვენი „სამი ისტ. ქრონიკა“ XCIV—XCV). ხოლო ამის მომდევნო ერისთავთა და კათალიკოზთა სია (იხ. „სამი ისტ. ქრონ.“ გვ. 37—39) შემდეგს დროებში უნდა იყოს შედგენილი და მინაწერი. „შესაძლოაო, — ვამბობდით ჩვენ ამ 17 წლის წინათ, — ეს სია მარტო ჩვენს ვარიანტში იყოს და სხვებში არ აღმოჩნდესო“ (იქვე გვ. XCV). მართლაც, ტელიშის ვარიანტში, როგორც მამა არქიმანდრიტმა ბრძანა, მოხსენებული არ ყოფილა 18 კათალიკოზი, რომელნიც შატბერდის ვარიანტში არიან ჩამოთვლილნი (იხ. „სამი ისტ. ქრ.“ გვ. 39). ამგვარათ დამტკიცდა ის აზრი, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის პირველი ნაწილი (სტეფანოზ მე-II-მდე) ცალკე ყოფილა შედგენილი და მე-VII საუკუნის მეორე ნახევრამდე მოყვანილი.

სალამოს 11 საათზე კრება დაიხურა.

ჩვეულობრივი საზოგადო კრება.

1908 წელს, თბილისის 21-ბ.

ძრება გაიხსნა ექვთ. სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით საღამოს 7^{1/2} საათზე თავად-აზნაურთა სადებუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2). დაესწრენ, გარეშე საზოგადოების გარდა, შემდეგი ნამდვილი წევრები: ალ. ივ. სარაჯიშვილი, ივ. გ. რატიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, არქიმ. ამბროსი, დეკ. მარკოზ ტყეშელაძე, დეკ. ა. თოთბაძე, მღვდ. კ. ცინცაძე, დავ. გ. კარიჭაშვილი, მოსე გ. ჯანაშვილი, ეფემია გრ. გიორგევისა, გერას. იმნაიშვილი, იუსტ. აბულაძე, ათ. თ. ჯვარიშვილი, მიხ. გორგაძე, ს. გორგაძე, პ. მირიანაშვილი, ალ. მირიანაშვილი და სოლ. ანტ. ანდრიაშვილი.

ძრებამ მოისმინა იუსტინე აბულაძის რეფერატი: „მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“^{*)}. რეფერენტის აზრით მე-XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარის დროს, მაღალი ქართველი საზოგადოება მეტათ გაიმსკვალა სპარსული კარის მწერლობის აზრებითა და მიმართულებით; აი ამ საზოგადოებას გატაცების ნაყოფია ისეთი ნაწარმოები, როგორც არის ვეფხისტყაოსანი: რუსთველს სიუჟეტად აუღია ერთ-ერთი არაბულ-სპარსული საგმირო არაქი, რომელიც მაღალ ქართველ საზოგადოებაში დიდს პატივისცემაში ყოფილა, და თავის შემოკმედებითი ნიჭით იმდენათ შეუცვლია იგი, რომ დღეს კიდევაც წინ გვედგას ამ არაქის ორიგინალი და ვეფხისტყაოსანს შევედაროთ იგი, მათ შორის ვერავითარს მსგავსებას ვეღარ ვპოულობთ; ამის გამო ჩვენ შეგვიძლია ვეფხისტყაოსანი ორიგინალურ ნაწარმოებად ჩავთვალოთ.

რეფერატის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი.

მრატორთა უმრავლესობა რეფერენტის ძირითად აზრს ეთანხმებოდა, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ორიგინალური არაა. უმცირესობა კი სიუჟეტსაც ორიგინალურად სთვლიდა.

*) იხ. ზემოთ ამ კრებულის II ნაწილში, გვ. 68—112.



ბ ლ ე კ ს ა ნ დ რ ე ი ვ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი : როგორც ვიტყვით, ვინც ამ ბაზარზე გადის, მისი ხალხური ვეფხის-ტყაოსანი, საინტერესო იყო რეფერენტს გამოვარკვია, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ ხალხურ ამბავს რუსთაველის პოემასთან...

მ უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე : თუმცა განსაკუთრებით ამ საკითხის გამოსარკვევად ჯერ არ მიმუშავებია, მაგრამ, რამდენადაც ხალხურ ვეფხის-ტყაოსანს ვიცნობ, იგი უნდა იყოს თვით შოთას ნაწარმოების ნაყოფი, ე. ი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ-ერთს იმგვარ მოვლენასთან, როცა მწერლობითი ნაწარმოები ხალხში გადადის და რამოდენათმე ხალხურდება...

მ ე ტ რ ე მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი : ვეფხის-ტყაოსანში პირდაპირაა ნათქვამი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ეპოვე და ლექსად გარდავსტყვიო“. ჩემის აზრით რუსთაველს ხელში ჰქონია უკვე ქართულად გადმოთარგმნილი სპარსული ამბავი, რომელიც მას მხოლოდ ლექსის სახით შეუმუშავებია. ერთი სიტყვით, აქ სიუჟეტის ორიგინალობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...

შ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი : მე სხომისაც ბევრჯერ გამომიტკვამს ეს აზრი და ახლაც ვიმეორებ, რომ არამც თუ მარტო შემუშავება სიუჟეტისა, არამედ თვით ვეფხის-ტყაოსანის სიუჟეტიც რუსთაველის ფანტაზიის ნაყოფია: მან იგი აიღო მაშინდელი ისტორიული პირების ცხოვრებიდან (როსტევენი—გიორგი III-ა; თინათინი —თამარ-მეფე; აეთანდილი—დავით სოსლანი და სხვ.)...

მ ე ა ნ ე რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი : მე მინდა ჯერ ბ. ალ. სარაჯიშვილს მოვახსენო ორიოდ სიტყვა: ხალხურ ვეფხის-ტყაოსანში ქრისტიანული ელემენტი უფრო მეტია, ვინემ პოემაში; მწელი დასაჯერებელია, ქრისტიან პოეტს ქრისტიანული სიუჟეტი მაჰმადიანურად გადაეკეთებოდა და შემდეგ ქრისტეს-მოსავ ხალხში ისეთი ყურადღება და სიყვარული დაემსახურებოდა. მე მგონია, რომ პოემა უფრო ადრეა დაწერილი, ვინემ ხალხური ვეფხის-ტყაოსანი, —პოემის სიუჟეტი სპარსულია...

ბ ლ ე კ ს ი მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი : ეთანახმება მოსე ჯანაშვილს; ძალიან შესაძლოა მიაჩნია, რომ ვეფხის-ტყაოსანი ფაბულითაც სრულიად ორიგინალური იყოს.

ბ ლ ე კ ს ა ნ დ რ ე ი ვ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი : მე ვეფხის-ტყაოსანის სიუჟეტი ი რ ა ნ უ ლ ა მ ბ ა დ მიმაჩნია; მაგრამ ეს ამბავი ზეპირად უნდა ყოფილიყო რუსთაველამდე ხალხში მოარული და არა მწერლობით...

დავით ქარიჭაშვილი: ვეფხის-ტყაოსნის ფაბულა საზოგადო ირანულ-სპარსულია; იმ დროს წერის მანერაც კი ყველა ერებში საზოგადო ხასიათს ატარებდა; მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ პოემას საფუძვლად მინც და მინც ნათარგმნი წერილობითი პროზა დასდებოდეს. სანამ ასეთი ტექსტი არ აღმოჩნდება, საფუძველი არ გვექნება დავასკვნათ, ვითომც ვეფხის-ტყაოსნის სიუჟეტი ორიგინალური არ იყოს... შოთამ ისარგებლა ხალხში მოარულის ზეპირ-თქმულებით და არა ნაწერიით... პოემაში თუ სპარსული სიტყვები ზედება, ეს ალბათ მიტომ, რომ სახალღში და საზოგადოებაში სპარსული ტერმინები ყოფილა მიღებული...

მკვთიმე სვიმ. თაქაიშვილი: ვეთანხმები რეფერენტს, როცა იგი ამბობს, პოემის სიუჟეტი სპარსულიდან ნათარგმნი ან შემოსული ამბავიაო. მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო, ვითომც პოემაში გამოყვანილი ტიპები და ხასიათები ქართული არ იყოს; რომ ქართული არ ყოფილიყო, ზომ ვერც ასე საყვარელი და სათაყვანებელი გაზდებოდა ხალხისათვის. პოეტს შეეძლო ესარგებლნა სპარსული სიუჟეტით, მაგრამ ხასიათების შემუშავების დროს უძვეველია იგი ელემენტებს იმ წრიდან ამოიღებდა, რომელშიაც თვითონ ცხოვრობდა და მოქმედებდა. თუ ვეფხის-ტყაოსანი ჩვენმა ხალხმა სათაყვანებელ წიგნად გაიზადა, ეს იმიტომ, რომ ამ თხზულებაში იგი სცნობს თავის ნამდვილ პსიხოლოგიას, რაინდობა, მეგობრისათვის თავის დადება, ერთგულება ყმისა ბატონისადმი, მეფისთვის თავგანწირვა, ქალისადმი უღრმესი პატივის-ცემა და იდეალური სიყვარული.—ერთი სიტყვით, პოემაში გამოხატულია ქართველი ერის საშუალ-საუკუნეთა იდეალები, და ამიტომაც ეს თხზულება ესოდენ შესისლ-ბოროტებული ჰქონდა ქართველ საზოგადოებას. ის სამლოცველო ეპიტეტები, რომელნიც ბ-ნ რეფერენტს მოჰყავს აეთანდილისა და სხვა გამირების მამადიანობისა და არაბობის დასამტკიცებლად, საკუთრივ არც არაბობას ამტკიცებს და არც მამადიანობას, იმიტომ რომ ასეთი ლოცვები შესაფერია როგორც მამადიანის, ისე ქრისტიანისა და სხვა არამამადიანური რჯულის მქონისაც. მართალია, ქართველმა სამღვდლოებამ დევნა დაუწყო ვეფხის-ტყაოსნის, მაგრამ ეს მოხდა მე-XVIII საუკუნეში და გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ქართველი საზოგადოება უზომოთ იყო გატაცებული ვეფხის-ტყაოსანით, და სამღვდლოებას შიში ჰქონ-



და, ხალხს სარწმუნოებაზე და სასულიერო მწერლობაზე გულანაწი-
 ცრუებია. ეს იყო რეაქცია საერო პოეზიით გატაცების წინადასმდეგ. მა-
 შასადადე ეს ნაგვიანვე დევნულეზა (სამდედელოების მზრივ) ვრთგვარი
 მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენად მიმზვიდეელი და მშობლიური ყოფილა
 ვეფხის-ტყაოსნის ხასიათები ჩვენი ხალხისთვის, და არა წინა-უკმო...

ხალამოს $9\frac{1}{2}$, საათზე თავმჯდომარემ საზოგადო ჩვეულობრივი კრება
 დაზურულად გამოაცხადა. ამის შემდეგ დაიწყო არა-ჩვეულებრივი კრება
 მარტო წვევრების თანადასწრებით.

№ 7

არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1908 წელს, თებერვლის 21-ს.

საზოგადოების წესდების მე 31-ის ძალით, თავმჯდომარემ ჩვეულებ-
 რივი, საზოგადო კრება $9\frac{1}{2}$, საათზე დაზურა და მის ნაცვლად არა-ჩვეუ-
 ლებრივი კრება გამოაცხადა, შემდეგი წვევრების თანადასწრებით: ალ. სა-
 რაჯიშვილისა, ალ. ყიფშიძისა, იესტ, აბულაძისა, ალექს. მირიანაშვი-
 ლისა, გვრას. იმნაიშვილისა, მიზ. გიორგაძისა, ვფ. გიორგიევის ძალისა,
 არზიმანდრიტის ამბროსისა, დეკ. მარკოზ ტყემალაძისა, დეკ. ანტ. თო-
 თბაძისა, მღვდ. კალ. ცინცაძისა და დავ. კარიჭაშვილისა.

ძრებამ, ორი თავისი წვევრის ალ. ივ. სარაჯიშვილისა და ს. გორ-
 გაძის წინადადებით (იხ. წესდების მე 16), ვრთზმად აირჩია ნ ა მ დ ვ ი ლ
 წ ე ვ რ ე ბ ა დ შემდეგი პირნი: 1. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე,
 ბრუჯვანიძე ანტონ ივანეს ძე, ბრუჯვანიძე ნიკოლოზ ივანეს ძე, ბზვლე-
 დიანი დიმიტრი თომას ძე, ასათიანი გიორგი მღვდელი, შარღიაშვილი
 დავით მღვდელი, ზვამიჩავა რაქდენ, ზორგაძე ანთიმოზ ბესარიონის ძე,
 ზრუბინსკისა თამარ დავითის ასული, 10. მათეშიძე სამსოზ ნიკოლოზის
 ძე, მრისთავი ნიკოლოზ ბიძინას ძე გენერალი, მრისთავისა ეკატერინე
 ზაქარიას ასული, მრისთავი კიზო დავითის ძე, შართავა იპოლიტე პეტ-
 რეს ძე, მოსელიანისა ანნა ნიკოლოზის ასული, ლოსაბერიძე სპირიდონ
 მიხეილის ძე, მანვეტაშვილი ვასილ მიხეილის ძე ექიმი, მაყაშვილი ვლა-

დიმერ ათანასეს ძე გენერ.-მაიორი, მჩაბლისა ანასტასია ალექსანდრეს ასული, 20. შგალობლიშვილი ივანე პაატას ძე, შგალობლიშვილი იოსებ პაატას ძე, შონადირიშვილი იოსებ გიორგის ძე, მღვდლიევი მიხეილ, მარგიანი ივანე მღვდელი, მრბელიანი ალექსანდრე ივანეს ძე, მრბელიანისა მარიამ ვახტანგის ასული, მრბელიანი მამუკა ივანეს ძე, მრბელიანისა ელისაბედ ირაკლის ასული, ხარაჯიშვილისა ეკატერინე ივანეს ასული, 30. ხაყვარელიძე გაბრიელ ბეჟანის ძე. შველენიშვილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე, შაღავასი ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, შოფინაშვილი ალექსანდრე, შურცელაძე ლევან ანტონის ძე, შადაგიძე დავით ნიკოლოზის ძე, შაფთარაძისა ანნა ლუარსაბის ასული, შაერიშვილისა ალექსანდრა კონსტანტინეს ასული, შაბუგვი გიორგი ნიკოლოზის ძე (გენერალი), შაბუგვი რაფიელ ნიკოლოზის ძე, 40. შაბუგვისა ელისაბედ ნიკოლოზის ასული, ჩაჩიბაია გიორგი ზურაბის ძე, ჩიზლაძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ჩერქეზიშვილი ლევან, შავჭავაძე ივანე სულხანის ძე, შავჭავაძისა დარია რამაზის ასული, შანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, ზელთფელიშვილი დავით ბესარიონის ძე, ზეციშვილი ალექსანდრე ლუარსაბის ძე, შუმანიშვილისა იულია კონსტანტინეს ასული, 50. ნათაძე ალექსანდრე ივანეს ძე.

სალამოს 10 სათზე კრება დაიხურა.

№ 8.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება (წლიური).

1908 წელს, აპრილის 2-ს.

ძრება გაიხსნა სალამოს 8 საათზე ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თავად-ახნაურთა ხადეპუტატო საკრებულოს დარბაზში. დაესწრნენ საზოგადოების ნამდვილი წევრები: არქიმანდრიტი ამბროსი ზელაია, აღ. ივ. სარაჯიშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, დევანოზი მარკოზ ტყემალაძე, დევანოზი კორნელი კეკელიძე, გრიგოლ ნიკ. დიასამიძე, აღ. თევდ. ყიფშიძე, მღვდ. ქრისტ. ციციშვილი, აღ. მირიანაშვილი, არისტ. ვას. ქუთათელაძე, ექიმი სპირ. ვაწაძე, ანასტასია თუმ. წერეთლისა, თევდ. სახოკია, მღვდ. კალ. ცინცაძე, დავ. კარიჭაშვილი, იაკ.



სვ. გოგებაშვილი, ვკიმი ვახტ. დავ. ლამბაშიძე, ვას. ილ. რეხელიძე, ვენ. იოსელიანი.

I. პირველად კრებამ მოისმინა წინანდელ სხდომათა ოქმები და მცირეოდენი შესწორებით დაამტკიცა იგინი.

II. შემდეგ კრებას მოხსენდა:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1907 წლის 20 ენკენისთვიდან 1908 წლის 1-ელ იანვრამდე შემდეგის შინაარსისა:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა 1907 წლის 30 ივნისს, როდესაც დამტკიცებულია მისი წესდება. საზოგადოების პირველი კრება მოხდა იმავე წლის 20 ენკენისთვეს. ამ დღიდან იწყება საზოგადოების მოქმედება. დამფუძნებელმა წევრებმა აირჩიეს საზოგადოების წევრები, რომელნიც შემდეგ შეუდგნენ საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევას. საბჭოს თავჯდომარედ (იგივე საზოგადოების დავმჯდომარე) არჩეულ იქმნა ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, მის ამხანაგად—დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი, ზახინადრად—ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად ილია ივანეს ძე ფურაძე, მდივად სერგი რომანოვის ძე გორგაძე და წევრებად: მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, მღვდელი პოლიექტოს კარბელაშვილი და იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, რომელნიც საანგარიშო წლის დამლევამდე უკლებლივ ასრულებდნენ თანამდებობას. სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ: ივანე დიმიტრის ძე აფხაზი, გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე და კოსტანტინე ზაქარიას ძე მაცაშვილი.

„1908 წლის პირველ იანვრამდე საზოგადოებას ჰყავდა 250 წამდელი წევრი. გამოაკლდა მხოლოდ ერთი წევრი ყ-დ სამღვდლო ალექსანდრე.

„ამავე ხნის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ხუთი საზოგადო კრება, რომელზედაც რეფერატები წაიკითხეს შემდეგმა პირებმა: 1. ს. რ. გორგაძემ: „ადერკი მეფე და ეგრეთ წოდებული ორმეფობის ხანა ძველს ივერიაში“; 2. დ. ბ. კარიჭაშვილმა: „დავით დიდი კუროპალატის გენეალოგია“ და „ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის დამწერი?“, 3. მღვ. პოლიექტოს კარბელაშვილმა: „ამილახვრიანთ გვარის სიგულ-გუჯრები“, 4. არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელიამ): „ქარ-

გასავალი	
1, საქმის საწარმოებელი ხარჯი	54 მან. 48 კ.
2, წესდების დაბეჭდვა	59 55
3, საფოსტო ხარჯი	7 20
4, მოსამსახურის ჯამაგირი	10 „
5, გერბის მარკა	„ 15
სულ	131 მან. 38 კ.

და 3) 1908 წლის სავარაუდო ანგარიში:

შემოსავალი	
1, 1907 წლის ხარჯის დანართენი	242 მან. 38 კ.
2, ნამდვილი წვერების გადასახადი	900 „
3, დამხმარებელის წვერების „	100 „
4, შემოწირულობანი	200 „
სულ	1442 მან. 38 კ.

გასავალი	
1, საქმის წარმოებისთვის	120 მან. „
2, საფოსტო ხარჯი	100 „
3, მოსამსახურის ჯამაგირი	60 „
4, „კრებულის“ გამოცემა	900 38 კ.
სულ	1442 მან. 38 კ.

აღნიშნული ანგარიშები საზოგადოებამ მოისმინა და დაამტკიცა. ამას გარდა, თუჯდომარის თხოვნის თანახმად, საზოგადო კრებამ ნება დართო საზოგადოების საბჭოს, უკეთეს საზოგადოებას 1908 წლის განმავლობაში იმაზე მეტი ფული შემოუფედეს, რაც სავარაუდო ანგარიშშია აღნიშნული, ყველა მოხმარდეს წიგნების გამოცემას.

III. დასასრულ, კრებამ მოისმინა ექვთიმე სიგომონის ძის თაყაიშვილის მოხსენება ახლად აღმოჩენილის პოემის „ბარამ-გურიანი“-ს შესახებ. ამ პოემის სპარსული ორიგინალი ეკუთვნის ცნობილ მწერალს ნიზამს, რომელიც თანამედროვე იყო ჩვენი რუსთველისა (XII საუკ.); ხოლო ქართულად უთარგმნია ან გაულექსავს იგი მღ. XVII საუკუნეში ნოდარ ფარსადანის ძეს. ხელნაწერიც იმავე საუკუნეს ეკუთვნის. პოემა ხინგბული

ლექსითაა (შაირით) ნათარქნი, სამწუხაროთ აწ აღმოჩენილი მისი ვარიანტი სრული არ არის: თავში და ბოლოში აკლია. ამასთანავე მომხსენებელმა წაიკითხა პოემის შესავალი და სხვა ადგილები, რომელნიც ახასიათებენ პოემის ენასა და ღირსებას. — კრების ზოგიერთმა წევრმა გამოხატედა სურვილი პოემა დაიბეჭდოს; მაგრამ ზოგი იმ აზრისა იყო, რომ სანამ სრული ვარიანტი აღმოჩნდებოდეს, უმჯობესი იქნება პოემის დაბეჭდვა გადაიდოს; ჯერ-ჯერობით კი საზოგადოების კრებულში დაიბეჭდოს ბ. თაყაიშვილის მოხსენება ამ პოემის შესახებ. კრებამ უკანასკნელი აზრი შეიწყნარა და დაამტკიცა ¹⁾).

სალამოს 10 საათზე თავმჯდომარემ წლიური კრება დახურულად გამოაცხადა. ამას შემდეგ გაიხსნა არა-ჩვეულებრივი კრება მარტო წევრთა დასწრებით.

№ 9.

პრაქტიკული მუშაობის საზოგადო კრება.

1908 წელს, აპრილის 2-ს.

წლიური კრების დახურვის შემდეგ, სალამოს 10 საათზე, თავმჯდომარემ გახსნა არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრენ იგივე ნამდვილი წევრები, რომელნიც აღნიშნულნი არიან მე-8 ოქმში.

ორი წევრის: ს. გორგაძისა და გრიგ. დიასამიძის წინადადებით, კრებამ ერთხმად აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები: 1. არდაზიანი კოსტანტინე ლავრენტის ძე, ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე, ბეჟანაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე, გამარკელი ექიმი ვასილ გიორგის ძე, გომართელი ექიმი ივანე გედევანის ძე, გორგასლიძე ექვთიმე, დავითაშვილი დავით ალექსის ძე, დავითაშვილი ალექსი ალექსის ძე, ელიავა

¹⁾ მოხსენების წაკითხვის შემდეგ საეკლესიო მუხეზუმში აღმოჩნდა მე-XVIII საუკუნის ხელნაწერი (№ 860), რომლითაც შეიძლება შევსება ხსენებული პოემისა. გარჩევა ამ ხელნაწერებისა და განვილვა „ბარამ-გურიაშისა“ იბ. ე. თაყაიშვილის თბულებასში: „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, стр. 524—554.



ექიმი გრიგოლ ლაფრენტის ძე, 10. ელიავა ელაკიმერ ბესარიონის ძე, ერისთავი ზაქარია გიორგის ძე, თამარაშვილი მღვდ. მიხეილ, კორღანოვი ვასილ დავითის ძე, ლაზარაშვილი ივანე ივანეს ძე, მამაკაშვილი პოდპოლკ. ლევან კოსტანტინეს ძე, მაკეფარიანი ექიმი რომანოზ დავითის ძე, მელიქიშვილისა კნ. ალექსანდრა მაკარის ასული, მულაშაშვილი (პაწაძე) მღვდ. დომონიკე, მღებრიშვილი მღვ. ალფონს, 20. ნაკაშიძისა კნ. ადელაიდა ლევის ასული, ნახუცრიშვილი დავით გიორგის ძე, ორბელიანი იაკობ იოსების ძე, პეტრიაშვილი ნესტორ ივანეს ძე, ტატიშვილი დიმიტრი ლუკას ძე, ტატიშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე, ტყეშელაშვილი ივანე სოფრომის ძე (ფარმ. მაგ.), კობულაშვილისა კნ. ნინო ელიზბარის ასული, შოშიაშვილი დეკანოზი სოლომონ, ჩოლოყაშვილისა კნ. ნინო დავითის ასული, 30. წერეთლისა კნ. ელისაბედ გიორგის ასული, წერეთელი პეტრე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე, წერეთელი ლევან ალექსანდრეს ძე, წერეთელი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ხაზუტაშვილი დეკანოზი დიმიტრი გიორგის ძე, ხერხეულიძისა კნ. ნატალია ალექსანდრეს ასული, ზიმშიაშვილი გენერალი გიორგი სპირიდონის ძე, ბერულაშვილი ვასილ ზურაბის ძე, გაბაშვილი გიორგი ივანეს ძე, ფორაქაშვილი დავით ილარიონის ძე, 40. ფორაქაშვილი სვიმონ ილარიონის ძე, ოქრომჭედლიშვილი ნიკოლოზ მთავარ-დიაკვანი, ისარლიშვილი მიხეილ პეტრეს ძე.

სალამოს 10¹, საათზე კრება დაიხურა.

№ 10.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1908 წელს, აპრილის 28-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 8 საათზე თბილისის თავადაზნაურთა სადგ-პეტატო საკრებულოს დარბაზში, ეკეთიმე სვიმონის ძის თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც თავისი ადგილი დაუთმო ამ კრებაზე საზოგადოების წევრთა მიერ საპატოთ თავმჯდომარედ არჩეულს პროფესორს ალექსანდრე ანტონის ძეს ცაგარელს. კრებას დაესწრენ საზოგადოების წევრნი: არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდ. ილია შუბლაძე, მღვდ. კ. ცინ-



ცაძე, დეკანოზი ნ. თალაქვაძე, დეკ. ან. თოთიბაძე, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, მღვდ. ქრ. ციციქიშვილი, მღვდ. გ. ასათიანი, დეკანოზი მარკ. ტყეშელაძე, მღვდ. ნესტ. მაჭარაშვილი, იუსტ. ირ. აბულაძე, ვლ. ბეს. ვლიაძე, იოს. გ. მონადირიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, პოდპოლ. ნიკოლოზ არჯევანიძე, გენერ.-მაიორ. გიორგი მუსხელიშვილი, ვას. გიორგ. მაჩაბელი, მიხ. ვახტ. მაჩაბელი, ალ. მიქაბერიძე, გენ. იოსელიანი, მიხ. წერეთელი, ალ. მირიანაშვილი, დავ. გ. კარიჭაშვილი, კოსტ. ყაფრიშვილი, გრ. ნათაძე, იაკობ სვ. გოგებაშვილი, მდივანი ს. გორგაძე და გარეშე პირნი.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრებების ოქმები და მცირე-ოდენის შესწორებით დაამტკიცა იგინი.

II. შემდეგ მღვდ. პოლიექტოს კარბელაშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენება: „საეპრო ნიხრი მე-17-18 საუკუნეში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში“. მოხსენების დასასრულ მამა კარბელაშვილმა საზოგადოებას წარმოუდგინა რამოდენიმე ძველი ხელნაწერი დოკუმენტი თავის მოხსენებაში აღნიშნული რიცხვების დასამტკიცებლად. კრებამ ინტერესით მოასმინა მოხსენება.— ექვთ. სვ. თაყაიშვილმა მოკლეთ განმარტა მსგავსი მასალების გამოქვეყნებისა და შესწავლის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის კულტურული ისტორიის გამოსარკვევად.— მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია.

III. დასასრულ, ექვთ. სვ. თაყაიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა მოკლე ანგარიში თავისი მოგზაურობის შესახებ სოფ. ბორს (შორაპნის მაზრაში) და მოხსენება იქ აღმოჩენილ საარქეოლოგიო ნივთების შესახებ. აი თვით მოხსენება:

„1902 წელს სოფ. ბორიდან ჩამოიტანეს ვერცხლეს თევზი, რომელზედაც გამოხატული იყო ოქროს ვარაყით ცხენი და მეორე გვერდზე იყო უცნობი წარწერა. სურათი ამ თევზისა და წარწერა ჩვენ გამოვეციტ პირველ წიგნაკში *Извѣст. Кавк. Отдѣл. Имп. Моск. Арх. Общ.* ანუ *Археол. экскурсия, разысканія и замѣтки, вып. II.* ამ თევზთან ერთათ, როგორც ამბობდენ, იყო ნამტვრევები ვერცხლის შანდლისა. ნოემბერში და დეკემბერში 1907 წ. და იანვარში და თებერვალში ამა წლისა იმავე ბორში საევენაზედ მიწის დამზადების დროს კიდევ აღმოუჩენიათ არზეოლოგიური ნივთები, რომლის უმეტესი ნაწილი ჩამოიტანა ქალ. ტფილის-



ში თ ო მ ა შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ შ ა . ამ არხერლოგიურ კოლექციაში მოთხოვნა სხვა და სხვა მასალის ნივთები: ოქროსი, ვერცხლისა, ბრინჯაოსი, შუშისა, რკინისა და თიხისა. ფოტოგრაფიულ სურათებს ამ ნივთებისას აქვე ვუდგენ საზოგადოებას და მასთან მოვიყვან სიას ნივთებისას.

ა. ოქროს ნივთები:

1) ქალის ყელ-საბმული; 2) ოქროს სამაჯური (ბრასლეტი) მშვენიერი ხელობისა, შემკობილი 29 ლალით, ერთ თვალზე გამოხატულია ღმერთ-ქალი; 3) ოქროს სამაჯური მოზრდილი; 4) ასეთივე სხვა სამაჯური; 5) კიდევ ოქროს სამაჯური; 6) ყელსაბმული ანუ გულსაკიდი, შემდგარი ექვსი მუზლისაგან, თითოეულ მუზლში უხის თითო ლალი; 7) ოქროს საბმული ქვით შუაში, რომელზედაც კაცის თავია გამოხატული; 8) ოქროს ყურსაკიდი, ერთი ლალით და სამი ოქროს მრგვალი საკიდით; 9) ასეთივე ყურსაკიდი; 10) ოქროს ნატეხი გვირგვინისა, რომელსაც უხის ორი ლალი; 11) მძივი მწვანე და პრტყელ-პრტყელი ოქროს ბუდით; 12) ოქროს მძივები; 13) ოქროს ბეჭედი დიდი, რომლის თვალზე ამოტრილია ოთხი კაცის სახე, ვკანებ ბეობა პარისისა, თუ რომელ ღმერთ-ქალს ეკუთვნის ოქროს ვაშლი; 14) ოქროს მომცრო ბეჭედი ლალით, რომელზედაც გამოხატულია ქალის (ღმერთის) თავი; 16) ოქროს ბეჭედი გრეხელიანი, რომელსაც ჰქონია სამი ლალის თვალი, მაგრამ შენახულა მართლ ერთი, სხვების ბუდეებია დარჩენილი; 17) პატარა ოქროს საკიდი; 18) ორი ბარბაროსული ოქროს ფული, მიბაძვა რომაულ ფულებისა, წარწერით და 19) პატარა ოქროს ფული საბმულათ გაკეთებული, რამდენიმე ლათინურის ასოებით.

ბ. ვერცხლის ნივთები:

1) პატარა ვერცხლის დოქი, 2) მეორე ასეთივე დოქი, 3) მაღალი ვერცხლის ჯამი, 4) დიდი ვერცხლის ჯამი, 5) კიდევ სხვა ასეთივე ჯამი, 6) კიდევ ამგვარი ჯამი, 7) ვერცხლის ჯამი შუა ზომისა დასერილი, 8) კიდევ ვერცხლის ჯამი შუა ზომისა, 9) კიდევ ასეთივე ჯამი, 10) ღრმა კოვზი ვერცხლის გძელი აშვერილის ტარით, 11) მეორე ასეთივე კოვზი, 12) ვერცხლის პატარა თეფში, საფერფლეს მსგავსი, 13) სამი ვერცხლის კოვზი, 14) პატარა ვერცხლის ჯამი ორი სახელურით, რომლის მეორე გვერდი ნაჭედის ფურცლოვანი სურათებით არის შემკობილი, სამწუხარა.

როდ ეს ჯამი ძრიელ დაზარალებულია, და კიდევ 15) სამი ვერსიის
ჯამი სულ დამტყრეულები.

გ. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ნ ი ე თ ე ბ ი :

1) ბრინჯაოს დოქი შუა ზომისა სახელურით და დიდის პირით, 2) ბრინჯაოს პატარა დოქი სახელურით, რომელიც თავში შემკობილია კაცის თავის და ბოლოში ზარის თავის ქანდაკებით, 3) ბრინჯაოს პატარა დოქი სახელურით, რომლის თავში გამოხატულია გედის თავი და ბოლოში ქალის თავის ქანდაკება, 4) ბრინჯაოს პატარა დოქი სახელურით, რომლის ბოლოს ქალის თავია გამოქანდაკებული, 5) ბრინჯაოს ტაფა-ჯამი სახელურით, 6) ბრინჯაოს თეფში, რომლის თავში გამოხატულია მტაცებელი ფრინველის თავი და ძირში ძაღლის თავი, 7) ბრინჯაოს თეფში შუა ზომისა, რომლის ბოლოს გამოქანდაკებულია ცხვრის თავი, 8) ბრინჯაოს ტაფა-ჯამი სახელურით, რომლის ბოლოს გამოქანდაკებულია ძაღლის თავი, 9) ბრინჯაოს კომბალის თავი, 10) ბრინჯაოს ზარი, 11) ბრინჯაოს ბეჭედი კიქის თვალით, რომელზედაც ქალის (ღმერთის) სახეა ამოტყრილი და 12) ნაწვევებები ბრინჯაოს ძეწკვისა.

დ. მ ი ნ ი ს ა ა ნ უ შ უ შ ი ს ნ ი ე თ ე ბ ი :

1) შუშის საცრემლე, მაღალი ვიწრო ყელით, 2) ასეთივე საცრემლე უფრო მომცრო ტანისა, 2) შუშისავე საცემრელე, ორის სახელურით დაბალის ტანისა.

ე. რ კ ი ნ ი ს ნ ი ე თ ე ბ ი :

1) რკინის კვარი, 2) რკინის ლაგამი, 3) სასწორი სამი ცალი ერთისა და იმავე ზომისა და საზისა, 4) ორი დიდი რკინის მაკრატელი, 5) რკინის პატარა ნიჩაბი და 6) რკინის გძელი ხანჯალი.

ვ. თ ი ხ ი ს კ უ რ კ ლ ე ბ ი :

1) თიხის დიდი დოქი, 3) თიხის შუა ტანის დოქი, 3) პატარა დოქი წითელი თიხისა და 4) კიდევ ასეთი დოქი.

ამას გარდა იპოვება კიდევ მძივ-ტატილები სხვა და სხვა საზისა, მაგრამ საზოგადოთ იმდენი არა, რამდენიც მოსალოდნელი იყო სხვა ნივთებთან შედარებით.

იმ ადგილის დასთავალიერებლათ, სადაც ეს ნივთები აღმოჩნდა, ჩვენ გავემგზავრეთ სოფ. ილემ-ბორში. სოფელი ბორჩი მდინარე ბორჩიელას მარჯნივ ნაპირზეა გაშენებული, ექვსი ვერსის მანძილზე სადგურ ძირულიდან.



ბორომელა ყვირილას ერთვის, ხეობა ბორომელისა იმ ადგილას, სადაც ნაგებობა თბილისი აღმოჩენილი, საქმაოდ ფართოა; თომა მაჭავარიანის ეზოდან ბორომელას მხრით ჯერ თავიკვეა, მერმე ადგილი თან და თან დაივაკებს და წყლის პირათ სულ ვაკე მინდორია. ამ ვაკეს უერთდება პატარა დეღე, ნათელა-დეღე, რომელიც კარგა მოშორებით სწყდება ბორომელიდგან; მთის კალთა მაჭავარიანის ეზოდან ბორომელამდის ვენახად და სახნავ-სათესად არის გადაქცეული. აქვე შორი-ახლო ერთმანეთზე რამდენიმე გლეხი სახლობს. ნათელა-დეღისა და დიდ ფერდოს შუა ორი კომლი გლეხი არის. ამ ორი მოსახლე გლეხების შუა ადგილზე აღმოჩენილა ნივთები 1907 და 1908 წლებსა. 1902 წელს ნაპოვნი ნივთების ადგილი ქვეით არის ამ ადგილზე, ასე ერთი 100 საყენის მანძილზე. ჩვენი მიზანი იყო: გამოგვეცვლია, კურგანი იყო აქ თუ სასაფლაო; ჩვენთან ერთად იყვნენ ის გლეხები და ახნაურები, რომელთაც ადგილი ეთხარათ. ისინი მიწას ვენახისთვის ამზადებდენ, ერთ ადგილას შეეშინათ საქონლის ძვლები და ნივთები, მერმე უფრო ღრმად ეთხარათ ერთი საყენის სიღრმეზე და ამგვარათ გადაებარუნებიათ მიწა ერთ ზუთ-ოთხკუთხიან საყენის მანძილზე. აქ ყოფილა სულ რამოდენიმე სასაფლაო და თითოეულს საფლავში კაცის ძვლებთან ერთათ უპოვნიათ რამდენიმე ნივთი, თითო-ორალა ბურბული, ვერცხლის და ოქროს ნივთები და სხვა. ძროხის, ხარის, თხის, ცხვრის და ცხენის ძვლები ყოველთვის საფლავის ზემოთ ყოფილა. ამ რიგათ ყველა ის ნივთები, რომელიც ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ, საფლავიდან არის ამოღებული. ეტყობა მთელი ფერდობი ამ ადგილის დიდ მანძილზე უკავია ძველ სასაფლაოს. თუ რომელი დროისა არის ეს სასაფლაო, და ანუ რომელ დროს ეკუთვნის მათში ნაპოვნი ნივთები, ამის გადასაწყვეტათ მეცნიერებას ორი საშუალება აქვს: თვით სტილი ანუ გვარი ნივთების ხელოვნებისა, წარწერანი და ფულები, თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდენ სასაფლაოში. ყველაზე დიდი მნიშვნელობა დროს განსამარტებლათ ფულებს ეკუთვნის, მაგალითათ, თუ დაბეჯითებით შევიტყუთ, რომელ მეფეს ეკუთვნის ფულები, ეს იმას ნიშნავს, რომ სასაფლაო იმ მეფის უწინ დროს არ ეკუთვნის, არამედ ან თვით მეფის დროს, რომელსაც ფული ეკუთვნის, ან კიდევ ცოტა უფრო გვიან დროს, ვინაიდან გარდაცვალებული მეფის ფული ისე მალე არ გამოდის ხმარებიდან. ნივთების მიხედვით ისე დატეხმარტებით დროს განმარტება ძნელია, ამიტომ რომ ნივთი შეი-

ძლებდა ძველი იყოს, მაგრამ შემდეგ დროებში ჩატანებით სასაფლაოში. ჩვენდა სასიამოვნოდ სოფ. ბორის სასაფლაოებში საკმაოდ ბევრი ფული აღმოჩენილია; თომა მაჭავარიანმა ჩვენ გვანგებო ათი ვერცხლის ფული; ამითში ცხრა ეკუთვნის ავგუსტო მეფეს (30 კრ. წინ—14 კრ. შემდეგ) და ერთი პართთა მეფეს გოტარზს (40—51 კრ. შემდეგ). ჩვენ იქ ყოფნის დროს ერთი ვერცხლის ფული გოტარზისა თვით ნათხარ ადგილზე ვიპოვეთ, ერთიკ შემოსწირასამსონზურაბისქემმაჭავარიანმა, ერთი ვერცხლის ავგუსტოს ფული გადმოგვცა არჩილ პავლაძემ, და ორი ასეთივე ფული მოგვყვიდა იქ მოსაწვლელ გლეხის შვილმა.

ამ გვართ ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ათიოდე სასაფლაოში, რომელიც ბორში გაუთხრიათ, სულ აღმოჩენილა ხუთმეტო ვერცხლის ფული, რომელთა შორის თორმეტო ეკუთვნის ავგუსტო მეფეს და სამი პართთა მეფეს გოტარზს. როგორც რომაელების ფულები, ისე პართთა ფულები ეკუთვნიან პირველ საუკუნეს ქრისტეს შემდეგ. ამიტომ თამამთ შეგვიძლია მივაწეროთ ბორის სასაფლაოები და მათში აღმოჩენილი ნივთები პირველ საუკუნეს ქრისტეს შემდეგ, — უფრო მეორე ნახევარს ამ საუკუნისას, ვადრე პირველს. ჩვენ ეხლა ხელში გვაქვს ექვსი ვერცხლის ფული: სამი ავგუსტო მეფისა და სამიკ გოტარზისა.

